

შქსაპალი

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების ძალისხმევით გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება თვლიდა, რომ საქართველოს მოსახლეობის რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილებას კარგად შეძლებდა სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს საეგზარქოსო.

1811 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმყოფებოდა მონობაში, მას განაგებდნენ სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსები, რომელნიც სასულიერო სფეროში ერთგულად ახორციელებდნენ დიდმძყრობელური შოვინიზმის პოლიტიკას.

XIX საუკუნის რუსული ისტორიოგრაფია საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს ტენდენციურად წარმოაჩენდა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ცნობილი რუსი მეცნიერი ნიკოლოზ დურნოვო, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა და რუსი ეგზარქოსების ანტიეკლესიური საქმიანობის შესახებ საქართველოში.

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხიც დასვეს. ამ ნაბიჯით მათ მომავალ დიდ საერთო ეროვნულ მოძრაობაში ქართველი სასულიერო წოდებაც აქტიურად ჩართეს, ეს მოძრაობა 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით დაგვირგვინდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის ვესევი ნიკოლაძის ნაშრომი, „საქართველოს ეკლესიის ისტორია¹ რომლის ბოლო თავში განხილულია 1917 წლის 12 (25) მარტის მცხეთაში სვეტიცხოველში მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, პირველი საეკლესიო კრება და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნები.

1921 წლის 25 თებერვალში, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც მომხდარი დაუფარავად შეაფასა, როგორც ქვეყნის ანექსია, მიჩნეულ იქნა საოკუპაციო ხელისუფლების მტრად. საოკუპაციო

ხელისუფლების მიერ მიღებული აქტებით საქართველოს ეკლესია კერძო პირად გამოცხადდა, მას ჩამოერთვა ყველა სამოქალაქო უფლება და დაიწყო მისი დევნა.

XX საუკუნის 20–90-იან წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიის საკითხები ავტორთა მიერ დამახინჯებულად, საბჭოთა იდეოლოგიური დოგმებისა და ათეისტური პოზიციებიდან განიხილებოდა. მაგალითად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ოქტომბრის რევოლუციის დამსახურებად, გენუის კონფერენციაზე კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიერ გაგზავნილი მემორანდუმი ეკლესიის „კონტრრევოლუციურ“ ქმედებად მიიჩნეოდა. ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ „სოციალიზმის მშენებლობის პირობებში ეკლესიას, ქრისტიანულ რელიგიას თანდათან უნდა დაეთმო პოზიციები“. ასეთ რთულ პერიოდში, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახით მტრის ხატს ქმნიდნენ, შეუძლებელი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის და მნიშვნელობის სწორად გააზრება, ეკლესიის ისტორიის ობიექტური შესწავლა. ყინული პირველად XX საუკუნის 70–80-იან წლებში დაიდრა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აწ განსვენებული მკვლევარების ელისო აბრამიშვილისა და ვახტანგ გურგენიძის დამსახურება. ელისო აბრამიშვილმა შეისწავლა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო ფონდებში დაცული კირიონ II მასალები², საიდანაც ფართო საზოგადოებისათვის ნათელი გახდა, რომ უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II არა მარტო სასულიერო მოღვაწე იყო, არამედ გამოჩენილი მეცნიერიც, რომელსაც ღიდ პატივს სცემდნენ ალექსანდრე ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე შახმატოვი და სხვები. ვახტანგ გურგენიძის წერილები ეძღვნება სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ცხოვრებას და მეცნიერულ მოღვაწეობას³.

XX საუკუნის 90-იან წლებში, როცა დაიწყო საბჭოური იდეოლოგიური დოგმების მსხვერველ, შესაძლებელი გახდა საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიის საკითხებზე პირუთვნელი მჯელობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ეკლესიის უახლეს ისტორიის პრობლემებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი სტატიები გამოქვეყნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გოჩა საითიძის წერილები: „ისტორიული საეკლესიო კრება“ (გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“ 1990წ. 4 დეკემბერი), „1918 წლის 26 მაისი და საქართველოს ეკლესია“ (გაზ. „ერი“ 1991წ. 22 მაისი), „საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1917 წელს“⁴ ავტორი იმდროინ-

დელი პრესის მასალის მიხედვით წარმოაჩენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, სერგო ვარდოსანიძის „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა“,⁵ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზეიმი“,⁶ ქეთევან ჰავლიაშვილის „საქართველოს საეგზარქოსო 1900–1917 წლებში“.⁷ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917–1921 წლებში“,⁸ აღნიშნული ნაშრომები ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გამოუქვეყნებულ საარქიო დოკუმენტებს და საინტერესოდ წარმოაჩენს ქართველი სასულიერო პირების ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიას, საქართველოს საეგზარქოსოს და მმართველ ეგზარქოსთა საქმიანობას, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას 1918-1921 წლებში. აკაკი ვარაზაშვილის „საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი“⁹, რომელშიც იმდროინდელი პრესის მასალებით წარმოჩენილია ავტოკეფალიის არაერთი საინტერესო საკითხი.

ამავე საკითხს ეძღვნება ელდარ ბუბულაშვილის „ქართული ეკლესიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“,¹⁰ რომელშიც საარქივო მასალების საფუძველზე წარმოჩენილია საქართველოს ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი დამოკიდებლობის აღდგენის საკითხები. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს კირიონ II ეძღვნება თინათინ კობაღაძის „კირიონ II“,¹¹ რომელშიც დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ჩანაწერების მიხედვით წარმოჩენილია ღვაწმოსილი მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობის არაერთი საინტერესო საკითხი. უწმიდეს კირიონ II ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის წიგნი „უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II“. (თბ. 1993წ.). XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი საინტერესო საკითხია წარმოჩენილი დავით მალრაძის წერილში „რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთგვამ“.¹²

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი განხილულია ხათუნა ქოქრაშვილის ნაშრომში.¹³ 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერში საიდუმლო ვითარებაში მოკლული იქნა უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მისი საიდუმლოებით მოცულ მკვლელობის ვერსიებს ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის წერილი: „კირიონ II მკვლელობის ვერსიები“. (ჟურ. „რანი ვართ ქართველები“. თბ. 1997წ. №4. გვ. 17–18). ამავე საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ვაჟა კიკნაძის ნაშრომი „სამარადისო მარავანდელი, კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ცხოვრება და მოღვაწეობა“.¹⁴

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას, საკათალიკოზო საბჭოს წევრების მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო ბოლშევიკების მიერ დაპატიმრებული სასულიერო პირთა სასამართლო პროცესს ეძღვნება მირიან ხუციშვილისა და სოლომონ ლეკიშვილის წერილი „კვლავ ამბროსი ხელაიას საქმის გამო“.¹⁵ იმავე საკითხს ეძღვნება ნესტან კირთიძის „კაენ სად არის ძმა შენი?“¹⁶ ნაშრომის ერთი თავი. აკაკი მინდიაშვილის „ორი სიმართლე არ არსებობს“ (გაზ. „სახალხო განათლება“ 1989წ. 15 მარტი), გოჩა საითიძის „ივერიის ეკლესიის წამებული პატრიარქი“ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1999წ. 23-29 მარტი).

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქების უწმიდესი და უნეტარესი კირიონის, ლეონიდის, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მოცემულია ზვიად ჟვანიას ნაშრომში „სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი“ (ქუთაისი 1994წ.) „სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქები“ აკად. როინ მეტრეველის საერთო რედაქციით (თბილისი 2000წ. გამომც. „ნეკერი“).

საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიის საკითხები აქვს განხილული ნუგზარ პაპუაშვილს ნაშრომში „საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის“.¹⁶ რომელშიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საარქივო მასალებზე დაყრდნობით საინტერესოდაა წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში საქართველოს ეკლესიის წინაშე წარმოშობილი სიძნელენი. ახალ სტილზე გადასვლის მცდელობა საქართველოს ეკლესიაში, კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ცხოვრების და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი. მასვე ეკუთვნის „კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა“ („მრავალთავი“ XIII. 1987 წ. გვ. 91-112), რომელშიც განხილულია უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს მეცნიერული მემკვიდრეობა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლოესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი განხილულია გივი როგავას ნაშრომებში: „როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“¹⁷, „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (თბილისი 1996წ.).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებს მიეძღვნა მედეა ბედელიანის საკანდიდატო დისერტაცია („საქართველოს ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“ თბ. 1999 წ. გვ.

165. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის საკითხები გაშუქებულია სერგო ვარდოსანიძის ნაშრომებში: „1917 წლის საეკლესიო კრება“,¹⁸ რომელშიც საარქივო და იმდროინდელი პრესის მასალების საფუძველზე განხილულია პირველი საეკლესიო კრების მიმდინარეობა, დღის წესრიგი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა 1917 წელს. „დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე“¹⁹ ეძღვნება ავტოკეფალიის აღდგენისათვის თავდადებულ მებრძოლ სასულიერო პირს, ნიკიტა თალაკვაძეს, რომლის ინიციატივით 1917 წლის 8 სექტემბერს შეიკრებნენ ნ. ჟორდანიას, ალ. ლომთათიძე, ს. მერკვილაძე, ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე და მიიღეს გადაწყვეტილება 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შესახებ. 1917-1927 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებს ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის: „სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი“,²⁰ აგრეთვე „საქართველოს ეკლესია 1921-1927 წლებში“ (იხ. კრებული „ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი თბ. 2000წ. გვ. 32-33).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას 1917-1927 წლებში ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის ნაშრომი,²² რომელშიც განხილულია ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობის, ეკლესიის შინაგნით არსებული დაპირისპირების, ანტირელიგიური ისტერიის პირობებში პროვინციებში შექმნილი რთული ვითარების პრობლემები.

საქართველოს ეკლესიას 1927-1952 წლებში ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის ნაშრომი,²³ რომელშიც მრავალრიცხოვანი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი რთული პერიოდის ისტორია.

იმავე ავტორის „ასწლოვანი ქრონიკაში (1899–1999 წლები)“ გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი საყურადღებო ფურცელი. (ჟურნ. საქართველოს საპატრიარქო 2000წ. №4. გვ. 20-50).

საქართველოს ეკლესიის უახლოეს ისტორიაზე გამოქვეყნებული, საგაზეთო და საჟურნალო სტატიები მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნების მიუხედავად სრულიად ვერ მოიცავს საკვლევი თემის პრობლემატიკას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყო XX საუკუნის 20-50-იანი წლები. აუცილებელია მომავალმა თაობებმა იცოდნენ რა მძიმე ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა სრულიად

საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქებს უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს. როგორი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოთა სისტემასთან შეურიგებლობას, ხელისუფლების ანტიეროვნული და ანტიეკლესიური პოლიტიკის კრიტიკას იმთავითვე გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომელნიც „განახლებისა და საეკლესიო სფეროში რეფორმების“ დროშით გამოდიოდნენ. ისინი ბოლშევიკურ ხელისუფლებისადმი „ლოიალობისა და თანამშრომლობის“ კურსს იცავდნენ, ეს მოძრაობა საზიანო იყო საქართველოს ეკლესიისათვის.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს ჩვენთვის მთავარი იყო გვეჩვენებინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით მიმდინარე რთული პროცესები. ცალკეული სასულიერო პირების რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაცია, ხელისუფლების მცდელობა ეკლესიის შიგნით დასაყრდენის მოპოვებისათვის, შიდასაეკლესიო დაპირისპირებათა მიზეზები და შედეგები. მოვლენათა სრული ობიექტური სურათის აღდგენა შესაძლებელი გახდა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გამოუყენებელი სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივის მასალების გაცნობის შემდეგ. ნაშრომზე მუშაობის დროს ვისარგებლეთ საპატრიარქოს არქივში დაცული სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქების: კირიონის (ფ. № 6485, 6491), ლეონიდის (ფ. № 6458, 6443, 6491), ამბროსის (ფ. №166, 539, 1519, 6184), ქრისტეფორეს (ფ. № 112, 1726, 4002, 6508), კალისტრატეს (ფ. № 6480), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიის: ალავერდის (ფ. № 1649), ბოდბის (ფ. №1651), მანგლისის (ფ. № 1752), წილკნის (ფ. №. 1646), ცხუმ-აფხაზეთის (ფ. №308), ქუთაის-გაენათის (ფ. №1124), სასულიერო მოღვაწეების: პავლე ჯაფარიძის (ფ. № 14549), ტარასი კანდელაკის (ფ. № 1954), იოანე მარგიშვილის (ფ. №2414), 2979) ფონდებში დაცული მასალებით.

საკვლევი თემისთვის მრავალრიცხოვანი მასალაა გ. ლეონიდის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში: კათალიკოზ-პატრიარქების უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (ფ. № 276630), ლეონიდის (№ 256), ზაქარია ჭიჭინაძის (№ 03748), სერგი გორგაძის (№ 6945) ფონდებში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, მოვლენა დაწვრილებითაა გაშუქებული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძის (№ 42, 43, 52,

55, 70, 73, 102), ეპისკოპოს სტეფანეს (ვასილ კარბელაშვილის) (№ 272) ფონდებში.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქების უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (№ 1458), ლეონიდის (№ 1459), ქრისტეფორეს (№ 2100) ფონდები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს ოქმები, ხელისუფლებისადმი მიმართვები, საეკლესიო განძეულობის ეკლესიიდან გატანის გადაწყვეტილებანი, ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხების შესახებ მდიდარი მასალა მოიპოვება საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფ. № 284, 516, 1459, 1879). იქვეა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსი ხელაიას და საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესის ამსახველი მასალები (ფ. № 516 ან 2. საქმე 1).

აღნიშნული მასალის გაცნობამ შესაძლებლობა მოგვცა მეტნაკლები სისრულით აღგვედგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის საინტერესო პერიოდი (1917–1952 წ.წ.) და ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი ნაწილობრივ მაინც შეგვევსო. თუ რამდენად შევძელით დასახული მიზნის მიღწევა ამის შეფასება პირუთვნელი მკითხველისთვის მიგვინდია.

k a r i I

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში

თ ა ვ ი I

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და 1917 წლის საეკლესიო კრება

საქართველოს ისტორიაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ მისიას ასრულებდა და ასრულებს. იგი ქართველთა ფარი იყო მრავალრიცხოვან დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ბუნებრივია, ვისაც სურდა ქართველთა ასიმილაცია, მოსპობა, ბრძოლას ქართული ეკლესიის წინააღმდეგ იწყებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ ჯერ ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს ანექსია მოახდინა, ხოლო შემდეგ ვითომც საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ინტერესებისათვის კათალიკოზ-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვია. 1811 წლის 30 ივლისს რუსეთის წმინდა სინოდის მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის და მართვა-გამგეობის პროექტი მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის გაუქმებას ნიშნავდა. საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური ეგზარქოსი – რუსეთის სინოდის წევრი და მისი ნების აღმსრულებელი გახდა.

106 წელი გაგრძელდა საქართველოს ეკლესიის ტყვეობა. ქართველი ხალხი არ შერიგებია რუსი ეგზარქოსების: თეოფილაქტე რუსანოვის, ევგენი ბაჟანოვის, პავლე ლებედევის, ევსევი ილინსკის და მათი მსგავსი შოვინისტების – მმართველობას, თავის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით იბრძოდა ეკლესიური მონობისაგან განთავისუფლებისათვის. XIX საუკუნის II ნახევრიდან, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართულ სინამდვილეში დიდ ძალად იქცა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი სამღვდელოებაც ამ მოძრაობას შეუერთდა.

XX საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის, ნიკოლოზ დურნოვოს მხარდაჭერით ქართველმა სამღვდელოებამ ეპისკოპოსების კირიონის, ლეონიდის, ანტონის, დეკანოზების კალისტრატე ცინცაძის, ნიკიტა თალაკვაძის, ამბროსი ხელაიას ინიციატივით ჯერ თბილისში გამართა საგანგებო სხდომა ქარ-

თული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე, ხოლო შემდეგ კამათმა პეტერბურგში, რუსეთის წმინდა სინოდში გადაინაცვლა (1906წ.), მაგრამ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ყველა საშუალებებით ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმების გადაწყვეტილება არ შეეცვალა.

რუსეთის წმინდა სინოდის სხდომაზე არაერთხელ გაისმა – თუ ეკლესიას ავტოკეფალიას მივცემთ ეს ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავსო.

რუსეთის ხელისუფლებამ ავტოკეფალიისათვის აქტიური მებრძოლი მღვდელმთავრების კირიონის, ლეონიდის, არქიმანდრიტ ამბროსის დევნა-შევიწროება დაიწყო, მაგრამ დევნამ კიდევ უფრო განამტკიცა ქართველთა სულიერი ძალა. ამის მაგალითია მისი უსამღვდელოესობა კირიონი. კირიონმა გადასახლებაში ყოფნის დროს გაუძლო მრავალ ცილისწამებას შევიწროებას და გააგრძელა მეცნიერული მოღვაწეობა. იოსებ ჩიჯავაძის სახელზე გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი კირიონი ამხნევებდა თანამებრძოლებს და შეახსენებდა ავტოკეფალიის საკითხებზე ბრძოლა არ შეენელებინათ.

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებებით ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ და 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება: 1. ამ დღიდან, ე.ი. 12 მარტიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2. დროებით კათალიკოსის ამორჩევამდე, ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე და 3. საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები¹. დამსწრე საზოგადოებას ეპისკოპოსმა ლეონიდმა წაუკითხა სპეციალურ ეტრატზე დაწერილი დამოუკიდებლობის აქტი: “1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტაძარსა შინა, დღესა კვირიაკესა, შემოკრებით ჩვენ, სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსთ-მთავარნი, სამღვდელონი კრებულნი და ერისაგანთა წარმომადგენელნი და, შემდგომად ლიტურჯიისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა სავედრებელის პარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა. რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელმძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი, საკუთრივ მის მიერ სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლების აღსარებაი (მუხ. 3). ამასთანავე განვბჭეთ, ვითარმედ: ა) ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალუ-

რი არსებობაი, რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალუდვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიერად შეწყვეტილ იქმნა ავტოკეფალური მართვა-გამგეობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა უფლებაშეჩერებულად ყოფნაი; ამისათვის უცილობელად ვსცანით და ერთხმად და ერთსულად განვაჩინეთ:

ა) ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაი, ხოლო, ვიდრე კანონიურად აღირჩეოდეს კათალიკოსი საქართველოს ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მმართველობაი საქართველოს ეკლესიისაი, სასულიეროთა და საეროთა პირთაგან შემდგარი.

ბ) ვინაითდან საქართველო ქვაკუთხედად თვისისა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდარობასა რუსეთისა ახალსა მთავრობასა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როძიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს – ტფილისში.² ამ დროს გადასახლებაში მყოფი კირიონი ვიტებსკიდან მიესალმა ავტოკეფალიის აღდგენას:

“გილოცავთ ავტოკეფალიას, ხუნდები აეხსნა ივერიის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე, მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი იგი ტანჯვის ცრემლს ჰღვრიდა, ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას”³.

აღმასრულებელ კომიტეტს უნდა შეემუშავებინა რუსეთის დროებითი მთავრობის სახელზე გასაგზავნი დოკუმენტების ტექსტი, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, მოემზადებინა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის კრება, რომელიც დაადასტურებდა 12 (25) მარტის გადაწყვეტილებას და აირჩევდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს.

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება შეეცადა ქართველი ხალხის ნების აღმსრულებელი 12 (25) მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას.

1917 წლის 13 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ეპისკოპოს ლეონიდი დროებითი მმართველობის კომიტეტის მდივნის დავით დავიდოვის (დავითაშვილის) თანხლებით გაემართა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, სადაც იმყოფებოდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომ“) და გადასცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდ-

გენის დოკუმენტი. სასახლეში ეპისკოპოს ლეონიდს დახვდა კომიტეტის ერთი წევრი ბ. ხატისოვი, რომელმაც პასუხად მოსაყდრის განცხადებისა თქვა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი დამოკიდებულება არ შეიძლება იქონიოს; რადგან კომიტეტი იცავს მხოლოდ არსებულ წესწყობილებას და მცხეთაში მომხდარს კი ახალი ფორმა შემოაქვს ეკლესიის ცხოვრებაში. ასეთი პასუხის გამო ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტი სასწრაფოდ შეიკრიბა, რათა გამოემუშავებინა თავისი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ხელი-სუფლების ახალი უმაღლესი ორგანოს მიმართ.

საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში შედიოდნენ ეპისკოპოსები: ლეონიდი კომიტეტის თავმჯდომარე და კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, ანტონი, პიროსი, პროტოპრესვიტერი კორნელი კეკელიძე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მღვდლები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, გაბრიელ ყუბანეიშვილი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე. საერო პირნი: ვასილ ბარნოვი, ანტონ ნატროშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგო გორგაძე, პავლე ინგოროყვა, გენერალი გიორგი ყაზბეგი, მწერალი შიო დედაბრიშვილი, პართენ გოთუა, მიხეილ მაჩაბელი, სარგის კაკაბაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი;⁴ კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ გამოთქვა პროტესტი „ოზაკომის ველიკოდერჟავული“ სულისკვეთების გამო.

1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები: ლეონიდი, ანტონი, პიროსი მივიდნენ პლატონ როჟდენსტვენსკისთან და გამოუცხადეს, რომ მცხეთაში მომხდარი აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან.

პლატონ როჟდენსტვენსკიმ ყურადღებით მოისმინა ქართველი იერარქების წინადადება და უპასუხა – მე ყველაფერს ამას შევატყობინებ პეტერბურგში წმინდა სინოდს დეკემბით, რასაც 3-4 დღე დასჭირდება და შემდეგ განკარგულების თანახმად მოვიქცევით. ამავე დროს გთხოვთ, ძალას ნუ დამატანთ, ეს თქვენი საქმისათვის კარგი არ იქნება, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეც უმწეო არა ვარ. რუსის ჯარისკაცებიც და მთავრობაც მომხრედ მყავსო.

თბილისში ფრიად დამაბული მდგომარეობა შეიქმნა.

23 მარტს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის საგანგებო კომისიამ ინახულა „ოზაკომ“-ის კომისიის წევრი, რომელსაც წარუდგინა დეკლარაცია. ამ დეკლარაციით:

„1. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას უნდა ემორჩილებოდეს მართლმადიდებელი მოსახლეობა ძველი საკათალიკოზოს

საზღვრებში: ქუთაისისა და თბილისის გუბერნია, ზაქათალა-ბათომის ოლქი, ბამბაკი, აბოცი, თორთუმი, კისკიმი, გიშის წყლამდე, კახეთის მონაპირე მტკვრის მარჯვენა ნაწილი განჯის გუბერნიისა და სოჭის ოლქის ნაწილი.

2. საქართველოს ეკლესიის თავს ეწოდება მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, რომელიც ამოირჩევა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორ დაფარულ ხმათა ხმის მიცემით (5 წლის ვადით).

3. რომ კრედიტები ყოფილ დაწესებულებათა შესანახად გადადებული, რომელნიც იმყოფებიან საკათალიკოზოს საზღვრებში კვლავ უნდა განგრძობილ იქნას, ხოლო ამიერიდან საქართველოს ეკლესიის თავს უფლება ჰქონდეს ხარჯთაღრიცხვის შედგენისა ამ კრედიტის ფარგლებში.⁴⁵

„ოზაკომ“-ის წარმომადგენელი დაეთანხმა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის წინადადებებს. მან აღნიშნა, რომ პეტერბურგში დააყენებდა საკითხს მთავარეპისკოპოს პლატონის, სინოდალური კანტორის პროკურორის პოპოვისა და დეკანოზ ორეხოვის გაწვევის შესახებ. თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ პეტერბურგში ასე არ ფიქრობდნენ. ჯერ იყო და მთავარეპისკოპოსი პლატონი ამიერკავკასიისა და თბილისის მიტროპოლიტად გამოაცხადეს, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა არაქართველი მართლმადიდებელი მრევლი, ამავე დროს მითითება მიეცა ამიერკავკასიის დროებით მმართველობას მხარი დაეჭირა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიისათვის და გამოაქვეყნა დეკლარაცია.

ეგზარქოსყოფილმა პლატონმა დეპეშით აცნობა მომხდარის შესახებ პეტერბურგის საერო და სასულიერო ხელისუფლებას. ამის გარდა მან სცადა შფოთისა და განხეთქილების ჩამოგდება ქართველ სამღვდელთაში. იგი არ თმობდა სასახლეს, ატარებდა სხდომებს, მაგრამ ქართველი სამღვდელთაგან თითქმის არავინ ესწრებოდა, როცა საქართველოს ეკლესიის დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიტყო ყოფილი ეგზარქოსის თათბირებში იმერეთის ეპისკოპოსის გიორგი ალადაშვილის მონაწილეობა, მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოს გიორგის იმერეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

1917 წლის 27 მარტის სხდომაზე საქართველოს საეგზარქოსოს რუსულმა სამღვდელთაგან მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საეგზარქოსოს დაარსების შესახებ და რუსეთის წმინდა სინოდს მოსთხოვა ახლადშექმნილ საეგზარქოსოს უშუალოდ წმინდა სინოდის იურისდიქციაში გადაყვანა. მათი აზრით, ამიერკავკასიის საეგზარქოსოს უნდა დაქვემდებარებოდა არაქართველი ქრისტიანები. ამ გადაწყვეტილებიდან ჩანდა პეტერბურგის მართველობას თუ ქართველებს ავტოკეფა-

ლიის აღდგენაში ხელს ვერ შეუშლიდა ეროვნულ ავტოკეფალიას დათანხმებოდა საქართველოში, რაც საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა და მომავალი შფოთისა და ურთიერთშეჯახების საფუძველი გახდებოდა.

29 მარტს სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი კომიტეტი, რომელმაც ოფიციალურად პროტესტი გამოუცხადეს მთავრობის გადაწყვეტილებას. შედეგმაც არ დააყოვნა. 4 აპრილს სასახლეში დაიბარეს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, ეპისკოპოსი ლეონიდი, ეპისკოპოსი ანტონი, სადაც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის "ოზაკომის" თავმჯდომარემ ხარლამოვმა გამოუცხადა, რომ ჯარში დიდი აღელვება და უკმაყოფილება სუფევს რუს-ქართველთა შორის საეკლესიო საკითხებით გამოწვეული უთანხმოების გამო, დადის ხმები იმის შესახებ, რომ თქვენ რუსებს ავიწროებთ. ეპისკოპოსმა ლეონიდმა და ეპისკოპოსმა ანტონმა უარყვეს ეს ბრალდება.

რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად გამოეგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენიშევიჩი, რომელიც თბილისში წამოსვლამდე შეხვედრები და კონსულტაციები გაუმართავს ზურაბ ავალიშვილთან და ივანე ჯავახიშვილთან. ეს უკანასკნელი თბილისში გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს მოუწოდებდა ეთანამშრომლათ ვლ. ბენიშევიჩთან. 9 აპრილს თბილისში ჩამოვიდა ვლადიმერ ბენიშევიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერს ობიექტურად შეისწავლიდა და ისე მიაწოდებდა ინფორმაციას მთავრობას. საქართველოს ეკლესიის დროებითი კომიტეტის დავალებით პროფ. ვლ. ბენიშევიჩთან მუშაობდნენ დეკანოზები კორნელი კეკელიძე და ნიკიტა თალაკვაძე. სულ მალე ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ ბენიშევიჩი რუსული იმპერიული ინტერესების დამცველი იყო და ეგზარქოსყოფილის პლატონის კონსულტაციებით სარგებლობდა. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტოკეფალიას, რის გამოც ქართველი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.⁷

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის დავალებით პეტერბურგში დროებით მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრნენ ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე). დელეგაცია 9 ივნისს გაემგზავრა თბილისიდან და 16 ივნისს უკვე პეტერბურგში ჩავიდა. საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული მასალები დაწვრილებით მოგვითხრობს პეტერბურგში დელეგაციის საქმიანობის შესახებ. ქართველ სამღვდელოებს დიდი იმედი ჰქონდა პეტერბურგის ქართველობისა და

პირველყოვლისა მათ ისინი ინახულეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მ. ჩიჯავაძე, ზ. ავალიშვილი, ნ. გელოვანი, ა. ჩერქეზიშვილი, ირ. წერეთელი.

მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის ქართველობა რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, ისინი ერთსულოვანნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში და განაცხადეს, ყველაფერს იღონებდნენ, რათა რუსეთის დროებით მთავრობას დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.

17 ივნისს დელეგაცია ზურაბ ავალიშვილისა და ნ. გელოვანის თანხლებით წარსდგა სინოდის ობერპროკურორის ლვოვის წინაშე, რომელსაც სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე). მან აუხსნა ობერპროკურორს შექმნილი ვითარების შესახებ. თავდაპირველად ლვოვმა უპასუხა: „ჩვენ თანახმანი ვიქნებით თქვენი საკითხის განხილვისა და დადებითად გადაწყვეტაზე, ოღონდ განმარტეთ, რა უფლებრივი მდგომარეობა ექნება ეკლესიას სახელმწიფოში, ან ვინ უნდა აწარმოოს დაბადების, ქორწინების და განქორწინების მოწმობები“⁸. ქართული დელეგაციის აზრით, საქართველოს ეკლესიის დებულების დამტკიცებამდე ამ ფუნქციას შეასრულებდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, შემდეგ კი სრულიად საქართველოს კათალიკოზი და საკათალიკოზო საბჭო. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, თვით ობერპროკურორიც არ იყო აღფრთოვანებული საეკლესიო სკოლების განათლების სამინისტროსათვის გადაცემით და არაოფიციალურად ქართული დელეგაციის წევრებსაც აგრძნობინა, რომ ადგილებზე წინააღმდეგობა გაუწიეთ ამ გადაწყვეტილებას და იქნებ საეკლესიო სკოლები კვლავ დაინარჩუნოთ.

ზურაბ ავალიშვილს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა სინოდის ობერპროკურორი. ამიტომ მან დააყენა საკითხი რუსეთის დროებით მთავრობას ეცნო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. სინოდის ობერპროკურორის აზრით, საქართველოს ეკლესიის „ტერიტორიული ავტოკეფალია ხელსაყრელი არ იქნება, ვინაიდან ვერ შევთანხმდებით. რუსები უარს ამბობენ დაემორჩილონ თქვენს კათალიკოზს, ბერძნები ავტონომიურ ეპისკოპოსს ითხოვენ, აფხაზები უეპისკოპოსო ავტოკეფალიას, რომლებიც ზოგი თქვენსკენ იწვევს, ზოგიც რუსებისკენ. სულ სხვა საქმეა კულტურულ-ნაციონალური ავტოკეფალია“⁹.

19 ივნისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია შეხვდა რუსეთის სარწმუნოების მინისტრს კარტაშევს, რომელმაც გულახდილად განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება გაჭიანურდება, ვინაიდან რუსეთში უმრავლესობას ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს ეკლესიის და-

მოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით, ქართველების საწინააღმდეგოდ იმოქმედებდნენ, როგორც ესერები, მენშევიკები, ასევე ბოლშევიკებიც.

ქართულმა დელეგაციამ სცადა პეტერბურგში სინოდის წევრებთანაც მოესინჯა ნიადაგი. ამ მიზნით 20 ივნისს მათ ინახულეს ეპისკოპოსი ანდრია უფელი, რომელმაც, მართალია ქართველებს განუცხადა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ ამავე დროს უსაყვედურა მოსკოვში რუსეთის ეკლესიის ყრილობაზე ჩაუსვლელიობა, რაზედაც ეპისკოპოსმა ანტონმა უპასუხა: „არ ვიყავით იმიტომ, რომ თქვენმა საქციელმა გვაფიქრებინა, თუ თბილისში მისაღმების ღირსადაც არ ჩავთვალეს, მოსკოვში კრების დარბაზშიც არ შეგვიშვებნთქო. როცა ღროებითი მთავრობა დებულებას დაგვიმტკიცებს, მაშინ ვაცნობებთ სინოდს თავისუფალ ქართულ ეკლესიას სურს ძმური და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს რუსეთის სინოდთანთქო¹⁰. რუსეთის ეკლესიის სინოდის ზოგიერთი წევრი თავს ისე იჭერდა, თითქოს ქართველების მომხრე იყო. მან სთხოვა ქართული დელეგაციის წევრებს, ოფიციალური თხოვნით მიემართათ სინოდისათვის. ეპისკოპოს ანტონის აზრით, სინოდისათვის მიმართვას შედეგი არ ექნება, ისინი არასოდეს არ სცნობენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას. ეპისკოპოსმა ანდრია უფელმა ქართულ დელეგაციას დაუხატა მომავალი უიმედო მდგომარეობის სურათი, „რა გეშველება თქვენს ეკლესიას ჩავკრა მოელის ურწმუნოებისგან, ახლა საეკლესიო სკოლები წაგართვეს, არსებობის საშუალებას არც ხაზინა მოგცემთ, თქვენ კიდევ არაფერი გაქვთ, რომ თავი შეინახოთ“¹¹. ქართულმა დელეგაციამ ღირსეული პასუხი გასცა ეპისკოპოს ანდრიაუფელს. მას შეახსენეს ქართული ეკლესიის ქონება რუსმა ეგზარქოსებმა გაძარცვეს, მაგრამ ჩვენ გაჭირვებას არ გვეშინიაო.

სინოდის წევრებს აინტერესებდათ, რა ღონისძიებებს მიმართა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ღროებითმა კომიტეტმა აღმოსავლეთის პატრიარქებისაგან საქართველოს ეკლესიის ცნობისათვის და რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ყოვლად სამღვდლო კირიონის ჟენევაში გამგზავრების ამბავი, რატომ სინოდისაგან არ ითხოვთ დებულების დამტკიცებასო.

ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პეტერბურგში პროფ. ვლ. ბენეშევიჩის აზრებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სინოდის წევრების უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ქართველები აგრესიულები არიან, რომ ისინი რუსებს დევნიან, რომ მათი მსხვერპლი გახდა არაერთი რუსი პატრიოტი. ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრიდა სინოდის სხდომაზე პროფ. ვლ. ბენეშევიჩის მოხსენება, რომელმაც თბილისში თავისი მივლინების შედეგები ტენდენციურად წარმოაჩინა. მისი

აზრი განაგრძო პროფესორმა ვერხოვსკიმ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რევოლუციურ აქტად მონათლა. უფრო მეტიც, მან ქართველებს „სქიზმაში“ (განხეთქილებაში) დასდო ბრალი. სინოდი გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ხელს ვერ შეუშლიდა, ამიტომ იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ეს ეროვნულ ავტოკეფალიას არ უნდა გასცილებოდა. ქართველი პატრიარქი სვეტიცხოველში უნდა ყოფილიყო, ხოლო თბილისში რუსი მიტროპოლიტი. ამასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) ირაკლი წერეთელს მიმართა „რა გამოდის, ქართველებმა ხელი უნდა აიღონ დედაქალაქზე და დედა ეკლესიაზე სიონზე, ამას ჩვენ ვერ დავთმობთ და უეჭველად ატყდება სისხლისღვრა, რაც თქვენთვისაც სამწუხარო იქნება“¹². საქართველოს ეკლესიის პოზიცია აქტიურად დაიცვა კარლო ჩხეიძემ, რომელსაც პეტროგრადში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ჩვენი პატრიარქი არ შეიძლება თბილისში არ დაბრძანდეს, ჩვენს სიონში უცხოს რა ხელი აქვს. ჩვენი ეკლესიისათვის სულერთი არ არის თბილელი ერქმევა რუსის მღვდელმთავარს, თუ სხვა სახელი“¹³ აღნიშნავდა იგი. საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიიღო დროებითი მთავრობის მეთაურმა კერენსკიმ, სულ მალე დროებითმა მთავრობამ დაამტკიცდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება. მან დაადგინა: „1). შეიმუშაოს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთის სახელმწიფოში; 2). მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელსაც შეადგენს მთავრობა, შემუშავება იმ საკითხებისა, თუ რა უნდა გამოეყოს საქართველოს საეგზარქოსოს საკათალიკოზოსათვის გადასაცემად. ამასთანავე, ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს ზომა და საფუძვლები, რის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მიეცეს კრედიტი ხაზინიდან და ეს კომისიის დადგენილება უნდა წარედგინოს დროებით მთავრობას განსახილველად; 3) საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერპროკურორს ქართული ეკლესიის მიმართ რჩება იგივე უფლებები, რა უფლებებიც ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართ“¹⁴.

2 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა.

1917 წლის 13 აგვისტოს ქართველმა სამღვდელოებამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის ეპარქიის აღდგენის შესახებ. თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის დარბაზში მოხდა საჯარო არჩევნები თბილელი მიტროპოლიტისა. კრებამ ერთხმად დაადგინა ეპისკოპოს ლეონიდის თბილელ მიტროპოლიტად არჩევა. 15 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში საეკლესიო წესით მოხდა თბილელ მი-

ტროპოლიტის გამოცხადება. უამრავი ხალხის თანდასწრებით მთავარდიაკონმა დავით სალარიძემ შემდეგი აქტი გამოაცხადა: “განბჭობითა და გამოჭვილვითა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და სამღვდელთა და საეროთა დასთა თბილისისა და სხვათა საქართველოს ქალაქთაითა თავდადებულ იქმნა უძველესი საყდარი თბილელ მიტროპოლიტთაი, რომელი ერთი საუკუნე განიცდიდა ქვრივნობასა, ხოლო საყდარსა ამისა ზედა შთაგონებითა სულისაწმიდისა და შემოკრებილთა ერთსულოვან თანხმობითა აღრჩევითა აღიყვანების სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი, ვილოცოთ მისთვის და ვთქვათ აქსიოს”.¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმხანად არსებულ მრავალრიცხოვან პარტიებს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა, ბოლშევიკების გარდა ყველა მიესალმებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას. მაგრამ ამ მხრივ ეროვნულ-დემოკრატიები და სოციალ-ფედერალისტები გამორჩეულნი იყვნენ.

1917 წლის 23 აგვისტოს ეგზარქოსყოფილმა პლატონმა თბილისი დატოვა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი დავით ვაჩნაძე გადმოგვცემს მას შეუკრებია სამოცამდე შეიარაღებული კაცი და დაუკავებია ყოფილი ეგზარქოსის სასახლე. სიონის ეზოში პატარა ოთახში შეკედლებული ქართული ეკლესიის აღმასრულებელი კომიტეტი კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის ლეონიდის ხელმძღვანელობით გადავიდა სასახლეში. „ლეონიდმა ახედა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარქოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა. მე ვაცნობე ჩემი განკარგულება ეგზარქოსების სურათების ჩამოხსნის შესახებ. ლეონიდმა პირველი გადაიწერა და წარმოთქვა: აღსრულდა ... უფალო შეგვიწყალებ და დავვიფარე“¹⁶.

ყოფილმა ეგზარქოსმა რუსეთის წმინდა სინოდის სხდომაზე განაცხადა საქართველო თითქოსდა განუდგა მართლმადიდებლობას, რომ ქართველ სამღვდელოებს არ ჰქონდა უფლება დაეკავებინა ეგზარქოსის რეზიდენცია თბილისში. რუსეთის დროებითი მთავრობის სარწმუნოების მინისტრის მოადგილემ კოტლიარსკიმ დეპეშით მიმართა ქართველ სამღვდელოებს. იგი ერთის მხრივ ულოცავდა ქართველებს ავტოკეფალიის აღდგენას და ამავე დროს აფრთხილებდა თურა განუჭვრეტელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ძალადობას რუსი სამღვდელოების მიმართ“¹⁷.

ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დააჩქარა საეკლესიო კრების მოწვევისა და კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოები.

1917 წლის 3 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის მოწვევის შესახებ.

14 აგვისტოს გაიმართა თათბირი, რომელზედაც მოისმინეს ეპისკოპოს ანტონ გიორგაძისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ინფორმაციები პეტროგრადში ქართული ეკლესიის დელეგაციის საქმიანობაზე. მათ აღნიშნეს, თუ დიდი დახმარება გაუწიეს ირაკლი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ და პროფ. ზურაბ ავალიშვილმა,¹⁸ ამავე თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება საეკლესიო კრების 8 სექტემბერს გახსნის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ეპისკოპოსი კირიონი თითქო ჩრდილში მოექცა. ქართველ მორწმუნეთა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ქრისტეფორე კაპანაძე რუსეთში ინახულა კირიონი და მოუწოდა სამშობლოში დაბრუნება. „კირიონმა ყურადღებისათვის დიდი მადლობა გადაიხადა, მაგრამ მან მტკიცე უარი შემოთვალა კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობაზე. ლეონიდი და მისი მომხრენი მოსვენებას არ მომცემენ“¹⁹. ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით იგი დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საეკლესიო კრების მოსამზადებელ საქმიანობაში. 13 აგვისტოს იგი დაესწრო სხდომას, სადაც ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ეკლესია და თანამედროვე მომენტი“. 16 აგვისტოს საღამოს ყოვლადსამღვდელო კირიონის თავმჯდომარეობით კრების მიერ მოსმენილ იქნა ღროებითი მმართველობის კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციის შესახებ. ამავე დღეს მიიღეს გადაწყვეტილება დაარსდეს იურიდიული კომისია სამართლის პროექტის შესამუშავებლად“.²⁰

1917 წლის 8 სექტემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში გაიხსნა საქართველოს ეკლესიის კრება, რომელსაც 430-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. კრება გახსნა თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდმა. დასაწყისშივე აზრთა სხვაობა გამოიწვია კრების თავმჯდომარის კანდიდატურის საკითხმა. არჩეულ იქნა სამანდატო კომისია, კრების პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები. პრეზიდიუმიდან კრებას თავმჯდომარეობდნენ სპირიდონ კელია, ტრიფონ ჯაფარიძე, გიორგი ყურული. კრებას დეპუტატთა მიესალმნენ ბერძნები, რუსები, ბაქოს მაჰმადიანები.

9 სექტემბერს საღამოს სხდომაზე წაკითხულ იქნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მილოცვა საქართველოს საეკლესიო კრებისადმი. მისალოცი დეპუტატი მოვიდა კრების სახელზე სინოდის ობერპროკურორის კარტაშევისაგან, რომელიც, მართალია, აღიარებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტს, მა-

გრამ ამავე დროს მუქარით აცხადებდა სასულიერო სასწავლებლების გამოყოფის საკითხი პეტერბურგში საგანგებო კომისიაზე უნდა გადაწყდესო.²¹

10 სექტემბერს კომისიის სხდომაზე იხილებოდა პეტერბურგში კარტაშევისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, აქვე დაამტკიცეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის შემუშავებული კომისიის შემადგენლობა, აგრეთვე საერო და სასულიერო განათლების კომისია.²² კამათი შეეხო ქართულ ეკლესიაში სამღვდელმთავრო ხარისხებს. პოლიევქტოს კარბელაშვილის აზრით, ქართული ეკლესიისათვის უცხო იყო მიტროპოლიტის წოდება. იგი ბერძნულისა და რუსულის მიბაძვას წარმოადგენსო. კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ გავიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის წინადადება.

საეკლესიო კრებაზე მსჯელობა იქონიეს სოხუმის ეპარქიის პრობლემების გამო. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა სოხუმის ეპარქია ჩამოეშორებინა საქართველოსათვის. ამ საკითხზე საეკლესიო კრების პოზიციას ამაგრებდა ერთი წლის წინ 1916წ. აფხაზთა შუამდგომლობის ტექსტი, რომლითაც მათ მიმართეს რუსეთის სინოდს: „ამჟამად დადის ხმა, რომ სინოდში პროექტია სოხუმის ეპარქიის გამოყოფისა საქართველოდან, რაც სამუდამოდ დააბრკოლებს საეკლესიო ინტერესებს აფხაზეთში. ქრისტიანობის აღდგენისათვის, რომელიც გაქრობის გზას ადგია და რომელიც მოხდა ზოგიერთ ეკლესიასთან სრულიად დაუკავშირებელ მიზეზთა გამო, საჭიროა ხალხისა და მოძღვართა დაახლოება, შექმნა ისეთი პირობებისა, რაც ხელს შეუწყობს ხალხისა და სასულიერო მმართველობის დაახლოებას. სარწმუნოებრივ საკითხში პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი... სარწმუნოებრივ ინტერესთა დაცვის გამო გთხოვთ არ გამოგვთიშოთ და არ გამოგვყოთ ძველადვე არსებული წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნეების განმავლობაში საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიული და კულტურული ცხოვრების მიერ“.²³ საეკლესიო კრებამ გაითვალისწინა აფხაზეთის დელეგატების თვალსაზრისი – კერძოდ, შექმნილიყო აფხაზეთში ეპარქია, რომლის მღვდელმთავარს ეწოდებოდა ბედიელ-ცხუმელი. ეპარქიის მღვდელმთავარს ქართულთან ერთად უნდა სცოდნოდა აფხაზური და მეგრული.

11-16 სექტემბერს საეკლესიო კრებაზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტი. მიიღეს გადაწყვეტილება 13 ეპარქიის გახსნის შესახებ. დებულების თანახმად საქართველოს ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად. ეპარქიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო იყო საეპარქიო კრება.

დებულების თანახმად იქმნებოდა საეკლესიო სასამართლო, რომელიც იყოფოდა

საოლქო, საეპარქიო და საკათალიკოზო სასამართლოებად. კრებაზე კამათი გაიმართა იმის შესახებ, აუცილებელი იყო თუ არა საკათალიკოზო საბჭოს წევრისათვის უმაღლესი განათლება. ამ საკითხზე შექმნილმა კომისიამ სასწავლო ცენტრის აუცილებლობას დაუჭირა მხარი. მაგრამ დელეგატთა უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს თვალსაზრისი. საეკლესიო კრებაზე ცხარე კამათი წარმოიშვა დეკანოზ კორნელი კეკელიძის გამოსვლის გამო, რომელიც აღნიშნავდა, რომ კათალიკოზ-პატრიარქისა და ეპისკოპოსისათვის ბერობა აუცილებელი პირობა არ ყოფილიყო. კრების მონაწილეთა უმრავლესობამ არ გაიზიარა კ. კეკელიძის ეს მოსაზრება. კრებამ შესაძლებლად მიიჩნია მიეცათ უფლება სასულიერო პირთათვის წევრისა და თმის შეკრეჭისა.²⁴ საეკლესიო კრებამ დიდი ყურადღების მოისმინა სასკოლო კომისიის მოხსენება და დაადგინა საქართველოში არსებულ ქალთა და ვაჟთა სასულიერო სასწავლებლების გიმნაზიებად გადაკეთება, სადაც სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა სასულიერო საგნებს. საქართველოს ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას.

17 სექტემბერს კრებამ თავისი მუშაობა დააგვირგვინა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებით. კრებაზე გამოიკვეთა ორი კანდიდატურა მიტროპოლიტ ლეონიდისა და ეპისკოპოს კირიონის სახით. შეიქმნა ხმის დამთვლელი კომისია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თავმჯდომარეობით. ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა მხარს უჭერდა ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურას. სპეციალური დეპუტაცია პართენ გოთუას, სოფრომ მგალობლიშვილისა და იპოლიტე ვართაგავას შემადგენლობით ეწვია მიტროპოლიტ ლეონიდის და ურჩია მოეხსნა თავისი კანდიდატურა ეპისკოპოს კირიონის სასარგებლოდ. მიტროპოლიტმა ლეონიდემ უარი განაცხადა – მარწმუნებენ, რომ მე გავიმარჯვებო.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობდა 430 დელეგატი. 11 ხმით მეტი მიიღო და სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, სახელწოდებით კირიონ II.²⁵ კირიონი და ლეონიდე არჩევნებს არ დასწრებიან, არჩევნების შემდეგ ახლად არჩეული კათალიკოზ-პატრიარქი შემოიყვანეს სიონის საპატრიარქო ტაძარში, უგალობეს „აქსიოს“. მიტროპოლიტმა ლეონიდმა, არჩევნების შედეგებით აღელვებულმა, თავი შეიმაგრა და მიულოცა უწმიდეს კირიონს „მე მიორკეცდება ძალღონე, რომ მართო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ მთელი ჩემი არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში“.²⁶ აღნიშნა მან.

საეკლესიო კრებაზე აირჩიეს ქუთათელ მიტროპოლიტად ანტონ გიორგაძე, ჭყონდიდელად ამბროსი ხელაია, ურბნელ ეპისკოპოსად დავით კაჭახიძე, ალავერ-

დელ ეპისკოპოსად პიროს ოქროპირიძე.²⁷ კრებამ უცვლელად დატოვა ეკლესიის დროებითი მმართველობის გადაწყვეტილება იმერეთის ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის შესახებ. თბილელ მიტროპოლიტად დარჩა ლეონიდი. “კრებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც არ გააუქმა თბილელი მიტროპოლიტის სახელო და თბილელის ეპარქია არ შეუთავსა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს. ამის გამო დაირღვა საეკლესიო კანონები და ნიკეის კრების მე-8, ხოლო ანტიოქიის მე-18 მუხლი, რომელთა მიხედვით ერთ ქალაქში ორი ეპისკოპოსის მოღვაწეობა ყოველად დაუშვებელია.”²⁸ საეკლესიო კრებამ შეიმუშავა „ძველისწერაი წმინდისა და ღვთითგანბრძობილისა კრებისაი“, რომელშიც ნათქვამი იყო „ჩვენ მღვდელმთავარნი, მღვდელნი და დიაკონნი ქართველთა სანათესავოისანი და ჩვენივე წარმომავლინებელნიცა, სურვილისამებრ და აღრჩევისა ქართველისა ერისა, ვაცხადებთ თავსა ჩუენს, მწყემსად და მწედ წმინდისა ივერიის ეკლესიისა. აღვთქვამთ და ფიცს ვსდებთ მსახურებად მისდა ყოველთა სულითა, ყოველთა აღმოფშვინვამდე ჩუენდა, ამინ“.²⁹

საეკლესიო კრების შემდეგ მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიის მართველობის მოწესრიგებისათვის. იყო აზრი კათალიკოზთან დიდი საბჭოს და უხუცესთა კრებულის შექმნის საკითხებზე. კათალიკოზის ხუთი წლის ვადით არჩევის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით “უხუცესთა კრებული არის კოლექტიური პასუხისმგებელი და აღმასრულებელი დაწესებულება დიდი საბჭოსი, რომელიც ახორციელებს საეკლესიო ცხოვრების ადმინისტრაციულსა და სამეურნეო-საფინანსო დარგებს. იგი არ ერევა ეკლესიის სარწმუნოებრივი ცხოვრების აყვავების საქმეში რომელიც სავსებით მიკუთვნებული აქვს კათალიკოზს”.³⁰

საქართველოს ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო რეგულარულად იკრიბებოდა და ერთი სხდომის დღის წესრიგი: 1917 წლის 21 წექტემბერი 1. ყოფილი სასინოდო კანტორის ჩაბარების საკითხი; 2. ეგზარქოსის ყოფილი კანცელარიის ჩაბარების საკითხი; 3. კათალიკოზის სასახლეში მცხოვრები რუსი ბერების გასახლების საკითხი; 4. საკათალიკოზო ჟურნალ “სვეტიცხოველის” გამოცემის საკითხი.³¹

საეკლესიო კრების შემდეგ სულ მალე 1 (14) ოქტომბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში მოხდა კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II აღსაყდრება.

სპეციალური მოსაწვევი იტყობინებოდა: “მოწყალეო ხელმწიფევე! სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ 17 სექტემბერს ჩვენი ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქად აღირჩია მისი უწმინდესობა კირიონ II. პირველ ოქტომბერს მცხეთას სვეტიცხოველის ტაძარში მოხდება კურთხევა და საყდრად აყვანება მისი უწმინდე-

სობისა. იმედია ყველა, ვისთვისაც ცხოვნების განახლებისა და თავისუფლების პრინციპს მნიშვნელობა აქვს, სინარულით შეხვდება ამ დღესა, რითაც საქართველოში იწყება ახალი ხანა საეკლესიო ცხოვრებისა”.³²

წირვის დამთავრების შემდეგ, როცა კათალიკოზი კირიონი თანმხლებ პირებთან ერთად ტაძრიდან უნდა გამოსულიყო მართვეს წერილი. წერილის ავტორი იტყობინებოდა, როგორც კი პატრიარქი ეზოში გამოვიდოდა, მას ხალხიდან დაქირავებული მკვლელი ესროდა. კირიონ II, მიუხედავად ასეთი ინფორმაციისა, ნელი ნაბიჯით გასასვლელისკენ გაემშურა. ამ დროს მასთან გაჩნდა ათამდე შეიარაღებული პირი ყარამან კიკნაველიძის ხელმძღვანელობით, ლოცვა-კურთხევა აიღო პატრიარქისგან და შესძახა – მომეცი თხელი თქვენო უწმინდესობავ! აბა ვინმემ გაბედოს თქვენზე იარაღის აღმართვა... კირიონ II დაცვის თანხლებით ტაძრიდან გამოვიდა. ფაქტი ფრიად დამაფიქრებელი იყო. მზადდებოდა ახალი დიდი შეთქმულება, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება ამ ფაქტს უბრალო ინციდენტად აღიქვამდა, მაგრამ შემდგომი მოვლენების მსვლელობამ ყველაფერი ნათელი გახადა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და კათალიკოზ-პატრიარქის არჩევის შემდეგ, თბილისში უწმიდესი და უნეტარესი კირიონ მეორის სახელზე მოვიდა მრავალრიცხოვანი დეპეშები, მათი ავტორები იყვნენ, როგორც უბრალო ადამიანები, ასევე გამოჩენილი მეცნიერები, განსხვავებული კონფესიების წარმომადგენლები.

ავტოკეფალიის აღდგენით გამოწვეული, ქართველი ხალხის სინარული, კარგად ჩანს კონსტანტინე სიმონიშვილის წერილში:

„უწმიდეს კირიონს!

დღეს, როდესაც ყველა ქართველი ვისაც კი უღუღს ქართული სისხლი და ხარობს, მეც მათ შორის ერთი, ნებას ვითხოვ სულით და გულით მოგილოცოთ ეკლესიის აღდგენა და მერე თქვენი უწმიდესობის არჩევა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად. აგრეთვე გადმოგცეთ მოლოცვა მთელი დაობლებული ბორჩალოს მაზრის ქართველი ერისაგან. ბორჩალოს ქართველები არ კარგავენ იმედს. ახლა მაინც ამოვა მზე იმათი და იქაურ მრავალ გაპარტახებულ ეკლესიისა, რომელნიც უპატრონობის გამო სხვა ერებისგან დაჩემებულ იქნა და ზოგიც ძალით წართმეული“.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო ერის პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლების მძლავრი ბიძგის მიმცემი, მას გულგრილი არავინ დაუტოვებია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
დამოუკიდებელ საქართველოში /1918-1921 წლებში./

1917 წლის 12 (25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტს, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოჰყვა, დიდი სიხარულით შეხვდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ამ დროს პეტერბურგში მოღვაწე ქართველები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს იცავდნენ რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე. ამ მხრივ გამორჩეულია იყო პროფესორ ზურაბ ავალიშვილის, კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთელის დამსახურება.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის დავალებით, 1917 წლის 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე იმყოფებოდა პეტერბურგში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია.¹ ირაკლი წერეთელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიის დელეგაციის მოთხოვნებს. მან დელეგაციის წევრებს უთხრა – მიუხედავად იმისა, რომ ცუდ დროს მოგიხდათ აქ ჩამოსვლა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ეს საკითხი მალე გაირჩეს. თუ არა, შეიძლება ყველაფერი დაგვკარგოთ.²

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის სახელით ეპისკოპოსმა ანტონ გიორგაძემ წერილით მიმართა ირაკლი წერეთელს „ჩვენი ეკლესიის საქმეში სინოდი ჩარეულა, დაუდგენიათ კათალიკოზი დააბინაონ მცხეთაში, ხოლო რუსის მიტროპოლიტი თბილისში. ე.ი. ქართველებმა უნდა აიღონ ხელი დედაქალაქზედ, დედა ეკლესიაზედ, სიონზედ. ამას ჩვენ ვერ დავთმობთ და უეჭველად ატყდება სისხლისღვრა, რაც თქვენთვისაც სამწუხარო იქნება“.³

ვიმეორებთ, ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ყველაფერი გააკეთეს რუსეთის დროებით მთავრობას რომ ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი უკვე თბილისში ჩამოვიდნენ იმედი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა უკეთ ჩასწვდებოდა საქართველოს ეკლესიის წინაშე არსებულ პრობლემებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი სიხარული გამოიწვია ქართველ სამღვდელოებაში. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა კირიონ II წერილით მიმართა სა-

ქართველოს ეროვნულ საბჭოს: „თქვენ რჩეულნი ივერიისანი, უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნება და ღრვის ვარამის განმსჭვრეტელობა წინდი არის იმისა, ვითარმედ „აღსდგებიან მკუდარნი“. საქართველო განცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატთანეთა შინა კაცობრიობისას საქმეთა თვისთა საგმიროთა“.⁴

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მუშაობაში, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო, მონაწილეობდნენ თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი და არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა). ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო 1918 წლის 28 მაისს შეიკრიბა. სხდომას თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. სხდომაზე მოისმინეს მოხსენება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და დაადგინეს: „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების აღსანიშნავად კვირას 2 ივნისს წირვის შემდეგ სიონის ტაძრიდან და ქაშვეთის ეკლესიიდან მისი უწმინდესობის კათალიკოზ-პატრიარქის და თბილელი მიტროპოლიტის ზემდგომლობით სამღვდლოება გაემართება ლიტანიით თავისუფლების მოედანზე, სადაც გადახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი“.⁵

2 ივნისი, კვირა დღეს, განსაკუთრებით საზეიმო დღე იყო თავისუფლების მოედანზე. თბილისის მოსახლეობა, ვისთვისაც ძვირფასი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, აქ მოსულიყო. ქართველი სასულიერო იერარქთათვის ეს იყო ორმაგად სასიხარულო დღე ასწლოვანი დამამცირებელი მონობისაგან განთავისუფლდა საქართველოს ეკლესიაც და სახელმწიფოც. „აღარ ვართ მონა, არამედ აზნაურ“, ასე დაიწყო თავისი სიტყვა უწმიდესმა კირიონ II, რომელმაც მიულოცა ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენა და მოუწოდა ერთიანობისა და სამშობლოს უანგარო სამსახურისაკენ.

საქართველოს ეკლესია მომდევნო წლებშიც ასევე განსაკუთრებული ზემოთ აღნიშნავდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. 1919 წლის 19 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოსადმი მიმართვაში უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი აღნიშნავდა – მიმდინარე თვის 26 რიცხვი წარმოადგენს ბრწყინვალე ეროვნულ დღესასწაულს და ეკლესიაც მოვალეა მონაწილეობა მიიღოს მის ზეიმობაში“ – საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა წერილით მიმართა ალავერდის ეპისკოპოს პიროსს, ჭყონდიდელ და ცხუმელ-ბედიელს ამბროსის, ურბნელ დავითს, ქუთათელ-გაენათელ ნაზარს, რათა

გაეცათ სათანადო განკარგულება ეპარქიებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შესაფერის დონეზე აღსანიშნავად. უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდის აზრით, თავისუფლება ყველაფერია თითოეული პიროვნებისათვის და მთელი ერისათვის. „იგი მეტად ნაზი და აზიზი ბუნებისაა. იგი მარტო იქ ხარობს და ფესვებს იდგამს, სადაც ტრიალებს „სული უფლისა“, ე.ი. სადაც ადამიანი ადამიანს სცნობს, ერთიმეორეს აფასებს, თითოეული პიროვნება ხელშეუხებელ საუნჯედაა ცნობილი, სხვისადმი სამსახური, სხვისთვის თავდადება, სხვისი ამაღლება და გახარება საკუთარ ბედნიერებადაა აღიარებული, სადაც ყველამ იცის საკუთარი თავის ალაგმვა, შეზღუდვა, დაჭერა და შევიწროება, რომ მეზობელს, თავის მსგავს ადამიანს არავითარი ზიანი, არავითარი უსიამოვნება, არავითარი მწუხარება სიმწარე არ მიაყენოს, არც სიტყვით და არც საქმით“.⁶ უწმიდესი ლეონიდის ამ სიტყვებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს ჩვენთვის.

საქართველოს ხელისუფლებამ ევროპაში სპეციალური მისიით წარგზავნა დელეგაცია ზ. ავალიშვილის, დ. ღამბაშიძის, კ. ჩხეიძისა და ირ. წერეთლის შემადგენლობით, რომელთაც ყველაფერი უნდა ელონათ, რათა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ „ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს იურიდიულ ცნობას აჭიანურებდნენ. ამის მიზეზი არც ისე ძნელი გამოსაცნობი იყო. გამარჯვებულ მოკავშირეთა ძირითადი მიზანი 1919 წელს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ამ ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენა იყო, რაშიც მთავარ იმედს კოლჩაკისა და დენიკინის არმიებზე ამყარებდნენ. ეს გენერლები კი ერთიანი და განუყოფელი რუსეთის რეაშინაციისათვის იბრძოდნენ“.⁷ როცა ანტანტამ ამიერკავკასია დე-ფაქტოდ აღიარა, ეს ფაქტი საქართველოში დიდ წარმატებად აღიქვეს, ამის გამოძახილი იყო 1920 წლის 17 იანვარს თავისუფლების მოედანზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდის მიერ საზეიმო პარაკლისის გადახდა, სადაც უწმიდესი ლეონიდი აღნიშნავდა: „ქვეყნიერებაზე გონიერი არსებისათვის დამოუკიდებლობაზე უძვირფასესი არ არსებობს რა კაცისათვის, თუ ის ღირსეულად ატარებს ამ სახელს, თავისუფლება მაცოცხლებელი მზეა და ამ დამოუკიდებლობის, თავისუფლების ღირსად გამოგვაცხადეს და გვიცნეს დღეს ევროპისა და ამერიკის უძლიერესმა ერებმა“.⁸

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ოპერატიულად ეხმაურებოდა არა მარტო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პრობლემებს, არამედ მეზობელ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულების თითოეულ მუხლს. 1917 წლის 12 მარტის საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ მიიღეს საქართველოს

საკათალიკოზოს ტერიტორიის, საზღვრების შესახებ რომლის თანახმად – საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის იურისდიქციას ექვემდებარება მართლმადიდებელი მოსახლეობა აფხაზეთიდან, ვიდრე გიშის-თავამდე აღმოსავლეთით, გიშის წყალი და ხაზი მტკვარ-არაქსის შესართავამდე: სამხრეთით – მტკვარი ალაზნის შესართავიდან ქციის შესართავამდე, აქედან მთები, რომელნიც მისდევენ მდინარე ბორჩალოს აუზის მარჯვენით და მიაღებებიან მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედს. და შემდეგ თვით ეს წყალგამყოფი ქედი, ვიდრე აბოცამდე. აქედან საზღვარი გადაჰკვეთს ართაფჩაისა, ჩილტირ-ჩაის სათავეებს. მიჰყვება ხელახლა მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედს, შემდეგ ირაჯლუს ქედს, დაჰკვეთს ჭოროხის აუზს. გურჯი ბოლაზთან და ლაზისტანის ქედით მიაღება შავ ზღვას გონიიდან გაგრამდე.⁹ როცა დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ თურქეთთან დადო საზავო ხელშეკრულება, აქ არსად არ იყო საუბარი ბათუმის ოლქის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მართლმადიდებელი მოსახლეობის შესახებ. 1918 წლის 10 ივლისს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყრდემ თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდმა წერილით მიმართა საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს, სადაც აღნიშნა ამ საკითხის მკაფიოდ არ წარმოჩენამ შეიძლება დიდი ვნება მოუტანოს საქართველოს ეკლესიის ინტერესებს. „ამიტომ ვკადნიერდები და მოკრძალებით ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს ახლავე ინებოს შუამავლობა საქართველოს ეროვნული საბჭოს წინაშე, რათა თურქეთთან დადებული ზავის პირობებში შეტანილ იქნას ცალკე მუხლად იმგვარი დებულება, რომ ბათუმის ოლქის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მართლმადიდებელი მონასტრები, ეკლესიები და ერი, როგორც განუკვეთელი ნაწილი სრულიად საქართველოს საკათალიკოზო ეკლესიისა, კვლავინდებურად დარჩნენ უკანასკნელის წიაღში და მართვა-გამგეობაში“.¹⁰

საქართველოს საკათალიკოზო საბჭო ოპერატიულად გამოეხმაურა საინგილოში მართლმადიდებელ ქრისტიანთა პრობლემებს, რომელიც 1918 წელს შეიქმნა. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II ლოცვა-კურთხევით შეიქმნა კომისია მ. ჯანაშვილის, რ. ივანიცკის (ინგილო) და ქრ. ციციქიშვილის შემადგენლობით, კომისიას დეტალურად უნდა შეესწავლა შექმნილი ვითარება და შესულიყო წინადადებით ამიერკავკასიის მაჰმადიანთა მუფთის წინაშე, რათა გავლენა მოეხდინა მაჰმადიანებზე...

საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე ასევე განიხილეს სოჭის რაიონში შექმნილი ვითარება, სადაც დენიკინის რაზმებმა არაერთხელ დაარბიეს ქართული სოფელი პლასტუნკა, გაძარცვეს ქართული ეკლესია. საკათალიკოზო საბჭომ სთხოვა მთა-

ვრობას ქმედითი ზომები მიეღო ქართველი მოსახლეობის დასაცავად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეებში არ ერეოდა. მათ მიიღეს კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, თუმცა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარებოდა კიდევ მას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ხელმძღვანელობით ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარების მიუხედავად ცდილობდა დაებრუნებინა თავისი ისტორიული ფუნქცია. მაგრამ ამ გზაზე დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. 1918 წლის 27 ივნისის გაზეთმა „საქართველომ“ სამწუხარო ცნობა მიაწოდა ქართველ მკითხველს: „სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II 26 ივნისს სოფ. მარტყოფს გაემგზავრა საპატრიარქო რეზიდენციაში... 27 ივნისს დილით იგი მიცვალებული იპოვეს მის საწოლ ოთახში“. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია მოერიდა იმის თქმას, რაც ელვის სისწრაფით მოელო მთელ საქართველოს – კათალიკოზი რევოლვერის ტყვიით იყო განგმირული. ცნობილი საზოგადო მოღვაწე რ. ინგილო (ივანიცკი) წერდა: „მარტყოფის მონასტრის საიდუმლო უცნობია! რა მოხდა წმ, ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის... საუკუნეებში წარხლომილმა უნეტარესმა კათალიკოზმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მისი სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც“.

უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II დაკრძალეს 1917 წლის 7 ივლისს სიონის საპატრიარქო ტაძარში. ფრიად დამაფიქრებელი იყო დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის სიტყვა, რომელშიც ჩანდა ის საშინელი ატმოსფერო რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა კათალიკოზ კირიონ II – “არ ვიცი შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია – აღნიშნავდნ. თალაკვაძე – ვერ გამიგია რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგარ, დამშვრალ მცხოვან მოღვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბერის ჟამს დაუტკბობენ, განვლილი ტანჯვა-წამებას დაუამბებენ და თუ კიდევ სამოღვაწოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისს სიბრძნე გამოცდილებით ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოვიქეცით... ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თავხედობა გამოვიჩინეთ...”¹¹

საქართველოს ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის პირველი კათალიკოზ-პატრიარქის, ბრწყინვალე მეცნიერის და მოღვაწის, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მკვლელობამ ფრიად დაამწუხრა საქართველო, დაიწყო გამოძიება, გაჩნდა

მკვლევლობის სხვადასხვა ვერსიები, აგორდა ჭორებიც, მაგრამ იმხანად საქართველოში შექმნილი ვითარების გამო გამძაფრებული გრძნობები თანდათან დაცხრა და მარტყოფში დატრიალებული ტრაგედიაც მიეცა დავიწყებას. მარადიულობაში გადავიდა იმ ადამიანთა სულებიც, ვინც ბევრი რამ იცოდა მარტყოფში მომხდარი ამბების შესახებ. უფროსების მონათხრობიდან მხოლოდ თითო-ოროლა კაცს გაუგონია 1918 წლის 27 ივნისის ტრაგედიის შესახებ.

XX საუკუნის 90-იან წლებში ქართულ პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორები ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვას, რა მოხდა მარტყოფის მონასტერში თითქმის ოთხმოცდა ორი წლის წინ, რატომ დარჩა გაურკვეველი ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლევლობის მსგავსი ტრაგედია. კირიონ II მკვლევლობის საქმის მოძიებისა და შესწავლის მიზნით აუცილებელია განვიხილოთ კათალიკოზ-პატრიარქის დაღუპვის შესახებ გავრცელებული ვერსიები და ვაჩვენოთ მათი მეტნაკლები სანდოობა.

I ვერსია. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა კირიონ II თავი მოიკლა საკუთარი რევოლვერით. ეს შემზარავი სიცრუე გავრცელეს კირიონ II მტრებმა მისი სიკვდილის ნამდვილი მიზეზების გასაყალბებლად და მისი სახელის დისკრედიტაციის მიზნით. კაცი, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის შეუდრეკელი ბრძოლის გამო გადაიტანა დამცირება, შევიწროება და განსაცდელი, სულიერად არასდროს არ გამტყდარა და საქართველოს ეკლესიის მეთაურობის ჟამს იკლავს თავს? – როგორ, თავი მოიკლა და რევოლვერი დაკეტა? – წერდა დეკანოზი ნ. თალაკვაძე, მაშინდელმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ტყვიები, რომელიც კათალიკოზ-პატრიარქს ჰქონდა მოხვედრილი, მიცვალებულთან დაგდებული რევოლვერისა არ იყო. როგორც ქრისტეფორე კაპანაძის მოგონებიდან ირკვევა (მოგვაწოდა მისმა შვილიშვილმა დ. კაპანაძემ), კათალიკოზ-პატრიარქს 26 ივნისს გადაუწყვეტია მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში წასვლა, სამუშაო მასალებიც წაუღია. თან მიჰყვებოდნენ არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი), ქრისტეფორე (კაპანაძე) და ვასილ კბილაშვილი, მაგრამ უწმიდეს პატრიარქს ეტლში ჩაჯდომისას გახსენებია, რომ საპატრიარქო ბიბლიოთეკიდან უნდა წამოეღო რაღაც წიგნები, ამიტომ ქრისტეფორე კაპანაძე დარჩენილა და მეორე დღეს წიგნებაც წაუღია მარტყოფში, მაგრამ იქ უკვე ტყვიით განგმირული კათალიკოზის ნეშტი დახვედრია. კაცი, რომელმაც სამუშაო წიგნები წაიღო, თავის მოკვლას არ განიზრახავდა. გამოძიებამ, რომელსაც ი.კობიაშვილი წარმართავდა 1919წ. 11 აგვისტოს დადგენილებით ვერავითარი ეჭვი ვერ შეიტანა კათალიკოზის თვითმკვლევლობაში? კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II თავის მოკვლის ცრუ

ვერსია გაავრცელა გაზ. „ახალი სიტყვის“ გარშემო შეკრებილმა კირიონ II მოძულე ხალხმა. სწორედ მათი სურვილი იყო, კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II ნეშტი მარტყოფშივე დაეკრძალათ უჩუმრად, მაგრამ არ გამოუვიდათ".¹²

II ვერსია. კირიონ II მკვლელობა დაბრალდა არქიმანდრიტ ტარასის (კანდელაკი), რომელიც მას თან ახლდა მარტყოფში. ამ ვერსიის მომხრენი აცხადებდნენ, რომ ოთახი, რომელშიც კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II ისვენებდა, ერთის მხრივ ციცაბო კლდეს ეყრდნობოდა, და მასში მხოლოდ იმ ოთახიდან შეიძლებოდა შესვლა, სადაც არქიმანდრიტი ტარასი იყო. დილით, როცა პატრიარქი არ გამოვიდა, შევიდნენ და ტყვიით განგმირული ნახეს თავისსავე საწოლში. ცნობილი საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი წერდა, რომ არქიმანდრიტი ტარასი მოისყიდეს და გააჩუმესო. ეს ვერსია ნაკლებად დასაჯერებელია, რადგან არქიმანდრიტი ტარასი იყო კირიონ II პირადი მდივანი და იკონომისი. თან ახლდა მას გადასახლებაში, ეხმარებოდა და უმსუბუქებდა გასაჭირს. მანვე უპატრონა კირიონ II მდიდარ მემკვიდრეობას და მოწესრიგებული გადასცა სიძველეთა მუზეუმს. და, თუ დღეს საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საისტორიო არქივში კირიონ II ფონდება, ეს არქიმანდრიტ ტარასის დამსახურება იყო.

III ვერსია. კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II მკვლელობაში ბრალი დასდეს მიტროპოლიტ ლეონიდს (ოქროპირიძე). ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე ერთად იბრძოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ისინი ერთად იყვნენ 1906 წლის იანვარში პეტერბურგში სინოდის სხდომაზე და იგერიებდნენ ქართული ეკლესიის მოძულეთა შემოტევებს. შემდეგ მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა, შეიქმნა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტი ეპისკოპოს ლეონიდის მეთაურობით. დაიწყო მზადება დიდი საეკლესიო კრების ჩასატარებლად, რომელსაც უნდა აერჩია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, ქართველ მორწმუნეთა ჯგუფი ქრისტეფორე კაპანაძის მეთაურობით ჩავიდა რუსეთში და მოსთხოვა კირიონს სამშობლოში დაბრუნება, მან მადლობა მოახსენა ქართულ დეპუტაციას ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის, მაგრამ მტკიცე უარი განაცხადა – საქართველოში ლეონიდი და მისი მომხრეები წყალს არ დამიწმენდნო. იგი მაინც ჩამოიყვანეს საქართველოში და თითქმის გაპატრიარქებულ ლეონიდს აჯობა არჩევნებში. ეს მომენტი გამოიყენეს ქართული ეკლესიის არაკეთილმოსურნებმა და მათ შორის გააღვივეს შუღლი და დაპირისპირება. კათოლიკოს-პატრიარქსა და თბილელ მიტროპოლიტს შორის წარ-

მოშობილი უთანხმოებანი დაიხვიეს ხელზე ლეონიდის მტრებმა და გაავრცელეს ის აზრი, რომ კათალიკოზ კირიონ II მკვლელობაში ბრალი მიტროპოლიტ ლეონიდს მიუძღვისო.

IV ვერსია. კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II მკვლელობაში ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან ჟურნალ „ახალი სიტყვის“ გარშემო შემოკრებილი კალმოსნები. ამ ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდებოდა ჯაჭვადის წერილები, რომელთა ავტორები შეურაცხყოფას აყენებდნენ კათალიკოზ-პატრიარქს კირიონ II და მის ერთგულ სასულიერო პირებს: მიტროპოლიტ ანტონს (გიორგაძე), დეკანოზ ნ. თალაკვაძეს და სხვ. „ეგზარქოსის კარეტით კათალიკოზი დასეირნობს ხოლმე თბილისის ქუჩებში... ერთი კათედრიდან ექსორია ვუყავით ერთ ეპისკოპოსს და მის ადგილზე დავსვით ბევრად უარესი“.¹³

სტატიის ავტორი გულისხმობდა იმერეთის ყოფილ ეპისკოპოსს გიორგი ალადაშვილს, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ ჰქონდა ეპარქია ჩამორთმეული ეგზარქოს პლატონის მომხრეობის გამო.

სტატიაში „კირიონ კათალიკოზის წირვა და სიონის წაბილწვა“¹⁴ ავტორი თავხედურად წერდა: „დროა კათალიკოზის თვითნებობას და თავგასულობას ბოლო მოეღოს, მან საკმარისად შეგვარცხვინა ჩვენ მთელ ქვეყანაზე... კირიონი საქართველოს ეკლესიას დაღუპვის მეტს ვერაფერს მოუტანს და კიდევაც დაღუპავს მას...“ „ჩვენ ვგმობთ კათალიკოზის მოქმედებას“. ასეთი წერილები იყო ერთგვარი შექეზება კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II მტრებისა, მტრები კი მას ბევრი ჰყავდა. ჯერ კიდევ 1917 წლის 1 ოქტომბერს, როცა მცხეთაში, სვეტიცხოველში დიდი ზემოთ ჩატარდა კათალიკოს-პატრიარქად კირიონ II აღსაყდრება, წირვის შემდეგ პატრიარქი სამღვდელთაგანთან ერთად გაემართა გასასვლელისაკენ. ამ დროს მას გადასცეს წერილი, რომელშიც ეწერა, როგორც კი ტაძრიდან გამოვიდოდა, ხალხში დამალული მკვლელი აუცილებლად ესროდა. შეიქნა ჩოჩქოლი, პატრიარქი არ შეყოვნებულა, ამ დროს მასთან მოვიდა ყარამან კიენაველიძე, რომელმაც შესძახა, მომეცით ხელი, თქვენო უწმინდესობავ; აბა, ვინმემ გაბედოს თქვენთვის სროლა. და ასე გამოიყვანეს პატრიარქი სამშვიდობოს.

მეორე დამაფიქრებელი ინციდენტი მოხდა 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს, როცა კათალიკოსმა კირიონმა საქართველოს საკათალიკოსოს საქმეთა მმართველად და მდივნად არ დაამტკიცა ეგზარქოსების ჯაშუში დავით დავილოვ-დავითაშვილი. ეს უკანასკნელი ორჯერ რევოლუციით მოსაკლავად შეუვარდა კირიონ II სამუშაო კაბინეტში და, თუ არა მორჩილ გერმოგენის ვაჟკაცობა, შეიძლება უბედურება უფრო ადრე დატრიალებულიყო.

უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. საკათალიკოზო საბჭოს დავალებით დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ და ქრისტეფორე კაპანაძემ მისი უწმინდესობის საფლავის ქვა დაამზადებინეს ნოფიტე აგლაძეს. 1919 წლის 10 ივნისს საფლავის ქვა დადგეს. უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II სახელი უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა ი. იმედაშვილის მოსწრებული თქმით “ჩაქრა ლამპარი, რომლის მსგავსი იშვიათად აინთება საუკუნოდან საუკუნემდე! ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი მღვდელმთავარი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი”.

კათოლიკოზ-პატრიარქს კირიონ II უკომპრომისო პოზიცია ეჭირა ე.წ. რუსული ეპარქიის საკითხისადმი, მან საერთოდ არ უპასუხა რუსეთის პატრიარქის ტიხონის ქედმაღლურ წერილს. ასე მოხდა გარეშე მტრებისა და შინაური ორგულთა ინტერესების თანხვედრა. კირიონ II მკვლელობა განხორციელდა ფრიად გააზრებულად. კვალის დაფარვის მიზნით მკვლელებმა თვითონვე შეთხზეს და საზოგადოებას მიაწოდეს მკვლელობის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები. საქმე რომ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან გვქონდა, ამას ადასტურებდა კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II მკვლელობის შემდეგ მომხდარი ამბები. 1918 წლის სექტემბერში მოწამლეს (საკუთარმა სიძემ) ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), საკუთარ სახლთან მოკლეს მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე (კირიონ II საარჩევნო აგიტაციის მეთაური პროვინციებში), მცხეთაში მოკლული ნახეს არქიმანდრიტი მირიანი... დავით დავილოვმა და მისმა ბანდამ მიზანს მიაღწია. იგი დიდხანს ეწეოდა საკათალიკოზო საბჭოს კანცელარიის გამგისა და მდივნის რანგში „მოღვაწეობას“. სხვა უღირსნიც აღზევდნენ, ხოლო ტანჯული ქვეყნის ტანჯული მამამთავრის მკვლელობის საიდუმლოება დღემდე გამოუცნობი დარჩა.

საქართველოს მთავრობა არ ჩარეულა ახალი პატრიარქის კანდიდატის შერჩევის საქმეში. 1918 წლის 28 ნოემბერს შედგა საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ თბილელი მიტროპოლიტი და საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი, ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი, დეკანოზები ნ. თალაკვაძე, კ. კეკელიძე, კ. ცინცაძე, პ. ბარათაშვილი, გ. გვაზავა, პ. გოთუა, პ. ინგოროყვა, ქრ. კაპანაძე, მ. მაჩაბელი. სხდომამ გამოიტანა განჩინება:

„1. დაუყოვნებლივ, რამდენადაც შეიძლება მოკლე დროში, არჩეულ იქნას კათალიკოზ-პატრიარქი, ვინაიდან ამას მოითხოვს, როგორც საეკლესიო ინტერესები, ისე საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და მისი საერთაშორისო

მდგომარეობა; 2. უარყოფილ იქნას აზრი კათალიკოზის ასარჩევად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისა; 3. ვინაიდან კათალიკოზი დაუყოვნებლივ უნდა იქმნას არჩეული, საკათალიკოზო საბჭოს კანონიერად მიაჩნია მიტროპოლიტ ლეონიდის არჩევა კათალიკოზად^{.15} საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე აღნიშნული დადგენილების წინააღმდეგ გამოვიდნენ დეკ. ნიკიტა თალაკვაძე და ქრ. კაპანაძე. საკათალიკოზო საბჭოს უმრავლესობა თვლიდა, რომ მიტროპოლიტმა ლეონიდმა უკვე საჭირო ხმების რაოდენობა ჯერ კიდევ 1917 წლის 17 სექტემბერს I საეკლესიო კრებაზე მიიღო. საკათალიკოზო საბჭოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეპარქიების პოზიციას. მან № 4479 მიწერილობით ეპარქიების საბჭოებს მოსთხოვა წერილობით დაედასტურებინათ საკათალიკოზო საბჭოს 1918 წლის 28 ნოემბრის განჩინების სამართლიანობა. საეპარქიო საბჭოების უმრავლესობამ წერილობითი დასტური მისცა, საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებას. საინტერესოა ამ მხრივ ეპარქიებიდან მოსული წერილების შინაარსი. ფოთის ტაძრის სამრევლო კრების თათბირს, რომელიც 1918 წლის 30 ივნისს გამართულა ი. ბობოხიძის მოხსენების საფუძველზე დაუდგენია: 1. მართალია საეკლესიო წესების მიხედვით დაქვრივებული ეკლესია 40 დღის განმავლობაში არ უნდა ეძიებდეს ახალ მღვდელმთავარს, მაგრამ ვინაიდან რუსეთის ბოლშევიკების მხრიდან მოსალოდნელი შემოსევის გამო დღეს საქართველოს ნორჩი რესპუბლიკა და მისი ავტოკეფალური ეკლესია დიდ საფრთხეში არიან ჩავარდნილი, ამისათვის პოლიტიკური მოსაზრება და დიპლომატიური სიბრძნე თხოულობენ, რომ საქართველოს ეკლესიას ერთი საათითაც არ უნდა მოშორდეს მისი ნამდვილი თავი. მოჭირნახულე მამამთავარი^{.16} თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგეებიც, მაგ. ზუგდიდიდან მღვდ. ტროფიმე ჯოხთაბერიძე შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში აცხადებდა პროტესტს. ეს არის კათალიკოსის არჩევის არაკანონიერი, არადემოკრატიული გზაო^{.17} ანონიმი ავტორი კი მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში საკითხს ასე სვამდა – ვინ მისცა საკათალიკოზო საბჭოს განუსაზღვრელი უფლება, რომ ხალხის დაუკითხავად წყვეტს საქართველოს ეკლესიის ბედს? ჩვენ გვყავდა ღირსეული კაცი, მაგრამ მას შურით მაცქერალმა კაცმა არ აცალა სიცოცხლე და თავისი ბინძური ხელი შეურია მის წმინდა სისხლში^{.18}

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მიტროპოლიტ ლეონიდის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად კურთხევა შესრულდა 1919 წლის 23 თებერვალს კვირას სვეტიცხოველში. საქართველოს მთავრობამ სპეციალური მატარებელი დანიშნა მცხეთაში მორწმუნეთა წასაყვანად. უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდის კურთხევას დაესწრნენ საერო ხელისუფლების წარმომადგენლები ინგლისის,

საფრანგეთის, პოლონეთისა და აზერბაიჯანის მისიის ხელმძღვანელები. მცხეთაში იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარიშვილი.

უწმიდესმა ლეონიდმა ლიტურგიის დამთავრების შემდეგ წარმოთქვა სიტყვა, მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. საზოგადოებისადმი ფრანგულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში გ. გვაზავამ აღნიშნა: შეხედეთ, რა სიხარულითა და ენთუზიაზმით ხვდება ყველა უწმიდესსა და უნეტარესს კათალიკოზ-პატრიარქს. გარდა სარწმუნოებრივი გრძნობისა, აქ მოქმედებს კიდევ სხვა ძალა. უნდა მოგახსენოთ, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოზი მატარებელია ეროვნული იდეოლოგიისა, იგი გამომხატველია საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა. სწორედ ეს იდეა ტრიალებს ეხლა საქართველოში და აღელვებს ყველას გულს“.¹⁹

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის გარკვეული გაუგებრობები წარმოიშვა ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 ნოემბრის კანონის მიღების შემდეგ, როცა: 1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა; 2. ხსენებულ სკოლებში დაიხურა კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის“.²⁰ ეს გადაწყვეტილება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ათეისტური მიმართულების აშკარა გამოხატულება. მაგრამ ხელისუფლება მარტო ამით არ შემოიფარგლა. მისივე გადაწყვეტილებით სახალხო განათლების სამინისტროს გადაეცა ყოფილი სასულიერო სასწავლებლების ქონება-შენობები და იქიდან გამოძევებულ იქნა სასულიერო პირები, როცა ეკლესიის წარმომადგენლები მათ მოაგონებდნენ, რომ ისინიც კანონიერი მეპატრონეები იყვნენ ამ ქონებისა, სასამართლოსკენ უთითებდნენ, წადით და იქ დაგვიმტკიცეთ, რომ თქვენიაო. მთავრობამ სპეციალური დეკრეტით ეკლესიებს, მონასტრებს ჩამოართვა მიწები, ვენახები, სათიბები, ტყეები, წისქვილები, ე.ი. არსებობის სახსარი მოუსპო მათ. ასევე რკინიგზაზე იყო მოძღვართა თანამდებობანი, რომელნიც მთავრობამ, როგორც არასაჭირო გააუქმა. ყოველივე ამან აიძულა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი წერილით მიემართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნოე ჟორდანიისათვის. წერილში უწმიდესი ლეონიდი აღნიშნავდა – ვერ გამიგია, რით დაგვაყენეს კანონის გარეშე? მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ თუ მიწა არ ექნებათ?.. რომელიც სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გარიგდეს მშრომელი ბერების შიმშილისაგან გა-

წყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით?.. ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუება ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც ნუ შეეგუებიან ურიერთს ეკლესია და სოციალისტები დროზე დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მართო სამართლიან გაყრას ვთხოვლობთ სახელმწიფოსაგან სხვა არაფერს“.²¹

უწმიდეს ლეონიდს მიაჩნდა, რომ თუ მთავრობა ცივილიზებული ფორმით განცალკევებას დაუჭერდა მხარს ეკლესიისაგან უნდა შეესყიდათ მისი უძრავ-მოძრავი ქონება, ხოლო მისი ინტერესების უგულებელყოფა მოსაწონი არ იყო, იგი მოაგონებდა მთავრობის თავმჯდომარეს „საქართველოს ეკლესია უმთავრესი და უთვალსაჩინოესი ფაქტორია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰყურებს ეროვნული დროშა და სახელმწიფოებრივ ღვაწლს ეწევა ჩვენს დედაქალაქში დამფუძნებელი კრება“.²² როგორც მოსალოდნელი იყო, მისი უწმიდესობის ლეონიდის წერილს მთავრობის მხრიდან კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია, ამიტომ 1919 წლის 15 მაისს უწმიდესი ლეონიდი შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს, სადაც დაწვრილებით გაანალიზეს საქართველოს ეკლესიის გარშემო შექმნილი პრობლემები. მთავრობის თავმჯდომარემ, ნ. ჟორდანიამ საქართველოს ეკლესიის მეთაურს აღუთქვა, რომ ახლო მომავალში მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას მონასტრებისათვის კერძო მესაკუთრის ნორმით მიღებული მიწების დატოვების შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, საქმე წინ არ წავიდა. 1919 წლის 9 ივნისს უწმიდესი ლეონიდის ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო ჩვენი შეხვედრიდან თვე გადის და დღევანდელი დღემდე ამ საკითხისა არა ვიცი რა. მონასტრების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ბერები ზოგნი შიმშილისაგან იხოცებიან, ზოგნიც კი არაფერს საიმედოს აღარ ხედავენ გარშემო. გარბიან მონასტრებიდან და ამის გამო საქართველოს საამაყო ისტორიული ნაშთები სულ უპატრონოდ დატოვებულნი ხდებიანო“.²³ მართალია, 1919 წლის ივნისში დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა „გაახლებთ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს სამღვდელოების, საკათედრო ტაძრებისა, საკათალიკოზო დაწესებულებათა შენახვისათვის 1918 წლის პირველი აგვისტოდან 1919 წლის პირველ იანვრამდე გაწეული ხარჯების დასაფარავად. 2.501.777 მანეთის დახმარებისათვის. კანონპროექტი კომისიამ განიხილა და მიიღო“.²³ მაგრამ რეალური დახმარება ეკლესიას არ მიუღია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესიას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადა და რელიგიის შესახებ მიღებული კანონით იგი გაუთანაბრა საქართველოს მოქმედ სხვადასხვა კონფესიების “ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის იზოლაცია სახელმწიფო პოლიტიკისაგან, რადგან მან კარგად უწყობდა ეკლესიის დიდი ისტორიული ავტორიტეტი ქართველ მოსახლეობაში, რომლის ძირითადი ნაწილი ეკლესიასთან ერთად, სახელმწიფოში გატარებული რეფორმის წინააღმდეგი შეიძლებოდა გამოსულიყო”.²⁴

ერთადერთი დადებითი რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გააკეთა ეს იყო 1920 წლის 17 თებერვლის მთავრობის დადგენილება კავკასიის სინოდალური კანტორის გაუქმების შესახებ, ხოლო 7 აგვისტოს დადგენილებით რუსული, ბერძნული და ოსური სამრევლოები დაექვემდებარა საქართველოს ეკლესიას.²⁵ ამით დასრულდა სამწლიანი გაურკვევლობა, ურთიერთდაპირისპირება და ინტრიგები, რომელსაც მიმართავდა რუსეთის სინოდი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ, როცა მათ დაარსეს ამიერკავკასიის საეგზარქოსო და მასში გააერთიანეს არაქართული მრევლი. ისინი ედავებოდნენ საქართველოს საკათალიკოზოს ქონებას, ეკლესია-მონასტრებს. მართალია ოფიციალურად 1920 წლიდან ისინი იძულებულნი გახდნენ დამორჩილებოდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს, მაგრამ 1921 წლის თებერვლის შემდეგ როცა საქართველო კვლავ რუსეთის საოკუპაციო ჯარებით აივსო რუსული სამრევლოები კვლავ დაუპირისპირდნენ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს და აღარ ემორჩილებოდნენ მას. რა თქმა უნდა მათ უკან ისევ რუსეთის ეკლესია იდგა.

1921 წლის 11-12 თებერვალს ვითომც „აჯანყებული მშრომელების“ დასახმარებლად საქართველოს საზღვრები გადმოლახა ბოლშევიკური რუსეთის XI არმიამ. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამშობლოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დადგა. 1921 წლის 21 თებერვალს თბილისში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც იმსჯელა შექმნილ ვითარებაზე და სპეციალური წერილით მიმართა მცხეთა-თბილისის, ურბნისის, ქუთაის-გაენათის, ჭყონდიდისა და ცხუმ-ბედიის ეპარქიებს:

„1. ეკლესიებში დაუყოვნებლივ გადახდით იქნას პარაკლისები მტრებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის; 2. ეკლესიებში წინამძღვრების მიერ განმარტებულ იქნას დღევანდელი ომის მნიშვნელობა; 3. სამრევლო საბჭოების მიერ გადადებულ იქნას ეკლესიის ქონებისგან შეწირულებანი ომისაგან გამოწვეულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 4. მათ მიერ მიღებულ იქნას ზომები ტაძართა გან-

ბეულობისა და სიწმინდეთა დასაცავად; 5. იმავე საჭიროებისათვის წირვა-ლოცვის დროს შეკრებილ იქნას ნებაყოფილობითი შეწირულობა; 6. კრებულის წევრთა მიერ მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ჯარში გაწვეულთა ოჯახების სულიერ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დასაკმაყოფილებლად“.²⁶

საკათალიკოზო საბჭოს წერილით მიმართა უწმიდესმა ლეონიდმა 1921 წლის 22 თებერვალს, სადაც უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე: 1. სად და როგორ იქნას დაცული ომისაგან მოსალოდნელ საშიშროებისაგან სოფლებისა და ქალაქის ეკლესიების განძეულობა და სიწმინდე? 2. სად იქნას დაცული საკათალიკოზო საბჭოს ქონება და არქივი? 3. როგორ შეიცვალოს ეკლესიის მართვა-გამგეობის წესები ამ შიშინობის ჟამს? 4. როგორ მოვიქცე პირადად მე, ვინიცობაა ჩვენმა მთავრობამ მოახდინოს ქალაქის ევაკუაცია? 5. რა ზომების მიღებაა საჭირო საკათალიკოზოში ომისაგან შექმნილი არაჩვეულებრივი პირობების გამო“.²⁷ საქართველოს ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საკითხს, როცა მთავრობამ მიიღო თბილისის დატოვების გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის, ძვირფასი ხატების თბილისის ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანისა და ქუთაისში ევაკუაციის შესახებ. ამავე დროს მან თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო დაცვა რკინიგზაზე განძეულობის უსაფრთხოდ გადატანისათვის. საკათალიკოზო საბჭოს სპეციალური რწმუნებით აღიჭურვა ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) და არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), რომელნიც პასუხს აგებდნენ განძის უსაფრთხოებაზე. უწმიდესმა ლეონიდმა ასეთი წერილით მიმართა დიმიტრი ლაზარაშვილს: “მამაო დიმიტრი, მთავრობა მზად არის მოგვცეს მცველები და გადავიტანოთ რკინიგზით ჩვენი განძეულობა ქუთაისში. თუ ჩვენ ყველა ამას მივიტანთ ვაგზლამდე. აბა დატრიალდი იშოვე რამდენიმე ურემი და ჩააბარე რკინიგზაზე. რაც შეიძლება ჩქარა”.²⁸ 24 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიდმაც დატოვა თბილისი და ქუთაისში წავიდა, ხოლო საკათალიკოზო საბჭოს დროებითი თავმჯდომარის მოვალეობას დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ასრულებდა. როცა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის და ამავე დროს საქართველოს ეროვნული სიწმინდეების, განძის წაღების შესახებ, ეს იყო თავზარდამცემი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდისათვის, რომელმაც სასწრაფო აუდენცია ითხოვა ნოე ჟორდანიასთან და უსიამოვნო საუბარიც ჰქონდა მასთან. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა 11 მარტს, განძეულობით დატვირთული კრეისერი „ერნესტ რენანი“ ბათუმიდან გავიდა. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნატარესი ლეონიდი 13

აპრილს თბილისში დაბრუნდა... აღარ დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარც საეკლესიო სიწმინდენი, პატრიარქი თითქოს უცხო ქალაქში დაბრუნდა გაპარტახებული ქუჩები, დაღვრემილ-გატანჯული ქართველობა და განარებული უცხო ტომელები. ასეთი გამხდარიყო ქართველთა დედაქალაქი... "ახალმა ხელისუფლებამ პირველი სიურპრიზი დაახვედრა მას. საპატრიარქოს ჩამოართვა ერთადერთი ავტომობილი... წინ კიდევ ბევრი უსიამოვნებანი იყო მოსალოდნელი".²⁸

სასულიერო პერიოდიკა: ჟურნალ „სვეტიცხოვლის“
და „ახალი სიტყვის“ პროფილი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს ეკლესიის ყოველკვირეული ოფიციალური ორგანო, ჟურნალი „სვეტიცხოველი“, რომლის რედაქტორად დაინიშნა პავლე ინგოროყვა. ჟურნალის დანიშნულება კარგად იყო გაცხადებული სარედაქციო წერილში „მომენტი სათვის“, სადაც აღნიშნული იყო: „ჟურნალი თავისი სახელით გვაგონებს წმიდა აკვანს ჩვენი სულიერი აღორძინებისას, იგი თავის ვალად დაისახავს ხელი შეუწყოს ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვას ახალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად სარწმუნოებრივი ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის“.¹

ჟურნალი თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს, მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა რუსეთის დროებითი მთავრობისა და ეკლესიის სინოდის პოზიციას საქართველოს ეკლესიის მიმართ რ. ივანიცკის /ინგილო/ მართებული შენიშვნით „რევოლუციურმა რუსეთმა ისეთივე დამოკიდებულება გამოიჩინა მცირე ერების მოთხოვნებისადმი, როგორც დასამარებულ რუსეთის თვითმპყრობელობამ, ველიკორუსთა პრიმატი ძველებურად გამოცხადებულია რუსეთის სახელმწიფოს მაცოცხლებელ ძარღვად. ცალმხრივად გაგებული დიდი და განუყოფელი რუსეთის იდეა გამოსჭვივის იმაში, რომ სახელმწიფოს მესვეურნი სასტიკად ებრძვიან ერთა აღორძინებას და ფაქტიურად უარყოფენ საქვეყნოდ აღიარებულ თვითგამორკვევას“.² სტატიის ავტორის აზრით, ბიუროკრატიული რუსეთის ნარჩენების მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომელიც ნაციონალურ ავტოკეფალიას იმეტებს, ქართველებისათვის მხოლოდ საძირკველი იქნება ეკლესიის განახლებისა, იმ ავტოკეფალიისა, რომელიც საბოლოოდ გაათავისუფლებს საქართველოს ეკლესიას.

ჟურნალი დაწვრილებით აშუქებდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი დელეგაციის მუშაობის ანგარიშს, საქართველოს პირველი საეკლესიო კრების მოსამზადებელი კომისიის სხდომის ანგარიშებს. იგი აცნობდა საზოგადოებას საეკლესიო კრების დღის წესრიგს, ჩატარების ვადებს, საეკლესიო კრების დელეგატების არჩევის წესს. ჟურნალი განმარტავდა რამ განაპირობა თბილელის კათედრის აღდგენა და ტფილელი მიტროპოლიტის არჩევნები. დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებულ დებულებ-

ბაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს უწოდეს ქართველთა კათალიკოზ-პატრიარქი და მცხეთის მთავარეპისკოპოსი. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამით ხაზი გაესვა საქართველოს ეკლესიის ნაციონალურ ავტოკეფალიას და თბილისის კათედრა განუზღადავს ეგზარქოს ყოფილ პლატონს. რომელიც ამიერკავკასიის ეგზარქოსად უნდა გამოცხადებულიყო. ეს რომ არ მომხდარიყო, 12 მარტის დადგენილებით, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითმა კომიტეტმა აღადგინა თბილელი მიტროპოლიტის კათედრა: „13 აგვისტოს კრებამ ერთხმად დაამტკიცა თბილელ მიტროპოლიტად ლეონიდი“.³

15 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის დამთავრების შემდეგ მთავარდიაკონმა დავით სალარიძემ გამოაცხადა: „განბჭობითა და გამოწვილვითა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და სამღვდელთა და საეროთა დასთა თბილისისა და სხვათა საქართველოს ქალაქთაითა თავდადებულ ექმნა უძველესი საყდარი ტფილელ მიტროპოლიტთაი, რომელიც ერთი საუკუნე განიცდიდა ქვრივობასა, ხოლო საყდარსა ამასა ზედა შთავგონებითა სულისა წმიდისა და შემოკრებილთა ერთსულოვან თანხმობით აღრჩევითა აღიყვანების სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი გურია-ოდიშისა ყოვლად უსამღვდლოესი ლეონიდი“.⁴

ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში არქიმანდრიტი ნაზარი ეხებოდა ბერ-მონაზონთა კრების საკითხებს, რა გზებითა და საშუალებებით იყო შესაძლებელი ბერ-მონაზვნური ცხოვრების აღდგენა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში. ჟურნალი არ ივიწყებდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ, გარდაცვლილ პირებსაც სტატიაში „ახლო წარსულიდან“.⁵ საზოგადოებას შეახსენებდა მღვდელ ილარიონ ჯაშის ნათელ სახელს, პიროვნებისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა 1905-06 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის საზოგადოების დარაზმვის საქმეში, მისი პროკლამაციები თუ მამხილებელი სტატიები, ეგზარქოს ნიკონისათვის მიუღებელი იყო. მამა ილარიონი საქართველოდან გააძევეს, შემდეგ კი რუსეთში გადასახლებული 1911 წელს მოკლეს კიდეც. მაგრამ ქართველი საზოგადოება არ ივიწყებდა მას – შენდობა ტანჯულ გმირსა! სალაში თქვენ სულით მრავალწამებულის წამებულნო ნემტნო – ასე ამთავრებდა წერილს „ახელის“ ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნება.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობოდა რუსეთში მიმდინარე მოვლენების ანალიზს. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვებანი აქვს რ. ივანიცკის, რომლის აზრითაც რუსეთში თებერვლის რევოლუციის მონაპოვრის დამარცხება უცილობლად გამოიწვევდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობას. ჟურნალში დაწვრი-

ლებით იყო განხილული რუსეთის საეკლესიო კრებაზე პლატონ ეგზარქოსყოფილის სიტყვა, რომელშიც კრებას მუქ ფერებში დაუხატა 1917 წლის 12(25) მარტის შემდგომ საქართველოში შექმნილი ვითარება და განაცხადა, რომ იგი საქართველოს ეგზარქოსობიდან გადააყენა სამმა ეპისკოპოსმა, რომ თბილისში მართლმადიდებელ ქრისტიანებს ღვენიან, რომ ქართველების ბრბომ ეპისკოპოს ლეონიდის მეთაურობით დაიკავა ეგზარქოსის სასახლე, რომ ხელისუფლებამ სათანადო შეფასება უნდა მისცეს ამ ფაქტებს. ბუნებრივია, პლატონ ეგზარქოსყოფილის გამოსვლამ რუსი შოვინისტების გააფთრება გამოიწვია, მათ მოსთხოვეს ხელისუფლებას გადამჭრელი ზომები მიეღო ქართველების წინააღმდეგ. ჟურნალში პლატონის ჭორების გასაბათილებლად დაბეჭდილია თბილისის მილიციის უფროსის ყაჩუხოვის მოხსენება ა. ჩხენკელისადმი, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი, რა ვითარებაში დაიკავა საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის კომიტეტმა მიტროპოლიტ ლეონიდის მეთაურობით ყოფილი ეგზარქოსის სასახლე, როგორ ჩატარდა აღწერები და ქონებრივი გაყოფის კომისიის ჩამოსვლამდე როგორ დაილუქა ეგზარქოსის სამუშაო ოთახები. მილიციის უფროსი დასძენდა, რომ არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონიაო.

ჟურნალში დაიბეჭდა „წესი, რომელი იქმნების ხელდასხმასა ზედა ეპისკოპოზისა“,⁶ „კურთხევაი და საყდრად აღყვანებაი კათოლიკოზისაი“.⁷ რომელიც ძველი ხელნაწერების მიხედვით აღადგინა დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ. ჟურნალის მესამე ნომერი ეძღვნება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებს. „დასაწყისსა მეთაურობისა საუკუნისასა დაყენებულ იქმნა თვითთავობაი ეკლესიისა ჩუენისაი, წარიტაცეს ჩუენგან მამაი მაკურთხეველი და დაგუამორჩილეს ჩვენ საყდარსა უცხოსა. ამისა გამო შეირყა ტრაპეზი ჩუენი და მოოხრდენ სავანენი ჩუენნი... შემოვკრებით დღეს, რათა განვამტკიცოთ გუამი ეკლესიისა ჩუენისაი, შთაგებოთ მას შინა სული ცხოველი, შემოვზღუდოთ იგი მოძღურებითა მართლისა სარწმუნეობისაითა და შევმოსოთ იგი კუართითა ჯეროვანისა მართვა-გამგეობისაითა“.⁸ ჟურნალში აღწერილი იყო პირველი საეკლესიო კრების მიმდინარეობა და კათალიკოზ-პატრიარქად კირიონ II არჩევა. ჟურნალი ფართოდ იხილავდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას, საკათალიკოზო საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას, კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II წერილებს მსოფლიო პატრიარქ ბასილ III, რომის პაპის, ყოველთა სომეხთა კათალიკოზის გეგორქ V მიმართ, რომლებშიც გამოთქმული იყო სურვილი თანამშრომლობისა და ურთიერთობისა. ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია, როცა მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი თანამშრომლობას სთავაზობდა განსხვა-

კვებული კონფენსიების წარმომადგენლებს, მაგრამ ეს თანამშრომლობა არ ეხებოდა დოგმატურ სფეროს, თუმცა საქართველოს ეკლესიის მეთაური კარგად ხედავდა, რომ საქმე ეხებოდა მრავალრიცხოვან სომხურ დიასპორასთან და კათოლიკე ქართველებთან ურთიერთობის ურთულეს პრობლემებს. ჟურნალში დაბეჭდილი იყო ცნობილი რუსი სლავოფილისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მებრძოლის ნიკოლოზ ღურნოვოს მისაღმება ქართველი სამღვდელოებისადმი, რუსეთის საეკლესიო კრების მიმდინარეობის ქრონიკა, საქართველოს ეკლესიის კათალიკოზთა, კათალიკოზ-პატრიარქთა მამადმთავრობის ქრონოლოგია, რომელიც შეუდგენია პავლე ინგოროყვას. ამ ქრონოლოგიით უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II იყო 123-ე მამადმთავარი.

ჟურნალში დაბეჭდა დეკანოზ კორნელი კეკელიძის პოლემიკური მოხსენება, რომელიც მან წაიკითხა 1917 წლის საეკლესიო კრებაზე „ღვთისმსახურება და სამღვდელოება“,⁹ რომლის ძირითადი დებულებანი შემდეგია: „1. საჭიროა ჩვენი ღვთისმსახურება გამარტივდეს, ცხოვრებას დაუახლოვდეს და, შეძლებისდაგვარად, შინაარსით და ფრაზეოლოგიით საშუალო მლოცველ-მორწმუნეთათვის გასაგები იყოს; 2. საღვთო და საეკლესიო წიგნების საბეჭდავად უნდა შემოღებულ იქნას მხედრული ანბანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს წიგნები ფართო მასისათვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება; 3. კრებულის წევრთათვის სავალდებულო არ უნდა იყოს ეკლესიის გარეთ ანაფორის ტარება; 4. მათთვის არც გრძელი თმებისა და წვერის ტარება უნდა იყოს სავალდებულო, ესეც კერძო სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული“.¹⁰ საქართველოს საეკლესიო კრებამ არ გაიზიარა დეკ. კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილი დებულების არც ერთი მუხლი. ჟურნალი „სვეტიცხოველი“ გამოკვეთილად იყო საქართველოს საპატრიარქოს ორგანო, მაგრამ სარედაქციო კოლეგიის ზოგიერთმა წევრმა (მღვ. ილია შუბლაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი) მონდომეს ჟურნალის საპატრიარქოს ოპოზიციურ ორგანოდ გადაქცევა, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ მღვ. იოსებ ჩიჯავაძე, ალექსი მიქელაძე, კალისტრატე ცინცაძე. ამ დაპირისპირებამ ჟურნალის გაუქმება გამოიწვია, რაოდენ სამწუხარო იყო, რომ ასე კარგად დაწყებული საქმე პირადად ამბიციებმა შეიწირა.

1918 წლის 25 თებერვალს გამოვიდა ახალი სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვა“, რომლის რედაქტორი იყო ქრისტეფორე ციცქიშვილი და მატერიალური მხარდამჭერი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი, როგორც ჟურნალის სარედაქციო წერილი იტყობინებოდა მათი მიზანი იყო „საქართველოს ეკლესიის ფაქტიური განახლება, და ბრძოლა ყოველგვარ ჩაგვრა-უსამართლობასთან“.¹¹ ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ჟურნალი „ახალი სიტყვა“ საქართველოს არცერთ

ბიბლიოთეკასა და წიგნსაცავში არ მოიპოვება და მხოლოდ კერძო კოლექციაში შემორჩა, უფრო დაწვრილებით გავაცნობთ ჟურნალის პუბლიკაციებს საზოგადოებას. ჟურნალში დაბეჭდილ პუბლიკაციების უმრავლესობას ავტორები ფსევდონიმებით აქვეყნებდნენ, თუმცა ცნობილია თითოეული ფსევდონიმის ავტორის ვინაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მღვ. ქრისტეფორე ციციქიშვილის პუბლიკაციები, რომელიც მიმართული იყო საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი კირიონის, საკათალიკოზო საბჭოს წევრების წინააღმდეგ. იგი ყველაფერში მოითხოვდა განახლებას, „არ კმარა საქართველოს საეგზარქოსოს საქართველოს საკათალიკოსო დაერქვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველის საკათალიკოზო შესამოსლების გამომზეურება, საჭიროა ფხინობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედი ძალების შემჩნევისა, დაფასებისა და მათი შეთანხმებულად დარაზმვისა. ეკლესიური ცხოვრების განახლებისა“.¹² ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების შინაარსი ააშკარავებდა აშკარა დაპირისპირებას საკათალიკოზო საბჭოს წევრებს შორის. ერთ მხარეზე იყვნენ უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II და მისი მომხრეები, მეორე მხარეზე თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი თავისი თანამოაზრეებით. ეს დაპირისპირება გამოწვეული იყო 1917 წლის 17 სექტემბრის არჩევნებით. მიტროპოლიტი ლეონიდი და მისი თანამოაზრეები თვლიდნენ, რომ საპატრიარქო ტახტზე პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი ლეონიდი უნდა ასულიყო, ისინი გაოგნებული დარჩნენ კენჭისყრის შედეგებით, სადაც უპირატესობა მოიპოვა ეპისკოპოსმა კირიონმა და გახდა ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი კათალიკოზ-პატრიარქი. ლეონიდ მიტროპოლიტის მომხრეებმა საკათალიკოზო საბჭოში მოიყარეს თავი და იქიდან დაიწყეს ბრძოლა უწმიდესი კირიონის წინააღმდეგ. მიტროპოლიტი ლეონიდსა და კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II შორის სულ წვრილმან საკითხებზე განსხვავებული აზრი დიდ დავაში გადაიზრდებოდა ხოლმე. მაგალითად როცა კათალიკოზმა მოინდომა მცხეთის ჯვრის მონასტრის მღვდელ-მონაზონის მირიანის არქიმანდრიტად კურთხევა, მიტროპოლიტმა ლეონიდმა განაცხადა, რომ მცხეთის ჯვარი თბილისის ეპარქიაში შედის, ხოლო მირიანის არქიმანდრიტობა ნაადრევეაო.¹³ კათალიკოზმა მღვდელმონაზონი მირიანი არქიმანდრიტად და დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე მღვდლად მაინც აკურთხა, მაგრამ საკათალიკოზო საბჭომ, რომელსაც კირიონ II ავადმყოფობის გამო მიტროპოლიტი ლეონიდი თავმჯდომარეობდა, არქიმანდრიტ მირიანს და მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეს მღვდელმსახურება აუკრძალა.¹⁴ 1918 წლის 28 მარტს ავადმყოფობის შემდეგ კათალიკოზი კირიონ II პირველად დაესწრო საკათალიკოზო საბჭოს სხდომას და

ზემოთხსენებულ სასულიერო პირებს მღვდელმსახურების უფლება აღუდგინა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ურთიერთობანი საკათალიკოზო საბჭოში. ჟურნალი აცხადებდა: „23 მაისს საკათალიკოზო საბჭო რვა წევრმა (12-დან) შეიტანა პროტესტი იმ თვითნებობის შესახებ, რომელიც გამეფებულია საბჭოში კათალიკოსის მიერ“.¹⁵ ჟურნალში დაბეჭდილი მოხსენება¹⁶ არის საშინელი ცილისწამებისა და თავხედობის ნიმუში, რომლის ავტორები უწმიდესი კირიონს ბრალს სდებდნენ საეკლესიო მართვა-გამგეობაში აბსოლუტიზმისა და მონარქიზმის დამყარებაში, მათი აზრით, კათალიკოზ-პატრიარქს არ ჰქონდა უფლება სასულიერო სასწავლებლების ავტონომიაში ჩარევისა, მღვდელმონაზონ მირიანის კურთხევისა, ტიმოთე ბაკურაძის მღვდლად კურთხევისა, ისინი საყვედურობდნენ უწმიდეს კირიონ II საკათალიკოზო საბჭოს დაუკითხავად საბჭოს წევრებს აძლევს შენიშვნას, რომ ეკლესიისათვის „თავდადებული ადამიანი დავით დავიდოვ-დავითაშვილი არ აირჩია საკათალიკოზოს კანცელარიის მდივნად, რომ ის თავისი სურვილით აჯილდოებს სასულიერო პირებს ჩვენგან დაუკითხავადო.

თუ კარგად დავაკვირდებით უწმიდესი კირიონ II მიმართ ჟურნალში წამოყენებულ ბრალდებებს, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს კათალიკოზ-პატრიარქის წინააღმდეგ მოწყობილ ორგანიზებულ შეთქმულებასთან, როგორ შეიძლება კათალიკოზ-პატრიარქს აუკრძალო მღვდელმონაზონის, არქიმანდრიტის და დიაკონის მღვდლის ხარისხში აყვანა? რატომ ეჯავრებოდათ ჟურნალის ავტორებს მირიან ბერი? იმიტომ, რომ მას რამდენჯერმე იხსნა კირიონ II დიდი განსაცდელისაგან. ხოლო ტიმოთე ბაკურაძე იყო კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი არჩევნებამდე. იგი დაუდგომელი ბუნების კაცი იყო და ხელმძღვანელობდა ე.წ. „დიაკონთა“ მოძრაობას, რომელიც 1916-17 წლებში გაიშალა საქართველოში და მიმართული იყო მღვდლების უფლებების შეზღუდვისაკენ. უწმიდესმა კირიონ II ტიმოთე ბაკურაძეს მღვდლად კურთხევით, სავსებით სწორად დიაკონთა ამ საშიშ მოძრაობას, რომელიც ანარქიას უქადდა ეკლესიას, გამოაცალა იდეური ხელმძღვანელი. რაც შეეხება დავით დავიდოვ-დავითაშვილის პიროვნებას, იგი იყო ეგზარქოსების ჯაშუში, ურწმუნო ადამიანი, რომელიც დასცინოდა სასულიერო წოდებას, მისთვის არ არსებობდა იერარქიული მორჩილება, ამიტომ კათალიკოზ კირიონ II უარი მისთვის საკათალიკოზო კანცელარიის მდივნობაზე სავსებით სწორი იყო, თუმცა იგი უადგილოდ არ დარჩენილა. ჯერ თბილისის სამიტროპოლიტოს კანცელარიას განაგებდა, ხოლო კირიონ II მუხანათური მკვლევლების შემდეგ საკათალიკოზოს კანცელარიას. თანამშრომლობდა „ჩეკასთან“, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს დროს გადაასახლეს კიდევ, თითიც მოაჭრეს გადა-

სახლებაში. იმდროინდელ საზოგადოებაში მუსირებდა ის აზრი, რომ დავით დავი-
ლოვ-დავითაშვილს კავშირი ჰქონდა კირიონ II მკვლელობასთან მარტყოფის მონას-
ტერში.

ასევე ტენდენციურობით გამოირჩეოდა ჟურნალში დაბეჭდილი მასალა, რომე-
ლიც ავტოკეფალიის ერთი წლისთავს ეძღვნებოდა. სტატიის ავტორის აზრით,
„ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა დაგვირგვინდა იმით, რომ ეგზარქოსის კარე-
ტით იმის მაგივრად კათალიკოზი დასეირნობს ხოლმე თბილისის ქუჩებში... ერთ-
ერთი კათედრიდან ექსორია ვუყავით ერთ ეპისკოპოსს და მის ადგილზედ დავსვით
იმაზე ბევრად უმდარესი“.¹⁸ სტატიის ავტორი გულისხმობდა იმერეთის ყოფილ
ეპისკოპოსს გიორგი ალადაშვილს, რომელიც ავტოკეფალიის აღდგენის დროს ეგ-
ზარქოს პლატონის ინტერესებს იცავდა და ამიტომ სავსებით კანონიერად ეკლე-
სიის მართვა-გამგეობის დროებითმა კომიტეტმა გადააყენა თანამდებობიდან. რაც
შეეხებოდა მის შემცველ მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძეს, თუ ის ამ თანამდე-
ბობისათვის შეუფერებელი იყო, რატომ გაგზავნეს პეტერბურგში დროებით მთა-
ვრობასთან მოლაპარაკებისათვის, როგორც საქართველოს ეკლესიის დელეგაციის
მეთაური? ნუთუ არ სცხვენოდა უსახელო სტატიის ანონიმ ავტორს, როცა კათა-
ლიკოზ-პატრიარქ კირიონ II რუსეთის სინოდის ერთგულ მოხელეს უწოდებდა.¹⁸
რუსეთის სინოდის ერთგული სამსახურისათვის არ გადაასახლებდნენ კირიონს სა-
ნაქსარიის უდაბნოში ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. რა შეიძლება
ვუწოდოთ თუ არა ანარქიისაკენ მოწოდება ჟურნალის სტატიას, სადაც პირდაპირ
მოუწოდებენ მორწმუნე საზოგადოებას, სამღვდელოებას, არ დაემორჩილონ კათა-
ლიკოზ კირიონ II.¹⁹ ჟურნალის კორესპონდენტები ცდილობდნენ კათალიკოზ-
პატრიარქი კირიონ II საზოგადოების თვალში დაახასიათონ, როგორც უწიგნური,
საეკლესიო ხუცურის უცოდინარი პიროვნება, „მირიანის კურთხევას დავესწარი
დიდ ხუთშაბათს – წერდა გრ. ხერხეულიძე – მწირველი ბრძანდებოდა კათალი-
კოზი. თავის დროზე მოართვეს წიგნი, რომ წაეკითხა შესაფერისი, მირონის სა-
კურთხი ლოცვები... ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, როცა ვხედავდი და მესმოდა,
თუ როგორ ბორძიკობდა ყოველ სიტყვაზე პატრიარქ-კათალიკოზი, როგორ ჩერდე-
ბოდა სიტყვების ამოსაკითხავად და ბოლოს მრავალს მათგანს მაინც გადამახინჯე-
ბულ გადასხვაფერებულად ამბობდა“.²⁰ კათალიკოზი კირიონ II იყო გამოჩენილი
მეცნიერი, მის ნაშრომებს პატივს სცემდნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ალექ-
სანდრე ცაგარელი, ალ. ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე და ასეთი ფართო დიაპაზო-
ნის მკვლევარ-ღვთისმეტყველი სახარების ტექსტს ვერ კითხულობდა? ეს ხომ ამ-
კარა ცილისწამება იყო.

ცილისწამების კულმინაცია იყო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია „კირიონ კათალიკოზის წირვა და სიონის წაბილწვა“.²¹ სტატიის ავტორი, რომელიც ჯაჭვადის ფსევდონიმს იყო ამოფარებული, კატეგორიულად სვამდა საკითხს „დრო არის, კათალიკოზის თვითნებობას და თავგასულობას ბოლო მოეღოს. მან საკმარისად შეგვარცხვინა მთელ ქვეყანაზე“.²² ავტოკეფალიისათვის მედგარი მებრძოლი, ზნეობრივი და სულიერი სიკეთის განსახიერება უწმიდესი კირიონი, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ ევროპაშიც, შემარცხვენელი კი არა, საამაყო იყო საქართველოს ეკლესიისათვის, მრევლისა და საზოგადოებისათვის. შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ჟურნალის მიზანმიმართულმა ცილისმწამებლურმა, შეურაცხმყოფელმა სტატიებმა გარკვეულად იდეურად შეამზადეს ნიადაგი, რათა საქართველოს ეკლესიის მტრებს 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში ვერაგულად მოეკლათ კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II. ჟურნალში მხოლოდ ორი სიტყვით იყო გამოცხადებული, რომ კირიონ II გარდაიცვალა და იმავე ნომერში ახალ საკათალიკოზო კანდიდატზე დაიწყო მსჯელობა. გაზეთის რედაქცია მკრეხელობას სჩადიოდა, როცა დასცინოდა 1918 წლის 7 ივლისს სიონის საპატრიარქო ტაძარში დეკანოზ ნიკიტა თალაკვადის ბრწყინვალე სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა განსვენებული კირიონ კათალიკოზის წესის აგებაზე. ჟურნალი ავითარებდა იმ მცდარ აზრს, თითქოს კათალიკოზმა „თავი მოიკლაო“. მაშინ, როცა იმთავითვე ცნობილი იყო, რომ კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II მოკლულ იქნა წინასწარი განზრახვით და რომ მკვლელები შენიღბული მოქმედებისდა მიუხედავად, საზოგადოებისათვის იმთავითვე ცნობილი იყო.

ჟურნალი „ახალი სიტყვა“ არა მარტო კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ებრძოდა, არამედ მის მომხრეებსაც. ცილისწამებას, შეურაცხყოფას, ჟურნალის ფურცლებზე ვერ გადაურჩნენ ვერც ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე და დეკანოზი ნიკიტა თალაკვადე. ჯერ იყო და ჟურნალში დაიბეჭდა ინფორმაცია, თითქოს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი თავს ანებებდა ეპარქიას და მონასტერში მიდიოდა საცხოვრებლად.²³ ცილისწამებით აღშფოთებული ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი ჟურნალის რედაქციისგან მოითხოვს „ჭინჭრის“ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ვინაობის გამჟღავნებას და პირდაპირ პოლემიკას. ჟურნალი მას მარტის ავტოკეფალისტს უწოდებდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ეპისკოპოსი ანტონი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. რაც შეეხება მარტის ხსენებას, ფაქტია, რომ 1917 წლის 9 მარტს (ძვ. სტილით ს.ვ.) დეკანოზ ნიკიტა თალაკვადის ბინაზე ნამდვილად შედგა

საიდუმლო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ნოე ჟორდანი, სოსიკო მერკვილაძე, ალექსანდრე ლომთათიძე და ანტონ გიორგაძე. აქ გადაწყდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მომხდარიყო 12(25) მარტს სვეტიცხოველში. აქვე შეიმუშავეს დამოუკიდებლობის აქტი. ამიტომ ანტონ გიორგაძის ეგზარქოს პლატონის მომხრედ გამოცხადება იყო მიზანმიმართული ცილისწამება.

რაც შეეხებოდა დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს, ჟურნალის რედაქცია მას ადანაშაულებდა საკათალიკოზო საბჭოში კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II აქტიურ მხარდაჭერასა და მისი გარდაცვალების შემდეგ საკათალიკოზო საბჭოს წევრების ცილისწამებაში. რაც ასევე არ შეეფერებოდა სინამდვილეს.

ჟურნალი არაფერს ამბობდა, რა ბედი ეწიათ საკათალიკოზო საბჭოსა და სამღვდელოების იმ წარმომადგენლებს, რომელნიც ერთგულად მხარში ედგნენ კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II. მარტყოფში მტარველის ხელით მხეცურად მოკლული კირიონ კათალიკოზის შემდეგ, 1918 წლის 18 სექტემბერს მოწამლეს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი, რომელსაც მტრებისგან მოსყიდულმა საკუთარმა სიძემ გვარად რედიგერმა ვერცხლისწყლი შეურია საჭმელში. ასევე მოკლეს 1918 წლის შემოდგომაზე მცხეთაში მირიან არქიმანდრიტი. საკუთარი სახლის წინ უცნობმა პირებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ძღველი ტიმოთე ბაკურაძე. საკათალიკოზო საბჭოდან გააძევეს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე...

ჟურნალი „ახალი სიტყვა“ უფრო მეტ პატივისცემას ამჟღავნებდა თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდისა და მისი მომხრეების მიმართ. ჟურნალი 1918 წლის პირველ ნომერში იტყობინებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში 14(27) იანვარს წმ. ნინოს ხსენების დღის სადღესასწაულო წირვის შესახებ, სადაც „მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა მიტროპოლიტმა ლეონიდმა“.²⁴ ხოლო კათალიკოზ-პატრიარქმა შესაფერისი სიტყვა თქვაო. როგორც სჩანს, ჟურნალის რედაქციას თვით უგრძნობია ეს და იმ აზრების საწინააღმდეგოდ, რომ ჟურნალი თბილელი მიტროპოლიტის ინტერესების გამომხატველია, აცხადებდა, რომ „მიტროპოლიტ ლეონიდს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა და არ აქვს ჩვენს ჟურნალთან. თვინიერ იმისა, რომ ის ერთი ხელმომწერთაგანია“.²⁵ ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, რათა საეკლესიო კრების მოუწვევლად კათალიკოზის ტახტზე აეყვანათ თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი. ამ მიზნით, არაერთი სტატია დაიბეჭდა, სადაც ავტორები მოითხოვდნენ შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ მომხდარიყო ლეონიდის კათალიკოზ-პატრიარქად კურთხევა.

საკათალიკოზო საბჭომ 1918 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე მიიღო ასეთი გა-

დაწყვეტილება და მოსთხოვა ეპარქიებს წერილობითი სახით გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, ეპარქიების უმრავლესობამ გაიზიარა ეს თვალსაზრისი, თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა იმ აზრმა, რომელიც კრების გარეშე კათალიკოზ-პატრიარქად მიტროპოლიტ ლეონიდის კურთხევას უჭერდა მხარს.

ჟურნალში იბეჭდებოდა არაერთი სტატია, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის შიდა პრობლემებს. მაგალითად, ჯილდოების საკითხზე, ჟურნალის კორესპონდენტ ივანე ნაჭყებიას აზრით, გასაუქმებელი იყო „დეკანოზის“, „ილუმენის“, „ბლალოჩინის“, „არქიმანდრიტის“ ხარისხი. 1920 წლის საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებამ ზუსტად განსაზღვრა, ვინ შეიძლება ყოფილიყო არქიმანდრიტი, ვინ დეკანოზი, დებულებამ მღვდელმთავრების გარდა, სასულიერო პირებს აუკრძალა მიტრის ტარების უფლება. ჯერ კიდევ თბილელ მიტროპოლიტად ყოფნის დროს, ლეონიდს „პრინციპიალურად არასასურველად მიაჩნდა“ ყოველგვარი ჯილდოები, როგორც მეფის რუსეთის ხელისუფლების გავლენის გამოხატულება, ამიტომ მისი მამადმთავრობის დროს გაუქმდა ყველა სახის ჯილდო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხებს. ჟურნალის რედაქცია გრძნობდა საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემებს და აღნიშნავდა: „სამშობლო განსაცდელშია, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურა და თვით არსებობაც კი გადასავარდნზეა შემდგარი“.²⁶ ჟურნალის რედაქცია გრძნობდა ახალი რესპუბლიკა ეს ამიერკავკასიის ფედერაციის სახით იქნებოდა, თუ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა გარდაუვალი იყო, ამიტომ აუცილებელი ღონისძიებანი დაუყოვნებლივ უნდა გატარებულიყო. ჟურნალის აზრით, ამ გამოყოფით მოხდებოდა: 1) სამღვდელოების შემადგენლობის განწმენდა-დასუფთავება იმ არასასულიერო და ანტიეკლესიური ელემენტებისაგან, რომელიც ამ წრეში შემორიყა გაბატონებულმა სახელმწიფომ და 2) თავისუფალი ეკლესიის სამღვდელოების საზღვარგარეთისებურად ქონებრივი უზრუნველყოფა“.²⁷ სამწუხაროდ, არ გამართლდა ჟურნალის რედაქციის ვარაუდი. მართალია, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ეკლესია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან გამოყო, მაგრამ ეს გამოყოფა მოხდა რევოლუციურად, ეკლესიას ჩამოართვეს საეკლესიო ქონება: მიწები, სასულიერო სასწავლებლები. ფაქტობრივად გაძარცვეს იგი. ამის შესახებ კათალიკოზ-პატრიარქმა, უწმიდესმა ლეონიდმა არაერთხელ მიმართა ნ.

ჟორდანას, მაგრამ მთავრობის მეთაურის დახმარება სიტყვიერ დაპირებას არ გასცდენია. ჟურნალი ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებულ „კანონპროექტს სასწავლებლებიდან სასულიერო პირთა განდევნის შესახებ“. მისი მართებული შენიშვნით „განვლენ დრონი. დღეს ზნეობრივად აწეწილი და პარტიებად დაქსაქსული ერი გონს მოვა და ჩვენშიაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, ასეთი მდგომარეობის შემდეგ შეიგნებენ ნამდვილ სამღვდელთა დიად ფასსა და მნიშვნელობას“.²⁸

ჟურნალში დაიბეჭდა საყურადღებო წერილები საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ეპარქიის მღვდელმთავრების, უფლებამოსილების შესახებ. რედაქციის აზრით, კათალიკოზ-პატრიარქი არის პირველი თანასწორთა შორის და არა უპირატესი. საქართველოს ეკლესიაში ასე იყო 1927 წლამდე, ვიდრე ამ აზრების გამტარებელი თვითონ არ გახდა კათალიკოზ-პატრიარქი და არ მიიღო გადაწყვეტილება ეკლესიის კოლექტიური მართვა-გამგეობის ორგანოს საკათალიკოზო საბჭოს გაუქმების შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ჟურნალმა „სვეტიცხოველმა“, რომელიც სრულიად საქართველოს საკათალიკოზოს ოფიციალური ორგანო იყო. დიდი როლი შეასრულა ავტოკეფალიადადგენილი ქართული ეკლესიის როლის საზოგადოებაში გაცნობიერების თვალსაზრისით. რაც შეეხებოდა ოპოზიციურ ჟურნალ „ახალ სიტყვას“, ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში ფსევდონიმებს ამოფარებულნი მიტრ. ლეონიდი, მღვდელი ილია შუბლაძე, დავით კაჭახიძე, ივანე ნაჭყებია, ქრისტეფორე ციციშვილი, დავით დავითაშვილი და სხვები სამწუხაროდ, ტენდენციურად აშუქებდნენ საქართველოს ეკლესიის, საკათალიკოზო საბჭოსა და კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს. ტენდენციურობა ზოგჯერ პირად შეურაცხყოფასა და ზღვარსგადაცილებულ თავხედობაში გადადიოდა, რაც საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტს ვნებდა. „ახალი სიტყვის“ წარმომადგენლები მართალია, მომავალში ჟურნალს ვეღარ სცემდნენ, მაგრამ კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისაც დაუპირისპირდნენ. ეს ჯგუფი საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის ლოზუნგით გამოდიოდა. მათ საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით სრული განადგურებისაგან იხსნეს ეკლესია, მაგრამ მას დაუკარგეს თავდადებული მრევლის თანადგომა და დიდი სულიერება.

k a r i I I

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1932 წლებში

თ ა ვ ი I

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში /1921-27წ.წ./

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებელი სახელმწიფო აღარ არსებობდა. საოკუპაციო ხელისუფლება ანუ საქართველოს რევკომში მართალია ქართველი ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ ისინი ასრულებდნენ რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების სურვილებს. საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიწყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამომხატველი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროება.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. დადგენილების მუხლებში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ თითოეული პიროვნების საქმეა იწამოს ან არ იწამოს ესა თუ ის რელიგია, რომ სარწმუნოება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდა არავის, სკოლა გამოყოფილია ეკლესიისგან, საერო სასწავლებლებში იკრძალებოდა საღვთო სჯულის სწავლება. განსაკუთრებით საგანგაშო იყო დადგენილების მე-14 და მე-15 მუხლები. „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“.¹ ამ დეკრეტით ფაქტიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ ცხადდებოდა. ბოლშევიკები არ მალავდნენ ეკლესიისადმი თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას, ისინი რელიგიას „ხალხის ოპიუმს“ უწოდებდნენ და ხაზგასმით აღნიშნავდნენ: საზოგადოება რაც მალე გათავისუფლდებოდა ამ „სენისაგან“, მით უკეთესი. თბილისში გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა, ქალაქში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. მისი მსხვერპლი გახდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი (ოქროპირიძე), რომელიც იყო თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწე. იგი სამართლიანად აღნიშნავდა: „ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ განვლო ქართველი ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე... სამშობლოს

კეთილდღეობას ვანაცვალე ყველა ის, რითაც კი საამო და სანეტაროა სხვისთვის წუთისოფელი“.² 11 ივნისს გარდაცვლილი პატრიარქის ნეშტი 17 ივნისს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. რა დრო მოვიდა, სწორედ ის ხალხი იყო ხელისუფლების სათავეში, რომელთა შესახებაც უწმიდესი ლეონიდი ბრძანებდა: „სიყვარული პირველად ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარეშესი და არა შინაურისა ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი და გადაბრუნებული ტანისამოსით პამპულობას, ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამ გვარის მანკიერ შვილთაგან“.³ ეპისკოპოსმა პიროსმა საქართველოს რევეკომს ასეთი დეპეშა გაუგზავნა: საკათალიკოზო საბჭო გაცნობებთ, რომ მიმდინარე თვის 11 ნაშუადღევს, 5 საათზე ღვთივემიცვალა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი. დაკრძალვა მისი გვამისა დანიშნულია კვირას 17 ივლისს სიონში“. მისი დაკრძალვა არ მომხდარა დიდი ამბით, ვერავინ ვერ გაბედა ღირსეული სიტყვით უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა მამულისათვის ღამშვრალი. ზაქარია ჭიჭინაძეს მოუშადავია გამოსათხოვარი სიტყვა, მაგრამ წაკითხვა ვერ მოუხერხებია, მისი აზრით „ლეონიდი იყო საქართველოს ეკლესიის მამამთავარი და თავი, იგი იყო ღირსეული მამულიშვილი, ქართველი პატრიოტი და ყველა ამასთან უღრმესი მოქალაქე და გულშემატკივარი საქართველოსი... კირიონი და ლეონიდი ქართულ ეკლესიას ანათებდნენ ცხოველსმყოფელი შუქით“.⁴

უწმინდესი ლეონიდის დაკრძალვამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს დამკრძალავ კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე ასათიანი და ნიკიტა თალაკვაძე, მიმართა თხოვნით დავით ოქროპირიძემ და მარიამ კარიჭაშვილმა, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ უწმიდესი ლეონიდის ნეშტი დაეკრძალათ შიო მღვიმის მონასტერში, მაგრამ კომისიამ ეს აზრი არ გაიზიარა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ გამოარჩია ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრება გაიმართა 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში. კრებაზე არჩეულ იყო 212 დელეგატი ხმის უფლებით.

კრების პრეზიდიუმი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპოსი პიროსი, მოქალაქენი – დავით ნიჟარაძე, რაფიელ ივანიცკი.

სამდივნო: დეკანოზი ერასტი თუთბერიძე, გიორგი ინაშვილი, ეპიფანე გაოშვილი, ნაუმ შავიანიძე.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბადოსათვის საქართველოში შექმნილ ურთულეს ვითარებაში თანამიმდევრული პრინციპული საქმიანობის გამო გამოეცხადოს მადლობა და სრული მხარდაჭერა.

კრების მონაწილეები ერთსულოვნად დაეთანხმნენ იურდიული კომისიის დასკვნას ბოლშევიკური მთავრობის 1921 წლის 5 აპრილის №21 დეკრეტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იურდიული პირის უფლებას ართმევდა “ვერცერთი წესი და პირობა საეკლესიო ცხოვრების გასაუმჯობესებლად ვერ განხორციელდება თუ ეს დეკრეტი არ გაუქმდება”⁵ – ნათქვამი იყო კრების დასკვნაში. საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება ოფიციალურად მიემართათ ხელისუფლებისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურდიულ პირად ცნობის შესახებ. კრების მონაწილეთა აზრით “ეს არამც თუ ეწინააღმდეგება დეკრეტის დებულებას სინდისის თავისუფლების შესახებ, არამედ უნდა ჩაითვალოს აუცილებელი პირობად ამ თავისუფლების დასაცავად. ხელისუფლების მიერ ამ სამართლიანი მოთხოვნის უარყოფა მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია გამოეცხადებულა დევნილ სარწმუნეობად და ეს გარემოება ეცნობა ყველა მორწმუნეთ”⁶. საეკლესიო კრებაზე დაისვა საკითხი სასულიერო წოდების ნივთიერად უზრუნველყოფის, საკათალიკოზო საბჭოს დაწესებულებათა მოსამსახურების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. იმ დროს, როცა ხელისუფლებამ ეკლესიას ჩამოართავა ქონება იგი უმძიმეს ვითარებაში მოექცა.

საეკლესიო კრებაზე მადლობა გამოუცხადეს იმ სასულიერო პირებს, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს და არ გაატანეს საეკლესიო განძი მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს უცხოეთში.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ურბნისის ეპარქიაში ეპისკოპოსის არჩევის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ გამოინახება მისი და ეპარქიის კანცელარიის შესანახი ხარჯები.

კრებამ იმსჯელა განსვენებული კათალიკოზ-პატრიარქის ლეონიდის შესახებ და დაადგინა: “ნეტარხსენებულის კათალიკოზ-პატრიარქის ლეონიდის მხნე, მამაცური და მკვეთრი წერილობითი და სიტყვიერი პროტესტები ყოფილი მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი დაიბეჭდოს და დაურიგდეს ხალხს. თბილისის სასულიერო სასწავლებელს დაერქვას მისი სახელი”⁷.

საეკლესიო კრების ერთ-ერთი პრობლემური საკითხი იყო ეპარქიების საკითხი. კრებამ დაადგინა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის აღდგენა. ავადმყოფობის გამო მიტროპოლიტი გიორგი ალადაშვილი განთავისუფლებულ იქნა ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქრისტიანობის განმტკიცების აუცილებლობაზე ცხუმ-აფხაზეთისა და ზაქათალის ოლქზე.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისში სამოძღვრო სემინარიის გახსნის, ბავშვებისათვის საღვთო სჯულის სწავლების შესახებ.

საეკლესიო კრებამ მადლობა გამოუცხადა წალენჯიხის ეკლესიის მონაზონს მართას იმ თავგანწირული მოქმედებისთვის, რომელიც მან გამოიჩინა ეკლესიიდან განძის გატანის მცდელობისას.

კრებამ მძაფრი პროტესტი გამოხატა ჩხორთოლის ეკლესიიდან რევეკომის წარმომადგენლის მიერ სასწაულმოქმედი წმიდა გიორგის ხატის თავის ბინაზე წაღების შესახებ. “წინადადება მიეცეს საკათალიკოზო საბჭოს – აღნიშნული იყო დადგენილებაში – მოახდინოს სათანადო განკარგულება რათა სასწაულმოქმედი ხატები არავის მიერ არ იქნას ადგილიდან დაძრულნი ეპარქიის მღვდელმთავარის ნებართვის გარეშე”.⁸

კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი: 1. სასულიერო პირთა დაჯილდოების აღდგენის; 2. ჩხარისა და ლელვანის სამრევლოს შექმნის; 3. გრიგოლ ფერაძის უცხოეთში სასწრაფოდ გაგზავნის შესახებ.

კრებამ დაადგინა: “მიღებულ იქნას სავალდებულოდ მუდმივი მღვდლისგან ანაფორის ტარება”.⁹ უღირს სასულიერო პირთა ეკლესიიდან გაძევება, სასულიერო კრებულის წევრთა დისციპლინის განმტკიცების შესახებ. იმ დროს როცა ქვეყანაში საგანგებო ვითარება შეიქმნა მხოლოდ დისციპლინით, სიწმინდით და ერთიანობით შეიძლებოდა ეკლესიის ინტერესების დაცვა.

კრებაზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებზე კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი: ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა). არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა ჭყონდიდელ-ბედიელ მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია). ამბროსი ხელაიამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს იერარქად ამაღლებაზე ცხოვრების დიდი გზა განვლო. დაიბადა 1861 წლის 7 ოქტომბერს. 1871-73 წლებში სწავლობდა ოჩამჩირის ერთკლასიან სკოლაში, 1873-79 წლებში – მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, 1879-1885 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში ამ დროს სასტიკი ანტიქართული სულისკვეთება მძვინვარებდა. რექტორ ჩუდეცკის და საქართველოს ეგზარქოს პავლეს წყალობით, მა-

გრამ სამაგიეროდ, იმდროინდელ თბილისში მოღვაწეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კორიფენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი. თბილისში გამოდიოდა: „ივერია“, „დროება“, რომელნიც სისტემატურად აშუქებდა ქართველი ერის საჭირობო პრობლემებს. ამ სულისკვეთებაზე აღიზარდა მომავალი დიდი საეკლესიო მოღვაწე, 1879-1901 წლებში ამბროსი ხელაია სწავლობდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში. მასთან ერთად სწავლობდნენ ექვთიმე კაჭახიძე (მიტროპოლიტი დავითი), მიხეილ ფხალაძე (მელქისედეკ III კათალიკოზი), სერგი გორგაძე (ისტორიკოსი), იპოლიტე ვართაგავა (მწერალი და კრიტიკოსი). ამ უკანასკნელის მოგონებიდან ჩანს, რომ ყაზანის სასულიერო აკადემიაშიც ქართველი სტუდენტები ხშირად მსჯელობდნენ საქართველოს მომავლის პრობლემებზე, ბესარიონ ხელაია (ამბროსი) ყველაფრის საქმის კურსში იყო და ხშირად სტუდენტთა ქართულ წრეში არაერთი საინტერესო რეფერატი წაუკითხავს საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. ერთხანს ბესარიონი ხელაია მუშაობდა სოჭში, სოხუმში, როგორც მოძღვარი. 1899 წელს იგი ბერად აღიკვეცა და სახელად ეწოდა ამბროსი. 1902 წელს გამწესებული იქნა რაჭაში ჭელიშის უდაბნოს წინამძღვრად. სწორედ აქ აღმოაჩინა და საინტერესო გამოკვლევა დაურთო ქართლის ცხოვრების მანამდე უცნობ ნუსხას, რომელიც ამჟამად ქართლის ცხოვრების ჭელიშურ ვარიანტად არის ცნობილი.¹⁰ 1904 წელს დაინიშნა უსტმედვედსკის (დონბასი) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, ხოლო 1906 წელს უწმინდესი სინოდის საქართველოს კანტორის წევრად, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად (დავით გარეჯი). არქიმანდრიტი ამბროსი კირიონთან, ლეონიდთან, კალისტრატესთან ერთად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ერთ-ერთი მოთავეთაგანი იყო.

1909 წლის 28 მაისს თბილისში მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ეგზარქოსის მკვლელობა ქართველ ავტოკეფალისტებს დააბრალა და მათ წინააღმდეგ ფართო სადამსჯელო რეპრესიული ზომები მიიღო, არქიმანდრიტი ამბროსი გადაასახლეს რიაზანის სამების მონასტერში მღვდელმოქმედების აკრძალვით. 1910-1917 წლებში გადასახლებულ იყო ნოვგოროდის გუბერნიის სტარაია რუსას მონასტერში. თებერვლის გადატრიალების შემდეგ ბრუნდება საქართველოში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის საქმიანობაში. არქიმანდრიტი ამბროსი ეპისკოპოს ანტონ გიორგაძესთან და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციის მოლაპარაკებებში, რომელიც 1917 წლის 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე

მიმდინარეობდა პეტერბურგში სინოდის ობერპროკურორ ლვოვთან, მის მოადგილე კარტაშევთან. მთავრობის თავმჯდომარე კერენსკისთან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობაზე და მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცებაზე 1917 წლის 15 ოქტომბერს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტი ამბროსი აყვანილ იქნა ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ხარისხში, იმავე დღეს მას მიანიჭეს მიტროპოლიტის პატივი. ეპისკოპოსი ამბროსი, როგორც გამოცდილი და მებრძოლი ადამიანი, 1919 წლის 28 ოქტომბრიდან ცხუმ-ბედიელია. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის წმინდა სინოდს არ სურდა დაეთმო რუსული მრევლი და ეკლესიები საქართველოში. მაგალითად, სოხუმის რუსი ეპისკოპოსი სერგი, კვლავ რუსეთის სინოდს ემორჩილებოდა, ეს კი საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალურ ავტოკეფალიის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. მიტროპოლიტმა ამბროსიმ ამ რთულ ეპარქიაში მოაგვარა საქმეები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების სასარგებლოდ.¹¹

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ესოდენ რთულ დროს ჩაუდგა სათავეში მიტროპოლიტი ამბროსი ჩვენს ეკლესიას. 1921 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოხდა ამბროსი ხელაიას სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად კურთხევა. წინა დღეს 13 ოქტომბერს არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი აყვანილ იქნა ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოსის ხარისხში. აღსაყდრებაზე უწმიდეს ამბროსის სიტყვებით მიმართეს მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა), ეპისკოპოსმა პიროსმა (ოქროპირიძე), ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათალიკოზის გეგორქ V წარმომადგენელმა ხუციევემა. წირვაზე იყვნენ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი გერმანიისა და იტალიის მისიის ხელმძღვანელები“.¹²

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ახალი ურწმუნო ხელისუფლებისათვის. ამ დროს საქართველოში მოქმედი იყო 1450 ეკლესია, 25 მონასტერი, ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600 კაცი“.¹³ როგორც უკვე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში ეკლესია კანონგარეშე გამოაცხადა, ასეთ რთულ პირობებში საჭირო იყო გარკვეული სიფრთხილეც და თავდადებაც. უწმიდესი ამბროსი და საკათალიკოზო საბჭო თვლიდნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში საჭირო იყო გარკვეული რეფორმები. ჯერ კიდევ 1919 წელს საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა მღვდელმთავრებმა დააყენეს საკითხი ეპარქიალური საბჭოების გაუქმების შესახებ და მიაღწიეს კიდევ. II საეკლესიო კრებამ, რომელიც 1920 წლის ივნისში გაიმართა, დაადგინა

საეპარქიო საბჭოების გაუქმება, დატოვა საეპარქიო სასამართლოები, გააუქმა საკათალიკოზო სასამართლოც. იგი შეუერთეს საკათალიკოზო საბჭოს.¹⁴ უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო გარკვეული რეორგანიზაცია, რეფორმების გაგრძელება, რომელიც არ შეეხებოდა მართლმადიდებლური დოგმატიკის საკითხებს.

1922 წლის 19 ოქტომბერს საკათალიკოზო საბჭო შეიკრიბა ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების განსახილველად. სხდომაზე აღინიშნა, რომ გასული ხუთი წელი საქართველოს ეკლესიამ მოანდომა თვითგამორკვევის, მმართველ ორგანოთა შექმნის, დამოუკიდებლობის გამაგრებას და შინაგანი ცხოვრების ისეთი მხარეების მოწესრიგებას, რომელიც მნიშვნელოვანია საეკლესიო ერთიანობისათვის. „მრავალი, უმეტეს შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისათვის უჩინარი დაბრკოლება ელობოდა ჩვენს ეკლესიას შემოქმედებითი მუშაობის დროს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური კურსის, ორიენტაციის და ხელისუფლების ცვალებადობაში ეკლესიას წინ ედგა საფრთხე, არანაკლებ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორიის განუსაზღვრელობა, რესპუბლიკის განაპირა ნაწილების უფლებათა საკითხი და სხვ.“¹⁵ მართალია, არანაკლებ რთული პირობები იყო შექმნილი ბოლშევიკების მმართველობის პირობებში, მაგრამ საკათალიკოზო საბჭო აუცილებლად მიიჩნევდა, რომ „1. ცნობილ იქნას პრინციპიალურად, რომ საქართველოს ეკლესიას ესაჭიროება შეიტანოს თავის წყობილებაში თანამედროვე ცხოვრების შესაფერისი ცვლილებანი. და ამ ცვლილებათა ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარებისათვის მას შესწევს საკუთარი ძალ-ღონე. 2. ცნობილ იქნას სასურველად, რომ ეს ცვლილებანი მოხდეს სამღვდელთაგან და მორწმუნე ერის მონაწილეობით. 3. დაევალოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს დაუყოვნებლივ მოახდინონ განკარგულება ოლქებში თუ რაიონებში ცვლილებათა დამმუშავებელი კომისიების არჩევის შესახებ“.¹⁶ საკათალიკოზო საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, უწმიდესი ამბროსი, ქუთათელი-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი, ჭყონდიდელ-შემოქმედელი მიტროპოლიტი დავითი, ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოსი იოანე, ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე, დეკანოზები კ. ცინცაძე, მ. ტყემალაძე, პროფ. კ. კეკელიძე და ივ. რატიშვილი.

საქართველოში მიმდინარე რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო აიძულა სხვა მმართველებით წარემართა თავისი საქმიანობა. ბოლშევიკური ხელისუფლება თანდათან ზღუდავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, ართმევდა მას ისტორიულ მიწა-წყალს და “მოდმე” ქვეყნებს აძლევდა. მართალია, ისინი აცხა-

დებდნენ, რომ საქართველო კვლავ დამოუკიდებელი ქვეყანააო, მაგრამ „საქართველოს ეს ფორმალური სუვერენიტეტი ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა 1921 წელსვე გაჩაღდა კამპანია ამიერკავკასიის სსრ რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისათვის, რაც 1922 წლის მარტში ამიერკავკასიის ფედერაციის, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა. ამ სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ კიდევ უფრო შეზღუდა საბჭოთა საქართველოს ისედაც მოჩვენებითი დამოუკიდებლობა“.¹⁷ ამას დაემატა პირველი მსოფლიო ომის შედეგად გაჩენილი ლტოლვილები, რუსეთში, ვოლგისპირეთში შიმშილის შედეგად საკუთარი მიწა-წყლიდან ნებაყოფლობით აყრილი ხალხი, თურქების მიერ დევნილი სომხობა, აზერბაიჯანელები, საოკუპაციო არმია. ყოველივე ამან საქართველოში გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა. ასეთ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ, უწმიდესმა და უნეტარესმა კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ ხმა აღიმალღეს უკანონობის, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მამულიშვილთა დევნა-შევიწროების გამო.

1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია, კონფერენციაზე ევროპის სახელმწიფოების გარდა, მიწვეული იყო ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა სოციალისტური რუსეთის მთავრობის დელეგაცია. უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ წერილით (მემორანდუმით) მიმართა კონფერენციის მონაწილეებს. საკათალიკოზო საბჭოს დავალებით საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმი გენუის კონფერენციისადმი მიმართული საზღვარგარეთ გაიტანა მღვდელმა იასონ კაპანაძემ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მემორანდუმმა კონფერენციის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მემორანდუმში უწმიდესი ამბროსი მოკლედ მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ძირითად ეტაპებს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანას 1918-21წწ. და ბოლშევიკური ხელისუფლების მტკიცების საწინააღმდეგოდ ახალ ხელისუფლებას უწოდებდა საოკუპაციო რეჟიმს. „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები. და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება“.¹⁸ პატრიარქი სინანულით დასძენდა, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც ახლა სოციალიზმის დროშით

ნათლავენ ქართველ ერს ფიზიკურ გადაშენებამდე და გახრწნამდე მიიყვანდა, რომ იღვენებოდა ჩვენი დიდებული წარსული, ეკლესია, სამღვდელოება იყო უკიდურესად დევნილი და უფლებააყრილი. უწმიდესი ამბროსი საერთაშორისო საზოგადოებისგან მოითხოვდა დახმარებოდნენ საქართველოს⁴⁹. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ-დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა მოტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება²⁰. კონფერენციაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა როცა ნ. ჟორდანიამ განაცხადა „მე მივიღე დეპეშა, რომელიც მაცნობებს, რომ საბჭოთა რუსეთის ჯარები აწარმოებენ სამხედრო მოქმედებას საქართველოს პროვინციებში სვანეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში. ამ დროს მეცხრე არმია იგზავნება ქუთაისიდან იმ მხარეში, რომელმაც 1921 წლის მიწურულში გარეკა ბოლშევიკები და აღადგინა დემოკრატიული წეს-წყობილება. დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში სისხლი იღვრება, ქვეყნის სხვა ნაწილებში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავედება. მოსალოდნელია უსაშინლესი კატასტროფა“²¹. მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია, როგორც კონფერენციის მონაწილე ბულუ მდივანმა შემდგომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე განაცხადა – კათალიკოზის სიტყვამ დიდი ვნება მოგვიტანა, რატომ სამართალში არ მივცემთ მასო, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ჩიჩერინმა კი კონფერენციის მონაწილეებს მოახსენა, რომ საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ბ. მდივანი და მას ჰკითხეთ, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ნ. ჟორდანიას მიერ მოყვანილი ფაქტებიო.

გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს სახელით უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მოწოდების სულისკვეთებას ეხმაურებოდა 1922 წლის მარტში უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის მიმართვა ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდებისადმი მიმართვის ავტორები აცხადებდნენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის, გამოთქვამდნენ იმედს საქართველო კვლავ დააღწევდა თავს რუსეთის მონობას და განაგრძობდა ოკუპანტების ტერორის პირობებში ჩახშობილ სამეცნიერო მუშაობას.

ბოლშევიკური ხელისუფლება გააცოფა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები-

ბის პირით გამოთქმულმა პროტესტმა და შეურიგებლობამ. თუ 1921 წელს ხალხს ხელი არ შეუშალეს 26 მაისის ზეიმის აღნიშვნაში, „1922 წლის 24 მაისს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, როცა ეროვნული დროშა ააფრიალეს, მთავრობამ სტუდენტებს ჯარი მიუსია, რომელთაც უნივერსიტეტს ალყა შემოარტყეს. ამ დროს უნივერსიტეტში რექტორი ივანე ჯავახიშვილი შემოვიდა და იკითხა, რა ხდებაო. „რუსულად ილაპარაკე“, იყო რუსი ჯარისკაცების პასუხი. ივანე ჯავახიშვილი და ანდრია რაზმაძეც დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს“.²²

საქართველოში გამომავალ ბოლშევიკურ გაზეთებში გაძლიერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანია. „ბნელეთის მოციქულები“, „საბჭოთა ხელისუფლების შეუნიღბავი მტრები“, ასე უწოდებდნენ სამღვდელოებს. მთავრობის სხდომაზეც არაერთხელ გაიჟღერა კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის სამართალში მიცემის საკითხმა. 1922 წლის 13 ივნისს „ჩეკას“ თანამშრომლები მივიდნენ საპატრიარქო რეზიდენციაში და იკითხეს, „სად არის კათალიკოზი? კოტე ცინცაძე იბარებსო“. კათალიკოზ-პატრიარქი ისე სწრაფად წაიყვანეს, რომ ნიკოლოზ თავდგირიძეს ხლებაც ვერ მოუსწრია. შექმნილ საგანგაშო ვითარებაში შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო, სადაც იყო მსჯელობა, როგორ მოქცეულიყვნენ. დრო გადიოდა და კათალიკოზის შესახებ ვერაფერი გაიგეს. ბოლოს გადაწყვიტეს სადილი გაეგზავნათ, მაგრამ არ მიიღეს. საკათალიკოზო საბჭოს წევრებს მოახსენეს, რომ კათალიკოზი მესამე განყოფილებაში იყო დაკითხვაზე, რომელიც საღამოს 20 საათამდე გაგრძელდა, შემდეგ კი კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი უკან დააბრუნეს.

14 ივნისს კვლავ შეიკრიბა საკათალიკოზო საბჭო, როგორც იმდროინდელი თანამედროვე დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე გადმოგვცემს: უწმიდესი ამბროსი სახეზე თითქოს განმკრთალი იყო, ეტყობოდა, რომ ამ ერთ დღეში დიდი სულიერი ტანჯვა გამოეწვია. „ჩეკაში“ უწმიდესი ამბროსი დაკითხა „ჩეკას“ თავმჯდომარემ კოტე ცინცაძემ. დაკითხვას ესწრებოდა მდივანი ქალბატონი, რომელიც იწერდა კათალიკოზ-პატრიარქის პასუხებს. კოტე ცინცაძეს აინტრესებდა კათალიკოზ-პატრიარქის გარდა, ვინ იღებდა მონაწილეობას გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შედგენაში. „ვინ მოგცათ უფლება ხალხის სახელით გამოსვლისა, ვინ ამოგირჩიათ თქვენ საქართველოს ოპიკუნად?“ უწმიდესი ამბროსის პასუხი იყო ღირსეული – ამომირჩია გელათაში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, მორწმუნე ქართველობისაგან შემოკრებილმა, შემოსილი ვარ იურიდიული და ზნეობრივი უფლებებით, როგორც მამამთავარი აღვიმალლო ხმა, როდესაც ჩემს ერს საქმე უჭირს, როდესაც ისეთი ვითარება იქმნება, რომელშიც შეუძლებელი ხდება ერის

რელიგიურ-ზნეობრივი სახის შენარჩუნება, როდესაც ერს ერთმევა საშუალება თავისუფალ მოქალაქეობისა“. კოტე ცინცაძე დაცინვის კილოთი განაგრძობდა დაკითხვას – რატომ მენშევიკების დროს არ იმაღლებდით ხმას, რატომ მათ არ ეწინააღმდეგებოდითო. უწმიდესი ამბროსი არ მალავდა, რომ არც მენშევიკები იყვნენ მორწმუნენი, მაგრამ ისინი უფრო ეროვნულები იყვნენ და თვით იცავდნენ იმას, რაზედაც ეკლესიას მოუხდა ხმის ამაღლება. უწმიდესმა ამბროსიმ ახალი ხელისუფლება დაადანაშაულა საქართველოს ხელახალ ოკუპაციაში, რომ თქვენი მცდელობის მიუხედავად, თითქოს საქართველო დამოუკიდებელია, აშკარაა, მთელი ძალაუფლება „ოსობაია კავკასკაია არმიის“ ხელშია. კათალიკოსის ამ მხილებამ „ჩეკას“ უფროსი გააჯავრა. მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში ჩაატარა არჩევნები, რომ შექმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა, რომ საქართველოში მყოფი რუსი ჯარი ქართველებს არაფერს უშლისო. უწმიდესმა ამბროსიმ ბრალი დასდო ახალ ხელისუფლებას საქართველოში უცხო ელემენტების მომრავლებაში, ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფაში, როცა განსხვავებული აზრი, განსხვავებული მიმართულების ჟურნალ-გაზეთები იღვენება. კოტე ცინცაძემ გულახდილად განაცხადა, „ჩვენ რევოლუციას ვაწარმოებთ პროლეტარიატის დიქტატურა გამოვაცხადეთ, სწარმოებს ბრძოლა მოწინააღმდეგეებისადმი, ყველა თავისუფლებანი რაც კია, ეს მხოლოდ ჩვენთვის გვინდა, თქვენ და თქვენი დრომოჭმული მიმდევრები ცხოვრებიდან გარიყულნი ხართ. თქვენ ვინ მოგცემთ თავისუფლებას?“²³ “ჩეკას” უფროსმა უწმიდეს ამბროსის შეახსენა, რომ მეფის ხელისუფლების დროსაც იგი გადასახლებული იყო მთავრობის წინააღმდეგობისათვის, რაზედაც კათალიკოსმა უპასუხა, რომ იგი, როგორც სასულიერო პირი, დასჯილი იყო არა როგორც მთავრობის მოწინააღმდეგე, არამედ, როგორც დამონებული ქართველი ერის უფლებებისათვის მებრძოლი.

“ჩეკას” თავმჯდომარემ დაკითხვის პირველ დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს საბჭოთა ხელისუფლების სახელით მოსთხოვა პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1. როდის და რამდენი ქონება გაზიდეს რუსებმა საქართველოდან? 2. რაში გამოიხატება ბოლშევიკების მიერ საქართველოში სარწმუნოების დევნა? 3. რა ვნება მოაქვს რუსის ჯარის ყოფნას საქართველოსათვის?

უწმიდესი ამბროსი დარწმუნებული იყო, თუ საქართველოს ახალ ხელისუფლებას წარუდგენდნენ სათანადო დასაბუთებულ პასუხებს, მათ მიერ აღძრულ კითხვებზე, საქმე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოსა და პატრიარქის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. მან დაავალა კიდევ საკათალიკოზო საბჭოს წევრებს მასა-

ლების შეგროვება, რომელშიც აღნუსხული იქნებოდა ბოლშევიკური ხელისუფლების უკანონო ქმედებანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოტე ცინცაძე პირველი თაობის „ჩეკას“ თავმჯდომარე, შემდგომ „ნაციონალ-უკლონისტების“ აქტიური წარმომადგენელი, უწმიდეს ამბროსის შედარებით კორექტულად ექცეოდა, როცა დაკითხვა დაამთავრა, თანაშემწეს უბრძანა კათალიკოზი მანქანით მიეცილებინათ სახლამდე, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი დაკითხვით მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა დარჩენილიყო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელსაც ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა. მათი აზრით, უფრო მეტი სიმკაცრე და სიმტკიცე იყო საჭირო „კონტრრევოლუციასთან“ საბრძოლველად. 1922 წლის 20 ივნისს უწმიდესსა და უნეტარეს კათალიკო-პატრიარქ ამბროსის, როცა ჩეკადან ხელმეორედ მიაკითხეს, ამკარად იგრძნობოდა გაღიზიანება, აგრესიულობა, ორმა ახალგაზრდა ჩეკისტმა კათალიკოზს ჩააბარა საბრალდებლო ოქმი რომელშიც აღნიშნული იყო „ხელისუფლება კათალიკოზს ბრალს სდებდა სამ დანაშაულში: „პროვოკაცია“, „კონტრრევოლუციონერობა“, „მთავრობის გაბრიაბრუება“. ახალგაზრდა ჩეკისტები ხმამაღლა უპატივცემულოდ ესაუბრობდნენ კათალიკოზს, რომელმაც მათ მოუწოდა ელემენტარული ზრდილობისა და ეთიკის ნორმების დაცვისაკენ“.²⁴

ხელისუფლება ცდილობდა ქვეყანაში შეექმნა ანტირელიგიური ფსიქოზი, მისი წარმომადგენლები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან სასულიერო პირთა შეურაცხყოფისათვის. ამის არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ.

1922 წლის მაისში ქართველმა საზოგადოებამ პატივისცემით აღნიშნა ზაქარია ჭიჭინაძის დაბადებიდან 65 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს სახელით სიტყვით გამოვიდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, რომელმაც იუბილარის შრომა შეადარა იმ მუშა ფუტკრის საქმიანობას, რომელიც ყვავილოვან საქართველოს თვალწარმტაც კუთხეებში ეზიდებოდა სურნელოვან თაფლს შეგნებისა და კულტურისა. ბოლშევიკების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სილიბისტრო თოდრიამ გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში უსაყვედურა საიუბილეო კომისიის მესვეურთ, რომელთაც უფლება მისცეს „კათოლიკოზისაგან დაქირავებულ “რიჟა” მღვდელს საზოგადოებაში გამოსვლისა“.²⁵

საზოგადოება ჯერჯერობით ახერხებდა ბოლშევიკების წარმომადგენელთა უსუსურ ბრალდებებზე პასუხის გაცემას. ამის დასტური იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წერილი ს. თოდრიას „ბრალდებებზე“, რომელიც 1922 წლის 22 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „ტრიბუნაში“. “რაც შეეხება სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრის დეკ. ნ. თალაკვაძის მონაწილეობას ზ. ჭიჭინაძის იუბილეზე, ჩვენ აქაც ობიექტურობა გამოვიჩინეთ, როგორც შეჭფერის მწერლების ორ-

განიზაციას. ქართული სამღვდლოება საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურის მებაირახტრე იყო, უმაღურობა და უვიცობა იქნებოდა ქართველი მწერლების მხრით, რომ ჩვენ ამ წოდების წარმომადგენლებისათვის ხელი გვეკრა ამ დღეს ქართული წიგნის დღესასწაულზე“.²⁶

ოფიციალურ პრესაში არ წყდებოდა თავდასხმები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. ხელისუფლების ერთგული ჟურნალისტების აზრით, სამღვდლოებამ შეთითხნა ჭორები, ინსუნაციები, ცილისწამებანი და გაგზავნა გენუის კონფერენციაზე იმ იმედით, რომ ევროპა ინსნიდა მათ. ტყუილად შეიწუხეს თავი სულიერმა მამებმა, საქართველოს არამკითხე ოპეკუნებმა... ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაასამართლოს ანაფორიანი ინტრიგნები, ამხილოს მათი დალატი და ბოროტება ხალხის წინაშე. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ხელისუფლებას სურდა სანიმუშოდ დაესაჯა ქართველი ერის სულიერი წინამძღოლები, რომელთა გაბედულმა გამოსვლებმა კიდევ უფრო დიდი სიყვარული და თანადგომა მოუპოვა მათ ხალხში. ამ დროს ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ეკლესიის შევიწროებისაკენ. ქუთაისში ბოლშევიკებმა აიძულეს ეპარქიიდან წამოსულიყო ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, რომელიც შეხვდა და ესაუბრა ხელისუფლების წარმომადგენელს ს. ქავთარაძეს. რომელიც დაპირდა მიტროპოლიტ ნაზარს უკანონობის აღკვეთას, მაგრამ სინამდვილეში არ შეასრულა. 1922 წლის 17 ნოემბერს მთავრობამ მოახდინა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის სასახლის კონფისკაცია.

უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ საპროტესტო წერილში აღნიშნავდა, რომ საპატრიარქო სასახლე იყო საქართველოს ეკლესიის საკუთრება. ამავე დროს, მოაგონებდა მთავრობას, რომ 1922 წლის №3137 განკარგულებით, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არსებული შენობები ეკლესიის განკარგულებაში გადასცა. ამის მიუხედავად, „ამა თვის 17/იგულისხმება ნოემბერი ს.ვ./ ჩემს ბინაში მოვიდნენ თბილისის საბინაო განყოფილების წარმომადგენლები, გაზომეს იგი. შევიდნენ ეკლესიაში და თვით საკურთხეველშიც ქუდებით, მიუხედავად ჩემის წარმომადგენლის პროტესტისა, დაიწყეს თავის მართლება იმით, რომ დღეს სინდისის თავისუფლებააო, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ნოემბრის 18, თქვენ გაახელით დელეგაცია. სამი საპატიო პირისაგან შემდგარი და გთხოვეთ დაგეცავით მოსალოდნელ შეურაცხყოფისა და უსამართლოებისაგან“.²⁷ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არც კი მოუსმინეს საკათალიკოზო საბჭოს დელეგაციას, კათალიკოზის სასახლის დასაკავებლად გაგზავნილ იქნა 15 შეიარა-

ღებულის ახალგაზრდა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ კათალიკოზის ბინიდან გაძევება. ერთ-ერთი უცხო ტომის ახალგაზრდა მიიჭრა კათალიკოზთან და კანდიერად მიმართა, „თქვენ ხართ უფლებაყრელი პიროვნება, თქვენ არ გაქვთ ნება გეჭიროთ ეს ბინა, იგი უნდა დავიჭიროთ ჩვენ კომკავშირელებისათვის, რომელთა ხუთი წლისთავი აქ უნდა გადავიხადოთ“.²⁸ კომკავშირელი ახალგაზრდები თავხედურად აცხადებდნენ, რომ სასახლის ავეჯი, ქონება რეკვიზიციის ძალით უნდა წაეღოთ, ხოლო კათალიკოზ-პატრიარქს დაუტოვებდნენ იმას, რასაც თვითონ მიიჩნევდნენ საჭიროდ. უწმიდესმა ამბროსიმ მთავრობის წარმომადგენლებს უპასუხა, რომ იგი საკუთარი ნებით არ გავიდოდა შენობიდან. ამასვე აცნობებდა მთავრობის თავმჯდომარეს: „გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ ბინა, რომელიც მე მიჭირავს, არის საქართველოს მორწმუნე ერისაგან საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქისათვის მიჩენილი ბინა, რომლიდანაც გასვლა ჩემის ნებით მეკრძალება, რომ ეს ბინა დაკავშირებულია ეკლესიასთან. აქ მოთავსებულია თბილისის საეპარქიო კანცელარია, რომ ამ ბინიდან კათალიკოზ-პატრიარქის გაძევება, ეკლესიის მოშლა და კანცელარიის გატანა გამოიწვევს ქართველ ერში უკმაყოფილებას, რასაც უნდა ვერიდოთ მეც, როგორც ქართველი ერის მამამთავარი და უმაღლესი მოძღვარი, და თქვენც, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ერი ღიღია ჩემზედაც და თქვენზედაც და ამის გამო თქვენც და მეც უნდა ხელს ვუწყობდეთ მის ბედნიერებას, კეთილდღეობას და მყუდროებას“.²⁹

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა 1922 წლის ზამთარში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ პასუხის ღირსადაც არ სცნო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის წინა წერილი, საკათალიკოზო საბჭო, პატრიარქი ამბროსი აღაშფოთა ხელისუფლების უტიფრობამ, ისინი საჯაროდ ყველგან აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა საქართველოში სინდისის თავისუფლებააო, მაგრამ ამავე დროს აქეზებდნენ ახალგაზრდა კომკავშირელებს, ძალით დაეკავებინათ ეკლესია-მონასტრები. როცა ახალგაზრდობამ ძალით დაიკავა სამხედრო ტაძარი, პატრიარქმა განაცხადა, „მე არ ვეწინააღმდეგები არამორწმუნეთა მიერ მორწმუნეებთან იღუურ ბრძოლას, მაგრამ ჩემი არსება ვერ შეურიგდება იმას, რომ რესპუბლიკის კანონების წინააღმდეგ არასრულწლოვანმა ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლი“.³⁰

ხელისუფლებამ მასიურად დაიწყო ეკლესია-მონასტრების დახურვა. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა 1923 წლიდან. ამ დროს საქართველოში

დაიხურა 600-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი. ხელისუფლება ჩქარობდა ეკლესია-მონასტრებიდან ვერცხლისა და ოქროს ხატების, ბარძიმ-ფეშუმების, საწინამძღვრე ჯვრების გამოტანას და გაყიდვას. ამისათვის საჭირო იყო გარკვეული საკანონმდებლო ბაზა. 1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის გამოყენების შესახებ, სადაც მითითებული იყო: „1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში; 2. ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად; 3. დანარჩენი საეკლესიო განძეული შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ. თითოეულ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, უმთავრესად ადგილობრივი გლეხების საჭიროებისათვის“.³¹ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რას გამოიწვევდა ეს დადგენილება, როგორც დედაქალაქში, ასევე პროვინციებში, ვინ განსაზღვრავდა საეკლესიო და ისტორიული ღირებულების ნივთების საკითხს? ძირითადად ადგილობრივი რევოლუციური გატაცების ადამიანები, რომელნიც იმისათვის, რომ ცენტრის შექება დაემსახურებინათ, რაც შეიძლება მეტ საეკლესიო და ისტორიული ღირებულების ნივთებს გამოაცხადებდნენ საერთო სახალხო საკუთრებად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები ცდილობდნენ განადგურებისაგან გადაერჩინათ ძვირფასი ისტორიული ხატები, პანაღიები, კუნკულ-ბარტყულები, მიტრები. ამიტომ იყო, რომ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ – კულტის მსახურებმა განსაკუთრებით აქტიურობა გამოიჩინეს ეკლესიის ძვირფასეულობის გადამალვის საქმეში, ეკლესიის ის ძვირფასეულობანი, რომელთა გადაზიდვაც მენშევიკებმა ვერ მოასწრეს, გადამალულ იქნა ქუთაისში... შესაბამისმა ორგანოებმა გამოააშკარავეს ეკლესიის მსახურთა ნამდვილი ზრახვანი და ძვირფასეულობა მის ნამდვილ მესაკუთრეს დაუბრუნეს – ხელისუფლება საეკლესიო სიწმინდეებს „ტყუილ-უბრალოდ ეკლესიებში დაყრილ ოქრო-ვერცხლს“²³ უწოდებდა, რომელიც უნდა გადაედნოთ და დამშეული ღარიბებისთვის გადაეცათ სურსათის შესაძენად.

1923 წლის 11 იანვარს უწმიდესი ამბროსი კვლავ “ჩეკაში” წაიყვანეს დაკითხვაზე იგი წასვლის წინ საგანგებოდა შეხვდა საკათალიკოზო საბჭოს. იგი გრძნობდა, რომ შეიძლება უკვე დაეპატიმრებინათ, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე დაენიშნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ. მართალია, კათალიკოზ-პატრიარქი

ამჯერად მალე დააბრუნეს, მაგრამ შინაპატიმრობა მიუსაჯეს, 19 იანვარს მას არ მისცეს უფლება ჩაეტარებინა წყალკურთხევის წირვა, საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო თბილისში ვერის ხიდის ზემოთ ასრულებდა წყალკურთხევის ცერემონიალს, ბოლშევიკების მუქარის მიუხედავად, მრავალრიცხოვანი მორწმუნე მრევლი შეიკრიბა სიონის ეკლესიასთან, ისინი ცდილობდნენ დევნილი კათალიკოზის გამხსნეებას, რომლის ნაცვლადაც ხალხს ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე წარუძღვა.

უწმიდესი პატრიარქი შინაპატიმრობაში შეხვდა ნინოების, აღდგომის დღესასწაულებს. 1923 წლის 2 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი იძულების წესით გამოასახლეს საპატრიარქო რეზიდენციიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „მე ახლა განვიცდი პატიმრობას და როგორც პატიმარი, შეუძლიათ წამიყვანონ იქ, სადაც საჭიროდ დაინახავენ, მაგრამ, როცა ერთმევა ბინა საკათალიკოზოს, ეს ეკლესიის ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმებას უდრის. ამით პერიფერიებიდან დაწყებული, საქართველოს ეკლესიის ნგრევა დამთავრდება ეკლესიის ცენტრალური მთავარი სასიცოცხლო ნერვის გადაჭრით“.³³ იგი აცხადებდა, რომ საპატრიარქო რეზიდენცია და იქ მოთავსებული მარიამ ღვთისმშობლის სახ. ეკლესია დარჩენილიყო მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ხელისუფლების იმდროინდელი ჩინოვნიკის ვინმე დოლიძის განკარგულებით, 1923 წლის 23 ივნისს დალუქეს საპატრიარქო რეზიდენცია, კათალიკოზის სამუშაო ოთახები. იმავე წლის 6 ივლისს შედგენილი აქტი იტყობინება: „მე ქვემოთ ხელისმომწერმა ნ. გოგიშვილმა, ქ. თბილისის აღმასკომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზორმა საბინაო განყოფილების გამგე დოლიძისა და სახლების სამმართველოს თანამშრომლის გალამოვის თანდასწრებით გავხსენით კათალიკოზ ამბროსის კუთვნილი სალარო, სადაც აღმოჩნდა შემდეგ ნივთები: ვერცხლის ჯვრები, ყელსაკიდი, პანალიები, რაც წონათ 1 გირვანქა და 83 მისხალია“.³⁴ საპატრიარქოდან წაიღეს, როგორც საეკლესიო, ასევე საერო დანიშნულების ნივთები, საპატრიარქოდან იძულებით გასახლებული პატრიარქი ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მიმართავდა თხოვნით, საპატრიარქოდან წაღებული ნივთებისა და ავეჯეულობის ზუსტი სიის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები არ ჩქარობენ ასეთი სიის გაკეთებას. ჯერ უნდა გადაერჩიათ გასასყიდი ნივთები, შემდეგ კი არასრულ სიას საპატრიარქოს გამოუგზავნიდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს კათალიკოზ-პატრიარქმა მიითვისა საეკლესიო ქონება. ამის გამო 1923 წლის 24 მაისს უწმიდესმა ამბროსიმ საპროტესტო წერილით

მიმართა საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს – ყველაფერს საზღვარი აქვს, ბრალს მდებენ ეკლესიის გატეხვაში და ნივთების გადამალვაში?³⁵

ხელისუფლების სურვილი იყო შეემზადებინა ნიადაგი მომავალი დიდი საჩვენებელი სასამართლოსათვის, რომელიც საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს უწმიდეს ამბროსის, სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს ბრალს დასდებდნენ სამშობლოს დაღატყვი.

1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნენ: სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია), მიტროპოლიტი ქუთათელი ნაზარი (ლეჟავა), ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე), დიღუბის ეკლესიის დეკანოზი იოსები (მირიანაშვილი), ქაშუეთის ეკლესიის დიაკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), ვერის ეკლესიის წინამძღვარი ანტონი (თოთიბაძე), სიონის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მარკოზი (ტყემალაძე), ნიკოლოზ (არჯევანიძე), საკათალიკოზო საბჭოს წევრი ნიკოლოზი (თავდგირიძე).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთის მხრივ ხელისუფლების მოწადინებით ცალკეული რაიონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოქმედი ეკლესიების დახურვასა და საეკლესიო ქონების დატაცებაში, მეორეს მხრივ, ეწეოდნენ აღვირახსნილ პროპაგანდას ქრისტიანული სარწმუნოებისა და ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა გადავიდა საკათალიკოზო საბჭოს დანარჩენ წევრებსა და საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარეს ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორე ციციქიშვილის ხელში. მმართველობაში შედიოდნენ: ეპისკოპოსები დავითი /კაჭახიძე/, სვიმონი /ჭელიძე/, ნესტორი /ყუბანიშვილი/, მოქალაქენი: პ. გოთუა, ივ. რატიშვილი, იპ. ვართაგავა.

1923 წლის დასაწყისში სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის /ხელაია/ სახელზე მოვიდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის ბასილ III წერილი, რომელშიც მსოფლიო საპატრიარქო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, საკათალიკოზო საბჭოს ატყობინებდა, რომ 1923 წლის მეორე ნახევრიდან მსოფლიო საპატრიარქო აპირებდა ახალი სტილის კალენდარზე გადასვლას და სთხოვდა საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობას, მიეხამათ მსოფლიო საპატრიარქოსათვის. საქართველოს

ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ 1923 წლის 24 ოქტომბერს იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. (გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საკათალიკოზო საბჭოს ძირითადი ნაწილი კათალიკოზ-პატრიარქის მეთაურობით დაპატიმრებულნი იყვნენ ს.ვ.) და მიიღო თამამი გადაწყვეტილება - 1923 წლის ნოემბრიდან საქართველოს ეკლესიაში შემოღებულ იქნას ახალი სტილის კალენდარი. გადაწყვეტილებას ხელს აწერდნენ დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ეპისკოპოსი ქრისტეფორე ურბნელი, დეკ. გიორგი გამრეკელი, გერასიმე იმნაიშვილი, ივანე რატიშვილი.³⁶ საკათალიკოზო საბჭოს ახალი სტილის მომხრე წევრები გრძნობდნენ, რომ საქართველოს ეკლესიაში ასე ადვილად არ გადაწყდებოდა ახალი სტილის შემოღების საკითხი, ამიტომ ერთის მხრივ მაშინდელ შეზღუდულ შესაძლებლობათა მიუხედავად, ცდილობდნენ პროპაგანდა გაეწიათ ამ დიდი საეკლესიო რეფორმის სასარგებლოდ. მეორეს მხრივ, სურდათ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების აზრიც მოესმინათ აღნიშნულ საკითხზე. საკათალიკოზო საბჭოს სახელით, ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ წერილები დაუგზავნა ივ. ჯავახიშვილს. კ. კეკელიძეს, ს. გორგაძეს. ივანე ჯავახიშვილისადმი გაგზავნილი წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. ეპისკოპოსი ქრისტეფორე დაწვრილებით აცნობდა მას საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს 1923 წლის და 1924 წლის 16 ნოემბრის სხდომების გადაწყვეტილებას ახალ სტილზე გადასვლის შესახებ. ამავე დროს, აღწერდა იმ წინააღმდეგობებსაც, რაც მას შეხვდა. „ამის გამო მე მნათლავენ „რუსეთის ცოცხალი ეკლესიის მომხრეთ“.³⁷ ეპისკოპოს ქრისტეფორეს თავის არგუმენტების განსამტკიცებლად ივანე ჯავახიშვილიც მოუხმია, როგორც ახალი სტილის მომხრე, მაგრამ როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილს ამ საკითხზე თავისი აზრი არ დაუფიქსირებია და ამიტომაც გაკვირვებულს მოუთხოვია ეპისკოპოს ქრისტეფორესგან ახსნა-განმარტება. ეპისკოპოსი ქრისტეფორე ივ. ჯავახიშვილს არწმუნებდა, რომ მათ შორის გაუგებრობა ენატანიების დამსახურება იყო, ამავე დროს, დასძენდა, რომ მისთვის ვერაფერი მაგალითი იყო ახალი სტილის მოწინააღმდეგეების არგუმენტი – რუსეთს ეკლესია არ გადადის ახალ სტილზეო, მე მომხრე ვარ რუსეთთან პოლიტიკური კავშირისა, მაგრამ საქართველოს ეკლესია არის დამოუკიდებელი და თვითონ უნდა გადაწყვიტოს ასეთი საკითხებით“.³⁸ საარქივო მასალებში შემონახულია კ.კეკელიძის დამოკიდებულება საკათალიკოზო საბჭოს 1923 წლის 24 ოქტომბრის დადგენილების მიმართ. მისი აზრით, მორწმუნენი საუკუნეთა განმავლობაში შეჩვეულნი ძველ ტრადიციებს, უცბად, ერთი ხელის დაკვრით, ვერ შეითვისებენ ახალ წესს, მაგრამ სამღვდელოების ვალია თანდათან მიზანმიმართული მუშაობით შეაჩვიოს ისინი ამას“.⁴⁰ ამავე აზრს იზიარებდა ისტო-

რიკოსი სერგი გორგაძეც.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს სახელით, ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ წერილით მიმართა მსოფლიო პატრიარქ ბასილ III. წერილში ეპისკოპოსი ქრისტეფორე აცხადებდა, რომ საქართველოს ეკლესია უკვე გადავიდა ახალი სტილის კალენდარის ხმარებაზე, ამავე დროს, იგი სთხოვდა მსოფლიო პატრიარქს – გვაცნობეთ მომავალში ყოველივე იმის შესახებ, თუ როდის და რომელი სახით მოხდება გასწორებული კალენდრის შეთანხმება საპასეჟო კანონთან. მართალია, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მსოფლიო საპატრიარქოს არწმუნებდა ახალი სტილის კალენდარზე გადასვლას, მაგრამ ვითარება იმაზე რთულად იყო, ვიდრე ერთი შეხედვით სჩანდა. ახალი სტილის კალენდარს მხარი არ დაუჭირეს: ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, ბულგარეთის, სერბეთის, კვიპროსისა და რუსეთის ეკლესიებმა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ საქართველოში არსებული რუსული ეკლესიები იმ დროს ისედაც არ სცნობდნენ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციას და ახლა კიდევ უფრო გააძლიერებდნენ ანტიქართულ ისტერიას. ამავე დროს ეპარქიებშიც შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა. ამის შესახებ საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს აცნობებდნენ ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი ნესტორი /ყუბანეიშვილი/, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ეფრემი /სიღამონიძე/.

საქართველოს მორწმუნე მოსახლეობამ ახალი სტილის შემოღებაში ბოლშევიკური ხელისუფლების ნება დაინახა და შეეწინააღმდეგა საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებას. ქართველი მრევლის საერთო სულისკვეთების გამოხატველია იყო გორის ოქონის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ გიორგი ნასყიდაშვილის წერილი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარის ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორესადმი. როცა დეკანოზმა გ. ნასყიდაშვილმა მრევლს აუწყა საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილება ახალ სტილზე გადასვლასთან დაკავშირებით და დაიწყო ახალი სტილის უპირატესობის მტკიცება, აღშფოთებულმა მრევლმა დიდი წინააღმდეგობა გასწია და წინამძღვარს განუცხადეს, ისინი ისევ ძველი სტილის მიხედვით იღვესასწავლებდნენ დიდ საეკლესიო თარიღებს⁴⁰. მსოფლიო საპატრიარქო გრძნობდა, რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მართლმადიდებლური სამყარო ახალ სტილთან მიმართებაში, ცდილობდა საქართველოს ეკლესიას შეენარჩუნებინა თავისი გადაწყვეტილება. 1923 წლის 24 ოქტომბერს ბასილ III წერილობით კვლავ მიმართა საქართველოს საპატრიარქოს. იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მიიღო ივერიის ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილება ახალ სტილზე გადასვლის შესახებ. „გაცნობებთ, რომ

ახალ სტილზე გადასვლის აუცილებლობა განაპირობა მართლმადიდებელი სახელმწიფოების მიერ ახალ კალენდარზე გადასვლის გამო. ჯერჯერობით მიღებულია გადაწყვეტილება ხმარებაში შემოვიღოთ შესწორებული კალენდარი მხოლოდ უძრავ დღესასწაულებისათვის“.⁴¹ საქართველოს საპატრიარქო 1927 წლის 24 ივნისის მე-4 საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დაადასტურა ახალი სტილის შემოღების სამართლიანობა. სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვილთა მიმართ ეპისტოლეში აღნიშნა – ახალი სტილის კალენდარი შემოღებულ იქნას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1927 წლის 27 ნოემბრიდან ყველა უძრავი დღესასწაულები და წმინდანთა ხსენებანი გადახდილ იქნას ხსენებული რიცხვიდან ახალი სტილის კალენდარით, სწორედ იმ რიცხვებში, როგორც უჩვენებენ საეკლესიო წიგნები. რაც შეეხება პასექის /აღდგომის/ დღესასწაულს, რომელიც თვის რიცხვს არ მისდევს, მისი და მასზე დამოკიდებულ მოძრავ უქმეთა და დიდმარხვის გადახდა დატოვებულია სრულიად საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ მთვარის მოქცევასთან შეფარდებით, სწორედ ისე, როგორც აქამდე დღესასწაულობდა მართლმადიდებელი ეკლესია. ყველა სასულიერო პირს ევალება მეოთხე საეკლესიო კრების გადაწყვეტილების მტკიცედ და უცვლელად შესრულება“.⁴² გადაწყვეტილებას ხელს აწერენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III, მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი დავითი, ურბნელი ეპისკოპოსი სიმეონი, წილკნელი ეპისკოპოსი პავლე, ალავერდელი ეპისკოპოსი მელქისედეკი, ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე, მარგველი ეპისკოპოსი ვარლამი, ნინოწმინდელი ეპისკოპოსი ეფრემი. მიუხედავად ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა, საქართველოს ეკლესიის ეპარქიებში შეიძლება ითქვას, რომ სრულმა ანარქიამ დაისადგურა. ერთის მხრივ, ხელისუფლება აძლიერებდა ანტირელიგიურ პროპაგანდას, მეორეს მხრივ დარჩენილი მორწმუნე მრევლიც ორად გაიყო. ნაწილმა სრული უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებას ახალ სტილზე გადასვლის შესახებ ნაწილმა მიიღო. ასეთ პირობებში საქართველოს საკათალიკოზო სინოდი 1928 წლის 28 სექტემბერს კვლავ დაუბრუნდა ახალი სტილის საკითხს არსებული რეალობის გათვალისწინებით, როცა „ეპარქიებში შეუძლებელი გამოდგა ახალი სტილის კალენდრის გატარება, რის მიზეზიცაა მორწმუნეთა მოუმზადებლობა და შეუგნებლობა ამ საკითხში. მათის აზრით, ახალი კალენდარით დღესასწაულების და მარხვების შესრულება არის სარწმუნოების შელახვა. ასე მსჯელობს არა მარტო გაუნათლებელი, არამედ განათლებული მორწმუნენიც და სამღვდელოების ნაწილიც. ახალი კალენდრის შემოღება უაღრესად ძნელია იქ, სადაც საეკლესიო

დღესასწაულები სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს არ მიაჩნიათ დასასვენებელ დღეებად. ამიტომ სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდმა განაჩინა: 1928 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს ეკლესიაში დღესასწაულნი, უძრავ-მოძრავნი და მარხვანი სრულდებოდეს იულიუსის კალენდარით⁴³. მართალია, საკათალიკოზო სინოდი მღვდელმთავრებს ავალებდა მომავალში მაინც გაეწიათ პროპაგანდა ახალი სტილის სასარგებლოდ, მაგრამ ეს საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან.

იმ დროს, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო უწმიდესისა და უნეტარესის კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მეტაურობით საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებით დაპატიმრებულნი იყვნენ საერო და სასულიერო წარმომადგენელთა ნაწილში გაჩნდა ასეთი აზრი, რომ შეცდომა იყო საქართველოს ეკლესიის აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა კი ხელისუფლებისათვის გახდა საბაბი ეკლესიის დევნა-შევიწროებისა. ერთი შეხედვით ძნელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, მაგრამ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, როცა 1921 წლის თებერვალში მოხდა საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ, როცა დაიწყო დევნა-შევიწროება და ფიზიკური განადგურება ქართველი პატრიოტებისა, როცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც თავისი მოჩვენებითი დამოკიდებულებით მიუღებელი აღმოჩნდა ახალი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურთათვის და იგი ამიერკავკასიის ფედერაციაში ავტონომიური უფლებით შეათრიეს, როცა გასცეს ისტორიული ქართული მიწები და ისედაც დაქუცმაცებული-დანაწევრებული ქვეყანა ავტონომიებად დაშალეს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთა მიერ ამ უკანონობათა მხილება, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა ზნეობრივი ვალი იყო. ამ ქმედებით საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ უწმიდესმა და უნეტარესმა კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ შეუპოვრობა და გმირობის მაგალითი უჩვენეს სამწყსოს თვისას. შემთხვევითი არ იყო, რომ “ჩეკას” მსტოვრები თავიანთ ჩანაწერებში მიუთითებდნენ, რომ ხალხი განსაკუთრებით აღტაცებულია კათალიკოზის საქციელით, ცდილობენ მის გამხნევებას. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკებს გადაწყვეტილი ჰქონდათ საკათალიკოზო საბჭოს წევრების გასამართლება ჩაეტარებინა საჯაროდ ნაძალადევის მუშათა თეატრში, სადაც ორგანიზებულად მიიყვანდნენ მუშათა კლასის, გლეხობის წარმომადგენლებს და მათი სახელით წაუყენებდნენ ბრალდებას. მეორე მხრივ, ერთგვარი გამართლება აქვს იმათ საქციელსაც, ვინც საკათალიკოზო საბჭოს შემადგენლობიდან დაჭერას გადაურჩა და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ უწმიდეს ამბროსის შეც-

დომა მოუვიდა, როცა პოლიტიკაში ჩაერიაო. ამით მათ სურდათ სრული ფიზიკური განადგურებისაგან ეხსნათ საქართველოს სამოციქულო ეკლესია. ამით შეიძლება აიხსნას 1923 წლის 9 ოქტომბრის საკათალიკოზო საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის გადაწყვეტილება /სხდომას ესწრებოდნენ ეპისკოპოსი ქრისტეფორე, ეპ. დავითი, დასავლეთ საქ. ეპარქიათა გამგებელი გ. გამრეკელი, დეკ. ბ. კანდელაკი, სოფრომ მგალობლიშვილი, გერასიმე იმნაიშვილი/. მთავრობა ეკლესიისადმი მიტრულ პოზიციას არ შეიცვლის თუ კათალიკოზი ამბროსი არ გამოაცხადებს შემცდარად და ეკლესიისათვის მავნებელურ ნაბიჯად თავის მემორანდუმს“.44

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა გულისტკივილით ის სავალალო მდგომარეობა, რაც პროვინციებში სუფევს, სასტიკად სდევნიან მორწმუნეებს, ანგრევენ ეკლესიებს, სასულიერო პირებს ძალით ათქმევინებენ უარს ღვთისმსახურებაზე. რომ არსად მთელს საბჭოთა კავშირში ასე უღმობლად ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს, როგორც საქართველოში. ასეთ ვითარებაში საკათალიკოზო საბჭოს წევრთა ერთ ნაწილს აუცილებლად მიაჩნდათ – ეთხოვოს მის უწმიდესობას კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის თავისი ადგილი დაუთმოს სხვა პირს. თუ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა, საკათალიკოზო საბჭო განაჩინებს მიტროპოლიტ გიორგის /ალადაშვილს/ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად, აღდგენილ იქნას თბილისის სამღვდელმთავრო კათედრა და თბილელი იყოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, თბილელად დაინიშნოს ეპისკოპოსი ქრისტეფორე.45 როცა ამ სტრიქონებს ეცნობი, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, საკათალიკოზო საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის ეს სურვილი ხომ არ ჯდება ოფიციალური ხელისუფლების ზრახვაში? ხომ არ იგრძნობოდა უკვე სასულიერო წრის პირობითად დაყოფა „რეაქციული“, ვინც არ სცნობდა საბჭოთა „ხელისუფლებას“, არ თანამშრომლობდა მასთან, ხოლო „პროგრესიული“, რომელიც გამოდიოდა ახალ სისტემასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის მომხრედ“? საზოგადოებია აღშფოთებით შეხვდა კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის გადაყენების თბილელის კათედრის აღდგენის მცდელობას, 76 წლის მიტროპოლიტი გიორგი ალადაშვილი, რომელმაც ავტოკეფალიის აღდგენის დროს მხარი არ დაუჭირა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას, იმერეთის ეპისკოპოსობიდან გადაყენებულ იქნა უმოქმედობის გამო და ასეთი მღვდელმთავრის, როგორც გამოცდილი კაცის დასახელება, უწმიდესი ამბროსის ნაცვლად აშკარა გაუგებრობა იყო. როგორც მიტროპოლიტი ნაზარი აცხადებდა, თბილელის კათედრის აღდგენაც სავსებით მიუღებელი იყო. დაპატიმრებული კათალიკოზ-პატრიარქისა და საკათალიკოზო საბჭოს წევრების მხარდაჭერის მიზნით, 1925 წლის 2 იანვარს შეიკრიბა რელიგიურ საზოგადოებათა წარმო-

მადგენელთა კრება თედო სახოკიას თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: „დეკ. მირიანაშვილი, ლაზარიშვილი, თოთიბაძე, დ.გარსიაშვილი, მ.ფხალაძე, ი.რატიშვილი, ნ.მაჭარაშვილი, ი.ასათიანი. დაადგინეს: ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ თვითნებურად მიითვისა მოსაყდრის სახელწოდება, უკანონოდ კოოპტაციის წესით მოწვეულ წევრთაგან შეადგინა საკათალიკოზო საბჭო, უკანონოდ მოწვეულმა საბჭოს წევრებმა მისცეს მიტროპოლიტობა. დაადგინეს: გამოეცხადოს უნდობლობა ეპისკოპოსს ქრისტეფორეს. იგი გაშვებულ იქნას ურბნისში, ხოლო თბილისში დარჩეს წილკნელი ეპისკოპოსი პავლე“.⁴⁶ ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ საკათალიკოზო საბჭოს დარჩენილი ნაწილი თვლიდა, რომ უკიდურესად კრიტიკულ ვითარებაში მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ჩამოშორება თანამოსაყდრეობისაგან იქნებოდა გამოუსწორებელი შეცდომა. მიტროპოლიტი ქრისტეფორე დაუფარავად მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, გარკვეული დიპლომატიის გატარებას. იგი ივ. ჯავახიშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, „აბა, თქვენ გაგეგზავნათ მემორანდუმი ევროპაში, რა მოუვიდოდა ქართულ უნივერსიტეტს, მას სრულიად გაანადგურებდნენ, თქვენ ფრთხილობთ, ჩვენ ეს სიფრთხილე ვერ გამოვიჩინეთ და საქართველოს ეკლესია განადგურდაო“.

საარქივო ფონდებში დაწვრილებითაა აღწერილი პატიმრობაში მყოფი საკათალიკოზო საბჭოს წევრების აუტანელი მდგომარეობა. რასაც კარგად ასახავს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის წერილი საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში. საუბარია იმის შესახებ, რომ “ჩეკას” მიერ დატუსაღებული რვა თვეა იმყოფებიან №2 გამასწორებელი სახლის საკნებში, რვა თვის წამების შემდეგ გადაყვანილ არიან №1 გამასწორებელ სახლში. და ბოლოს, გამოეცხადეს, რომ ისინი იმყოფებიან უზენაესი სასამართლოს ბრალმდებლის განკარგულებაში. გადის დრო და არავინ არ აწარმოებს დაკითხვას. ასეთ პირობებში დატუსაღებული სასულიერო პირები პროტესტის ნიშნად უარს აცხადებენ საკვების მიღებაზე. დაპატიმრებულებს აუკრძალეს ახლობლებთან კონტაქტი. „№1 გამასწორებელი სახლის უფროსს დეკ. კ. ცინცაძის განცხადება.

“შქონდა შვილების ნახვის უფლება, ახლა წამერთვა. გთხოვთ მაცნობოთ რატომ?” განცხადებაზე არის ასეთი მინაწერი – თქვენი საქმე ახლა ირჩევა და იმიტომ. ა. ხატიაშვილი“.⁴⁷ ციხეში თითქმის არ იყო საკვები, ის დაპატიმრებულთა ახლობლებს მიაქვთ. დაპატიმრებულები ითხოვენ ადვოკატებს, საბრალდებო საქმის გაცნობა, იმის უფლებას, რომ მოიძიონ საბუთები წამოყენებული ბრალდებების გასაბათილებლად. საკათალიკოზო საბჭოს მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილნი ცდილობენ ხელისუფლება დაარწმუნონ თავიანთ ერთგულებაში და სთხოვდნენ

მას გაათავისუფლონ დატუსაღებულნი, მაგრამ ხელისუფლება ასე არ ფიქრობდა. მას სურდა დიდი სასამართლო პროცესის მოწყობა, სადაც „ბრალდებულნი“ მოინანიებდნენ თავიანთ საქციელს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის უბის წიგნაკის ჩანაწერი: „შეიძლება მეც მომთხოვონ ისეთივე სინანული, რომელიც ჩამოურთმევიათ რუსეთის პატრიარქ ტიხონისათვის. ჩემი განცხადების პროექტი ასეთი იქნება – მე ჩემი თავი არ მიმაჩნია დამნაშავედ. მე ვიცავდი ჩემი ქვეყნის სუვერენიტეტს, თუ ვიტყვი ახლანდელის ენით. იყო ინტერვენცია საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში, დაიკარგა სუვერენიტეტი, პოლიტიკური თავისუფლება, საქართველო იქცა უცხო სახელმწიფოს ნაწილად. ამნაირი პოლიტიკური ცვლილება მე მაფიქრებინებდა, რომ პოლიტიკურ დამორჩილებას მოჰყვებოდა ეკლესიური დამორჩილებაც“.⁴⁸ კითხულობ ამ ჩანაწერს და გული სიამაყით გევსება უწმიდესმა და უნეტარესმა კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ შესანიშნავად იცოდა, რა ელოდა გაუტეხელობისა და მოუნანიებლობის გამო, მაგრამ შეგნებულად მიდიოდა ამ მსხვერპლზე. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით საერთოდ ფუნქცია დაკარგა, იგი კანონგარეშე გამოცხადდა.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის დეკემბერში გამართულმა თათბირმა საგანგებო საკითხად განიხილა ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები და საჭიროდ ჩათვალა ფართო კამპანიის დაწყება. საქართველოს პროვინციებში დაიწყო ე.წ. „სასამართლო პროცესები“, სადაც ბრალმდებლად მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ „ბრალდებულად“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურნი. ასეთი „სასამართლოების“ განაჩენით, „1923 წლის 9 თებერვალს ონში დაგმობილ იქნა რელიგია, როგორც „ხალხის მტერი“. ასეთივე ღონისძიებანი მოეწყო ქუთაისში 1923 წლის თებერვალში, სასამართლოს გადაწყვეტილებით „დამნაშავეებად სცნეს“ წმ. მოწამე დავით და კონსტანტინეს ნეშტები. სამშობლოს თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მამულიშვილების ხსოვნისადმი ასეთი მკრეხელური დამოკიდებულებაში კარგად სჩანდა ახალი იდეოლოგიის ნამდვილი სახე. ისინი ებრძოდნენ იმ მაცოცხლებელ ფესვებს, რაზედაც დაფუძნებული იყო ქართული ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრიობა. ხელისუფლებამ წააქეზა კომკავშირლები, მთელი საქართველოს მასშტაბით მოეწყოთ წმინდა ნაწილების გახსნა და საჩვენებელი სასამართლო პროცესები. პროვინციების ბოლშევიკური უჯრედების ხელმძღვანელობამ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1923 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს წევრე-

ბი, კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი ამბროსი ციხეში ჰყავდათ გამომწვევდელი. ამ დროს „სენაკის მაზრაში დაიხურა ყველა ეკლესია, თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისის მაზრაში 160, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭა-ლეჩხუმში 255, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია-მონასტერი“.⁴⁹

ხელისუფლების წაქეზებითა და ზემოქმედებით 1923 წელს ჩაატარეს სამღვდლოების კონფერენცია, სადაც სასულიერო პირები გამოჰყავდათ და აგმობინებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ვინც თავისი ნებით ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ იძულებულს ხდიდნენ წამოსულიყვნენ ეკლესიიდან. სასულიერო პირის საზოგადოებისათვის უსარგებლო საქმედ იყო გამოცხადებული. საკათალიკოზო არქივში არის ასეთი შინაარსის განცხადებებიც:

„ახალციხე-ახალქალაქის მთავარ-ხუცესს მ. სალარიძეს

ზედა თმოგვის ეკლესიის მღვდლის ანტონ ავალიანის განცხადება

რადგან ნათლად დავინახე, რომ ჩემი მღვდლობით ვერაფერი სარგებლობას ვერ მოვუტან საზოგადოებას, გადავწყვიტე გავიძრო ჩემი ტანიდან ანაფორა, ჩავიცვა საერო ტანისამოსი და დღეიდან მეც შევიდე ისეთ საერო სამსახურში, რომელიც საზოგადოებას რაიმე სარგებლობას მოუტანს. გთხოვთ მობრძანდეთ ჩემდამი კუთვნილ ეკლესიაში და ჩაიბაროთ იგი თავისი ქონებით“.⁵⁰ თავის მხრივ, მთავარ-ხუცესი მ. სალარიძე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს ატყობინებდა, ქონება კი ჩავიბარე, მაგრამ თუ იქ ვინმე არ გაგზავნეთ, უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია გაიძარცვებაო. რამდენი ეკლესია-მონასტერი გაიძარცვა ამ პერიოდში. ცნობილი ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, რომელიც 1921-26 წ.წ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც მუზეუმის მცველი გააფთრებული ანტირელიგიური კამპანიის დროს ცდილობდა გადაერჩინა ეკლესია-მონასტრების სიწმინდენი. ის პროვინციებში აწყდებოდა ადგილობრივი ბოლშევიკური ხელმძღვანელების ბარბაროსობის, ვანდალიზმის ფაქტებს. ხონის წმინდა გიორგის „ხატი დაუღეწიათ 1923 წ. ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის ნადარეიშვილისა, პარტკომის ინსტრუქტორის ონისიძე ხობუასა და მდივან გიორგი ბახტაძის მეთაურობით... შემკულობის ნაწილი აღმოჩნდა პარტკომში, ფიცარი კი ეკლესიაში“.⁵¹ ზოგიერთი ადგილობრივი აქტივისტი ეკლესიისა და სარწმუნოების სიძულვილით იქამდეც კი მივიდა, მიცვალებულთა ძველ სასაფლაოებზე დაკრძალვაც კი აკრძალა. სენაკის რაიონის სოფ. სალხინოში ტრადიციული წესით დაკრძალული მიცვალებულის ნეშტი ამოასვენეს და წითელი დროშებისა და სასულე ორკესტრის თანხლებით ახალ სასაფლაოზე გადაასვენეს. ბუნებრივია, ასეთი აღმამფოთებელი ქმედებანი

ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ საქართველოს კპ/ბ/ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას შორის წარმოიშვა მძაფრი დაპირისპირება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებზე. ასეთ ვითარებაში ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები გრძნობდნენ, რომ შესაძლებელი იყო ეს უკმაყოფილებანი მასობრივ გამოსვლებში გადაზრდილიყო, ამიტომ 1923 წლის 28 თებერვალს საქ. კპ/ბ/ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო საგანგებო ცირკულარი ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს ავალებდათ მეტი სიფრთხილე და თავშეკავება გამოეჩინათ ადგილებზე, რათა არ გამოეწვიათ მოსახლეობის ნაწილის ამხედრება ხელისუფლების წინააღმდეგ.

1923 წლის აგვისტოში მიიღეს დადგენილება, ღეკრეტი „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც იმ შემთხვევაში თუ იქნებოდა 300-მდე ხელმოწერა უფლებას რთავდა ეკლესიის გახსნისას ადგილობრივ ორგანოებს, გაიხსნა კიდევ რამდენიმე ეკლესია, მაგრამ საერთო ანტირელიგიურ ისტერიას ეს არ ცვლიდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზ საბჭოს დარჩენილი ნაწილს, /ვინც ციხეში არ იხდნენ ს.ვ./ საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის დროებით მოადგილეს ეპისკოპოს ქრისტეფორეს მიაჩნდათ, რომ აუცილებელი იყო არსებულ ხელისუფლებასთან დიალოგი. 1924 წლის დასაწყისში ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ წერილით მიმართა საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს. წერილში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ცხოვრებაში არ ტარდებოდა ხელისუფლების მიერ მიღებული ინსტრუქცია /1923წ./ რელიგიურ საზოგადოებათა დაარსების შესახებ. ქართველ ხალხს აკრძალული აქვს სარწმუნოების დასაცავად ხმის ამოღების უფლება. დაკეტილია 1500-ზე მეტი ეკლესია, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსად ასეთი სისასტიკით არ წარმოებდა სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საქართველოში. ეპისკოპოსი ქრისტეფორე ხელისუფლებას ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რომ ხელისუფლების მიერ სასულიერო პირების აბუჩად აგდება, დაცინვა, რომელსაც განსაკუთრებით არაქართველები /სომხები, რუსები, ებრაელები ს.ვ./ აწარმოებდნენ სასულიერო წოდებას მოწამებრივი შარავანდედით მოსავს. მისი აზრით, ეკლესიისა და ახალი ხელისუფლების თანამშრომლობისათვის აუცილებელი იყო: 1. გაღებული იქნას ეკლესიები ყველგან, სადაც კი მრევლი, თუნდაც უმცირესობა, ამას მოითხოვს. 2. გამარტივებულ და გაადვილებულ იქნეს რელიგიურ საზოგადოებათა გახსნისა და მოწყობის საქმე. 3. დაუბრუნდეთ სასულიერო პირთ ჩამორთმეული

ნორმა მიწისა, რომ მათ თავისი შრომით ირჩინონ თავი. 4. მიეცეთ სასულიერო პირთ საერო ტანისამოსით სამოქალაქო სამსახურში შესვლის ნება. 5. დაუბრუნდეს ეკლესიებს ჩამორთმეული საჭირო ქონება, სახლები, რომლებშიც ცხოვრობდნენ. სინდისის თავისუფლების რეალურად გატარება ცხოვრებაში ხელს შეუწყობს ქართველი ერის მორწმუნეთა სულიერ დამკვიდრებას... საქართველოს ეკლესიის სამღვდელთა საჯაროდ აცხადებს, რომ იგი სცნობს დღევანდელ საბჭოთა მთავრობას, დგას პოლიტიკისა და პოლიტიკურ პარტიების გარეშე და არავის თავის წევრთაგან არ მისცემს მის წინააღმდეგ წავიდეს“.⁵² საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები შესანიშნავად ხვდებოდნენ, რა პროცესები ვითარდებოდა რუსეთსა და საქართველოში, „ყველაფრიდან ჩანს – წერდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე – რომ კომუნიზმმა რუსეთში ჩაიცვა იმპერიალისტური ქურქი, მას სურს სოციალიზმი-კომუნიზმის მანტიის ქვეშ ძველი რუსეთის საზღვრები აღადგინოს. ასეთი სიცრუისა და სიყალბის ხანა არა მგონია, რომ კაცობრიობას ახსოვდეს. დაიწყო დიდი ზნეობრივი გათახსირება“.⁵³

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ თითქოს შეარბილა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა, ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ერთგული რჩებოდა 1922 წლის 30 მაისის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებისა, რომელმაც დაავალა იუსტიციის სახალხო კომისარიატს და უზენაეს სასამართლოს მოეწყოთ საკათალიკოზო საბჭოს წევრებისა და კათალიკოზ-პატრიარქის გასამართლება.

1924 წლის 10 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით, ნაძალადევის მუშათა თეატრში დაიწყო სასამართლო პროცესი. უკიდურესი ცინიზმი შეიძლება უწოდო იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლების ინტერესების დამცველ საბჭოთა სასამართლო „სამშობლოს მოლაღატეებს“ უწოდებდა და ისე ასამართლებდა მათ, როგორც ავაზაკებს. იმდროინდელმა პრესამ შემოგვინახა აღვირახსნილი ცილისმწამებლური შეურაცხმყოფელი ისტერიის გარემო, რომელიც საკათალიკოზო საბჭოს წევრებისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდეს ამბროსის გასამართლების დროს იყო. გაზეთ „მუშაში“ 1924 წლის 12 მარტის ნომერში დაიბეჭდა კარიკატურა სასულიერო პირებზე, „წმინდა მამათა უწმინდური საქმენი“. ოფიციალური გაზეთი „კომუნისტის“ სტატიები: უწმინდესი კონტრრევოლუცია“, „გასამართლება“, არის ნიმუში თავხედობისა და სიცრუისა. სასამართლოს თავმჯდომარეობდა გ. ჩხეიძე, წევრები: გ. რთველიძე, ვ. წივწივაძე, ბრალმდებელნი: მ. მაჭავარიანი, ნ. ოკუჯავა. საზოგადო ბრალმდებელი: ალ. ერქომაიშვილი, მდივანი აბაკელია.⁵⁴ უხეშ ზეწოლას, შანტაჟსა

და მუქარას მიმართავდნენ საკათალიკოზო საბჭოს წევრებისა და კათალიკოზ ამბროსის დამცველებზე კ. ნინიძეზე, ა. გუნცაძეზე, დ. დადიანზე, ვ. ყანჩელზე, ქ. ქავთარაძეზე. პრესაში იბეჭდებოდა შრომითი კოლექტივების საერთო კრებაზე მიღებული რეზოლუციები, „ჩვენ მთავარი სახელოსნოს მუშები მოვითხოვთ, რათა შავი ყორნები კონტრრევოლუციისა დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით და ის სოციალისტები, რომლებიც იცავენ მათ, მოთავსებულ იქნან საბრალმდებლო სკამზე“.⁵⁵

სასამართლო რომ ტენდენციურად წარიმართებოდა, ეს იქიდანაც სჩანდა, რომ მოსამართლე ადვოკატებს ასე მიმართავდა. შეუთვალეთ თქვენს უფროსებს, ვინც მღვდლებისა და ბერების დაცვა დაგავალათ საქართველოში, ახლა საბჭოთა წყობილებაა და საბჭოთა მუშები და გლეხები სრულიად არ საჭიროებენ თქვენისთანებს, ტყუილად ხარჯავთ სიტყვებს. ყოველი სხდომის დაწყების წინ გაუცნობიერებელი მუშები მოჰყავდათ პლაკატებით „ძირს მღვდლები, ძირს მოღალატენი“, ქართველი ხალხის სახელით საკათალიკოზო საბჭოს წევრებს და კათალიკოზ-პატრიარქს ბრალს სდებდნენ: ორზუმელოვი, გუმბრიევი, ოქოევი, ვარლამოვი. ისინი პათეტიკურად აცხადებდნენ, „მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი შიმშილის ბრჭყალებში გამომწვევადეული სულს დაფავდა, სამღვდელოება ქვებითა და კეტებით უძალიანდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ეკლესიებში თავმოყრილი საგანძურის გამოტანა. სამღვდელოებას არ სურდა, რომ ტყუილუბრალოდ ეკლესიებში დაყრილ ოქრო-ვერცხლის მაგივრად მშიერი ხალხისათვის პური ეყიდათ“.⁵⁶ ის ჯვარ-ხატები დიდი საეკლესიო სიწმინდენი, რომელთა მადლი და ძალა იყო მფარველი და სულიერი სიმტკიცის მიმნიჭებელი ჩვენი დიდი წინაპრებისა. ორზუმელოვებისა და ათასი ჯურის გადამთიელთათვის „ტყუილ-უბრალოდ ეკლესიებში დაყრილი ოქრო-ვერცხლი“ იყო. როცა გაზეთი „მუშა“ პათეტიკურად სვამდა კითხვას – რა უფლებით განაცხადა საქართველოს კათალიკოზმა, რომ იგი ქართველი ხალხის უფლებების დამცველი ვარო, ხალხის სახელით საუბარი?! არც ვინმე დაფიქრებულა ორზუმელოვს, ოქოევს, ვარლამოვს ჰქონდათ უფლება ქართველი ხალხის სახელით ელაპარაკათ და საქართველოს სულიერ მწყემსმთავარს არა? ყველანი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ და საკათალიკოზო საბჭოს წევრების დასჯას ითხოვდნენ. ესენი იყვნენ საპონ-ზეთის, საფეიქრო, ხე-ტყის, რკინიგზელთა მე-რ სალიანდაგო უბნის მუშათა კოლექტივები. როგორც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული სასამართლოს სხდომის ოქმებიდან ირკვევა, საკათალიკოზო საბჭოს წევრები, კათალიკოზ-პატრიარქი თავს დამნაშავედ არ თვლიდნენ, მიუხედავად მათ მიერ მოხმობილი

დოკუმენტების თუ საეკლესიო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გამოყენებისა, სასამართლომ მაინც თავისი გაიტანა და ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ამბროსი (ბესარიონ) ხელაიას შვიდი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით; 2. იასონ კაპანაძეს ცხრა წლით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით; 3. კალისტრატე ცინცაძეს სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 4. ნიკოლოზ თავდგირიძეს – სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 5. იოსებ მირიანაშვილს ცხრა თვე და ოცი დღე სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 6. მარკოზ ტყემალაძეს ცხრა თვე და ოცდასამი დღის სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება“.⁵⁷

მომავალი თაობებისათვის სამაგალითოა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის საბოლოო სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა სასამართლო პროცესზე. მისი აზრით, ბრალდება, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა წაუყენეს, არასწორი იყო. ხელისუფლება საკათალიკოზო საბჭოს ედავება საეკლესიო ქონების დამალვის, გენუის კონფერენციაზე კათალიკოზ-პატრიარქის სახელით გაგზავნილ მემორანდუმზე „კონტრრევოლუციონერობაზე, უწმიდესი ამბროსის აზრით, ხელისუფლების რომელი ფორმა იქნება საქართველოში „ამის განხილვა ეკლესიის საქმე არ არის, მაგრამ მას სასურველად მიაჩნია მართვა-გამგეობა დამყარებულ იყოს ხალხის ნებისყოფაზე და თვითგამორკვევაზე“.⁵⁸ მისი აზრით, ქართველ კომუნისტებს „რევოლუციური ინტერესებიდან“ გამომდინარე, საქართველოს თავისუფლება არ მიაჩნდათ საჭიროდ. მის უწმიდესობას მოჰყავდა კიდევ ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილის აზრი. გაზ. „მუშიდან“-დან, სადაც საქართველოს თავისუფლება ასე იყო გასარჩებელი „თავისუფალი, დამოუკიდებელი, ნეიტრალური ზურნა“. კათალიკოზის აზრით, თუ ქართველი კომუნისტებიც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა, მაშინ ის უნდა გაასამართლოს რუსეთის ხელისუფლებამ, რადგან მემორანდუმით იცავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ თავისუფლებას, თუმცა რა თავისუფლებაზეა საუბარი, როცა ქართული ენა იდეენება ისე, როგორც ეს იყო მეფის რუსეთის დროს, კათალიკოზმა დაადანაშაულა კომუნისტური ხელისუფლება, ქვეყნის ავტონომიებად დაქუცმაცებაში, პატრიოტების დევნა-შევიწროებაში, ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ აღვირახსნილ, ზღვარსგადასულ ლანძღვა-გინებასა და შევიწროებაში. „ისტორია გვიტყობს, რომ დევნილობა უძლურია

მოსპოს სარწმუნოება... სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს, ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებულის ძალით“.⁵⁹ უწმინდესმა კათალიკოზმა უპასუხა ორზუმელოვების, ოქოევიებისა და ვარლამოვების „ბრალდებას“, თითქოს გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნით, საკათალიკოზო საბჭომ, უწმინდესმა კათალიკოზმა გადაიმტერეს ქართველი ერი. მისი აზრით, ქართველი ხალხისათვის, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, არ შეიძლება სულერთი იყოს მისი მომავალი. „თუ მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას, ამის უფლებას მაძლევს ჩვენი სარწმუნეობრივი მოძღვრება – აცხადებდა უწმიდესი ამბროსი – თუ მე ხმა ამოვიღე რუსეთის დიდმპყრობელობის საწინააღმდეგოდ, იმ დიდმპყრობელობისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევს ერთი ჩვენი უმაღლესი ხელისუფალთაგანი /იგულისხმება ვ.ლენინი ს.ვ./, თუ ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვა, დიდმპყრობელობის დასაგმობად ხმის ამოღება... მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორც თვალთ შებნადავს უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნება... ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს, წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნეობისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩვენგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების თითქმის 37 წლის განმავლობაში. ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე, ვიტყვი, იყოს ნება ღვთისა და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა“.⁶⁰

სამშობლოსა და სარწმუნეობის თავისუფლებისათვის მეზრძოლნი საპატიმროებში გადაგზავნეს. მიუხედავად ხელისუფლების ინსუნაციებისა და ცილისმწამებლური პროპაგანდისა, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, საკათალიკოზო საბჭოს რეპრესირებული წევრები ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის გაუტეხელ სიმბოლოდ იქცნენ. ჯერ კიდევ

1922 წლის აგვისტოში შექმნილმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა დაიწყო ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადება. აჯანყება დაიწყო 1924 წლის აგვისტოში დასავლეთ საქართველოში, რომელიც შემდეგ მთელ საქართველოს მოედო, მაგრამ არაორგანიზებულობის გამო, იგი მარცხისათვის განწირული აღმოჩნდა „საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყება სისხლში ჩაახშო და სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით უსასტიკესმა რეპრესიებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მარტო აჯანყების პროცესში მოკლეს ან დახვრიტეს 4000 კაცი“.⁶¹

ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, ძლიერი წნეხის ქვეშ მოექცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

საქართველოს ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს რეპრესიებს გადარჩენილმა ნაწილმა ეპისკოპოზ ქრისტეფორეს ხელმძღვანელობით 1924 წლის 20 ოქტომბერს მიმართა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, წერილში პირველად ოფიციალურად დაფიქსირდა, რომ საქართველოს ეკლესია აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, მის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ აღორძინებაში. აღინიშნა ისიც, რომ ეკლესიის წარმომადგენელთა ნაწილი ავანტიურად თვლიდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, მაგრამ ამავე დროს ხელისუფლებას აუწყებდა იმ საშინელი ატმოსფეროს შესახებ, რომელშიც მოექცა საქართველოში სასულიერო წოდება, აშკარა დევნა, დაცინვა ერთი ადგილიდან მეორე გადასვლის აკრძალვა, უსაფუძვლო დაპატიმრებები, მარცვა-რბევა, შეურაცხყოფა თან სდევდა სასულიერო პირთა ყოველდღიურ საქმიანობას. საკათალიკოზო საბჭო ხელისუფლებისაგან მოითხოვდა: „1. გაადვილებულ იქნას რელიგიურ საზოგადოებათა შექმნის პირობები, ცნობილ იქნას საკმარისად საზოგადოების არსებობისათვის 50 წევრის ყოლა, ნაცვლად 1500-ისა, შეჩერებულ იქნას ეკლესიების დახურვა, რომელიც 20 ოქტომბრისთვისაა ნაგარაუდები; 2. შეწყვეტილ იქნას სასულიერო პირთა დევნა იმის გამო, რომ ისინი ღვთისმსახურნი არიან; 3. დაუბრუნდეთ სამუშაო მიწის ნორმა სასულიერო პირთ, რომელნიც თავის შრომით აწარმოებენ მეურნეობას; 4. დატოვებულ იქნან თავიანთ ბინებზე სასულიერო პირნი; 5. სასწრაფოდ გამოძიებულ იქნას იმ სასულიერო პირთა საქმე, რომელნიც ციხეებში სხედან და თუ ისინი არ იქნებიან დამნაშავე, გაათავისუფლონ. სინდისის თავისუფლების დეკრეტის რეალურად გატარება ცხოვრებაში სრულად დაამშვიდებს ქართველ მორწმუნეთ“,⁶² მიმართვას ხელს აწერდნენ საქ. ეკლესიის დროებითი მმართველი ეპისკოპოსი ქრისტეფორე ურბნელი, ეპ. დავით ქუთათელი, ნესტორ-ბათუმ-შემოქმედელი, ეპისკოპოსი სიმეონი. სამწუხაროდ, მი-

მართვის ავტორებმა ვერაფერი ვერ თქვეს 1924 წლის აგვისტოში ქუთაისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, როცა განსაკუთრებული სამეულის გადაწყვეტილებით ყოველგვარი გასამართლების გარეშე დახვრიტეს ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი იეროთეოს ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე.

ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით ისინი ანტისაბჭოთა საქმიანობა ეწეოდნენ. სინამდვილეში აი რა მოხდა. 1924 წლის აგვისტოში ქუთაისის მაზრის სოფ. როდინოულში ჩავიდა ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი თანმხლები პირებითურთ ეკლესიის კურთხევაზე. ისინი დაპატიმრებულ იქნენ ადგილობრივი მილიციის უფროსის ბრძანება მაღლაკელიძის და როდინოულის თემის თავმჯდომარის სერაპიონ ხაჭაპურიძის მიერ. დაპატიმრებულები დააკრეს ურემზე და ისე წაიყვანეს ქუთაისში. მათი საქმე გამოძიებისათვის გადაეცა ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს პასუხისმგებელი რწმუნებულის თანაშემწეს შონიას, რომელსაც 19 აგვისტოს ასეთი დადგენილება გამოუტანია “შე, ქუთაისის მაზრის პ/ბ. პასუხისმგებელმა რწმუნებულის თანაშემწემ, შონიამ, განვიხილე რა საქმე №590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარ ლეჟავასი, დეკანოზ ბესარიონ კუხიანიძისა, მღვდელ პოლიევქტის ვარდოსანიძისა, სვირის რაიონის როდინოულის თემის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობების გაწევის გამო დავადგინე: ისინი ეწეოდნენ კონტრევოლუციურ საქმიანობას მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ”: – რა თქმა უნდა ეს იყო შეთითხნილი ბრალდებები.

მეტეხის ციხეში დაპატიმრებული საკათალიკოზო საბჭოს წევრების საქმე მთელ მსოფლიოს მოედო, უკმაყოფილება იზრდებოდა საქართველოს მოსახლეობაშიც. ხელისუფლება იძულებული გახდა 1925 წლის 10 მარტს ისინი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს მოწმობა №284 თანახმად, „კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი /ბესარიონ ხელაია/, საკათალიკოზო საბჭოს წევრები: კ. ცინცაძე, ი. მირიანაშვილი, მ. ტყემალაძე, ი. კაპანაძე განთავისუფლდნენ დარჩენილი სასჯელისაგან, თანახმად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ცაკის III სესიის დადგენილებისა“⁶³ მიუხედავად იმისა, რომ უწმიდესი ამბროსი ფიზიკურად საკმაოდ დასუსტდა, მან საპატიმროდან განთავისუფლებისთანავე წირვა-ლოცვა აღავლინა სიონის საპატრიარქო ტაძარში. წირვას, შიშინობის მიუხედავად, მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო, პატრიარქის სახელზე მოდიოდა წერილები, მრევლი მას ულოცავდა განთავისუფლებას „უწმიდესო ძეუფეო, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლი განმსჭვალულია შენდა-

მი დიდი სიყვარულით, დღე-დღეზე ელოდა ციხიდან შენ განთავისუფლებას და ხილვას მრავალჯამიერ დიდო მეუფეო ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.“⁶⁹ ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომლისათვისაც საოკუპაციო რეჟიმი სრულიად მიუღებელი იყო დიდი რეპრესიების მიუხედავად მაინც ერთგული იყო სამშობლოს თავისუფლების იდეისა. მათთვის საბჭოთა საპატიმროდან განთავისუფლებული საკათალიკოზო საბჭოს წევრები და კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი ზნეობრივი გმირობის, სულიერი სიმტკიცის განსახიერებანი იყვნენ.

ხელისუფლების მხრიდან სასტიკ დევნა-შევიწროვებას დაერთო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით წარმოშობილი დაპირისპირებანი. ყოველივე ამან იმოქმედა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსის ჯანმრთელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფიზიკურად ძლიერ დასუსტდა წირვა-ლოცვებს მაინც ატარებდა სიონის საპატრიარქო ტაძარში. იმხანად ქვეყანაში გამეფებული ანტირელიგიური ისტერიის მიუხედავად წირვას უამრავი ხალხი ესწრებოდა.

უწმიდესმა და უნეტარესმა კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ სიონში უკანასკნელი წირვა ჩაატარა 28 მარტს, ცუდად შეიქმნა და 1927 წლის 29 მარტს 3 საათსა და 45 წუთზე (გამთენიისას) გარდაიცვალა. იმავე დღეს შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომელმაც მოისმინა მიტროპოლიტ კალისტრატეს (ცინცაძე) სიტყვიერი განცხადება, რომ ჯერ კიდევ, ათი წლის წინ უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ გამოთქვა სურვილი, რათა მისი დაკრძალვის ჟამს არ იქნას წარმოთქმული სიტყვები. დაადგინეს: შესრულდეს განსვენებულის სურვილი. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა დამკრძალავი კომისია ალავერდელი ეპისკოპოსის მელქისედეკის თავმჯდომარეობით. პანაშვიდები იმართებოდა ყოველდღე 12 საათზე და საღ. 19 საათზე. დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ეპისკოპოსმა მელქისედეკმა, მიმართა საქართველოს სახკომსაბჭოს, რათა ნება დაერთოთ განსვენებული კათალიკოზ-პატრიარქის ცხედარი დაეკრძალათ სიონის საპატრიარქო ტაძარში. სახკომსაბჭომ 1927 წლის 30 მარტის №30 დადგენილების თანახმად, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის სიონში დაკრძალვას ნებართვა გაცემულ იქნა. 3 აპრილს მისი უწმიდესობის დაკრძალვის დღეს, სიონის საპატრიარქო ტაძარში მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანდასწრებით დაკრძალულ იქნა საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის თავდადებული მაშვრალი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია.

1995 წლის სექტემბერში მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ამბროსი ხელაია შერაცხილ იქნა წმინდათა დასში, ამბროსი აღმსარებლის სახელით და დაწესდა მისი ხსენების დღედ 16(29) მარტი. უწმიდესი ამბროსი ქართველი ხალხის ისტორიაში შევიდა, როგორც ბრწყინვალე მწყემსმთავარი, რომელმაც შეასრულა თავისი ვალი ღვთისა და ერის წინაშე. სწორედ წმიდა ამბროსისა და მისი თანამებრძოლი სასულიერო პირების დამსახურება იყო დიდი განსაცდელის, დევნა-შევიწროვების მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რომ გადარჩა და შეინარჩუნა ქართველი ხალხის სულიერი მესაჭის ფუნქცია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობა 1921-1932 წლებში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში არ იყო ჰარმონიული. დემოკრატიული მთავრობის მიერ შემუშავებული კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ არ ითვალისწინებდა საქართველოს ისტორიაში მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის როლსა და მნიშვნელობას. როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი აღნიშნავდა: „ამ კანონით ეკლესიას წაართვეს მოქალაქეობრივი უფლება და შეძლება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ნუგეში ეცა მორწმუნეთათვის ყველა იმ დღესასწაულებში, რომელიც შეადგენს საქართველოს ეკლესიისათვის წმიდათაწმიდას და ისტორიულ ატრიბუტს მათი ქრისტიანული რწმენისას და იძულებულს ხდიან მათ თავისი დღეობანი და ტიპიკონი ამქვეყნიურ და, ისიც სოციალისტურ ანგარიშებს შეუფარდოს¹. საქართველოს ეკლესიის მესვეურთათვის მისაღები იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, რადგან მათი აზრით საქართველოს სამოციქულო ეკლესიას იმხანად პოლიტიკური პრეტენზიები არ ჰქონდა, მაგრამ აუცილებელი იყო ეს გამოყოფა მომხდარიყო ცივილური ფორმით, ურთიერთპატივისცემისა და ინტერესების გათვალისწინებით. სამწუხაროდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უგულებელყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესები, თუმცა ამკარა დაპირისპირება და კონფროტაცია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არ ყოფილა, როგორც საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი ამბროსი 1923 წელს აღნიშნავდა - მართალია 1918-1921 წ.წ. ეკლესიას ავიწროვებდნენ, მაგრამ ერი იყო თავისუფალი და სასულიერო პირნი ახერხებდნენ ერის სულიერ სამსახურს.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დაპყრობა და ძალით გასაბჭოება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც დამცველი თავისუფლებისა და ეროვნული ინტერესებისა იმთავითვე მიუღებელი იყო ახალი საოკუპაციო რეჟიმისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნი, კათალიკოზ-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდი, ამბროსი მრევლისადმი მიმართვაში არა ერთხელ შეხებიან ბოლშევიკური იდეოლოგიის მანკიერ მხარეებს, ისინი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ სოციალისტური მსოფლმხედველობისადმი. - ის ყოველად შეუფერე-

ბელი ექსპერიმენტები, რომელთაც ახლა სოციალიზმის დროშით ახორციელებენ ქართველ ერს ზნეობრივ გახრწნა-გადაგვარებადღე მიიყვანს - აღნიშნავდა სრულიად კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი ამბროსი. საქართველოს ანექსიის პირველსავე თვეებში საბჭოთა ხელისუფლების რეკომმა მ.ორხელაშვილისა და შ.გაბრიჩიძის ხელმოწერით 1921 წლის 15 აპრილს გამოაქვეყნა №21 დეკრეტი “სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ.” დეკრეტის თანახმად ეკლესია სახელმწიფოსაგან და სკოლიდან გამოყოფილად ცხადდებოდა, სარწმუნოება მოქალაქეთა პირადი საქმე იყო, დეკრეტის 16-ე და 15-ე მუხლებში კარგად ჩანდა ხელისუფლების დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ - „ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან, ყველა ადამიანს აქვს უფლება იწამოს ესა თუ ის რელიგია. აკრძალულია რაიმე ფორმით მისი პროპაგანდა. ეკლესიას არა აქვს იურდიული პირის სტატუსი”.²

საოკუპაციო ხელისუფლება განსაკუთრებით აღშფოთებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციაში წასული მთავრობით იმის გამო, რომ მან საქართველოს მუზეუმებიდან, ეკლესია-მონასტრებიდან გაიტანა ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო ნივთები. ხელისუფლების წარმომადგენლები წარმოქმნილი ფინანსური პრობლემების მოგვარებას საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი საკუთრების წართმევითა და საეკლესიო ნივთების რეალიზიციიდან მიღებული ფულით ცდილობდნენ. 1922-1925 წლებში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მაზრებში მუშაობდა სპეციალური კომისიები, რომლის შემადგენლობაში ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებთან ერთად შედიოდნენ მოქმედი ეკლესიების მოძღვარნი, მათ აუხსნეს, რომ აუცილებელი იყო ჩატარებულიყო ეკლესიების სრული აღწერა. აღწერის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ოქროსა და ვერცხლის ნივთებს. აღწერის შემდეგ სასულიერო პირებს ასეთ ხელწერილს აწერინებდნენ - “ზემოაღნიშნული ნივთები ვალდებული ვარ შევინახო, არასგზით არავის გადავცე. ჩემი გადაყვანისას ვალდებული ვარ განვუცხადო ადგილობრივ პოლიტბიუროს”³.

ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იმთავითვე მიხვდნენ, თუ რა ვერაგული განზრახვა ამოძრავებდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამიტომაც მათ შექმნეს სიძველეთა ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება, რომლის მუშაობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, დ. შევარდნაძე, აკ. შანიძე, გ. ბოჭორიძე. კომიტეტის მიზანი იყო

ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო ნივთების მუზეუმში განთავსება და შენახვა.

ახალგაზრდა ისტორიკოსის გიორგი ბოჭორიძის დამსახურება იყო, რომ მან ეკლესია-მონასტრებიდან გამოიტანა ისტორიული ღირებულების ხატები, ბარძიმ-ფეშხუმები, ჯვრები და ჩაბარა მუზეუმს, რითიც იხსნა ისინი ადგილობრივი ხელმძღვანელობის მსახვრალი ხელიდან. 1922 წლიდან საქართველოს კპ (ბ). ცენტრალური კომიტეტის საგანგებო თათბირის გადაწყვეტილებით გაძლიერდა ანტირელიგიური კამპანია. ხელისუფლება თავის ამ ნაბიჯს უკავშირებდა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი ამბროსის, საკათალიკოზო საბჭოს წევრების მიერ გაგზავნილ მემორანდუმს. საოკუპაციო ხელისუფლებას სურდა მსოფლიოს საზოგადოების თვალში მემორანდუმის ავტორები წარმოეჩინა როგორც უკმაყოფილოთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელთაც თითქოს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა არ თანაუგრძნობდა. ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით 1922 წლის 14 დეკემბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმზე ახალგაზრდა კომკავშირელებმა მიიღეს გადაწყვეტილება „კომკავშირული აღდგომის“, „შობის“ ღღესასწაულის ჩატარების შესახებ. ამავე დროს საოკუპაციო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების საიდუმლო დირექტივების საფუძველზე დაიწყო საქართველოში მოქმედი ეკლესია-მონასტრების გაუქმების კამპანია. 1923 წლის 9 თებერვალს ქ.ონის საზოგადოებრივმა სასამართლომ განიხილა რელიგიის საკითხი და გამოიტანა გადაწყვეტილება დაემოთ რელიგია როგორც ხალხის მტერი.“⁴

ქუთაისში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ვახტანგის ინიციატივით მოეწყო წმინდა ნეშტების გახსნის კამპანია. მოწამეთას ეკლესიიდან სასულიერო წარმომადგენლების პროტესტის მიუხედავად წმ. დავითისა და კონსტანტინეს ნეშტები ამოასვენეს და გადაიტანეს ქუთაისში, სადაც ხალხს არწმუნებდნენ, რომ ისინი არავითარი წმინდანები არ იყვნენ.

როგორი მტერი არ უნახავს საქართველოს, მაგრამ რაც ბოლშევიკებმა ეკლესია-მონასტრების მიმართ ვანდალობანი ჩაიდინეს მსგავსი არ ახსოვს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას. 1923 წლის თებერვალ-მარტში სენაკის მაზრაში დაიკეტა ყველა ეკლესია და გამოცხადდა ისინი კულტურის კერებად. ანტირელიგიური კამპანიის ერთი წლის შედეგები ასეთი იყო: საკათალიკოზო საბჭოს მთელი შემადგენლობა, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ხელმძღვანელობით დაპატიმრებულნი იყვნენ, 1923 წლის აპრილში თბილისის მა-

ზრაში დაიკეტა 48, ქუთაისში 160, სენაკში 148, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭაში 117, ლეჩხუმში 78, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია, როგორც სენაკის მაზრიდან იტყობინებოდნენ ეკლესიის დახურვას წინ უსწრებდა გრანდიოზული მიტინგები, ხალხი „ვაშას“ ძახილით დაიდრნენ ეკლესიისაკენ, სახურავიდან ჩამოხსნეს ჯვარი, გუმბათზე ჯვრის ადგილზე ვარსკვლავი აღმართეს. ხელისუფლების წარმომადგენლები ანტირელიგიურ კამპანიას ისე წარმართავდნენ, რომ თითქოს მოსახლეობის 99% მხარს უჭერდა მათ პოლიტიკას. თუ ეს ასე იყო, რით აიხსნებოდა 1923 წლის 28 თებერვალს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საგანგებო ცირკულარის შემუშავება ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რომელშიც საუბარი იყო, რომ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ, რათა „ჩამორჩენილი“ მოსახლეობის ამბოხება არ გამოეწვიათ. მდგომარეობა იმდენად რთული შეიქმნა, რომ საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა 1923 წლის მაისში ოფიციალურად დაეგმო ადმინისტრაციული წესით ეკლესიების დახურვის მავნე პრაქტიკა.

აღშფოთებული ხალხი ასე ადვილად არ თმობდა მამა-პაპურ ტრადიციებს, ქრისტიანული სარწმუნოებას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ხელისუფლების წარმომადგენლებს. შექმნილი რთული ვითარება კარგადაა აღწერილი ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა განცხადებაში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი. წერილის ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ხელისუფლების მიერ დანიშნულ „კომსომოლისტების შობა“ იყო რაღაც საშინელი. ახალგაზრდა აქტივისტები ძალით შედიოდნენ ეკლესიებში ახდენდნენ უწესრიგობას, ხალხს აშინებდნენ იარაღით; სამხედრო ტაძარში შესული ახალგაზრდები ქუდებითა და სიგარეტით იყვნენ, ირონიით ეხებოდნენ ხატებს, ეკლესიაში ჰყრიდნენ პროკლამაციებს. ყოველივე ამან ისე აღაშფოთა მლოცველები, რომ ზოგიერთს ისტერიკაც დაემართა. ესეც არ იკმარეს, ვილაცეები ტაძრის გუმბათზე ავიდნენ და ჯვარზე წითელი ნაჭრები ჩამოაცვეს“⁵. განცხადების ავტორები ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ სინდისის თავისუფლების მათ მიერვე მიღებული კანონის დაცვას.

დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა თეთრი წყაროს რაიონ სოფ.პატარა ირაგაში, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია კომკავშირულ აქტივისტებს ეკლესიის დახურვისა და კლუბად გადაკეთების სურვილზე. ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობის წინააღმდეგობის გასატეხად დააპატიმრეს რამდენიმე აქტიური მორწმუნე, აღშფოთებულმა ხალხმა დეპეშა

გაუგზავნა თბილისში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფ.მახარაძეს და მოითხოვა უკანონობის აღკვეთა. 1923 წლის ნოემბერში თეორი-წყაროს (ალბულადის) თემადმაკომს ასეთი საიდუმლო მითითება მიუვიდა: „საქართველოს ცაკის საქმეთა მმართველობა გთხოვთ საჩქაროდ მიაწოდოთ ცნობები სოფ. პატარა ირაგაში ეკლესიის დახურვისა და მორწმუნეთა დაპატიმრების შესახებ“⁶. ხელისუფლება იძულებული გახდა დაეტუქსა ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული აქტივისტები, რათა მოსახლეობა დაემშვიდებანა. თუმცა სინდისის თავისუფლების შესახებ კანონის უგულებელყოფას ადგილი ჰქონდა დედაქალაქშიც.

1923 წლის 9 იანვარს სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს შინაგან საქმეთა კომისარიატისაგან ასეთი შინაარსის წერილი მიუვიდა „სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (№68). რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ტაძრები გადაეცა კომკავშირის ახალგაზრდულ კავშირს. ამიტომ გევალებათ ხვალ 10 იანვარს 13 საათზე გაგზავნოთ თქვენი ორი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ამხ. კაკაბაძესთან თბილისის სამხედრო ტაძრის მღვდელმსახურების და სხვა საგნების ჩასაბარებლად“⁷. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო აღაშფოთა ბოლშევიკური ხელისუფლების ასეთმა უტიფრობამ და ცინიზმმა, მან 12 იანვარს შინაგან საქმეთა კომისარიატს ღირსეული პასუხი დაუბრუნა: „ძალისა გამო დეკრეტის №21 საკათალიკოზო საბჭო ვერ სცნობს თავისთვის შესაძლებლად დასთმოს თბილისის წმ.გიორგის სახელობის (ყოფ. სამხედრო) ტაძარი არასარწმუნოებრივი მიზნებისათვის და ამის გამო ვერც წარგზავნის შინაგან საქმეთა კომისარიატში თავის წარმომადგენელს აღნიშნული ტაძრის ჩასაბარებლად“⁸. მთავრობის წარმომადგენელთა გააფთრება გამოიწვია საკათალიკოზო საბჭოს ამ წინააღმდეგობამ. 1923 წლის 31 დეკემბერს საკათალიკოზო საბჭოს წევრები მ.ტყემალაძე და ნიკ.არჯევანიძე დაპატიმრებულ იქნენ იმის გამო, რომ „არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს სასკომსაბჭოს 8 იანვარის (№68) დადგენილებას თბილისის სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ“⁹. დაპატიმრებულმა განაცხადეს, რომ ისინი ემორჩილებოდნენ საქართველოს სასულიერო ხელისუფლებას, საკათალიკოზო საბჭოს და ამიტომ თავს დამნაშავედ არ სცნობდნენ. 1923 წლის 14 მაისს ცეცხლი გაუჩინეს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კარის ეკლესიას, მანამდე კი იქიდან ძვირფასეულობანი გაიტაცეს. 1923 წლის 7 ივლისის ცაკის საიდუმლო განკარგულებით საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის რეზიდენცია გადაეცა ქ.თბილისის საბინაო განყოფილებას“¹⁰.

საქართველოს სხვადასხვა მაზრებში შექმნილ განუკითხაობას კარგად წარმოაჩინა 1923 წელს გიორგი ლეონიძის წერილი სიძველეთა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსადმი. “გარე კახეთში – წერდა იგი – სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის საკათედრო ტაძარი, საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად საგარეჯოს რევეკომმა გაიტანა ორი უძველესი ხატი: წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი ხატი შეწირული არჩილ მეფისაგან და წმ. ნინოს ვერცხლით მოჭედილი და განახლებული XVIII საუკუნეში ნინოწმინდელ მიტროპოლიტ საბა ტუსიშვილის მიერ. ორივე ხატი წარმოადგენს დიდ ისტორიულ საუნჯეს და ვშიშობ, რომ უცოდინარობის გამო შეიძლება საგარეჯოს რევეკომმა მოხსნას ამ ხატებს სამკაულები და ჩუქურთმები. გთხოვთ მიიღოთ ზომები მათ გადასარჩენად. გარდა ამისა ენისელში არსებობს 20 პატარა ეკლესია, რომელნიც სავსეა ისტორიული ფრესკებით. დღეს ამ ეკლესიებში დამდგარან სომეხი ლტოლვილები, რომელნიც შიგ ცეცხლს ანთებენ და ანადგურებენ ყველაფერს”¹¹. რამდენი ასეთი ვანდალიზმის მსხვერპლი გახდა საქართველოს ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი და იქ დაცული სიწმინდენი.

1924 წლის 21 ნოემბერს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებული იქნა დეკრეტი “რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ”, რომლის თანახმად გაუქმებულ იქნა: “ყველა მოქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრაციული განკარგულება, რაც შეეხებოდა რელიგიურ საზოგადოებათა და ზღუდავდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური მსახურების თავისუფალ აღსრულებას. ახალი დადგენილებით მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ სარგებლობაში მიეღოთ ტაძრები, სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთისმსახურებისა და რელიგიური წესებისათვის განკუთვნილი ქონება, რისთვისაც დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. დადგენილებაში იყო მუხლი, რომლის თანახმადაც მოქმედი რელიგიური საზოგადოების რეგისტრაცია უნდა მოეხდინა ადგილობრივ სამაზრო ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც შეეძლო სხვადასხვა მიზეზით უარი ეთქვა რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაზე. 1924 წლის 7 დეკემბერს №280 ინსტრუქციით, რომელიც იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების სახელით გამოიცა სასულიერო პირებს მიეცათ უფლება “ქადაგებისა იმ პირობით, რომ შინაარსით ქადაგება იყოს მარტოოდენ რელიგიური და რელიგიურ-დამრიგებლური ხასიათის. მორწმუნეებს ასევე შეეძლოთ ხელისუფლების წინასწარი ნებართვის გარეშე მოეწვიათ საეპარქიო თუ საოლქო კრებები”¹².

საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიის შესახებ გამოცემული დეკრეტები, რომელნიც სინდისის თავისუფლების ხელშეუხებლობას აღიარებდნენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდგომი ღონისძიება იყო. ხელისუფლების ანტირელიგიური ისტერიის ოდნავ შერბილება განპირობებული იყო მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილებით.

1924 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც ეხებოდა ანტირელიგიური პროპაგანდის სფეროში მომხდარ დარღვევებს. თათბირმა მიიღო ყველა მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე საიდუმლო ცირკულარი, რომელშიც ფაქტიურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ დაშვებული შეცდომები. ცირკულარში აღნიშნული იყო: “მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პოლიტიკა ეკლესიისა და რელიგიის საკითხებში სრულიად ნათელია, მიუხედავად სათანადო კანონმდებლობის კატეგორიული მოთხოვნისა, იმ ცნობებით, რაც სრულიად საქართველოს ცაკში შემოდის, ეჭვის გარეშეა, რომ ადგილებზე ხშირად ირღვევა აღნიშნული კანონები და ამით საბჭოთა ხელისუფლებას მორწმუნეთა თვალში სახელი უტყდება. ადგილობრივი ხელისუფლება წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობისა და მისი გვერდის ავლით უხეშად ერევა მორწმუნეთა საზოგადოებების შინაურ ცხოვრებაში ... ხურავენ და ანგრევენ არსებულ საყდრებსა და სამლოცველო სახლებს, მათ არ ატარებენ რეგისტრაციაში, ხანდახან კიდევ აპატიმრებენ ცალკეულ მოქალაქეებს”¹³. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან ხელი აეღოთ ეკლესიების ადმინისტრაციული წესით დახურვის პრაქტიკაზე “უნდა ბევრითად ერიდოთ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფას და აგრეთვე არ უნდა მისცეთ საბაბი, რათა საბჭოთა ხელისუფლების ესა თუ ის ღონისძიება მათ მიერ გაგებული იქნეს, როგორც განზრახვა მორწმუნეთა სინდისის თავისუფლების შევიწროების ან შეზღუდვისა”¹⁴. იმ დროს, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს ძირითადი შემადგენლობა უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსის მეთაურობით დაპატიმრებულნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ურბნელ ეპისკოპოსის ქრისტეფორეს სახელით საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ასეთი განცხადება გააკეთა: “ვაცხადებთ, რომ ვართ საქართველის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნი, რომელნიც ვაღიარებთ მუშურ-გლეხურ კომუნისტურ ხელისუფლებას, ვემორჩილებით მას, არ ვაწარმოებთ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას”¹⁵.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ასეთი განცხადების შინაარსი იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი მზად იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, ემიჯნებოდნენ საკათალიკოზო საბჭოს იმ წევრებს, რომელნიც კონფროტაციაში იყვნენ საოკუპაციო ხელისუფლებასთან. შეიძლება ეს იყო ერთგვარი დიპლომატიური ნაბიჯი საქართველოს ეკლესიის გადასარჩენად, მაგრამ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით 1924 წლის 20 ოქტომბრის განცხადება: „ვადიარებთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ აღორძინებას, ვგმობთ 1924 წლის აგვისტოს ავანტურას“¹⁶. იყო დიდი შეცდომა: ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არ ნიშნავდა თავისუფლებისათვის წამებული მამულიშვილების ავანტურისტებად მონათვლას. საბჭოთა ხელისუფლებას სურდა დაემტკიცებინა მსოფლიოსათვის, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილენი ერთი მუჭა ავანტურისტები იყვნენ, საკათალიკოზო საბჭოს წევრები, კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი არ გამოხატავდნენ მორწმუნე ქართველი ხალხის ნებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაში უმრავლესობა არ იზიარებდა გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შინაარსს.

ხელისუფლების კარნახით 1924 წლის 25/26 სექტემბერს მოწვეულ იქნა თბილისის ოლქის სამღვდელოების კრება, სადაც დაისვა საკითხი: სამღვდელოების მიმართება მომენტისადმი, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „თბილისის ქართველი სამღვდელოება, როგორც ყოველი პოლიტიკისა და პარტიული ინტერესების გარეშე მყოფი და დიადი ქრისტიანული პრინციპებისადმი ერთგული, იზიარებს ხელისუფლებისადმი მორჩილების პოლიტიკას, არც იდეურად, არც მოქმედებით არ ეთანხმება ამ სისხლისმღვრელს და ძმათა გამთიშველ გამოსვლებს“¹⁷. რეზოლუციას „ვიზიარებ და ვიწონებ“ ხელს აწერდა ეპისკოპოსი ქრისტოფორე. როგორ არ ჰგავდა მისი ასეთი დამოკიდებულება 1922 წლის 18 მაისს ეპისკოპოსად კურთხევის დროს წარმოთქმული სიტყვის პათოსსა და სულისკვეთებას, თუ მაშინ მეუფე ქრისტეფორე ბრძანებდა: „ძნელია ღღეს ღვთისა და ერის სამსახურში ყოფნა. თუ დავაკვირდებით ჩვენს გარშემო ცხოვრების ღუდილს, შენიშნავთ რომ საზოგადოების სხვადასხვა წრეებმა თავისებურად, მაგრამ ყველამ უარყოფითად განიცადეს განვლილი ამბები. ჩვენი ინტელიგენცია სხვა მიზეზების გამო ამ უკანასკნელ საუკუნეში არ ყოფილა პატივისმცემელი ეკლესიისა ამ ბოლო დროს კი ხელისუფლების სათავეში მოექცა ის ნაწილი, რომელიც ეკლესიისადმი გულგრილობას აღარ სჯერდება, არამედ მას სასტიკ ომს უცხადებს. ურელიგიოდ ზნეობის

დამყარება ფუჭი ოცნებაა“¹⁸. იგი ამჯერად უკვე საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალობის და თანამშრომლობის კურსის აქტიურ დამცველად გამოდიოდა.

1921-24 წლებში ანტირელიგიური ისტერიის პირველი ეტაპი იმით დასრულდა, რომ საქართველოში მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიხურა ან ქონსამკითხველოებად, კლუბებად გადაკეთდა. ანტირელიგიური ისტერიით შეპყრობილი ადამიანები ანგრევდნენ ისტორიული ღირებულების ტაძრებს, რომელთა ქვებს იყენებდნენ, როგორც საამშენებლო მასალას. ასეთ რთულ ვითარებაში ეკლესიამონასტრების იქ დაცული საეკლესიო ნივთებს, ხატებს, ბარძიმ-ფეშხუმების, სასულიერო ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების გადარჩენის საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს სიძველეთა, ხელოვნების და ძეგლთა დაცვის განყოფილებამ. ახალგაზრდა მკვლევარმა გიორგი ბოჭორიძემ, რომელიც 1921 წლამდე სასულიერო პირი იყო და მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირის მოღვაწეობა შეწყვიტა ტაქტიკური მოსაზრებით. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ანტირელიგიური ისტერიის წლებში ანაფორიანი ხუცესი ითხოვდა ისტორიული ღირებულების ეკლესია-მონასტრების გადარჩენას მას არავინ მოუსმენდა, მაგრამ, როგორც საქართველოს სიძველეთა განყოფილების ინსპექტორი საქართველოს სხვადასხვა მაზრებში დაულალავად მოგზაურობდა, „გიორგი ბოჭორიძემ შეუძლებელი შეძლო, მან ქუთაისისა და თბილისის სიძველეთა საცავებში არა მარტო უამრავ ექსპონანტს მოუყარა თავი, არამედ ეკლესიებიც აღწერა, რომელთაგან ბევრი უკვე დანგრეულია და უმდიდრესი ეპიგრაფიული მასალა დაღუპვისაგან იხსნა“¹⁹.

სიძველეთა კომიტეტის ჩარევით დანგრევას გადაურჩნენ გელათის, ალავერდის, მოწამეთას, მეტეხის, ქაშუეთის ეკლესიები. მაგრამ ეპოქის და მედროვე ადამიანების მსახვრალ ხელს შეეწირა ასობით ეკლესია-მონასტერი, საეკლესიო ნივთები, სასულიერო წიგნები... საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ხალხს ქრისტიანული რწმენა არ აქვთ და არც ეკლესიები უნდათო, მაგრამ როგორც კი მიიღეს დეკრეტი ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის სახელზე ასობით განცხადება შევიდა, ავტორები მოითხოვდნენ ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების გახსნას. ხელისუფლება არ ელოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას, მათ ხალხის ასეთი განწყობის მიზეზად ანტირელიგიური პროპაგანდის სისუსტე მიიჩ-

ნიეს, მოსახლეობის მოთხოვნაზე ეკლესიების კვლავ ამოქმედების შესახებ უარს აცხადებდნენ, მაგრამ ეს უარი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მმართველობის ინიციატივად აღქმული. მაგ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ოზურგეთის მხარის აღმასკომს საიდუმლოდ ატყობინებდა „გთხოვთ გამოუცხადოთ სოფ. შემოქმედის მცხოვრებლებს, რომ მათი შუამდგომლობა შემოქმედის მონასტრის გახსნის შესახებ დატოვებულია უშედეგოდ“²⁰. ასეთი შეტყობინებანი გაიგზავნა ქუთაისის, შორაპნის, თეთრიწყაროს, რაჭის, სვანეთის მაზრის აღმასკომების სახელზე. ხელისუფლებამ მოქმედი ეკლესიების ხელახალი რეგისტრაციის გარდა გაზარდა მათი დაბეგვრის თანხა. სასულიერო პირებს, ეპარქიების მმართველ მღვდელმთავრებს აეკრძალათ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ნებართვის გარეშე ეპარქიებში მოგზაურობა. არაერთხელ მომხდარა ადგილობრივი აქტივისტების მიერ ეპარქიის მღვდელმთავრის დაპატიმრება და ეპარქიიდან გაძევება, შეურაცხყოფა. დაწესებული გადასახადები იმდენად მძიმე იყო, რომ სასულიერო პირები ვერ ახერხებდნენ მის გადახდას და იძულებულნი ხდებოდნენ საერთოდ უარი ეთქვათ სასულიერო საქმიანობაზე.

საქართველოს საპატრიარქო არქივში არაერთი სინანულნარევი განცხადებაა შემონახული სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქების უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის და ქრისტეფორეს სახელზე, სადაც სასულიერო პირები აღნიშნავენ, რომ აუტანელი პირობების გამო იძულებულნი არიან გამოეთხოვონ თავიანთ სამსახურს. ხშირი იყო შემთხვევები, როცა სასულიერო პირები ცდილობდნენ სასამართლოს წესით საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღიარებული სინდისის თავისუფლების პირობების დაცვას. მაგალითად სოფ. თერჯოლის მღვდელმა ირაკლი გურგენიძემ სასამართლოზე განაცხადა: „ჩამოიარა თერჯოლის თემის პარტიის მდივანმა ვასილ ობოლიძემ და გამოაცხადა: თუ მღვდელობას თავს არ დაანებებ მიწებს წაგართმევი, ამიტომ იძულებული გავხდი განცხადება დამეწერა მღვდლობისათვის თავის დანებების შესახებ. თუ მიწას შემინარჩუნებთ სურვილი მაქვს გავაგრძელო სასულიერო მოღვაწეობა“²¹. ამასთან დაკავშირებით ცაკი შორაპნის პროკურორს საიდუმლო წერილით ატყობინებდა თერჯოლის პარტიის მდივნის ვასილ ობოლაძის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შესახებ.

ვითარება იმდენად საგანგაშო გახდა, რომ 1928 წლის 22-23 მაისს სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა საქართველოში მოქმედ რელიგიურ საზოგადოებათა და ღვთისმსახურთა მდგომარეობის შესახებ, სხდომაზე აღინიშნა, რომ „უკანასკნელ ხანში მორწმუნეთა და ღვთისმსახურთა ღვენამ მიიღო მწვავე ხასიათი, რაც გამოიხატება არა მხოლოდ იდეურ

ანტირელიგიურ პროპაგანდაში, არამედ და უმთავრესად ადმინისტრაციულ დევნაში და ფიზიკურ შევიწროებაში ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა მიმართ²². ზოგიერთ სოფელში ადმინისტრაცია არ უშვებდა მღვდელს და არ აძლევდა ღვთისმსახურების ჩატარების უფლებას, ართმევდნენ მიწის ნორმას და ხელწერილის საშუალებით პირობას ადებინებდნენ სასულიერო პირებს უარი ეთქვათ ღვთისმსახურებაზე, თვითნებურად და გადაბეჭვებით ბეგრავდნენ სამღვდლო პირებს და ეკლესიებში მოსიარულეთ, სასულიერო პირთა შვილებს უარს ეუბნებოდნენ საერო სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებაზე. საკათალიკოზო სინოდის სხდომაზე დასახელებულ იქნა არაერთი დევნა-შევიწროების ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრივ. მაგ. სიღნაღის მაზრის სოფ. აფენის თემადმასკომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლალიევმა მღვდელი დემეტრაშვილი სოფლიდან გამოაძევა, რაჭის მაზრის სოფ. კვაცხუეთის მცხოვრებ მღვდელ მელიტონ გოგობერიშვილს ჩამოართვეს მიწის ნორმა, სოფ. წესის ადმასკომის თავმჯდომარემ სოფლის მღვდელს გიორგი გოცირიძეს მოსთხოვა ხელწერილი დაეწერა, რომ ამიერიდან უარს ამბობდა მღვდლობაზე, ცეცხლს მისცეს გუდაუთის, ცხუკვეთის, ლაილაშის ეკლესიები, დიდ ხარჯებს აწერდნენ ცხინვალის, სიღნაღის, თბილისის სამღვდლოებას.

საკათალიკოზო სინოდმა საპროტესტო წერილით მიმართა სრულიად საქართველოს ცენტრალური ადმასრულებელ კომიტეტს და მოითხოვა რელიგიის შესახებ მიღებულ კანონმდებლობათა შესრულება „იმის მტკიცება - ნათქვამი იყო წერილში - რომ აღარ არიან მსურველნი ეკლესიისა, არ არის სწორი და თუ ეკლესიები მაინც იკეტება, ეს ხდება ისეთისავე „ნებაყოფლობით“, როგორც ეს ხდებოდა 1923-24 წლებში. მაშინაც და ეხლაც მორწმუნენი გულის წუხილით უცქერიან ამ ამბავს და ხმას ვერ იღებენ. შეიძლება აქ იმის ბრალიც არის, რომ ასი წლის განმავლობაში დაბეჩავებული მორწმუნენი დღესაც შიშის ინერციით არიან შეპყრობილნი, ხოლო ქართველი ხალხის ფრიად დიდ ნაწილს აქვს სარწმუნოებაც და ეკლესიაც უნდა“²³. საკათალიკოზო სინოდის მკვეთრმა განცხადებამ ხელისუფლება აიძულა ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის ზომიერებისაკენ მოეწოდებინა.

ფ. მახარაძემ საკათალიკოზო სინოდის განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადო - „პირად საჩქაროდ რესპუბლიკის პროკურორს ამხ. ვარძიელს სათანადო განკარგულებისთვის“.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორმა იმავე წელს (1929 წ) გამოსცა ცირკულარი მაზრა - ადმასკომებისა და პროკურორებისათვის. ცირკულარში

აღნიშნული იყო, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის საბაბით სასულიერო პირთა დევნამ მასიური სახე მიიღო, რაც სინდისის თავისუფლების დეკრეტის უგულებელყოფაა. რესპუბლიკის პროკურატურა აფრთხილებდა ადგილობრივ ორგანოებს, რომ პასუხისგებაში მიეცემოდა ყველა ის პირი, ვინც ამა თუ იმ სახით წინააღმდეგობას გაუწევდა რელიგიის შესახებ არსებულ დადგენილებების შესრულებას. „მისი დარღვევა აღნიშნული იყო ცირკულარში - ვერ იქნება გამართებული თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ყველა ეს ხდება რელიგიასთან ბრძოლის და ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით, ვინაიდან რელიგიასთან ბრძოლა ანტირელიგიური პროპაგანდის საშუალებით უნდა გამოიხატოს არა რევოლუციონური კანონების დარღვევაში, რაც მხოლოდ ხელს შეუწყობს იმ აზრის განმტკიცებას მასაში, რომ რევოლუციონური მთავრობა უძლურია დაიცვას თავისივე კანონები და მეტიც საერთოდ სახელი გაუტყდეს ხელისუფლებას, არამედ იმაში, რომ იდეურად იქნას შეტანილი მასში შეგნება იმისა, რომ სარწმუნოებამ, რომელიც ცრუმოწმეობაზეა დამყარებული ადრე თუ გვიან ადგილი უნდა დაუთმოს მეცნიერებას“²⁴.

ხელისუფლება თითქოს შეეცადა რელიგიისადმი დამოკიდებულებაში შეცდომების გამოსწორებას, მაგრამ საქმით არაფერი არ შეცვლილა. ეკლესიისადმი შეწერილი გადასახადები კიდევ უფრო გაიზარდა. საქართველოს მოქმედი ეკლესიების შემოსავალი მცირე იყო, მაგრამ გადასახადები დაწესებული იყო რუსეთის ეკლესიების შემოსავლის მიხედვით. მაშინ, როცა რუსეთის ეკლესიები გაცილებით დიდი შემოსავლით გამოირჩეოდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმძიმეს ვითარებას ასახავდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ქრისტეფორე III წერილი საქართველოს სსრ შინსახკომისა და თბილისის აღმასკომისადმი. „მე მაქვს წარმოდგენილი დეკლარაციები ჩემი შემოსავლისა 1929/30 წლებში, მაგრამ იმდენი გადასახადები შემომაწერეს, რასაც ვერ გადავიხდი. ფინანგენტმა აღწერა ჩემი ბინა და გასასყიდი ნივთები... ვთხოვ აღმასკომს მოახდინოს განკარგულება სრულიად მომეხსნას გადასახადები, როგორც მცირე შემოსავლიანს და მძიმედ დასწეულებულს, ხოლო თუ ეს არ შეიძლება ჩემთვის, მაშინ, როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქსა და ღვთისმსახურს გადამხდელს გადასახადები ჩემი ფაქტიური შემოსავლების მიხედვით გადამხდეს“²⁵. ხელისუფლების წარმომადგენელნი თუ კათალიკოზ-პატრიარქის ქონებას აღწერდნენ და გასასყიდ ნივთებს არჩევდნენ რას უზამდნენ ეპარქიებში მოღვაწე სასულიერო პირებს.

ადმინისტრაციული შევიწროება და უზომო გადასახადების შემოღების გარდა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოსახლეობის რელიგიური შეგნების დასაძლევად

1928 წელს შექმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“. ეს ორგანიზაცია იყო: „ნე-ბაყოფლობითი პროლეტარული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის ამოცანად ისახავდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასების შეკავშირებას რელიგიის (ყოველი სახის და ყოველი ფორმის) როგორც სოციალისტური რევოლუციის შემაფერხებელი მოვლენის წინააღმდეგ აქტიურ სისტემატიურ და თანამიმდევრობითი ბრძოლის საწარმოებლად“²⁶. უღმერთოთა კავშირის პირველ ყრილობაზე კავშირის 106 უჯრედში 10000-მდე უღმერთო ირიცხებოდა. უღმერთოთა კავშირის ერთ-ერთმა წევრმა 1929 წლის იანვარში გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნა: „თავის მოტყუება იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში მორწმუნენი აღარ არიანო. მართალია, გლეხებმა დაკეტეს ეკლესიები, აღარ სწამთ მღვდელი. მისი უზნეო საქციელისა და მატყუარობის გამო, მაგრამ გლეხობის საკმაო ნაწილს ღმერთის არსებობა ჯერ კიდევ სჯერა, ამიტომ საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ანტირელიგიურ მუშაობას, უღმერთოთა წრეები უნდა არსებობდნენ იქ, სადაც საამისო პირობები და შესაძლებლობა გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხში უკმაყოფილებას გამოვიწვევოთ“²⁷. უღმერთოთა კავშირის ადგილობრივი უჯრედები ისეთივე ადმინისტრაციული მეთოდებით იბრძოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1921-1923 წლებში. ხელისუფლების ანტირელიგიურ ისტერიას დაემატა ათას ჯურის ავაზაკი, რომელნიც ეკლესია-მონასტრებში შედიოდნენ, ხოცავდნენ იქ დარჩენილ ბერ-მონაზვნებს, ხოლო საეკლესიო ნივთებს იტაცებდნენ. შემზარავი დანაშაულები მოხდა შიომღვიმეში, ბეთანიაში, კაბენის მონასტერში, სადაც უცნობმა პირებმა გაძარცვეს მონასტრები და დახოცეს ბერები. ასეთ ვითარებაში სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდის მიმართვები, თხოვნები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური მთავრობისადმი, შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი აღეკვეთათ ეკლესია-მონასტრების ძარცვა-რბევა რჩებიდა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

ხელისუფლების წარმომადგენელნი სიტყვით გამოდნენ ადმინისტრაციული წესით ეკლესიების დახურვის პრაქტიკას, მაგრამ საქმით სულ სხვას აკეთებდნენ. 1932 წელს ადმინისტრაციული წესით დაიხურა 600-ზე მეტი ეკლესია და მონასტერი. საბჭოთა მთავრობის რელიგიისადმი დამოკიდებულება გულახდილად გამოხატა ი. სტალინმა ამერიკელ მუშათა დელეგაციის წევრებთან შეხვედრაზე “პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიური ცრურწმენათა გამტარებლების მიმართ. –აღნიშნა მან –რეაქციული სამღვდელოება, რომელიც წამლავს მშრომელი მასების შეგნებას დავთრგუნეთ თუ არა რეაქციული სამღვდელოება? დიას,

დავთრგუნეთ, ოღონდ უბედურება ის არის, რომ ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოსაპობილი. ანტირელიგიური პროპაგანდა არის ის საშუალება, რომელშიც ბოლომდე უნდა მიიყვანოს რეაქციული სამღვდელოების ლიკვიდაციის საქმე”.²⁹ რეაქციულ სამღვდელოებაში ის სასულიერო პირები იგულისხმებოდნენ, რომელნიც არ სცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. დაიწყო ახალი დევნა-შევიწროება, გადასახლებები და ფიზიკური ლიკვიდაცია.

სასულიერო პირობა, ანაფორის და ჯვრის ტარება გადაიქცა მოწამებრივი ცნოვრების გზად. მათ აკრძალული ჰქონდათ საზოგადოებაში გამოჩენის უფლება. საბჭოთა ხელისუფლება ვითომც იცავდა სინდისის თავისუფლებას და ამავე დროს კონსტიტუციით სასულიერო პირებს ჩამორთმეული ჰქონდათ მოქალაქეობრივი თანასწორობის უფლება „დეპუტატთა საბჭოებში ვერ აირჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი ბერები და ყველა სარწმუნოებისა და სჯულის სასულიერო მსახურნი, რომელთათვის კულტის მსახურობა პროფესიას წარმოადგენს“²⁸. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობის ცდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსით შეენელებინათ ანტირელიგიური ისტერია მარცხით დამთავრდა. ხელისუფლება ადმინისტრაციული მეთოდებით, კომკავშირელი და პარტიული აქტივისტების, უღმერთოთა საზოგადოების წევრების საშუალებით ეპარქიებში სასულიერო პირებს ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებების განხორციელებას უკრძალავდა. ღვთისმსახურს სარწმუნოების ქადაგების უფლება არ ჰქონდა, ანტირელიგიური პროპაგანდა კი თავის საქმეს აკეთებდა. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც კარგად იცოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში 20-30-იან წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ახალგაზრდობა კი ბოლშევიკურ მსოფლმხედველობაზე იზრდებოდა, რომელთათვისაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ფუნქცია დაკარგა. ხელისუფლებამ მოახერხა სასულიერო პირების სახით კონტრრევოლუციური მტრის ხატის შექმნა, ისინი წარსულის მავნე გადმონაშთად მონათლა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავის ისტორიაში უმძიმესი ხანა დაუდგა.

„განახლების და რეფორმების“ მცდელობანი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1922-1932 წლებში

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრების დიდი ნაწილისა და კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის საბჭოთა ხელისუფლებისადმი შეურიგებელი პოზიციის გამო ახალი ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში თავისი მომხრეების მომძლავრებას, ისინი, რომელნიც მიუღებლად მიიჩნევდნენ საბჭოთა სისტემასთან დაპირისპირებას, თავიანთ დეკლარაციაში ცნობდნენ რა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას მისადმი თანადგომით “პროგრესიული მიმართულების მიმდევრებად” გამოცხადდნენ. ხოლო მოწინააღმდეგენი “რეაქციულ” სამღვდელოებად. ეს მოძრაობა რომ ხელისუფლებისგან იყო ინსპირირებული ამას ადასტურებდა რუსეთშიც ფართოდ გავრცელებული ე.წ. “ცოცხალი ეკლესიის“ საქმიანობა, რომლის წევრები დაუპირისპირდნენ რუსეთის პატრიარქ ტიხონს, როგორც “ანტისაბჭოთა საქმიანობის“ წარმომადგენელს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც მრავლად გამოჩნდნენ ისეთი სასულიერო პირები, რომელნიც არ იზიარებდნენ გენუის კონფერენციაზე წარგზავნილი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის შემორანდუმის შინაარსსა და შეფასებებს. საბჭოთა მთავრობა განრისხებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მისადმი ასეთი შეურიგებელი პოზიციით, მან გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი სამღვდელოება, ამავე დროს ანგარიშს უწევდა რა არსებულ რეალობას, მორწმუნე ქართველობა ჯერჯერობით მრავალრიცხოვანი იყო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმება დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, სასურველად მიიჩნევდა ხელისუფლების დამჯერი სასულიერო პირების გაძლიერებას. ჯერ კიდევ 1922 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება საეკლესიო სფეროში “განახლებისა და რეფორმების” შესახებ. მართალია მომავალი “რეფორმების“ ავტორები აცხადებდნენ, რომ საეკლესიო დოგმატიკის ძირითად საკითხებს ცვლილებები არ შეეხებოდა, მაგრამ როგორც შემდგომ მოვლენების განვითარებამ აჩვენა ე. წ. “განახლებისა და რეფორმების“ მიმდევარნი დოგმატიკის საკითხების გამარტივებასაც შეეცადნენ. თბილისში განახლებისა და რეფორმატორების ჯგუფს ხელმძღვანელობდა ურბნელი ეპისკოპოსი, 1922-1925 წ.წ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობის შემსრულებელი ქრისტე-

ფორე ციციშვილი, ეპარქიებში ყველაზე მეტად აქტიურობდა ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი დავითი (ექვთიმე კაჭახიძე). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ქუთათელ-გაენათელი მღვდელმთავრები იყვნენ მიტროპოლიტები: ანტონი (გიორგაძე), ნაზარი (ლეჟავა), ხოლო 1924 წლის აგვისტოში მიტროპოლიტ ნაზარისა და სასულიერო პირთა ერთი ნაწილის დახვედრის შემდეგ ეპისკოპოსი დავითი გახდა ქუთათელ-გაენათელი. მართალია ოფიციალურად იგი 1924 წლიდან იქნა აღავერდებლობიდან გადაყვანილი ქუთაისის ეპარქიაში, მაგრამ ჯერ კიდევ 1923 წლის იანვრიდან, როცა მიტროპოლიტი ნაზარი დაპატიმრებული იყო ეპისკოპოსი დავითი ქუთაისში აქტიურად ეწეოდა პროპაგანდას, როგორც იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი, საქართველოს ეკლესიის განახლებისათვის, რასაც ადასტურებს 1923 წლის 17 აგვისტოს მის მიერ გაგზავნილი წერილი ქუთაისის მთავარხუცესს, დეკანოზ პლატონ ციციშვილისადმი: “დრო არის განახლება შეტანილ იქმნას ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში. თანახმად თანამედროვე კულტურის სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა, ამიტომ გვევალებათ გამოითხოვოთ მთავრობისგან ნებართვა სარეფორმო კომისიის შედგენისა და საჭირო კრებების გამართვისა, რათა გამოძუშავებულ იქნას რეფორმის პროექტი“¹.

1923 წლის 2 სექტემბერს ქუთაისში ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით და საეკლესიო რეფორმების საინიციატივო ჯგუფის მოწოდებით შედგა ქუთაისის ეპარქიის მორწმუნეთა ნაწილისა და სამღვდელოების კრება, რომელიც გახსნა ეპისკოპოსმა დავითმა. მისი აზრით: “დადგა დრო ეკლესიაში განხორციელდეს ცვლილებანი თანამედროვე ცხოვრების მიხედვით. ამ გზით გადადგმულ იქნას პროგრესიული ნაბიჯები ეკლესიურ ცხოვრებაში“². არჩეულ იქნა საინიციატივო კომიტეტი ეპისკოპოს დავითის: არქიმანდრიტ ნესტორ ყუბაბეიშვილის, დეკანოზ გაბრიელ ცაგარეიშვილის, ამბროსი ფოფხაძის, მოქალაქე სამსონ ყიფიანის, ტრიფონ ჯაფარიძის, თეოფილე ხუსკივაძის, მელიტონ კანდელაკის, ვასილ წერეთლის, ევსევი ნიკოლაძის, დავით დგებუაძის შემადგენლობით. კრებას ესწრებოდა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი ვალთა ბახტაძე, რომელმაც ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეკლესიისა და მთავრობის დამოკიდებულება.

ხელისუფლების საამებლად კრებაზე ეპისკოპოსმა დავითმა ასეთი განცხადება გააკეთა: “გენუის კონფერენციაზე ქართველი სამღვდელოების სახელით გაგზავნილმა მემორანდუმმა, კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოს ეკლესია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი თავის მტრად მი-

ინჩია და ამიტომ დაარბია ეკლესიები, დაიქსაქსა სამღვდელოება, მთავრობა უნდა დარწმუნდეს რომ ეკლესიას პოლიტიკასთან არავითარი საერთო არა აქვს. თუ ამას დავამტკიცებთ ნორმალურ პირობებში, მაშინ ხელისუფლება შეწყვეტს ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიას. ამიტომ მოვითხოვთ ჩვენს ეპარქიაში შეჩერებულ იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა. აღდგენილ იქნას ტაძრები. თუ მაინც ვინმე შეინიშნა ანტისამთავრობო გამოსვლებში ისინი სასტიკად დაისაჯონ“³. ეპისკოპოს დავითის განცხადება იმის შესახებ, რომ ეკლესიამ უარი უნდა განაცხადოს ყოველგვარ პოლიტიკურ საქმეებში ჩარევაზე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასურველი პოზიცია იყო. იმ დროს, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველი ორგანოს, საკათალიკოზო საბჭოს წევრების უმრავლესობა საქართველოს საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებით დაპატიმრებულნი იყვნენ, ქუთაისის საეკლესიო რეფორმის საინიციატივო ჯგუფის 1923 წლის 5 სექტემბრის კრების გადაწყვეტილება, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვალია ბახტაძემ, დასავლეთ საქართველოს პროკურორმა ამბროსი ურუშაძემ, მიმართული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. “დღეს საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება-გკითხულობთ კრების ოქმში - არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მორწმუნეს მხარი დაუჭირონ მას. ვაცხადებთ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის გამოსვლას შემცდარად და არაკანონიკურად, საჭიროდ მიგვაჩნია იგი გადაყენებულ იქნას კათალიკოზ-პატრიარქის თანამდებობიდან“⁴.

კრების მონაწილეებმა დაავალეს ეპისკოპოს დავითს და დეკანოზ პლატონ ცქიტიშვილს თბილისში წასვლა და უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსისთან მოლაპარაკება გადადგომის შესახებ. კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ უარი განაცხადა გადადგომაზე, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ე. წ. “რეფორმატორებს“ გაეგრძელებინათ თავისი საქმიანობა. მათ მთავრობის ყურადღება მიაპყრეს იქითკენ, რომ ხალხის მხარდაჭერის მოპოვებისათვის აუცილებელი იყო ადმინისტრაციული წესით დაკეტილი ეკლესიების გახსნა, ღვთისმსახურების აღდგენა, მსჯელობდნენ დატუსაღებული სასულიერო პირებიდან ვინ დადგებოდა რეფორმატორების მხარეზე, ისინი უნდა გაეთავისუფლებინათ სპეციალური ხელწერილით, რომ არასოდეს პოლიტიკური საკითხების განხილვაში არ ჩაერეოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა გაითვალისწინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოპოზიციის, ე.წ. “რეფორმატორთა“ თხოვ-

ნა და ქუთაისის მაზრაში შემაგალი ეკლესიების უმრავლესობა გაიხსნა, თუმცა ეპისკოპოს დავითს მიაჩნდა, რომ ქუთაისის შეღავათები უნდა გავრცელებულიყო სხვა მაზრებშიც. ეპისკოპოს დავითის აზრით, დეკანოზები კალისტრატე ცინცაძე, ანტონ თოთიბაძე, იოსებ მირიანაშვილი, დიმიტრი ლაზარიშვილი, არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე) მხარს დაუჭერდნენ საქართველოს ეკლესიის განახლების მოსურნეთ, ამიტომ მან განცხადებით მიმართა ხელისუფლებას მათი საპატიმროდან განთავისუფლების შესახებ. ეპისკოპოს დავითის სურვილის საწინააღმდეგოდ აღნიშნული ჯგუფის არცერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა მის “რეფორმებს”.

საბჭოთა მთავრობას სურდა რაღაც არ უნდა დაჯდომოდა მიელწია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისაგან მონანიება. ამის შესახებ კონფიდენციალურად მსჯელობდნენ ე.წ. “განახლებისა და რეფორმის“ მიმდევრები და მთავრობის წარმომადგენლები. 1923 წლის 8 სექტემბერს ქუთაისიდან სარეფორმო კომიტეტმა მიმართა კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის, მიმართვის ავტორები წერდნენ: “საქართველოს ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა მძიმეა, პატრიარქი, მიტროპოლიტი, არქიმანდრიტი, ზოგიერთი დეკანოზი დაპატიმრებულნი არიან, ეპარქიების მართვა-გამგეობა შეჩერებულია. ტაძრები გამონაკლისის გარდა დაკეტილია, სამღვდელოება დაქსაქსულია, მორწმუნე ერი შეწუხებულია. ყოველივე ეს შედეგია ეკლესიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მომხდარი კონფლიქტებისა, რაც გამოიწვია თქვენ მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა (მემორანდუმმა). ქუთაისის სამღვდლოებისა და მორწმუნეთა ნაწილმა მთავრობასთან შეთანხმებით შეადგინა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანია ეკლესიის საკითხების მოგვარება პროგრესულ ნიადაგზე, რომ ეკლესიამაც თავისი ადგილი დაიჭიროს და თავისი არსებობაც ადმინისტრაციულ სფეროში მთავრობის მხრივ უზრუნველყოფილ იქნას. ეს შეუძლებელია თუ მემორანდუმით გამოწვეული კონფლიქტი არ ამოიწურა, ამიტომ გთხოვთ უარყოთ მემორანდუმი, რომლის შინაარსიც მთავრობის დღევანდელ სახელმწიფოებრივ მოქმედებას არ შეესაბამება და არ შესწიროთ მას ეკლესიის კეთილდღეობა“⁵. ასეთივე მოწოდებით მიმართა უწმიდეს ამბროსის თბილისში ეპისკოპოს დავითის თანამოაზრეებმა ქრისტეფორე ციცქიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ უწმიდესი ამბროსი გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ესოდენ მძიმე დღეებში მის მიერ კათალიკოზ-პატრიარქის თანამდებობაზე უარი იქნებოდა დიდი შეცდომა, გაწბილება იმ მრავალრიცხოვანი გულმხურვალე მამულიშვილებისა, ვისთვისაც ძვირფასი იყო სამშობლოსა და ეკლესიის თავისუფლება. ამიტომ ე.წ. “რეფორმატორთა“ მოთხოვნაზე მისი პასუხი იყო მოკლე და მრავალისმთქმელი: “თუ საჭიროა ჩვენი ეკლესიისათვის, მე იძულებით უნდა ვიქნე გადაყენებუ-

ლი“⁶. ბუნებრივია მოვლენების ასეთი განვითარება მათ არ აწყობდათ ასეთ შემთხვევაში მორწმუნე ქართველობის თვალში ე. წ. “რეფორმატორები” თავისი ნამდვილი სახით წარმოჩინდებოდნენ.

ქუთაისის სამღვდელთა სასწავლო მიზნები თუ რა მიზნები ჰქონდა საინიციატივო ჯგუფის წევრებს, ამიტომ ბევრმა უარი განაცხადა ეპისკოპოს დავითთან თანამშრომლობაზე, საინიციატივო ჯგუფი დატოვეს ვლადიმერ წერეთელმა, თეოფილე ხუსკივაძემ, ევსევი ნიკოლაძემ და სხვებმა.

სარეფორმო ჯგუფის წევრების სახე და მიმართულება კარგად გამოჩნდა მათ მიერ შემუშავებული “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სარეფორმო პროექტი”-ს. პროექტის თანახმად უქმდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის თანამდებობა. საქართველოს ეკლესიას განაგებდა თბილისის მთავარეპისკოპოსის ტიტულით თბილისის მღვდელმთავარი, რომელსაც აგრეთვე დაექვემდებარებოდა ქართლ-კახეთის ეპარქიის კათედრა. მისი რეზიდენცია იყო თბილისში. თბილისის მღვდელმთავარს პირად თანაშემწედ ჰყავდა ქორეპისკოპოსი. პროექტის მიხედვით იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას მართავდა ქუთაისის მღვდელმთავარი, რომელსაც კათედრა ექნებოდა ქუთაისში, აფხაზეთსა და სამურზაყანოს ეპარქიას მართავდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა ექნებოდა სოხუმში. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს ეხმარებიან მთავარხუცესები, რომელთაც ეპარქიები დაყოფილი აქვთ ოლქებად და ცნოვრობენ სადაც მოუხერხდებათ. პროექტის ამ ნაწილით აშკარა იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ერთიანი ორგანიზაცია რეფორმატორებისათვის მიუღებელი იყო. მათი აზრით: “საქართველოს ეკლესიის საადმინისტრაციო დაწესებულებანი იყო სამრევლო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა მრევლის მღვდელი, საოლქო საბჭო, ოლქის მთავარხუცესის თავმჯდომარეობით, საეპარქიო საბჭო მღვდელმთავრის ხელმძღვანელობით, სამთავარეპისკოპოსო საბჭო, საქართველოს მთავარეპისკოპოსის თავმჯდომარეობით, რომელიც იქნებოდა ეკლესიის სფეროში უმაღლესი ორგანო“⁷.

რეფორმატორთა პროექტით ცვლილებები უნდა მომხდარიყო ეკლესიაში, სადაც საკურთხეველს უნდა მოშორებოდა კანკელი და მის ნაცვლად მოაჯირი გაეკეთებინათ. ეკლესიიდან უნდა გამოეტანათ ხატები გარდა მაცხოვრის ხატისა. ტაძარში იკრძალებოდა საცეცხლურის და საკმეველის გამოყენება. საეკლესიო ზარის დარეკვა შეიძლებოდა მხოლოდ წირვის წინ ერთხელ. ე.წ. „რეფორმატორები“ უარყოფდნენ სასწაულმოქმედი ხატის არსებობას. მათი აზრით უნდა “გამარტივებული-

ყო ღვთისმსახურება, ჩამოშორებოდა მას გარეგანი ფორმები. ღვთისმსახურების დროს არ იყო სავალდებულო სამოციქულოს წაკითხვა. შვიდ საილუმლოში სინანულის და ზეთის კურთხევა ვალდებულებას არ წარმოადგენდა. მორწმუნეთა ზიარების გარეგანი ფორმა საგრძნობლად იცვლებოდა ჰიგიენური მოსაზრებების საბაბით, საეკლესიო წიგნები ასომთავრულ-ხუცურის ნაცვლად უნდა ყოფილიყო მხედრულით შესრულებული“⁸.

ე.წ. „რეფორმატორები“ სავალდებულოდ არ თვლიდნენ სამღვდელმთავრო და სამღვდლო შესამოსელის ტარებას ღვთისმსახურების გარეშე, მათი აზრით უნდა მოსპობილიყო ბერ-მონაზვნობა, ვისაც სურვილი ექნებოდა თავისუფლად შეეძლოთ განდევნილად ცხოვრება, მაგრამ ეს არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა მათ. “დიდი სჯულისკანონის“ საწინააღმდეგოდ საეპისკოპოსო კანდიდატი შეიძლებოდა ყოფილიყო ცოლიანი ან უცოლო, ასევე შესაძლებელი იყო ქვრივი მღვდელების დაქორწინება. “რეფორმატორების“ აზრით მართლმადიდებელი ეკლესიებში დაწესებული მარხვა არ იყო სავალდებულო, ასევე უნდა შემცირებულიყო საეკლესიო ღვთისმსახურებები და მისი აღნიშვნა მომხდარიყო ახალი სტილის მიხედვით. საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის განახლების მოსურნეთა სულისკვეთება მიმართული იყო მართლმადიდებლური დოგმებისა და მრავალსაუკუნოვანი კანონიკური ტრადიციების განადგურებისაკენ. ქართველი „რეფორმატორები“ ახლო ნათესაობას ამჟღავნებდნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში 1922-30-იან წლებში არსებულ “ცოცხალი ეკლესიის” მიმდინარეობასთან.

ჯერ კიდევ 1922 წლის 25 დეკემბერს, როგორც საქართველოს საკათალიკო-ზო საბჭოს კანცელარიის მდივნის დეკანოზ იოანე ქავჭავაძის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი განცხადებიდან ირკვევა იგი დაუპატიმრებიათ სრულიად უმიზეზოდ. ციხეში მასთან დაკითხვაზე მისულა ვინმე „მიკი“, რომელიც დეკანოზს უმტკიცებდა, რომ იგი იყო ორგანიზატორი რუსეთში არსებული “ცოცხალი ეკლესიისა“. და თუ დეკანოზი ი.ქავჭავაძე ხელს არ შეუწყობდა საქართველოს ეკლესიის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში, “ცოცხალი ეკლესიის“ ინტერესების დაცვაში მას საქართველოდან გადაასახლებდნენ სამუდამოდ“⁹. როგორც ირკვევა ბოლშევიკური მთავრობა სერიოზულად შეუდგა საქართველოში ცოცხალი ეკლესიის ფორმირების საქმეს, რომელიც ცნობილი იყო “ცოცხალი ეკლესიის“, “ეკლესიის აღორძინების კავშირის“, “სახალხო ეკლესიის“ სახით, რომელიც რუსეთში დაუპირისპირდნენ პატრიარქ ტიხონს და, რომელთაც შექმნეს უმაღლესი საეკლესიო მმართველობის ორგანო, მათ 1923 წელს მხარი დაუჭირეს საბჭოთა ხელისუფლებას, დაემეს რუსეთის ეკლესიის ანტისაბჭოთა განწყობილება.

მართალია პატრიარქმა ტიხონმა ისინი ანათემას გადასცა, მაგრამ მათ შექმნეს თავისი სინოდი, რომელსაც ევლოკიმ მეშჩერსკი, ხოლო შემდეგ ბენიამინ მურატოვსკი ხელმძღვანელობდა. ისინიც ილაშქრებდნენ ბერ-მონაზვნობის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ საეკლესიო დღესასწაულების შემცირებას და წირვა-ლოცვის გამარტივებას. მათ უკან მოიაზრებოდა საბჭოთა სისტემა, რომელსაც სურდა ეკლესიის შიგნიდან აფეთქება და ხელისუფლებისათვის მორჩილი სასულიერო იერარქიის ჩამოყალიბება.

ქართველი რეფორმატორები პათეტიკურად აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი ფრიად ნათელი იყო “ეკლესიის საქმიანობის გამოცოცხლება და პროგრესის გზაზე დამყარება, კარჩაკეტილობისა და ცალმხრივობის მოსპობა, მისი გამოცოცხლება და გავრცელება ყველა იმ საქმეებზე, რომელნიც ემსახურებიან როგორც კერძო პიროვნების, ისე საზოგადოებრივი განვითარებისა და პროგრესის საქმეს”¹⁰, მაგრამ თუ მართლმადიდებელ ეკლესიებში შეცვლიდნენ მართლმადიდებლურ დოგმებს, სკამებს დადგამდნენ, საეკლესიო საგალობლებს გარდაქმნიდნენ “მორწმუნეთა ესთეტიკური გემოვნების განვითარების მიხედვით“, მოსპობდნენ სასულიერო და საერო პირთა შორის არსებულ განსხვავებას, ამით საბოლოოდ გაანადგურებდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

საბჭოთა ხელისუფლება გაფაცვიცვით ადევნებდა თვალყურს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით მიმდინარე პროცესებს. გაზ. “მუშა და გლეხში“ 1923 წლის №23 დაიბეჭდა ქუთათელი ეპისკოპოსის დავითის მიერ შედგენილი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტი, რომელსაც ჰქონდა სარედაქციო მინაწერი სათაურით “პირველი ნაბიჯი“. “ჩვენ ვფიქრობთ - აღნიშნული იყო წერილში-პირველი ნაბიჯი ქუთაისის სამღვდელოების წარმომადგენლობისა მოკლე ხანში უფრო ღრმა და უფრო რადიკალურ გამოძახილს პოვებს სამღვდელოების დაბალ ფენებში, ყოველგვარი ახალი “ყოველგვარი პროგრესული“ ნაბიჯის გადადგმა როგორც დადებითი მოვლენა. ეს უფრო დააფიქრებს მათაც ვისაც ეკლესია სწამს, ამ ეკლესიის საფუძვლების შესახებ. დაფიქრება კი ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს იმას, რისკენაც ჩვენ მივისწრაფით ეკლესიის საკითხში. მის სრულ მოსპობას“. ეპისკოპოს დავითის მიერ შედგენილ რეფორმის პროექტს დადებითად გამოეხმაურა გაზ.“ზარია ვოსტოკა“ (იხ. 1923. №266.18.II), სადაც პირდაპირ იყო აღნიშნული რომ რეფორმატორთა სურვილი იყო “ცოცხალი ეკლესიის“ შექმნა.

საკათალიკოზო საბჭოს წევრებმა და კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ 1925 წლის მარტში საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ გადაწყვიტეს მიეღოთ

ზომები საქართველოს ეკლესიაში შექმნილი რთული ვითარების გამოსასწორებლად. უწმიდესი ამბროსის გადაწყვეტილებით ქუთაისში გაგზავნილ იქნა დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე ეპისკოპოს დავითის საქმის გამოსადიებლად. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და იმავე დღეს მიებოძა მიტროპოლიტობა. იგი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ (30.10.1925 წ.). კალისტრატე ცინცაძე იყო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, რომელიც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსის აზრით შექმნილ ვითარებაში შეძლებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაცვას. ე.წ. “რეფორმატორთა“ უსაფუძვლო ბრალდებების გაქარწყლებას და საკათალიკოზო საბჭოს მთლიანობის შენარჩუნებას. “დიდია შენგან მიღებული ღირსება და პატივი - მიმართავდა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ეპისკოპოს კალისტრატეს. მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის იწროება, შრომა, ვაება და წყენა, რომელიც შენ მოგელის, აქ საჭიროა მოთმინებით ატანა ყველა იმისა, სიხარულად ჩარიცხვა ყველა იმისა, რაც ეკლესიას კეთილდღეობისათვის შეგზვდება ცხოვრებაში, რამდენადაც ამაღლდები იმდენად უფრო მეტად უნდა დამდაბლდე აქ არის ნამდვილი სულიერი სიმაღლე“¹².

უწმიდესი ამბროსის 1925 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით მიტროპოლიტ კალისტრატეს მიენიჭა უფლება ბარტყულაზე ჯვრის ტარებისა და ეპარქიების მწყემსმთავართა შორის ღვთისმსახურების დროს უპირატესობისა. უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ე.წ. “რეფორმატორებსა“ და საკათალიკოზო საბჭოს შორის. ქუთაისის ეპარქიის მორწმუნე საზოგადოებამ გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია ეპისკოპოს დავითს, მის რეფორმებს, რაც დაადასტურა 1925 წლის 30 ნოემბერს ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში შეკრებილმა საეკლესიო ოლქისა და საეკლესიო საბჭოების წარმომადგენელთა კრებულმა. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით გათამამებულმა ეპისკოპოსმა დავითმა იმავე წლის 7 დეკემბერს ქუთაისის მთავარანგელოზის საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ ხალხს განუცხადა, რომ “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო, ეპარქიის ჩემდამი უარყოფითად განწყობილი ადამიანებში ცილს მწამებენ და ცდილობენ ჩემი ეპარქიიდან გადაყვანას“¹³. ეპისკოპოს დავითის სიტყვამ დიდი გავლენა მოახდინა ხალხზე, რომელთაც წერილობით მიმართეს საკათალიკოზო საბჭოს არ გადააყენონ ეპისკოპოსი დავითი ქუთათელ-გაენათელობიდან. ეპარქიის მორწმუნე მრევლის სახელით მოთხოვნას ხელს აწერდნენ მიხეილ ჟღენტი, ანტიფო ბოდო-

კია, ალექსი ქებაძე, გალაქტიონ გოცირიძე, გიორგი გურგენიძე. უფრო ადრე საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებით ეპისკოპოს მელქისედეკ ალავერდელს და დეკანოზ ეპიფანე ჯაოშვილს დაევალებათ ეპისკოპოს დავით კაჭახიძის საქმიანობის შესწავლა და ქუთაისის ეპარქიიდან მისი გადაყვანა. ქუთაისში ეპისკოპოს დავითის საწინააღმდეგო ჯგუფს სათავეში ჩაუდგა მთავარანგელოზის ეკლესიის მსახური ვარდენ გამრეკელიძე, რომელმაც 1925 წლის 8 დეკემბერს შედგენილი ოქმით ერისკაცებისა და სასულიერო პირების სახელით ბოიკოტი გამოუცხადა ეპისკოპოს დავითს. მათი აზრით: “ეპისკოპოსი დავითი არის უვარგისი, მისი ქუთაისში ყოფნა აბრკოლებს მორწმუნეებს”¹⁴. ასეთ რთულ ვითარებაში ეპისკოპოს დავითს საკათალიკოზო საბჭოში მხარი დაუჭირა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ, რომელმაც ჯერ კიდევ 10 ოქტომბერს წინადადება შეიტანა ეპისკოპოს დავითისათვის მიტროპოლიტობის წოდების მიცემის შესახებ. მისი აზრით: “თუ მორწმუნეთა მცირე ჯგუფმა ასე იწყეს თავისი სურვილის მიხედვით მღვდელმთავრის გაგდებ-გამოგდება, მაშინ საერთოდ დაეცემა მღვდელმთავრის პრესტიჟი და ავტორიტეტი”¹⁵. ეპისკოპოს დავითის მოწინააღმდეგენი მაინც არ თმობდნენ პოზიციას, მათი აზრით: “ეპისკოპოსი დავითი არის წარმომადგენელი “ცოცხალი ეკლესიისა“, ამიტომ მას არ ძალუძს აღამაღლოს ერის რელიგიური სული, რაც ფრიად თვალსაჩინო შეიქმნა უკანასკნელ წლებში ქუთაისის ეპარქიაში, რომ იგი მოკლებულია ელემენტარულ მღვდელმთავრის ღირსებებს... მტკიცება იმისა, რომ იგი არ უყვარს სამწყსოს იმიტომ, რომ არ გამოდის საწინააღმდეგოდ არსებული მთავრობისა ეს არის ცბიერი ცილისწამება მორწმუნე ერისა, რომელსაც არავითარი პოლიტიკა არ შეაქვს საეკლესიო საკითხებში”¹⁶.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში, რომელიც ქუთაისის ეპარქიაში წარმოიშვა 11-15 დეკემბერს იმუშავა საკათალიკოზო საბჭოს დავალებით ეპისკოპოსმა მელქისედეკ ალავერდელმა და 16 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს წარუდგინა მოხსენება ქუთაისის ეპარქიაში შექმნილი ვითარების შესახებ. მისი აზრით ეპისკოპოს დავითის მოწინააღმდეგეთა ცდები მღვდელმთავარი დაედანაშაულებინათ რაიმე ბოროტ მოქმედებაში უსაფუძვლო იყო. მიუხედავად ამისა ქუთაისის სამღვდელოების უმრავლესობა მოითხოვდა მისი ეპარქიიდან გადაყვანას. ეპისკოპოს მელქისედეკის აზრით ქუთაისში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავებულია, მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ადგილი აქვს ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც. ამიტომ მას მიაჩნდა თვით ეპისკოპოს დავითისათვის უმჯობესი იყო მისი ქუთაისის ეპარქიიდან გადაყვანა, ხოლო ახალი მღვდელმთავარი უნდა აირჩიოს ეპარქიამ, რომ აღარ ჰქონდეს საბუთი უკმაყოფილებისათვის. ქუთაისის

ეპარქიის სამღვდელოება თვლიდა, რომ შექმნილი ვითარების გამოსწორება შეეძლო მიტროპოლიტ კალისტრატეს.

საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე საკითხის ამ ფორმით განხილვამ წონასწორობა დააკარგვინა ეპისკოპოს დავითს, რომელმაც დეპეშა გაგზავნა თბილისში - ჩემი ნებით არ დავტოვებ ქუთაისის ეპარქიას“-¹⁷, დეპეშას მოაყოლა საკათალიკოზო საბჭოს სახელზე გაგზავნილი მოხსენებაც. “ეკადნიერდები და მოვახსენებ საკათალიკოზო საბჭოს, რომ ჩემ ცხოვრებაში და ჩემს სამსახურში არაა ისეთი რამ, რომ შეიძლებოდეს ჩემი დათხოვნა ან გადაყვანა დაურღვევლად სამართლიანობისა და წესიერებისა. ცრუ ქრისტიანებსა და ცრუ პატრიოტებს რომ არ მოვწონვარ და გზავნიან საჩივრებს ჩემს შესახებ, ამას უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოს მე ხელუხლებელი უნდა ვიქნე ქუთაისში“¹⁸. ეპისკოპოსი დავითი აშკარად არ ემორჩილებოდა საკათალიკოზო საბჭოს მოთხოვნებს, თვლიდა რომ ქუთაისის სამღვდელოებისა და მორწმუნე მრევლის უმრავლესობა მისი მხარდამჭერი იყო, ითხოვდა საკათალიკოზო საბჭოში მისი საკითხის მიუკერძოებლად განხილვას. მას იმედი ჰქონდა ეპისკოპოსების ქრისტეფორეს, სიმეონის, იეროთეოსის, იოანეს მხარდაჭერისა. ქუთაისის ეპარქიაში შექმნილი მწვავე დაპირისპირება ხელსაყრელი იყო ხელისუფლებისათვის, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა ანტირელიგიური კამპანია. ამასთან დაიწყო ეკლესია-მონასტრებში დარჩენილი ოქროსა და ვერცხლის ხატების, ბარძიმ-ფეშხუმების, მიტრების, პანალიების გადაღობა და რეალიზაცია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილი შფოთვისა და არეულობის პირობებში საკათალიკოზო საბჭომ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას საეკლესიო სიწმინდეთა დატაცება-განადგურების საქმეში, უწმინდესმა ამბროსიმ საკათალიკოზო საბჭოს თანხმობით 1926 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისის ეპარქიაში შექმნილი ვითარების მოწესრიგებისათვის, სასურველი იყო ეპისკოპოსი დავითი გადაყვანილიყო მაწყვერელის კათედრაზე ურბნისის ეპარქიის დროებითი მართვის უფლებით, მაგრამ ეპისკოპოსმა დავითმა უარი განაცხადა საკათალიკოზო საბჭოს განჩინების შესრულებაზე, 17 ნოემბერს მან უწმიდესი ამბროსის სახელზე გაგზავნილ წერილში მიუთითა: “მაცნობეთ რისთვის ვარ დასჯილი. საქმის გამორკვევამდე. სხვა მღვდელმთავარს ვერ დავუშვებ ქუთაისში, გთხოვთ მშვიდობიანობა ნუ იქნება დარღვეული“¹⁹.

საკათალიკოზო საბჭოს სახელით გაგზავნილ პასუხში აღნიშნული იყო მღვდელმთავრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა არ არის დაკავშირებული რაიმე სასჯელთან. ეპისკოპოსი დავითი დაჟინებით მოითხოვდა საკათალიკოზო

საბჭოს ერთი თვით შეეჩერებინა მისი ეპარქიიდან გადაყვანის ბრძანება. იგი მოუწოდებდა საკათალიკოზო საბჭოს წევრებს გამოეჩინათ გამჭრიახობა და სიბრძნე, რომ შფოთი და არეულობა, რომელიც ქუთაისის ეპარქიის გამო წარმოიშვა, მორწმუნეთა თვალში დაამცირებდა ეკლესიის სახელს, რომ იგი თითქმის ოცი წლის მღვდელმთავარი თავს არავის დააჩაგვრინებდა. მისი აზრით ახალციხეში ეპისკოპოსის გამწესება არ შეიძლებოდა იქაური რთული პირობების გამო. ეპისკოპოსი დავითი იმ შემთხვევაში დატოვებდა ეპარქიას თუ თბილისში ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრად გადმოიყვანდნენ.

ეპისკოპოსი დავითი ფაქტიურად საკათალიკოზო საბჭოში კალისტრატე ცინცადის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს არც იყო გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიტროპოლიტი კალისტრატე უწმინდეს ამბროსის მოსაყდრედ ჰყავდა დანიშნული. ე.წ. „რეფორმატორთა“ გეგმა კათალიკოზ-პატრიარქობისკენ გზა გაეკაფათ მიტროპოლიტ ქრისტეფორესათვის შეუძლებელი ხდებოდა. “ახალციხეში თუ კარგია იქ მიტროპოლიტი კალისტრატე გაუშვით - წერდა ეპისკოპოსი დავითი საკათალიკოზო საბჭოს - მე ქუთაისიდან მხოლოდ თბილისში გადავალ. ნუ ნებულობთ მშვიდობიანობის დარღვევას“²⁰. ასეთ ვითარებაში 1926 წლის 1 დეკემბერს კვლავ შეიკრიბა საკათალიკოზო საბჭო, რომელსაც ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმინდესი ამბროსი, მიტროპოლიტი კალისტრატე, ეპისკოპოსები: პავლე, მელქისედეკი, დეკანოზები: ივანე მირიანაშვილი, გიორგი გამრეკელი, ივანე რატიშვილი, გიორგი იმნაიშვილი, რომელმაც დაადგინა: “განმეორებით ეცნობოს ეპისკოპოს დავითს დაუყოვნებლივ შეუდგეს თავის მოვალეობის აღსრულებას აწყვურის ეპარქიაში. ნუ აიძულებს საკათალიკოზო საბჭოს მიმართოს მოციქულთა 36-ე კანონს“²¹. ასეთ ვითარებაში ე.წ. „რეფორმატორების“ დასაცავად როგორც ჩანს აქტიურად ჩაერთვნენ “უხილავი“ ძალები, რომელთაც მოახერხეს ქუთაისში ეპისკოპოს დავითის მოწინააღმდეგეთა დაფანტვა, ქუთაისის მთავარანგელოზის სახ. ეკლესიაში 21 დეკემბერს შედგა ეპარქიის კრება, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა ეპისკოპოს დავითის ქუთაისში დარჩენა, რაც დეპუტით აცნობეს, როგორც საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ასევე საკათალიკოზო საბჭოს, ისინი უფრო შორსაც წავიდნენ, გამოაცხადეს, რომ წყვეტდნენ ყოველგვარ დამოკიდებულებას საკათალიკოზო საბჭოსთან. ეპისკოპოსმა დავითმა წერილობით აცნობა ამის შესახებ საკათალიკოზო საბჭოს: “სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი და საკათალიკოზო საბჭო ჩემს მიმართ უსამართლოდ და უკანონოდ მოიქეცით, ორი წლის განმავლობაში მღევნით, თქვენ დალუპეთ საქართველოს ეკლესია (მემორანდუმი, საბჭოთა მთავრობასთან შეურიგებ-

ლობა) ამიტომ მე ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქთან და საკათალიკოზო საბჭოსთან“²². ქუთათელი მღვდელმთავარი შეიძლება ითქვას “სქიზმაზე“ (განხეთქილებაზე) მიდიოდა. სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ 1926 წლის 8 დეკემბერს საგანგებო სხდომაზე დაადგინა: ეპისკოპოსი დავითი ამჟამად შეპყრობილია იმ ავადმყოფობით, რომელსაც დევნილობისა და განდიდების მანია ეწოდება და რომლის შედეგადაც უნდა ჩაითვალოს ყოვლად ამღვრეული აწინდელი სულიერი მღვდლვარება, აზრთა არეკ-დარეკა, სურვილთა გამოურკვევლობა და საქართველოს ეკლესიაში განდგომილილება - განხეთქილების შეტანის ცდა. ამის გამო საკათალიკოზო საბჭომ განაჩინა. ყოვლად სამღვდლო დავითის უკანასკნელი განკარგულება ცნობილი იქნას ავადმყოფი ადამიანის ნაწარმოებად, თვით ყოვლად სამღვდლო დავითი დათხოვნილ იქნას შვებულებაში, სანამ მის მეუფებას დაუბრუნდებოდეს სულიერი სიმშვიდე“^{22ა}. ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოებამ საკათალიკოზო საბჭოსგან დამოუკიდებლად 1926 წლის 24 დეკემბერს ეპისკოპოსი დავითი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა ეს იყო აშკარა თვითნებობა და გამოწვევა.

ე. წ. “რეფორმატორთა” ჯგუფმა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქისა და საკათალიკოზო საბჭოს გვერდის ავლით 1926 წლის 24 დეკემბერს ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოსა და კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდესი ამბროსის მოწინააღმდეგე, საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის მიმდევარი სასულიერო პირები, კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ: მიტროპოლიტები: ქრისტეფორე, დავითი, ეპისკოპოსები იოანე, სიმეონი. ნესტორ, სტეფანე, მელქისედეკი (არ დაესწრო). სამღვდლოებიდან დეკანოზები: ალექსი თევზაძე, ბესარიონ კანდელაკი, რაფიელ ივანიცკი, ნესტორ მაჭარაშვილი, იოანე ლუკაშვილი, იოსებ ჩიჯავაძე, დავით ხახუტაშვილი, ზაქარია ლუკაშვილი. თბილისიდან ელიზბარ ანჩაბაძე, სიმეონ გივინეიშვილი-სოხუმიდან, დეკანოზი ალექსი გულისაშვილი გარე-კახეთიდან, არქიმანდრიტი გრიგოლი სიღამონიძე-ბორჩალოდან, დეკანოზები კონსტანტინე შანიძე, ამბროსი ფოფხაძე, სილოვან შუბლაძე, დავით მუსერიძე-ქუთაისიდან, დეკანოზი არსენ თოხაძე - აჭარაიდან, დეკანოზი სიმონ სარალიძე გორიდან, იოანე სარალიძე ბორჯომიდან, გრიგოლ მაჭავარიანი - სიღნაღიდან, დეკანოზები ლავრენტი დევიძე, კოტე ანთაძე შორაპნიდან, იოანე ბობოხიძე ფოთიდან, ევგენი შენგელია ზუგდიდიდან. დეკანოზი ლევან ვარდიაშვილი-თელავიდან, დეკანოზი ვასილ კოპტონაშვილი ახალციხიდან. ვასილ ხიდაშელი ცხინვალიდან. დავით ჯორბენაძე ოზურგეთიდან, საერო პირთა-

გან ქუთაისის კრებაზე მიწვეულ იქნენ კორნელი კეკელიძე, სერგი გორგაძე, აკაკი შანიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, მელიტონ კელენჯერიძე, ივანე კუჭუხიძე თუმცა ეს უკანასკნელნი საეკლესიო კრებას არ დასწრებიან. საეკლესიო კრებას ესწრებოდა 77 კაცი.

ქუთაისის საეკლესიო კრების დღის წესრიგი ასე განისაზღვრა: 1. “ღროებითი საეკლესიო მმართველობის დაარსება; 2. საქართველოს მორწმუნე მრევლისადმი მიმართვის ტექსტის მიღება; 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს მოქმედებისა და მისი დღევანდელი შემადგენლობის გადაყენების შესახებ; 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-4 საეკლესიო ყრილობის მოწვევის დროის განსაზღვრა; 5. მიმდინარე საკითხები“²³. კრებამ იმსჯელა საქართველოს ეკლესიაში შექმნილი ვითარების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება: საკათალიკოზო საბჭოს შემადგენლობის შეცვლისა და საკათალიკოზო საბჭოს გაუქმების შესახებ. მათი აზრით საკათალიკოზო საბჭო, კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი, საბჭოთა ხელისუფლების მტრები იყვნენ და მათი ეკლესიიდან ჩამოშორება აუცილებელი იყო.

კრებას მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე ეპისკოპოსმა დავითმა, რომელიც განაწყენებული იყო საქართველოს საკათალიკოზო საბჭოსა და კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსიზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდლოებას ასეთი შინაარსის მოწოდება დაუგზავნა: - სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს მოქმედება არ შეეფერება არც საეკლესიო კანონებს, არც თანამედროვე მდგომარეობას“. მისი აზრით საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს შემადგენლობას ვადა გაუვიდა 1924 წლის სექტემბერში, მაგრამ მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო განუსაზღვრელი დროით გადაიდო საეკლესიო კრების მოწვევა, სადაც საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პრობლემების შესახებ იქნებოდა მსჯელობა. ეპისკოპოს დავითის ამ მოწოდებაში თვალშისაცემია უპასუხისმგებლობაც და უზუსტობაც. როგორ ჩატარდებოდა საეკლესიო კრება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხების განსახილველად, მაშინ, როცა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი ამბროსი, საკათალიკოზო საბჭოს ძველ შემადგენლობის უმრავლესობა მეტეხის ციხეში იყვნენ დატუსაღებულინი; ასეთ ვითარებაში საკათალიკოზო საბჭოს დარჩენილმა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება უფლებამოსილების გასვლის მიუხედავად საკათალიკოზო საბჭოს შემადგენლობას გაეგრძელებინა მუშაობა. მართალია, საკათალიკოზო საბჭო სამი წლის ვადით ირჩეოდა და უფლებამოსილება 1924 წლის სექტემბერში გაუდიოდა, მაგრამ ვიშორებთ შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ იყო. საკათალიკოზო საბჭომ

1925 წლის 10 სექტემბერს განაჩინა: “საკათალიკოზო საბჭოს უწინდელი შემადგენლობა ცნობილ იქნას კანონიერად და მისი წევრნი უფლებამოსილად ახალ არჩევნებამდე”²⁴.

მაინც რა მიზეზებმა განაპირობეს ეპისკოპოსების დავითის, ქრისტეფორეს და სხვა ოპოზიციონერების ასეთი მკვეთრი დაპირისპირება საქართველოს საკათალიკოზო საბჭოსთან, უწმიდესსა და უნეტარესს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისთან;? ერთი შეხედვით თითქოს ამის მიზეზი გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი იყო, რომლის სულისკვეთებასაც არ იზიარებდნენ ე.წ. “რეფორმატორები”. ისინი საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის ლოზუნგით გამოდიოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ამ დაპირისპირებაში ხშირად სჭარბობდა პიროვნული მომენტებიც. კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოზო საბჭოს შემადგენლობის ერთი ნაწილის დაპატიმრების შემდეგ ეპისკოპოსებს დავითს, ქრისტეფორეს და მათ მომხრეებს გაუჩნდათ იმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქობისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობითა და კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდესი ამბროსის და მისი მომხრეების ლანძღვით იყო შესაძლებელი. ე.წ. “რეფორმატორებმა” ასევე მტკივნეულად მიიღეს უწმიდესი ამბროსის გადაწყვეტილება 1925 წლის შემოდგომაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში ეპისკოპოსებად მელქისედეკის (ფხალაძე), სტეფანე (კარბელაშვილი). კალისტრატეს (ცინცაძე), ალექსის (გერსამია), ვარლამის (მანარაძე) კურთხევის შესახებ. საბჭოური რეპრესიებისა და ანტირელიგიური ისტერიის პირობებში, როცა საკათალიკოზო საბჭომ უწმიდესმა კათალიკოზ-პატრიარქმა მოახერხა ხუთი ახალი მღვდელმთავრის კურთხევა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოკეთეთ პირიქით უნდა გახარებოდით, ნაცვლად განრისხებისა და წყენისა. ოპოზიციონერების განაწყენება გამოიწვია იმანაც, რომ 1925 წლის შემოდგომაზე საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე ფიზიკურად დასუსტებულმა კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ ასეთი წინადადება შეიტანა “ავადმყოფობის გამო შეიძლება იძულებული გავხდე დროგამოშვებით მოვარილო თავი საბჭოში და ეპარქიაში ინტენსიურ მუშაობას. ამისათვის წინადადებას ვაძლევ საკათალიკოზო საბჭოს არსებული დებულების მეორე შენიშვნა შეცვლილ იქნას შემდეგნაირად-როდესაც კათალიკოზი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, ან სხვა საპატიო მიზეზით მოკლებულია საშუალებას საეკლესიო საქმეების ხელმძღვანელობას საკათალიკოზო საბჭო გამოიწვევს ერთ-ერთ მღვდელმთავარს და ნიშნავს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ”²⁵. ამის საფუძველზე კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნა მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე. ამის სა-

პასუხოდ ოპოზიციონერებმა 1926 წლის მარტში გამოიტანეს განჩინება: “დაევალოს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს შეუდგეს კათალიკოზ-პატრიარქის მოვალეობის აღსრულებას, როგორც საკათალიკოზო საქმეების, ისე მცხეთა-თბილისის საეპარქიო საქმეთა წარმოებაში”²⁶. ე.წ. “რეფორმატორების“ აზრით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში საკმარისი იყო სამი ეპისკოპოსი, თბილისში, ქუთაისში და სოხუმში, რაც შეეხება მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს მისი გამიტროპოლიტება მოხდა საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით და საეკლესიო დებულების საწინააღმდეგოდ მისთვის ნინოწმინდის ეპარქიის შექმნითო.

ქუთაისის ოპოზიციონერთა საეკლესიო კრება გახსნა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე). რომელმაც საქართველოში მიმდინარე ანტირელიგიური ისტერია, სასულიერო პირების რეპრესიები ხელისუფლებასთან მისი კონფრონტაციით ახსნა. მან კრების მონაწილეებს მოუწოდა გადაეყენებინათ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, დაეთხოვათ საკათალიკოზო საბჭო, როგორც ანტისაბჭოთა ორგანო და ამის შემდეგ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაც მოგვარდებო. ოპოზიციონერებს როგორც ჩანს მართლაც უნდოდათ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი ამბროსის გადაყენება, მაგრამ მორწმუნე მოსახლეობისთვის “ჩეკას“ ჯურღმულებში ნაწამები კათალიკოზის გადაყენება სავსებით მიუღებელი იქნებოდა და ისინი ღიად დაუპირისპირდებოდნენ ე.წ. “რეფორმატორებს“, ამიტომ მათ გადაწყვიტეს: 1. სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს დღევანდელი წევრები 1924 წელს ვადაგასულნი გადაყენებულ იქნენ; 2. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი რჩება თავის ადგილზე და მისი სახელი მოიხსენიება საქართველოს ეკლესიაში, როგორც იყო დღემდე. 3. საკათალიკოზო საბჭოს ნაცვლად საეკლესიო კრების მოწვევამდე არსდება თბილისში საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობა. შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე მიტროპოლიტი ქრისტეფორე, თანაშემწე ეპისკოპოსი სტეფანე, წევრები: ეპისკოპოსები: ალავერდელი მელქისედეკი, სვიმეონ ურბნელი. დეკანოზები: დ.ხახუტაიშვილი და ნ.მაჭარაშვილი, ბ.კანდელაკი. მოქალაქენი: კ.სვიმონიშვილი, ექიმი გ.გაჩეჩილაძე. 4. დროებით გამგეობას უფლება ეძლევა კოოპტაციით მოიწვიოს თავისი შემადგენლობის შესავსებად ეკლესიისათვის სასარგებლო პირები. 5. სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობას ევალება ჩაიბაროს საკათალიკოზო საბჭოს ყოველივე საბუთები, თანხები, ინვენტარი. საკათალიკოზო საბჭოს კანცელარიისა. 6. ყველა ის სასულიერო თანამდებობაზე მყოფნი პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობას ითვლებიან დათხოვნილად; 7. ეპისკოპოსი დავითი, როგორც უსამართლოდ დასჯილი

საკათალიკოზო საბჭოს მიერ მაწყვერელის კათედრაზე გადაყვანით დატოვებულ იქნას ქუთათელი მღვდელმთავრად მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანით; 8. დროებით გამგეობას ევალება მოიწვიოს სრულიად საქართველოს ეკლესიის მე-4 კრება“²⁷.

ქუთაისის კრების ეს დადგენილება საეკლესიო მმართველობის სფეროში გადატრიალებას ნიშნავდა. კრებას რომლის გადაწყვეტილებაც, როგორც იურიდიული ძალის არმქონეს არ სცნობდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი და საკათალიკოზო საბჭო. კათალიკოზ-პატრიარქს ყველა უფლებას ართმევდა და ნომინალურად ტოვებდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად. რეალურ ძალაუფლებას ხელში იღებდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობა, რომლის თავმჯდომარე იყო მიტროპოლიტი ქრისტეფორე. ეკლესიისათვის ასეთ რთულ ვითარებაში ე.წ. “რეფორმატორ“ მხარდაჭერად ოფიციალური ხელისუფლებაც გაისარჯა მათ სრულებითაც არ აწყობდათ საქართველოს ეკლესიის სათავეში ავტორიტეტისანი, ხალხისათვის მისაღები პიროვნების ყოფნა, მათ არც მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე მოსწონდათ. ხელისუფლებისა და ე.წ. “რეფორმატორების“ ერთობლივი მოწადინებით 1926 წლის 30 დეკემბერს მიტროპოლიტი კალისტრატე იძულებული გახდა უარი ეთქვა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრეობაზე. მან თავისი უარი ასე ახსნა: “ვინაიდან დავრწმუნდი, რომ ის არეკ-დარეკა, რომელიც დღეს სუფევს ჩვენს ეკლესიაში გამოწვეული ყოფილა უმთავრესად ჩემ მიერ მოსაყდრის მოვალეობის აღსრულებით, პატივისცემით ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს, აირჩიოს მოსაყდრედ სხვა მღვდელმთავარი, მე კი გამათავისუფლოს ხსენებული მოვალეობის აღსრულებიდან“²⁸.

კრების მონაწილეებმა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისადმი გაგზავნილ წერილში ქუთაისის კრების გადაწყვეტილებანი საქართველოს ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობით ნაკარნახევად გამოაცხადეს. “ჩვენი მიზანია - წერდნენ ისინი - საქართველოს ეკლესიის ერთიანობის, სიმშვიდისა და სიმტკიცის შენარჩუნება. ჩვენ არავითარი განზრახვა არ გვაქვს უადგილო და უდროო რეფორმები შემოვიღოთ ეკლესიაში, ვარწმუნებთ თქვენს უწმიდესობას, რომ თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა უაღრესად გავვივლება როგორც ჩვენი, ისე მთელი მორწმუნე ერის გულში უკეთუ გაიზიარებთ ჩვენს თქვენთან თანამშრომლობას, თანახმად წარმოდგენილი დადგენილებისა, რომელნიც არ არიან მიმართული თქვენი უწმიდესობის პიროვნების წინააღმდეგ, არამედ გამოწვეულია მხოლოდ საქართველოს ეკლესიის სიყვარულით“²⁹. ქუთაისის

კრების მონაწილეებმა ისარგებლეს იმით რომ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით აუცილებელი იყო რელიგიური ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაცია 1926 წლის 25 იანვარს განცხადებით მიმართეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რათა რეგისტრაციაში გაეტარებინა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, როგორც ერთადერთი კანონიერი საეკლესიო მმართველობა. შინაგან საქმეთა კომისარიატმა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი ამბროსის გვერდით ავლით 28 დეკემბერს რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, ხოლო საკათალიკოზო საბჭო კანონგარეშე გამოცხადდა. მართალია ე. წ. „რეფორმატორებმა“ დროებით მმართველობაში კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსიც მიიწვიეს, მაგრამ მას ყველანაირი უფლება ექნებოდა ჩამორთმეული.

ეკლესიაში შექმნილი საგანგაშო ვითარების განსახილველად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭო სასწრაფოდ შეიკრიბა 25 დეკემბერს, რომელმაც მოისმინა მისი უწმიდესობის ამბროსის შემდეგი განცხადება: “მივიღე ინფორმაცია, რომ ქუთაისში ეპისკოპოს დავითის მიერ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ნებართვის გარეშე მოწვეულია საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა ეპარქიებიდან ზოგიერთი მღვდელმთავარი და საეკლესიო პირი. საბჭომ მიიღო რა მხედველობაში რომ ამნაირი კრება არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკლესიის დებულებით განაჩინა: ქუთაისში ჩატარებული კრება გამოცხადდეს უკანონოდ”³⁰. განჩინებას ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი, მიტროპოლიტი კალისტრატე, ეპისკოპოსები: პავლე, მელქისედეკი, ვარლამი, დეკ. მ.ტყემალაძე, გ.გამრეკელი, ი.მირიანაშვილი, გ.იმნაიშვილი. “რეფორმატორ“ შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია და საქმის წარმოება. რამაც უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის აღშფოთება გამოიწვია “ვიდრე მე ვარ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი - აღნიშნავდა იგი - საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია იმყოფება ჩემს განკარგულებაში და ის არავის არ გადაეცემა. არსებულ საეკლესიო კანონთა გარეშე ქუთაისში მომხდარ ყრილობის მიერ არჩეულ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის მიუხედავად მისი პირადი შემადგენლობისა მე ვერ ვცნობ”³¹ ოპოზიციონერებს მხარი შინაგან საქმეთა კომისარიატმა დაუჭირა, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა გაატარა რეგისტრაციაში.

1927 წლის 4 იანვრის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით უწმიდეს ამბროსის ჩამოართვეს საკათალიკოზო და საეპარქიო კანცელარია, რომელიც გადაეცა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას. შინაგან საქმეთა კომისარიატის სახელზე გაგზავნილ წერილში 1927 წლის 12 იანვარს უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად საეკლესიო სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს საეკლესიო კრებას “ქუთაისის ყრილობა საეკლესიო კანონების მიხედვით ოდნავაც არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ კრებად, ვინაიდან კანონიერად ითვლება მხოლოდ ის კრება, რომელიც მოწვეულია ეკლესიის პირველ მღვდელმთავრისგან, კათალიკოზ-პატრიარქისგან. ხსენებული ყრილობა არამც არ ყოფილა მოწვეული ჩემს მიერ, არამედ პირდაპირ გამოცხადებული იყო ჩემგან და საკათალიკოზო საბჭოსგან უკანონოდ. ვისაც ეკლესიის კეთილდღეობა სურს იმუშავეს ჩემთან და კანონიერ საკათალიკოზო საბჭოსთან, მოამზადებს მასალებს მომავალი საეკლესიო კრებისათვის”.³² უწმიდესი ამბროსის აზრით ქუთაისის ყრილობის მონაწილეთა არგუმენტი საკათალიკოზო საბჭოს დღევანდელ შემადგენლობას დიდი ხანია უფლებამოსილების ვადა გაუვიდაო, სიმართლე იყო, მაგრამ სწორედ ქრისტეფორე ციციქიშვილი აიძულებდა საბჭოს ძველ წევრებს განეგრძოთ მუშაობა 1924-1925 წლებში, როცა კათალიკოს პატრიარქი დაპატიმრებული იყო და მის მოვალეობას ქრისტეფორე ასრულებდა. მდგომარეობა დღითიდღე უფრო იძაბებოდა. ასეთ ვითარებაში უწმიდესმა ამბროსიმ მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა საკათალიკოზო საბჭოს საქმიანობა და ორ ბანაკად გაყოფილი სასულიერო პირები მიეწვია მოლაპარაკებაზე, რათა მიეღწიათ კონსესუსისათვის მომავალ საეკლესიო ყრილობამდე. იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს სთხოვდა „ინებოთ განკარგულება ჩამორთმეული კანცელარიის დაბრუნებისა, რათა მომეცეს საშუალება შეუფერხებლად განვაგრძო მუშაობა ჩემს თანამშრომლებთან ერთად“.³³

ასეთ რთულ ვითარებაში, როცა საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ, დაკარგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის სადავეები, თვითონ ამბროსი იძულებული გახდა საქართველოს ეკლესიის მეოთხე საეკლესიო კრების მოწვევამდე საკათალიკოზო საბჭოს ნაცვლად „შექმნილ გარემოებათა გამო, რომელიც გამოწვეულია საქართველოს ეკლესიის მთლიანობისა და მშვიდობიანობის ინტერესებიდან, შევწყვიტო საკათალიკოზო საბჭოს მუშაობა და დაწესებულ იქნას საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა“.³⁴ უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქ

ამბროსის ეს გადაწყვეტილება ხელფებს უხსნიდა ე.წ. “რეფორმატორებს“ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. მათ 1927 წლის 12 იანვრის განკარგულებით ნინოწმიდის ეპარქიის მმართველობიდან გადააყენეს მიტროპოლიტი კალისტრატე. მანამდე კი წერილით მიმართეს “სრულიად საქართველოს მორწმუნე საზოგადოებას“, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის გასაუმჯობესებლად იგი საერთოდ განადგურდებაო. წერილის ავტორები საკათალიკოზო საბჭოს ბრალს სდებდნენ უტაქტო მოქმედებაში, ეპისკოპოს დავითის უსამართლოდ დასჯაში, რომელსაც აბრალებენ მწვალებლობას და გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საკათალიკოზო საბჭოს მემორანდუმისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. მათი აზრით ეპისკოპოს დავითის მიერ შედგენილი საეკლესიო რეფორმების პროექტი არავითარ მწვალებლობას არ შეიცავდა(!?) ეპისკოპოსი დავითი თურმე იმაშიც მართალი იყო, როცა დაპატიმრებულ კათალიკოზ-პატრიარქს ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრებს “ჩეკას“ მსგავსად სთხოვდა ელიარებიანთ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შინაარსი, როგორც შეცდომა. ქუთაისის კრების ზნეობრივ-მორალური კრედიტ კარგად ჩანდა იმაში, რომ მან ეპისკოპოს დავითის ეს ქმედება ახსნა როგორც მოვალეობის შესრულება ერისა და ქვეყნის წინაშე(!) წერილის ავტორების აზრით ისინი, ვინც არ თანამშრომლობდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან არიან “გამოფიტული ჭკუათხელი პატრიოტები“.

ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილენი მხოლოდ ერთ საკითხებში არ ეთანხმებოდნენ კომუნისტებს, რომ სარწმუნოება, არის ბარგი, რომელიც აჩლუნგებს კაცის გონებას. წერილის ავტორები საკათალიკოზო საბჭოს საქმიანობას აცხადებდნენ ძალადაკარგულად. და მის ნაცვლად დაარსებულ დროებით გამგეობას კანონიერად. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ ეპისკოპოს ქრისტეფორეს მიმართ საკათალიკოზო საბჭოს დამოკიდებულებით, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მიერ ხუთი ეპისკოპოსის კურთხევით, კალისტრატე ცინცაძის გამიტროპოლიტებით, ისინი ბრალს სდებდნენ საკათალიკოზო საბჭოს იმაშიც, რომ ვერ განხორციელდა სრული ტერიტორიული ავტოკეფალია, ვერ მოგვარდა ურთიერთობა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან.

“ქუთაისის კრების მონაწილეთა მიზანია-აღნიშნული იყო მიმართვაში- საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა ჩააყენოს ნორმალურ კალაპოტში, გარეშე პოლიტიკისა, მის სრულ ავტოკეფალობის საფუძველზე... ჩვენ რეფორმების ყინით არ ვართ შეპყრობილნი და არც ვაპირებთ მათ შემოღებას. თუ ამას საჭიროდ არ

დაინახავს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან შეთანხმებით“.³⁵

თუ კრიტიკულად განვიხილავთ ქუთაისის საეკლესიო კრების მიერ შედგენილ წერილს მათი ავტორების სურვილის საწინააღმდეგოდ ბევრ უზუსტობასა და შეუსაბამობას დავინახავთ. ეპისკოპოს დავითს მწვალებლობაში ბრალი იმიტომ დაედო, რომ მის მიერ შედგენილი საქართველოს ეკლესიის რეფორმის პროექტი ეხებოდა, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმების, ასევე, მის “ცხოვრებასთან სიახლოვის“ წადილით სრულ გათანამედროვეებას, რაც აშკარად მიუღებელი იყო, იგი გამოიწვევდა, როგორც მორწმუნე მრევლის ეკლესიიდან განდგომას, ასევე გამართლებდა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა ცილისწამებას მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიების თვალში, თითქოსდა საქართველოს ეკლესია განუდგა მართლმადიდებლობას და მწვალებლობამ მოიცვა. გარდა ამისა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღები იყო და ანტირელიგიური პროპაგანდის ჩარჩოებში ჯდებოდა საეკლესიო ხატების უარყოფა, საეკლესიო დღესასწაულების შემცირება, სასულიერო პირების მიერ საეკლესიო შესამოსელზე და ბერ-მონაზვნობაზე უარის თქმა. რაც შეეხებოდა სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს მიერ ეპისკოპოს დავითის უსამართლოდ დასჯის საკითხს, ეპისკოპოსი დავითი თავის თავს დასჯილს უწოდებდა იმის გამო, რომ იგი ქუთათელობიდან გადაჰყავდათ მაწყვერელად. უზნეობა იყო იმ ქართველი პატრიოტების აუგად მოხსენიება, რომელნიც მთელი თავისი შეგნებით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით. რაც შეეხებოდა ეპისკოპოს ქრისტეფორეს დევნა-შევიწროებას იგი არასოდეს დევნილ-შევიწროებული არ ყოფილა, თუ მას მოსთხოვეს თბილისის დატოვება 1925 წელს ეს გამოწვეული იყო მისი დაუოკებელი სურვილით, რათა საპატიმროში მყოფი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი გადაეყენებინა და მის ნაცვლად თვითონ გაპატრიარქებულიყო.

თუმცა აწ უკვე მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ ქუთაისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით გულმოცემულმა 1927 წლის თებერვლის დასაწყისში უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ფაქტიურად ჩამოაშორა საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეს. მართალია უწმიდესი ამბროსის 1927 წლის 2 თებერვლის განცხადებაზე საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტი სცნობდა თუ არა მას სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად 19 დღის შემდეგ უპასუხეს: “ისინი სცნობდნენ მისი უწმიდესობის უზენაესობას, გამოთქვამდნენ მწუხარებას იმის გამო, რომ მისი უწმიდესობა ავადმყოფობის გამო მოკლებულია ამჟამად შეძ-

ლებას პირადად საქმის ხელმძღვანელობისას, გამოთქვამდნენ იმედს, რომ ღვთის შეწევნით, მალე დაუბრუნდებოდა მშობლიური ეკლესიის სასარგებლო მოღვაწეობას³⁶. მაგრამ რეალურად ისინი არ ემორჩილებოდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს.

1927 წლის 28 თებერვალს საქართველოს საეკლესიო დროებითი მმართველობის სახელით მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ განცხადებით მიმართა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფროტაციასზე და მხარს უჭერდა მასთან თანამშრომლობას. “მივესალმები სრულიად საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას და ვუსურვებ მას ნაყოფიერ მოქმედებას ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ წარმატებაში იმ ზომამდე, რომ არსებული დიდი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებისა უფრო განმტკიცებულიყოს და თავის შემოქმედებითს მუშაობით, ერთა შორის სამართლიანობის დამყარებით, კიდევ უფრო მეტი მიმზიდველი ყოფილიყოს კავშირის გარეშე მყოფ ერთათვის³⁷. მიტროპოლიტი ქრისტეფორე ხელისუფლებისაგან მოითხოვდა საქართველოს ეკლესიას მიცემოდა საშუალება ემოქმედა არსებული დეკრეტებისა და განკარგულებათა ფარგლებში. იგი აღნუსხავდა იმ დარღვევებს, რომელნიც ხელისუფლებას ადგილობრივი თუ ცენტრალური ორგანოების მიერ ხდებოდა რელიგიის მიმართ. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მოითხოვდა “ეკლესიების გახსნის შესახებ ეცნობოს ადგილობრივ ხელისუფალთ, რომ ისინი არ აბრკოლებდნენ ეკლესიების გახსნას³⁸. აუცილებელი იყო თელავის, ბათუმის, ოზურგეთის, ვარძიის, მცხეთის ქალთა, ხირსის, მარტყოფის, მოწამეთას, შემოქმედის ეკლესიების დაბრუნება მორწმუნეთათვის. წერილში აგრეთვე საუბარი იყო ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი საეკლესიო წიგნების, ზარების, სამღვდელმთავრო შესამოსების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროდ მიიჩნევდა სოფლის სამღვდელოებისათვის მიწის ნორმის დაბრუნებას, საქართველოს ეკლესიის მმართველობას მიცემოდა უფლება საეკლესიო კალენდარის, საეკლესიო წიგნების, საეკლესიო ჟურნალების გამოცემისა, როგორც ამას აკეთებენ რუსეთსა და სომხეთში. ასევე დღის წესრიგში იდგა ეკლესიების შეფასებითი გადასახადის და სამღვდლო კანდიდატთათვის კურსების დაარსების საკითხი. დროებითი მმართველობის აზრით “საეკლესიო საქმეთა შესახებ დეკრეტები და განკარგულებანი თუ გატარებული იქნება ცხოვრებაში, ამით მორწმუნენი მეტის ნდობითა და ერთგულებით განისჭვალება საბჭოთა ხელისუფლებისადმი³⁹.”

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით არსებული დაპირისპირებების გამო, საზოგადოებისათვის თვალისახვევის მიზნით ზოგიერთ დათმობაზეც მიდიოდნენ, რათა საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის ავტორიტეტი აემაღლებინათ, ხელისუფლებისათვის სავსებით მისაღები იყო გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის ავტორები რაც შეიძლება მალე ჩამოეშორებინათ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობიდან. მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ, რომელიც თავის თავს, ხან საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თამჯდომარის მაგიერ ან თავმჯდომარეს უწოდებდა უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ნაცვლად. 1927 წლის 22 მარტს უწმიდეს ამბროსის გამოუცხადა, რომ იგი განთავისუფლებულია საქმის წარმოებისაგან, ე.ი. საქართველოს ეკლესიის მმართველობიდან “ამის გამოცხადების მეორე დღეს 23 მარტს მან დაკარგა მეტყველების უნარი, 27 მარტს გონება, 29 მარტს დილის 3 საათზე იგი გარდაიცვალა“.⁴⁰

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა შეუდგა მე-4 საეკლესიო კრების მოწვევის სამზადისს, აღნიშნულ კრებას უნდა აერჩია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, განესაზღვრა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი. მარტიდან ივნისამდე დროებითი მმართველობის წინადადებით დაიწყო იმ სასულიერო პირების დევნა-შევიწროება, რომელნიც ერთგულნი იყვნენ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსისა და სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოსი. ხელისუფლების მიერ წარმოებულ ანტირელიგიურ პროპაგანდას და რეპრესიებს დაერთო სასულიერო მმართველობის მხრივ რეპრესიებიც. მათ ბრალი ედებოდათ ანტისაბჭოთა საქმიანობაში და ითვლებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრებად.

მიტროპოლიტი კალისტრატე, რომელიც დროებითი მმართველობისათვის არასასურველი პიროვნება იყო დარჩა მხოლოდ ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვრად. როგორც ჩანს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა გრძნობდა ამ უხერხულობას, ალბათ ამით იყო განპირობებული 1927 წლის 4 აპრილს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს წერილი კალისტრატესადმი: “ძალიან უხერხულია, რომ თქვენ მხოლოდ სამრევლო მღვდლის თანამდებობაზე გსურთ დარჩენა ქაშუეთში. თქვენი დღევანდელი მდგომარეობა მრავალნაირად არ არის სასურველი, რაზედაც აქ არ მინდა სიტყვა გავაგრძელო. გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი, დასთან-

ზმდებით თუ არა მიიღოთ მართვა-გამგეობაში რომელიმე ეპარქია, რომლის მართვა შეგიძლიათ თბილისიდან მხოლოდ იმ პირობით, რომ დიდ დღესასწაულებში სწიროთ ხოლმე თქვენს ეპარქიაში“.⁴¹ მიტროპოლიტმა კალისტრატემ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან მისთვის ცხადი იყო, რომ მიტროპოლიტ ქრისტეფორესა და მისი მომხრეებისათვის მიტროპოლიტ კალისტრატეს თბილისში ყოფნა მიუღებელი იყო და თუ იგი რომელიმე ეპარქიის მმართველობას დათანხმდებოდა თბილისიდან წასვლა მოუწევდა. მიტროპოლიტი ქრისტეფორე ცდილობდა მორწმუნე ქართველობის თვალში ისე წარმოჩენილიყო, რომ თითქოს მიტროპოლიტ კალისტრატესთან არავითარი უთანხმოება არ ჰქონდა. ამის დასტურია მისი წერილი კალისტრატე ცინცაძისადმი გაგზავნილი 1927 წლის 7 აპრილს “დიდად პატივცემულო მეუფეო და ძმაო კალისტრატე! საქმის გამო სოხუმში მივდივარ და შეიძლება ერთ-ორ კვირას დამაგვიანდეს. გთხოვთ ბზობას, დიდ ხუთშაბათს და თუ მანამდე ვერ დავბრუნდი აღდგომის პირველ დღესაც სწიროთ სიონში“.⁴²

დროებითი მმართველობა ცდილობდა გარეგნულად მაინც მიტროპოლიტ კალისტრატეს მხარდაჭერას, მატერიალურ დახმარებას, რომელიც მას შეექმნა ქალიშვილის ავადმყოფობის გამო. 1927 წლის 15 ივნისს დროებითი მმართველობის კანცელარიიდან მიტროპოლიტ კალისტრატეს ასეთი შინაარსის წერილი მიუვიდა “მიიღო რა მხედველობაში მისი შრომა საქართველოს ეკლესიის უზენაეს დაწესებულებაში და მატერიალური შევიწროება, რომელსაც განიცდის ქალიშვილის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო დაადგინა: მიეცეს მიტროპოლიტ კალისტრატეს ერთდროული დახმარების სახით რვა თუმანი“.⁴³ მაგრამ იმ დაუმსახურებელი გულისტკენისა და შეურაცხყოფის შემდეგ რაც მიტროპოლიტმა კალისტრატემ ბოლო წლებში გადაიტანა მან უარი განაცხადა ასეთი დახმარების მიღებაზე, თუმცა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისადმი გაგზავნილ პასუხში წერდა, რომ, როცა საქართველოს ეკლესია ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა მის მიერ ასეთი დახმარების მიღება არასწორი იქნებოდა, ამასთანავე იგი აღნიშნავდა, “1927 წლის ივნისის 14 განჩინება რამდენადაც მოულოდნელია ჩემთვის, იმდენად დამაკმაყოფილებელიც (ზნეობრივად) რაღაც “შრომა“ გამიწვევია, რომელიც ექვსი თვის წინ არ ჩანდა-ო“.⁴⁴

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ცდილობდა მე-4 საეკლესიო კრების დელეგატების უმრავლესობა საეკლესიო სფეროში რეფორმების, ძველი საკათალიკოზო საბჭოს მოწინააღმდეგე დელეგატებით შეევსო. 1927 წლის 20 ივნისს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ იმსჯელა საეკლესიო კრებაზე არამმართველ მღვდელმთავართა მოწვევის შესახებ და დაადგინა, რომ

ასეთი მღვდელმთავრები მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით მიეწვიათ. ამის გამო მიტროპოლიტ კალისტრატეს თავის დღიურში ჩაუწერია “ჯერ ამიკრძალეს საკათალიკოზო საბჭოში მუშაობა, მერე ეპარქიის მართვა-გამგეობა; მე-4 კრებაზე მიწვეული ვიყავი სათათბირო ხმით გაკრეჭილ მღვდელებთან თანაბრად”.⁴⁵

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-4 საეკლესიო კრება მიმდინარეობდა 1927 წლის 21-27 ივნისს. კრებამ მუშაობა დაიწყო სამშაბათს დილის 10 საათზე სიონის საპატრიარქო ტაძარში. კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ. საეკლესიო კრების დღის წესრიგი: 1. “საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება; 2. დეკლარაცია საბჭოთა ხელისუფლების მთავრობისადმი, მასთან საერთო ენის გამონახვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი გაუგებრობანი; 3. საშუალებანი და ღონისძიებანი 1923 წლის 18 იანვრის მთავრობის დადგენილების ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის ცხოვრებაში გასატარებლად”; 4. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნები”.⁴⁶

საეკლესიო კრებამ ცხარე დისკუსიის შემდეგ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება კრების მონაწილეთა უმრავლესობა მკაცრად აკრიტიკებდა 1917 წლიდან 1926 წლის დეკემბრამდე მოქმედ საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს, თვლიდნენ რომ საკათალიკოზო საბჭოს როლი განუზომლად დიდი იყო, რომ საკათალიკოზო საბჭო მმართველ მღვდელმთავართა დაუკითხავად წყვეტდა მნიშვნელოვან საეკლესიო საკითხებს. ასევე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს საკათალიკოზო საბჭოს ანტისაბჭოური პოზიცია, მის წევრებს ბრალი დასდეს ხელისუფლებასთან კონფროტაციაში. ახალი საეკლესიო დებულების თანახმად საკათალიკოზო საბჭოს ნაცვლად იქმნებოდა “მუდმივი კრება, ანუ საკათალიკოზო სინოდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ყველა მმართველი მღვდელმთავრები და ექვსი წევრი. სინოდის წევრები და მათი ექვსი კანდიდატი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ, როგორც დელეგატთა, ისე არადელეგატთაგან. ნახევარი არჩეული წევრებისა და მათი კანდიდატებისა უთუოდ სამღვდლო პირნი უნდა იყვნენ”.⁴⁷ საკათალიკოზო საბჭოს გაუქმება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის მმართველობაში დემოკრატიულ წესზე უარს და კათალიკოზ-პატრიარქის განუსაზღვრელ ძალაუფლებას ამკვიდრებდა. ეკლესია საზოგადოებისათვის ჩაკეტილ ორგანიზაციად იქცეოდა. მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ “დიდი დამსახურებისათვის” ქუთათელი მიტროპოლიტი ღავითი (კაჭახიძე) სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ გამოაცხადა. (იხ. საქართველოს

ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების №2 შენიშვნა გვ.1). ახალი დებულებით მართლმადიდებელ ეკლესიაში უპრეცედენტო კანონი მკვიდრდებოდა “ეპისკოპოზი, თუ იგი ეპარქიის მმართველი არ არის, ანუ ქორეპისკოპოზობას არ ასრულებს და ადგილობრივ საეპარქიო და საკათალიკოზო სინოდის ნებართვით ასრულებს მხოლოდ სამრევლო მღვდლის მოვალეობას, სწირავს ფილონში და პანაღის გარეშე წირვა-ლოცვაში მის ეკლესიაში მოიხსენება მხოლოდ კათალიკოზ-პატრიარქის და ადგილობრივი მღვდელმთავრის სახელები“.⁴⁸ ეპისკოპოს სტეფანეს მგზნებარე სურვილი “ჩვენი საეკლესიო დებულება უნდა იყოს საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მყარი და შეურყეველი საფუძველი და არა წარამარად ცვალებადი რაღაც მოსაზრებათა გამო“ დარჩა განუხორციელებელ ოცნებად.

საეკლესიო დებულებას, რომელსაც რაღაც განსაკუთრებულ იმედს უკავშირებდნენ „განახლებისა და რეფორმების“ ოპოზიციური სასულიერო პირები დიდი არაფერი სასიკეთო გავლენის მოხდენა შეეძლო საქართველოს ეკლესიის ინტერესებისათვის... როგორც ირკვევა ე. წ. “რეფორმატორები” უფრო პირადული მოსაზრებით უპირისპირდებოდნენ საკათალიკოზო საბჭოს ძველ შემადგენლობას. საბედნიეროდ მათ არც არსებულ ეპარქიათა შემცირება უცდიათ, როგორც თავიდან ჰქონდათ განზრახული.

მე-4 საეკლესიო კრებაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ლოიალური დამოკიდებულების კურსის განსაზღვრა. კრების მონაწილეთა დიდ ნაწილს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ხელისუფლების ეკლესიისადმი მტრული დამოკიდებულების მიზეზი წინანდელი საკათალიკოზო საბჭო და გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი იყო. საეკლესიო კრებამ დაგმო საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფრონტაციის კურსი და განაცხადა, რომ იგი აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას, რომელიც გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებას.

კრებაზე დაწვრილებით განიხილეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში სინდისის შესახებ კანონის განსახორციელებლად მიღებული დოკუმენტები. ძირითადი კანონი ეყრდნობოდა საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის №21 დადგენილებას “ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან ჩამოშორების შესახებ“. 1923 წელს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაარსდა სპეციალური საეკლესიო კომისია, რომელიც იხილავდა ეკლესიების დახურვასთან ან გახსნასთან დაკავშირებულ საკითხებს. საეკლესიო კრებაზე აღნიშნეს, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ სინდისის თავისუფლების კანონიდან გამომდინარე აუცილებელი

იყო ხელი არ შეეშალათ ეპარქიებში ეკლესიების ფუნქციონირებისათვის. თუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ ასრულებდნენ ცენტრალური ორგანოების დადგენილებებს ასეთი ფაქტები აღენუსხათ და რეაგირებისათვის გადაეცათ მთავრობისათვის.

26 ივნისს ჩატარდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნები, სადაც წარმოდგენილი იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ქრისტეფორე ციციშვილის კანდიდატურა. იგი ერთხმად არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად ქრისტეფორე III სახელწოდებით. კრების მონაწილის ივანე პურადაშვილის აზრით ახალი პატრიარქი უფრო ხელისუფლების დასმული იყო ვიდრე არჩეული. კრებაზე განვითარებული მოვლენების შესახებ არსებობს განსხვავებული ვერსიაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანტირელიგიური კომისიის სხდომის ოქმი (1927 წლის 13 ივლისი) “მოისმინეს დეკანოზოვის მოხსენება რომელმაც აღნიშნა სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია საბჭოთა ხელისუფლებისადმი იყო უარყოფითი. ამ მხრივ თუნდაც გენუის კონფერენციაზე კათალიკოზ ამბროსის მემორანდუმიც კმარა. სასულიერო წრის რეაქციულ ნაწილს მხარი არ დაუჭირა პროგრესულმა ფრთამ მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მეთაურობით, რომელთაც ქუთაისის კრებაზე აშკარად გაილაშქრეს საკათალიკოზო საბჭოს წინააღმდეგ და შექმნეს საქართველოს ეკლესიის ღრობითი მმართველობა, და კათალიკოზ ამბროსის გარდაცვალების შემდეგ დანიშნეს საეკლესიო კრება ახალი კათალიკოზის ასარჩევად. კრების მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ქრისტეფორე მიტროპოლიტს უწოდა “მოღალატე და კირიონ კათალიკოზის მკვლელი“. მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ გამოხატა სიმპათიები ბოლშევიკების მიმართ. რეაქციონერებმა დატოვეს კრება დარჩენილებმა ქრისტეფორე აირჩიეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად. იგი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურია. რეაქციული სამღვდელთა არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. საჭიროა მათი დაპატიმრება და მოსპობა“.^{48ა} როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს ხელისუფლებამ გაითვალისწინა დეკანოზოვის “რჩევა” და დაიწყო სასულიერო პირების დაპატიმრების ახალი ტალღა.

ახალი კათალიკოზ-პატრიარქის ბიოგრაფია ასეთი იყო. იგი დაიბადა 1873 წლის 28 მარტს შორაპნის მაზრის სოფ. ვერტყვიჭალაში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ 1895 წლიდან ეწეოდა მღვდელმსახურებას ქართლის სოფლებში იტრიაში, ხიდისთავსა და ნაბახტევში, თბილისში ვერის წმიდანის ნიკოლოზის ეკლესიაში. 1904-1905 წლებში იგი მუშაობდა გორის სამრევლო

სკოლების მეთვალყურედ. 1905 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველი სამღვდელოების კრების მუშაობაში, სადაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი იხილებოდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დეკანოზი ქრისტეფორე ციციქიშვილი იყო რედაქტორ-გამომცემელი საქართველოს საპატრიარქოსა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II-სადმი ოპოზიციური ჟურნალ “ახალი სიტყვისა“. 1922 წლის 18 მარტს ურბნისის საეპარქიო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა ამბროსიმ ქრისტეფორე მანგლელ ეპისკოპოსად აკურთხა. ქრისტეფორეს ეპისკოპოსად კურთხევამ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქართველ სამღვდელოებაში. ყველას ახსოვდა ქრისტეფორეს მიერ გამოცემულ “ახალ სიტყვაში“ კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ლანძღვა-გინება. “იგი შეუვარდა კირიონს ემუქრებოდა, მაგრამ მაინც არ აკურთხეს ეპისკოპოსად როდესაც მარტყოფში კირიონ II მოკლეს ეს სიტყვები წარმოთქვა “ძალდი იყო და ძალღური სიკვდილი მოიმკო”⁴⁹. ეპისკოპოსი ქრისტეფორე დაუპირისპირდა უწმიდესსა და უნეტარესს კათალიკოზ პატრიარქ ამბროსის ჯერ მოსაყდრისა და მოადგილის მოვალეობის შესრულების დროს 1922-1925 წლებში, ხოლო შემდეგ საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის საშუალებით. საბჭოთა ხელისუფლება მიიჩნევდა რომ ახალი კათალიკოზ-პატრიარქი ხელისუფლებისათვის უფრო მართვადი იქნებოდა.

უწმიდესსა და უნეტარესს ქრისტეფორე III უმძიმეს ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. საბჭოთა ხელისუფლება თანმიმდევრულად უხეში ძალით, ადმინისტრაციული მეთოდებითა თუ სააგიტაციო მუშაობის ფართოდ გაშლით კიდევ უფრო ავიწროებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციებს. იმ დროს, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების უმრავლესობა ფიქტიურად არსებობდა, ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ხელისუფლების წარმომადგენელი სასტიკად დევნიდნენ სასულიერო პირებს. უწმიდესი ქრისტეფორე III დროს მოხერხდა მღვდელმთავრის ხარისხში აყვანა არქიმანდრიტების: პავლე ჯაფარიძის-წილკნელ ეპისკოპოსად, ეფრემ სიღამონიძის-მანგლელ ეპისკოპოსად, ნესტორ ყუბანეიშვილის, ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსად, სტეფანე კარბელაშვილის ბოდბელ ეპისკოპოსად.

ახალ პატრიარქს საქართველოს საეკლესიო საქმიანობა უნდა წარემართა საქართველოს სსრ კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც ეკლესიას მცირე უფლებებს აძლევდა. მოქმედი კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად “საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოს-

გან და სკოლა ეკლესიისაგან, სარწმუნოებრივი და ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის თავისუფლება მინიჭებული აქვს ყველა მოქალაქეს იმ აუცილებელი პირობით, რომ პროპაგანდა ხდებოდეს პოლიტიკურ და სოციალურ მიზანთა გარეშე“.⁵⁰ მაგრამ იმავე კონსტიტუციის 83-ე მუხლით სასულიერო პირებს ჩამორთმეული ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით 1922-24 წლებში ყველა მაზრაში ჩატარდა აღწერები საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსებული ქონებისა. სასულიერო პირებმა დაიჯერეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ აღწერას ერთი მიზნით ატარებდა, რათა დაცული ყოფილიყო ეკლესია-მონასტრებში დარჩენილი ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნატეხი, ბარძიმ-ფეშხუმები, პანალიები, ხელისუფლების ნამდვილი მიზანი გაცხადდა 1925 წლის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ეკლესიებიდან გამოითანეს ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ნატეხი და მოახდინეს მათი რეალიზაცია “ხალხის საჭიროებისათვის“. ამის პარალელურად გამოქვეყნდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც მოცემული იყო ინსტრუქცია თუ როგორ უნდა გატარებულიყო რეგისტრაციაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები, ოლქები, სამრევლოები. რეგისტრაციაში გატარებაზე უარის შემთხვევაში ეპარქიების საქმიანობა ცხადდებოდა კანონგარეშე ამის გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო სინოდმა 1927 წლის 1 ნოემბერს დაადგინა: “აღიძრას შეამდგომლობა საკათალიკოზო სინოდის შემადგენლობის რეგისტრაციაში გატარების შესახებ. წინადადება მიეცათ ეპარქიათა მმართველობას საეპარქიო დაწესებულებათა რეგისტრაციაში გატარების შესახებ“.⁵¹

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს მოქმედი ეკლესიების რეგისტრაციაში გატარება იმიტომ უნდოდათ, რომ შეეკრიბათ ზუსტი ცნობები რელიგიურ საზოგადოებათა, სამრევლო საბჭოების შემადგენლობის, ეკლესიათა შემოსავლების შესახებ. ამის შემდეგ მოხდებოდა ეკლესიების გადასახადებით დაბეგვრა. ამას ადასტურებდა 1929 წლის 5 სექტემბერს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წერილი საქართველოს საკათალიკოზო სინოდისადმი: “თანახმად 1927 წლის 14 დეკემბრის სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების 33-ე მუხლისა და 1928 წლის 6 იანვრის ინსტრუქციისა, ადგილობრივი აღმასკომების სათანადო განყოფილებები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან წარმოუდგინონ ადგილობრივ საფინანსო განყოფილებებს არა უგვიანეს 1 ნოემბრისა სიები რეგისტრაციაში გატარებულ თავისუფალ პროფესიის პირთა (კულტის მსახურთა).

გაცნობებთ რა ამას საქართველოს სსრ ფინსახკომი გთხოვთ განკარგულებას ყველა ქვემოთ დაწესებულებებისადმი, რათა ხსენებული პროფესიის ხალხის სიები წარმოადგინოთ სასწრაფოდ“.⁵² ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა დაიწყეს ღვთისმსახურთა დაბეგვრა. გადასახადები იმდენად დიდი იყო, რომ ბევრმა სასულიერო პირმა იმის შიშით, რომ ამ გადასახადებს ვერ გადაიხდიდა, საერთოდ თავი დაანება ღვთისმსახურებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის შექმნილი უძძიმეს ვითარებაში სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა ქრისტეფორე III წერილით მიმართა სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თუ რუსეთსა და სომხეთში ეკლესიებს უფრო თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა ჰქონდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რატომ უნდა ჩაეყენებინათ ასეთ უძძიმეს ვითარებაში? პატრიარქი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა არსებული კანონმდებლობის პირობებში საქართველოს ეკლესიას მიცემოდა არსებობის უფლება. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, თუ რა მძიმე ვითარებაში ჩავარდნენ სასულიერო პირები 1927-1928 წლებში. 1928 წლის 9 დეკემბერს ღამით მოკლეს კახეთის მაზრის სოფ. მატნის მღვდელი ასათიშვილი, რომელმაც ავადმყოფი აზიარა, 1929 წლის 14 იანვარს მოკლეს გორის მაზრაში მღვდელი აბრამიშვილი, რომელმაც ერთ-ერთ ოჯახში ნათლობის წესი შეასრულა. ანტირელიგიური მუშაობის საბაბით დაანგრიეს ეკლესიები სოფ. ძირულაში, ნატანებში, ჩოჩხათში. ზოგიერთ სოფელში (კარდენახი, ენისელი, ყარსუბანი) ადგილობრივმა აქტივისტებმა ეკლესიებში საქონელი შერეკეს. საეკლესიო წიგნები დაწვეს ზუგდიდის მაზრაში, შორაპნის მაზრის სოფ. შროშაში, ქუთაისის მაზრის სოფ. კუხში. მორწმუნე მრევლს არ აძლევდნენ უფლებას ეკლესია-მონასტრების შეკეთებისას. რუსეთისგან განსხვავებით საქართველოს ეკლესიის სამღვდლოების გადასახადები ორჯერ მეტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება სიტყვით აცხადებდა, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდა უფლება სინდისის თავისუფლებისა ეწამა ან არ ეწამა ესა თუ ის რელიგია, ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული აქტივისტები ემუქრებოდნენ სასულიერო პირებს. მაგალითად, ოზურგეთში ჩასულ ეპისკოპოსს მოსთხოვეს 24 საათში დაეტოვებინა იქაურობა, ხოლო ჭყონდიდელი ეპისკოპოსი უმიზეზოდ სამი დღით დააპატიმრეს. რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ ჰქონდათ თავისუფალი მიმოსვლის უფლება. “ჩვენ ვფიქრობთ-აღნიშნავდა კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე რომ ყველა ის შევიწროებანი, რომელსაც განიცდის საქართველოს ეკლესია, მიმართულია იქით-

კენ, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით და ნაძალადევად მოხდეს მისი ლიკვიდაცია“.⁵³

საკათალიკოზო სინოდი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან მოითხოვდა: “1. გაიცეს ბრძანება, რომ ეკლესიის და სარწმუნოების შესახებ გამოცემული კანონები სრულდებოდეს, 2. დაწესდეს სამღვდელოების გადასახადი სამეურნეო და ინდივიდუალურ ფაქტიურ შემოსავლის მიხედვით, 3. არ იქნენ გამოსახლებულნი სამღვდელო პირნი მუნიციპალიზაციაქმნილი სახლებიდან, 4. მიეცეს ეკლესიებს ყოფილ საეკლესიო შენობებიდან ორ-ორი ოთახი ყარაულისათვის, როგორც რუსეთშია, რათა მორწმუნეთ შეძლონ ეკლესიისა და ქონების დაცვა, 5. სარწმუნოების მიმღევრობა ნუ ჩაეთვლება მორწმუნეთ კონტრევილუციონერობად და მთავრობის მოწინააღმდეგეობად, ვინაიდან ეკლესია არის ლეგალური ორგანიზაცია, 6. მიეცეს საქართველოს ეკლესიის ისეთივე უფლებრივი მოქმედება, როგორითაც სარგებლობენ ეკლესიები რუსეთსა და უკრაინაში“.⁵⁴

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები თითქოს ახდენენ რეაგირებას სრულიად საქართველოს-კათალიკოზ პატრიარქის მიმართებებზე, მაგრამ ვითარება უკეთესობისაკენ არ იცვლებოდა. რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში არაერთი ანტირელიგიური შინაარსის წერილში იბეჭდებოდა მაგალითად “გადავაქციეთ შობის დღესასწაული შრომის დღით“. წერილში საუბარი იყო საეკლესიო დღესასწაულის “მავნებლობაზე“ “ხუცები ლოთობენ, ისინი უკან არ ჩამორჩებიან მორწმუნეებს. დღესასწაულის დღეებში სმა-ჭამაში, ღვინოში გართულ გლეხებს ზოგჯერ ავიწყდებათ თესვა, მარგვლა, მკა, მუშებს კი თავის დროზე ქარხანაში მისვლა, სამუშაოს კარგად შესრულება. ამას კი ზარალი მოაქვს არა მარტო გლეხისა და მუშისათვის, არამედ, მთელი სახელმწიფოსათვისაც“.⁵⁵ 1930 წელს თბილისში გაიხსნა ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტი, რომლის მიზანი იყო მოემზადებინა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით აღჭურვილი ანტირელიგიური პროპაგანდის ლექტორები. სპეციალური მეთოდური მითითებანი იტყობინებოდა რომ იმ ლექტორებს ვისაც არ შეეძლოთ სასულიერო პირებთან კამათი საჯარო პაექრობაზე უარი უნდა ეთქვათ. მიხა ცხაკაია ოქტომბრის გადატრიალების 13 წლისთავზე აღნიშნავდა: “მთელი ძალღონით სისტემატურად და მეცნიერულად უნდა ვებრძოლოთ რელიგიას, ძირს იგი, ძირს ყოველგვარი ღმერთი.“⁵⁶ ასეთ რთულ პირობებში საქართველოს ეკლესია “სულს ღაფავს... შიშის ზარი აქვს შემდგარი კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორესაც. მალე ის უსამწყსო და უსამღვდელოებო კათალიკოზი დარჩება. სოფლის მღვდლები ვეღარ აუდიან უსამშველო დაბეგვრას და გარბიან, სტოვებენ სამრევლოებს... ქალაქში კიდევ ახერხებენ მღვდლები ცხოვრებას, მაგრამ ვაი ასეთ ცხოვრე-

ბას დიდ გასაჭირს განიცდიან, დევნა, დამცირება, შევიწროება ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია“.⁵⁷ ამ სიტყვების ავტორი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან იძულებით წამოსული ყოფილი დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე იყო.

კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე გრძნობდა რომ აუცილებელი იყო სასულიერო პირების მომზადება საქართველოს ეკლესიისათვის. ამიტომ 1928 წლის 26 მარტს მან საქართველოს საკათალიკოზო სინოდის სახელით მიმართა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ნებადართულ იქნას, რომ სინოდმა გახსნას ღვთისმსხურთა მოსამზადებელი კურსები როგორც იყო რუსეთსა და სომხეთში. 1928 წლის 30 მარტს ხელისუფლებამ ნება დართო საქართველოს საკათალიკოზო სინოდს გაეხსნა ასეთი კურსები, მაგრამ სამწუხაროდ ისეთი რთული ვითარება იყო, რომ ამ კურსებმა მუშაობა ვერ დაიწყო. როგორც უკვე ავლნიშნეთ 1927-28 წლებში საქართველოს გადაუარა ეკლესია-მონასტრების მარცვა-რბევის ახალმა ტალღამ. გაქურდეს კუკიის წმიდა ნინოს, ვერის წმიდა ნიკოლოზის, მთაწმიდის, ავლაბრის, ფერიცვალების ეკლესიები, ასევე გაიძარცვა კარდენახის, ქვემო მაჩხაანის, შორაპნის ეკლესიები. ანტირელიგიური ისტერიის გამოხატულება იყო ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის მიერ სოფ. მთისპირში ეკლესიის მორწმუნეთათვის ჩამორთმევა, თელავის რაიონ სოფ. ხოლაშენში გააუქმეს ელიობის დღესასწაული, საჩხერეში წმ. ნინოს ეკლესიის დაზიანებული ნაწილის შეკეთების გამო მისი ორგანიზატორები დააპატიმრეს და ფული წაართვეს, თელავის მაზრის სოფ. აფენის მცხოვრები მორწმუნე თ.მჭედლიძე დააპატიმრეს იმის გამო, რომ მასთან სტუმრად იყვნენ ეპისკოპოსი და მღვდელი. ასეთ ვითარებაში 1928 წლის 1 ოქტომბერს კათალიკოზ-პატრიარქმა ქრისტეფორე III წერილით მიმართა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფ.მახარაძეს. წერილი იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი სრული სახით მოხმობა: “სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდის დავალებით პატივისცემით წარმოგიდგინთ ამ განცხადებას, რომლითაც ჩვენ მივაქცევთ სსსრ. ცაკის ყურადღებას, რომ მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი ეკლესიის შესახებ ადგილობრივ არ სრულდება.

ა) ანტირელიგიური პროპაგანდა ბევრს გაგებული აქვს სამღვდელოების, მორწმუნეთა შეუზღუდველ დევნად; ბ) დაუსჯელად ხდება ეკლესიების მარცვა, შიგნით მისი მოწყობილობის განადგურება; გ) სამღვდელოებას სრულიად ათახსირებენ, მათ აშინებენ რევოლვერის გულზე დადებითაც, დ) ეპისკოპოსებს ნებას არ აძლევენ თავისუფალი გადაადგილებისას, რათა ინახულონ ეკლესიები და აღასრულონ ღვთისმსახურება. ე) აქამდე დიდი შემოსავლის გადიდებით აწერდნენ გადასახადებს

ახლა კი ინდივიდუალურ გადასახადების შემოღების შემდეგ კიდევ უფრო გაბერილად ანგარიშობენ ფიქტიურ შემოსავალს. და მიაწერენ თითოეულს ათიდან ორმოც თუმნამდე, ვ) სამღვდელოებას ართმევენ მიწის ნორმას, ზ) ეკლესიაში სიარულისათვის იბეგრებიან მორწმუნენი განსაკუთრებით საღვთისმშობლის დღეებში.

ჩემი აზრით ეკლესიის შევიწროება ისე ძლიერად არსად არ არის საბჭოთა კავშირში, როგორც საქართველოში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი მოქმედებანი ხელს უშლიან ქართველ ერს სხვა მოკავშირე ერებთან დაახლოებაში... ჩვენ ვერ მივიღეთ უფლება სასულიერო აქტივობის გამოცემისა, როგორც აქვთ რუსებს, უკრაინელებს, სომხებს, ბაპტისტებს.

გთხოვთ, ქართველი მორწმუნენი და მისი სამღვდელოება გაათანაბრეთ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა მორწმუნეებთან და სამღვდელოებასთან. ჩვენ მოგახსენებთ, რომ დღეს წარმოებული შევიწროებანი საქართველოს ეკლესიისა უდრის მის მოსპობას, რაც სასურველი არ უნდა იყოს არავისათვის“.⁵⁸

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები გარეგნულად საქმეს ისე წარმოაჩენენ, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელების მხრიდან ადმინისტრაციულ გადაცდომებს, რომ ხელისუფლება აღიარებდა და იცავდა სინდისის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებებს. სინამდვილეში ხელისუფლებას “არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიის მიმართ წერდა ი.სტალინი - ის აწარმოებს ანტირელიგიურ პროპაგანდას ყოველ და ყოველგვარ რელიგიურ ცრუ რწმენათა მიმართ“.⁵⁹ მასობრივი დევნა-შევიწროების შედეგი ის იყო, რომ თუ 1921 წელს საქართველოში 1450 მოქმედი ეკლესია იყო და ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600 კაცი. 1931 წლისათვის მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა შემცირდა 350-მდე, ხოლო ღვთისმსახურთა 300-მდე. 25 მოქმედი მონასტრიდან დარჩა 5. ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მაზრების, სოფლების მიხედვით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ეკლესიების გაუქმებაში, სასულიერო პირების შეურაცხყოფაში.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ქრისტეფორე III იმედი, რომ იგი საქართველოს ეკლესიის ახალი კურსით მოახერხებდა ანტირელიგიური ისტერიის შემცირებას არ გამართლდა. პრობლემები იყო ეკლესიის შიგნითაც. არ შეიძლება არ დაეთანხმოს ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს (კარბელაშვილს) “წინასწარ დაუფიქრებლად გადადგმულმა ნაბიჯმა, წირვა-ლოცვის შემოკლებამ, ახალი სტილის შემოღებამ, მორწმუნეთა მიგდება, ხალხი ჩვენდამი უარყოფითად განაწყობ“.⁶⁰ თვით ქრისტეფორეს მომხრეებიც ვერ მალავდნენ მის ნაკლს, ეპისკოპოსებისადმი -

უდიერ მოპყრობას, ხელისუფლების წარმომადგენლების თავისი ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენებას, საეკლესიო კანონების უგულებელყოფას.

ასეთ პირობებში კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორესათვის საზიანო იყო მიტროპოლიტ კალისტრატეს სრული განაპირება, ამიტომ ცდილობდა მიტროპოლიტ კალისტრატესთან ურთიერთობის მოგვარებას. მიტროპოლიტმა კალისტრატემ საკათალიკოზო სინოდის წინაშე დასვა საკითხი განეხილათ ქუთათელი მიტროპოლიტ დავითისა და მისი ურთიერთობის პრობლემები. დავით კაჭახიძე ცნობილი იყო როგორც ნერვიული ადამიანი, რომელიც, როცა გაჯავრდებოდა ყოველგვარ წონასწორობას კარგავდა. იგი მიტროპოლიტ კალისტრატეს “უჭკუოს“, “პროვოკატორს“, “საკათალიკოზო საბჭოში ძალაუფლების უზურპატორს“, “უსინდისოსა“ და “მასხარას“ უწოდებდა. გასაოცარია როგორ დაუჩლუნგდათ ამ ადამიანებს სიფხიზლის გრძნობა. ხელისუფლება, რომელიც ასე გააფთრებით ებრძოდა საქართველოს ეკლესიას, ეკლესიის თითოეული წევრისაგან მონოლითურ ერთიანობას, ურთიერთგატანასა და პატივისცემას მოითხოვდა, მათი უმრავლესობა კი ურთიერთბრალდებებსა და შუღლს მოეცვა. ეს კი ისედაც მძიმე ვითარებაში მყოფ საქართველოს ეკლესიას ათასგვარ პრობლემებს უქმნიდა. “მიტროპოლიტ კალისტრატეზე გაჯავრებული ვიყავი, იმიტომ, რომ მან მოინდომა ჩემი აწყურის ეპარქიაში გადაყვანა, მან მაწყენინა იმითაც, რომ სასინოდო კანტორის ბინა მისცა დეკანოზ მიხეილ ნაცვლიშვილს და მე არა. 1921 წელს, როცა კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ წინადადება შემომთავაზა მემსახურა თბილისში კალისტრატემ ხელი შემიშალა“.⁶¹ წერდა მიტროპოლიტი დავითი.

1928 წელს სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდმა დაადგინა: საკათალიკოზო სინოდი აფასებს მიტროპოლიტ კალისტრატეს და მისადმი გამოხატავს პატივისცემასა და ნდობას, ხოლო მიტროპოლიტ დავითის მიერ მიტროპოლიტ კალისტრატეს შეუფერებლად მოხსენიება მიაჩნია შეურაცხყოფად და სასულიერო პირისათვის შეუფერებელ საქციელად. ამავე დროს ღრმა პატივისცემა გამოხატა მიტროპოლიტ კალისტრატეს მიმართ. იმ დროს, როცა მიტროპოლიტი დავითი კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ ითვლებოდა, კალისტრატე ცინცადისადმი ასეთი სიმპათიის საკათალიკოზო სინოდისაგან გამოხატვა რაღაც ახლის მაუწყებელი იყო. ყველასათვის მოულოდნელად 1928 წლის 14 მაისს მიტროპოლიტმა დავითმა ასეთი განცხადება გააკეთა: “კალისტრატეზე გაჯავრებული ვიყავი და ასე იმიტომ ვიქცეოდი, სინამდვილეში მღვდელმთავართა შორის პირველ ადგილზე ვაყენებ, მე მისთვის ცუდი არ მინდა, მე პირველი ვეამბორევი “ქრისტე არს ჩვენ შორის“ ნუ გავახარებთ სატანას, დავივიწყოთ რაც მოხდა“.⁶² ასეთ ვითარებაში სრულიად სა-

ქართველოს საკათალიკოსო სინოდმა 1928 წლის 25 დეკემბერს განაჩინა: “ეთხოვოს მიტროპოლიტ კალისტრატეს საკითხი ჩათვალოს ამოწურულად და საქმე მისცეს დავიწყებას, ვინაიდან მიტროპოლიტი დავითი წერილობით კათალიკოზ-პატრიარქის სახელზე ცნობს თავის შეცდომას და ბოდიშს იხდის კალისტრატეს წინაშე”.⁶³ მიტროპოლიტ კალისტრატეს პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ქუთათელი დავითი დაუპირისპირდა საკათალიკოსო სინოდსა და კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს, მან ჯერ 1929 წლის 27 აგვისტოს მოითხოვა ქუთაისიდან ურბნისის ეპარქიაში გადასვლა, 30 ნოემბერს კი უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ საჭირო იყო საკათალიკოსო სინოდის საგანგებო სხდომის მოწვევა, სადაც მნიშვნელოვანი განცხადება უნდა გაეკეთებინა.

1930 წლის 12 თებერვალს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდმა მოისმინა “ყოვლადსამღვდელო ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის დავითის მოხსენება კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს გადაყენების შესახებ. და მიიღო რა მხედველობაში: საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის “ღებულების I შენიშვნის მიხედვით სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი პასუხისმგებელია საეკლესიო პერიოდული კრების წინაშე, 2. ყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი დავითი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მე და ქრისტეფორე ერთად ვერ ვიმსახურებთო, განაჩინა: გათავისუფლებულ იქნას მიტროპოლიტი დავითი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მართვა-გამგეობიდან”.⁶⁴

საკათალიკოსო სინოდის სხდომას თავმჯდომარეობდა ეპისკოპოსი (ჭელიძე) სიმეონი. კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს რეზოლუციით განაჩენი არ იქნა სისრულეში მოყვანილი. მიტროპოლიტი დავითი გადაიყვანეს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად. სადაც მსახურობდა 1935 წლის 23 მარტამდე, გარდაცვალებამდე. როდესაც იგი გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს მიერ შესაფერისი პატივით იქნა დაკრძალული ქუთაისში პეტრე-პავლეს ეკლესიაში. მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III-თან ერთად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ე.წ. „განახლებისა და რეფორმების“ მომხრეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ. ისინი მზად იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თამშრომლობის ინტერესებისათვის უარი ეთქვათ მრავალსაუკუნოვან მართლმადიდებლურ დოგმებზე და ქრისტიანულ ტრადიციებზე. რა თქმა უნდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარი იმხანად შეუძლებელი იყო, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მომხდარი დაპირისპირებანი მკვეთრად უარყოფითად უნდა შეფასდეს. მიტროპოლიტ დავითს, როგორც ჩანს თვითონაც აწუხებდა ეს პრობლემა

“იქნება ერთ ღროს ვინმემ დაიწყოს ქექვა სინოდის საქმეებში და გადაფურცლოს ჩემი საქმეც და მაშინ შეიძლება მათ თვალში ვიყო გაშავებული“,⁶⁵ დიდი გულისტკივილით უნდა დავეთანხმოთ მის დასკვნას. მიტროპოლიტი დავითი, როცა აღელდებოდა წონასწორობას კარგავდა, არად დაგიდევდათ საეკლესიო კანონიკას, იყო ამპარტავანი. მის საქმეებში ასეთ ჩანაწერსაც წააწყდებით “ქუთათელმა ეპისკოპოსმა განაჩინა: კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ მოისვენოს საავადმყოფოში, ცოლიანი მიტროპოლიტი(?) კალისტრატე გაგზავნილ იქნას გამასწორებელ სახლში, რათა არეული აზრები დაიწყნაროს, საკათალიკოზო საბჭოს სხვა წევრებს... ალიყული“.⁶⁶

კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ერთ ღროს დასაყრდენად მიტროპოლიტი დავითი ჰყავდა, შემდეგ დაპირისპირებამ მათ შორის კულიმინაციას მიაღწია. ასეთ გაუთავებელ დაპირისპირებებს, პიროვნულ ამბიციებზე აგებულ შურიანობას 30-იან წლებში თან ემატებოდა ხელისუფლების ეკლესიისადმი გამომუშავებული მკაცრი კურსი, რაც უძძიმეს ვითარებას ქმნიდა, მაგრამ ღვთის შეწევნით განახლებისა და რეფორმების მომხრეთა იდეები ვერ განხორციელდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გადაურჩა გადაგვარებას, რაშიც დიდი იყო დამსახურება ღირსეული სამღვდელოებისა, მორწმუნე ქართველი ერისა, რომელნიც არ დაეთანხმნენ ხელისუფლების მიერ შემოგდებულ „განახლებისა და რეფორმების“ კურსს საქართველოს ეკლესიაში. თუმცა იმ დღიდან, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობასა და თანამშრომლობის კურსი გამოაცხადეს, საზღვარგარეთის ქართველობამ ევქარისტული კავშირი გაწყვიტა საქართველოს ეკლესიასთან. ამის მიუხედავად 1928 წელს გერმანიიდან კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III სახელზე მოვიდა წერილი გრიგოლ ფერაძისაგან. “შეიძლება მოეხსენებოდეს თქვენ უწმიდესობას მე-3 კრების დადგენილებით (გელათში 1921 წელს), რომლის ძალითაც მე ვიყავი გამოგზავნილი გერმანიაში ღვთისმეტყველების შესასწავლად არტურ ლაისტის დახმარებითა და გზის ჩვენებით. უკვე ორი წელიწადია, რაც მივალწიე ჩემს მიზანს ე.ი. შევისწავლე ღვთისმეტყველება, არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ბელგიაში და ინგლისში დაახლოებით ამ ორი წლის წინათ ვიყავ მოწვეულ ჩემს ძვირფას მასწავლებელ პროფ. გუსენის თანამოადგილედ ბონში ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრაზე. მეცნიერულად მაქვს ყოველგვარი საშუალება განვითარების და წარმატების ნივთიერადაც სრულად უზრუნველყოფილი. ვკადნიერდები მისი უწმიდესობის წინაშე თხოვნით, ვინაიდან მეცნიერული მუშაობა სრულად არ მაკმაყოფილებს უმორ-

ჩილესად გთხოვთ და მეხმაროთ საქართველოში დაბრუნებაში, ჩვენ მრავალტანჯულ ეკლესიის წიაღში სამუშაოდ“.⁶⁷

უწმიდესი ქრისტეფორე გრძნობდა, თუ რეალურ დახმარებას გაუწევდა გრიგოლ ფერაძეს და სამშობლოში დააბრუნებდა ახალგაზრდა სწავლულის საბჭოური რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა. მართალია თავისი უარით შეიძლება გრიგოლ ფერაძის წყენა გამოიწვია, მაგრამ, როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი სწორად მოიქცა. ასეთი რთული და უმძიმესი ვითარება იყო 20-30-იან წლებში. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III სურვილი საბჭოთა ხელიწუფლებასთან ეკლესიის საერთო ენა გამოენახა, კეთილსურვილად დარჩა, 30-ია წლებში როდესაც ქვეყანას რეპრესიების ახალმა ტალღამ გადაუარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა უმრავლესობა, როგორც “არასაიმედონი” გადასახლებაში იქნა გაგზავნილი. დარჩენილი სასულიერო წოდება შიშმა და მომავლის უიმედობამ მოიცვა. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო გაჭირვებული მორწმუნე მრევლის თანადგომა. მრევლსა და ეკლესიას შორის პირველი ბზარი გაჩნდა.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა და ეპარქიების
საკითხი 1917-52 წლებში

დებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ მიღებულ იქნა 1917 წლის სექტემბერში საქართველოს ეკლესიის პირველ კრებაზე. დებულების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, ეპარქიები თავის მხრივ ოლქებად, ოლქები – სამრევლოებად. ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა V-XVIII საუკუნეებში იყო 33-დან 50-მდე. რუსეთის ხელისუფლების მიერ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსი ეგზარქოსები ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ეპარქიების შემცირება-გაუქმებას. თუ 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქონდა 25 ეპარქია. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეპარქიათა რაოდენობა შემცირდა 3-დან 5-მდე. 1917 წლის დებულების თანახმად, გადაწყდა 13 ეპარქიის შექმნა: 1. მცხეთის, 2. თბილისის, 3. ალავერდის, 4. ბოდბის, 5. ურბნისის, 6. აწყურის, 7. ქუთაისის, 8. გაენათის, 9. ნიკორწმინდის, 10. ცაგერის, 11. ჭყონდიდის, 12. ბათუმის, 13. ცხუმ-ბედიის. აქედან თბილისის, ქუთაისის, ჭყონდიდის ეპარქიების სათავეში იქნებოდნენ მიტროპოლიტები. დანარჩენ ეპარქიებისა – ეპისკოპოსები. დებულების თანახმად, მთავარეპისკოპოსის წოდება საქართველოს ეკლესიაში არ იყო. საქართველოს ეკლესიის უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა საეკლესიო კრება, რომელსაც იწვევდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ. კრებას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, კრება ირჩევდა პრეზიდიუმის წევრებს და მდივანს. საეკლესიო კრების კომპეტენციაში შედიოდა: „ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა, უზენაესი საეკლესიო სამართალი, საბოლოო გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომელსაც საკათალიკოზო საბჭო წარმოადგენდა, არჩევდა საკათალიკოზო საბჭოსა და სასამართლოს წევრებისა, ძველი ეპარქიების აღდგენა ან გაუქმება, ეპარქიათა საზღვრების გამიჯვნა, ზრუნვა სასულიერო სასწავლებლების დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის. მთავარი მართვა-გამგეობის ორგანოთა შტატების დამტკიცება.“⁴¹

ავტოკეფალიის გაუქმებამდე XVIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში არ ფიგურირებდა სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო, იგი შეიქმნა 1917 წლის დებულების თანახმად. საკათალიკოზო საბჭო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დემოკრატიული სტილის

დამკვიდრების პირველი სერიოზული განაცხადი იყო. საკათალიკოზო საბჭო შედგებოდა 12 წევრისაგან, რომელსაც თავმჯდომარეობდა კათალიკოზ-პატრიარქი ან მისი მოსაყდრე. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ ეპარქიებიდან ორი მღვდელმთავარი, რიგრიგობით ორ-ორი თვით და ეკლესიასთან დაახლოებული საერო პირები. საკათალიკოზო საბჭოს სხდომები იმართებოდა კვირაში ერთხელ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონიერი იყო, თუ სხდომის 8 წევრი მაინც ესწრებოდა. საკათალიკოზო საბჭოში თავმჯდომარეს ორი ხმა ჰქონდა. საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულო შესასრულებელი იყო, როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის, ასევე ეპარქიათა ხელმძღვანელებისათვის. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II წინადადებით ხუთ წელიწადში ერთხელ კათალიკოზ-პატრიარქი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდა საკათედრო საბჭოს. საკათალიკოზო საბჭოს სხდომებზე აზრთა ურთიერთგაცვლის გზით ხდებოდა კანონთა შემუშავება, საეკლესიო კრების მომზადება და ღღის წესრიგის განსაზღვრა საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის წარმართვა მართლმადიდებელი და განსხვავებული კონფესიების ეკლესიებთან. მას ჰქონდა კანცელარია, სამეურნეო და სამონასტრო გამგეობა, ჰყავდა იურისტკონსულტი.

ეპარქიებში საეპარქიო მმართველობის მთავარი ორგანო იყო საეპარქიო კრება, სადაც ეპარქიაში შემავალი ოლქები გზავნიდნენ ოთხ წარმომადგენელს, კრების თავმჯდომარე იყო ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმთავარი. მისი არყოფნის შემთხვევაში, კრება თვითონ ირჩევდა თავმჯდომარეს. საეპარქიო კრების კომპეტენციაში შედიოდა: საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრთა შერჩევა, საეპარქიო ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება, ეპარქიის დანაწილება ოლქებად, ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისათვის, საბჭოს მიერ შემუშავებულ წესებისა და ინსტრუქციების დამტკიცება.

საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო იყო „საეპარქიო საბჭო“, რომელსაც თავმჯდომარეობდა ეპარქიის მღვდელმთავარი. საეპარქიო 6 წევრისგან შედგებოდა და ირჩეოდა 3 წლის ვადით.

ეპარქიებში მღვდელმთავრის კონტროლის მექანიზმი იყო ჩადებული საეპარქიო საბჭოს საქმიანობაში. ეპარქიებში შედიოდა 10/15 სამრევლო, რომელიც ერთ ოლქს ქმნიდა, საქართველოს ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოსთან არსებობდა „საკათალიკოზო სასამართლო“, რომლის თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი იყო, იყო საეპარქიო სასამართლოებიც. ყოველივე ეს შეიძ-

ლება ასე წარმოვიდგინოთ:

უმაღლესი ორგანო:

I საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრება

II სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის თავმჯდომარეობით

III საეპარქიო კრება—საეპარქიო საბჭო ეპარქიის მღვდელმთავარის თავმჯდომარეობით

IV საოლქო მმართველობა — საოლქო საბჭო ოლქის მთავარი ხუცესის თავმჯდომარეობით.

„საკათალიკოზო სასამართლო“ იხილავდა საკათალიკოზო საბჭოს წევრების, ეპარქიათა მღვდელმთავრების საკითხებს, აგრეთვე საეპარქიო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერებას. იგი თავის საქმიანობას წარმართავდა მსოფლიო საეკლესიო კრებების, წმიდა წერილების და “დიდისჯულის კანონის” ძირითადი პრინციპებით.

„საეპარქიო სასამართლო“ იხილავდა ეპარქიაში წარმოშობილი უთანხმოების საკითხებს.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში გარკვეული ცვლილებები შევიდა 1920 წლის 20 ივლისის მეორე საეკლესიო კრების განჩინებით. გაერთიანდა მცხეთა-თბილისის ეპარქია, ეპარქიათა მღვდელმთავრების კატეგორიული მოთხოვნით, გაუქმდა საეპარქიო საბჭოები, შეიზღუდა საეპარქიო სასამართლოების ფუნქციები, გაუქმდა „საკათალიკოზო სასამართლო“, საკათალიკოზო საბჭომ შეითავსა საკათალიკოზო სასამართლოს ფუნქციები. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის განჩინებით „1919 წლის 30 იანვრიდან საქართველოს ეკლესიაში უარყოფილ იქნა ყოველგვარი ჯილდო სამღვდელო პირთათვის, არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა მხოლოდ გელათის, მარტვილის, ქვაბისხევის, შუამთის, შიომღვიმის, მოწამეთას, დავით-გარეჯის მონასტრების წინამძღვრებს, დეკანოზის ხარისხი მიენიჭა საკათედრო ტაძრის წინამძღვარს. აეკრძალა მიტირის ტარება ყველა სამღვდელო პირს ეპისკოპოსის გარდა“.²

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი ამბროსის დაპატიმრების შემდეგ საკათალიკოზო საბჭოს დროებითი თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი ქრისტეფორე. საკათალიკოზო საბჭოსა და ქრისტეფორეს შორის მძაფრი დაპირისპირება წარმოიშვა. ქრისტეფორეს მომხრე ე. წ. “რეფორმატორები” თვლიდნენ, რომ საკათალიკოზო საბჭო იყო დამნაშავე ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირებისა, ამიტომ მოითხოვდნენ მის დაშლას. 1927 წლის 21 იანვრის

დადგენილებით, გაუქმდა საკათალიკოზო საბჭო და შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, ხოლო შემდეგ შეიქმნა კათალიკოზის სინოდი, რომელშიც მხოლოდ სასულიერო პირები შედიოდნენ და კათალიკოზ-პატრიარქის ნებასურვილის გამომხატველი იყო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დემოკრატიული სტილი საკათალიკოზო საბჭოს გაუქმების შემდეგ ისტორიის კუთვნილებად იქცა, მაგრამ ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო ეკლესიის გარშემო შექმნილი ურთულესი ვითარებით. რაც შეეხება ეპარქიებს, ავტოკეფალიის აღდგენიდან ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში ყველაზე რთული ვითარება შეიქმნა ცხუმ-ბედიელის ეპარქიაში.

ისტორიულად აფხაზთა საკათალიკოზოს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან გამოყოფა მცხეთის კათალიკოზისადმი დაქვემდებარება IX საუკუნეში მოხდა, რომელიც „აფხაზთა მეფეების თაოსნობითა დ მცხეთის ტახტის აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა“.³ ამიერიდან საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლამდე აფხაზთა კათალიკოსები სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდნენ. 1470-1474 წლებში ბაგრატ იმერთა მეფის, შამდავლე დადიან-გურიელის სურვილით და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის ლოცვა-კურთხევით ბედიელ-ცაიშელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე აფხაზთა კათალიკოსად ეკურთხა. „მცნებაი სასჯულოს“ მიხედვით: „გაკურთხეთ კათალიკოზი იოაკიმ, მარჯუნაი იერუსალიმისა, აფხაზეთის კათალიკოზი და კურთხეულ არის, დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა“.⁴ მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა საკათალიკოზოს შექმნა მიზნად ისახავდა შუასაუკუნეობრივი სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებას, აფხაზთა კათალიკოსები (ჩხეიძე, ქვარიანი, ერისთავი, აბაშიძე და სხვ.) აღიარებდნენ მცხეთის საკათალიკოზოს უპირატესობას და მნიშვნელოვანი საერო და საეკლესიო საკითხების გადაწყვეტისას აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქებს ეთათბირებოდნენ. ასე იყო XVI საუკუნის 50-იანი წლების დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებაზე, სადაც შეიმუშავეს „სამართალი კათალიკოზთაი“ და XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისში, როცა ტყვეთა სყიდვის აკრძალვის, ეპარქიების პრობლემები განიხილეს. 1814 წელს დასავლეთ საქართველოს ეკლესიებიც საქართველოს ეგზარქოსს დაუქვემდებარეს, რომელსაც „საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი“ უწოდეს. XIX საუკუნის 50-იან წლებში აღსდგა აფხაზეთის საეპისკოპოსო, რომელსაც 70-იან წლებამდე ქართველი იერარქები განაგებდნენ. 80-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლების რეაქციული გეგმის შესაბამისად, აფხაზეთის ეპარქიას განაგებდნენ

ანტიქართული ორიენტაციის რუსი ეპისკოპოსები, რომელნიც ცდილობდნენ ეროვნული დაპირისპირებისა და მტრობის დანერგვას.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რეალურად დღის წესრიგში დადგა, რუსეთის წმიდა სინოდისა და ხელისუფალთა წარმომადგენლებმა დღის წესრიგში დააყენეს აფხაზეთის ეპარქიის საქართველოდან ჩამოშორების საკითხი.

ჯერ კიდევ 1902 წელს სოხუმის ეპისკოპოსი არსენი /ზოტოვი/ სვამდა საკითხს აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან ჩამოშორებისა და მისი ყუბანის ოლქთან გაერთიანების შესახებ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობა შეეცადა აქცენტი გაეკეთებინა ეროვნულ ავტოკეფალიაზე და საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცებისას სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ნაცვლად ჩაწერეს „სრულიად ქართველთა კათალიკოზ-პატრიარქი“. პეტერბურგში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტის წარგზავნილებსაც ეპ. ანტონს, არქიმანდრიტ ამბროსისა და დეკანოზ კალისტრატეს რუსეთის სინოდის ობერპროკურორმა ლვოვმა განუცხადა: „რუსები უარს ამბობენ დაემორჩილონ საქართველოს კათალიკოზს, აფხაზები კი უეპისკოპოსო ავტოკეფალიას მოითხოვენო“.⁵ რუსეთში ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას დებულებაც ისტორიის კუთვნილებად იქცა. 1917 წლის 12 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის კრებაზე იყო მსჯელობა სოხუმის ეპარქიის შესახებ. საეკლესიო კრებამ გაითვალისწინა აფხაზეთის დელეგატების თვალსაზრისი, შექმნილიყო აფხაზეთის ეპარქია, რომლის მღვდელმთავარს ეწოდებოდა ცხუმელ-ბედიელი. ეპარქიის მღვდელმთავარს ქართულთან ერთად კარგად უნდა სცოდნოდა აფხაზური, რუსული და მეგრული.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ცხუმელ-ბედიელის სახელოს აღდგენა იყო პასუხი ვინმე თარნავას წიგნის სულისკვეთებაზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ აფხაზთა ეკლესია ყოველთვის დამოუკიდებელი იყო.⁶ რუსეთის ეკლესიის სინოდი ცდილობდა უგულებელყო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია და სოხუმის ოლქში დაეტოვებინა ეპისკოპოსი სერგი, რომელსაც დაემორჩილებოდნენ რუსული და ბერძნული სამრევლოები. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ აფხაზეთში ჩამოყალიბდა ბოლშევიკთა რევოლუციური კომიტეტის ე. ეშბას მეთაურობით, რომელიც არ ემორჩილებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოსიც აფხაზეთში საქართვე-

ლოს ერთიანობის სიმბოლოდ განიხილებოდა, ამიტომ აღდგენილ ეპარქიაში ქართველი მღვდელმთავარი ვერ ჩადიოდა, მაგრამ „1918 წლის ივნისის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარი შეტევაზე გადავიდა, 22 ივნისს აიღეს გაგრა, 2 ივლისს ადლერი, 6 ივლისს სოჭი, 26 ივლისს ტუაფსე“.⁷ საქართველოს მთავრობამ აღადგინა თავისი იურისდიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებით, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრის დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის თანხლებით აფხაზეთში ჩავიდა. „20 ოქტომბერს უწმიდესმა ლეონიდმა ინახულა ადგილობრივი ქართული გარნიზონი, რომელთაც მიესალმა, მიულოცა, რომ ბედნიერება ხვდათ წილად ემსახურონ დამოუკიდებელ საქართველოს. განუმარტა მათ, თუ რა ერთგულებით უნდა ემსახურონ ახალგანთავისუფლებულ სამშობლოს, რათა იგი განმტკიცდეს და აღორძინდეს“.⁸ 21 ოქტომბერს მისი უწმიდესობა თავისი ამალით წაბრძანდა ახალი ათონის მონასტერში, სადაც მან გადაიხადა პარაკლისი, 22 ოქტომბერს გაიმართა ეპარქიის კრება, რომელსაც დაესწრნენ აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენლები. ყველანი ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ ყველაფერი უნდა ელონათ ეპარქიის აღორძინებისათვის, აფხაზეთის მრავალეროვანი ქრისტიანული მრევლის მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში. კათალიკოზ-პატრიარქის აფხაზეთში მოგზაურობა იყო იქ მცხოვრები ქართველების გამხნევება. იქვე გადაწყდა ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ამბროსის ცხუმელ-ბედიელად გადაყვანა 1919 წლის 28 ოქტომბრიდან. მიტროპოლიტი ამბროსი აფხაზეთს კარგად იცნობდა თავისი სასულიერო მოღვაწეობა მან აფხაზეთში დაიწყო. იგი იმთავითვე შეურიგებელი იყო მეფის რუსეთის რუსიფიკატორული შავრაზმული პოლიტიკის მიმართ. ასეთი მღვდელმთავრის სოხუმის ეპარქიაში გადაყვანა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გონივრული პოლიტიკის გამონატულება იყო. მიტროპოლიტ ამბროსის ეპარქიაში ჩასვლისთანავე, ფრთები შეეკვეცა სოხუმის რუს ეპისკოპოსს სერგის, რომელსაც თავადმა ვ. შერვაშიძემ წერილი გაუგზავნა, სადაც აღნიშნული იყო: „საკათალიკოზო საბჭოს მიერ სოხუმის ეპარქიის კანონიერ მმართველად დანიშნულია მიტროპოლიტი ამბროსი. თქვენი ადგილი აქ აღარ არის“.⁹ მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაიწყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის აღორძინება. მაგრამ 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ ეპარქიაში საქმეები უკიდურესად გართულდა. აფხაზეთის ბოლშევიკებმა ე. ეშბას მეთაურობით მოინ-

დომეს აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება და დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადება. მართალია, მათი მიზანი მთლად ვერ შესრულდა, მაგრამ სეპარატისტული ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა. 1921 წლის 7 სექტემბერს მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი გახდა, მაგრამ იგი კარგად გრძნობდა, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტოვება არ შეიძლებოდა, ამიტომ 1921 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ „განიხილა საკითხი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საეპისკოპოსო კანდიდატის დამტკიცების შესახებ და განაჩინა არქიმანდრიტი იოანე (მარგიშვილი) აღიარებულ იქნას კანონიერად არჩეულ კანდიდატად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრის ადგილზე“.¹⁰

არქიმანდრიტ იოანეს კურთხევა დაინიშნა 15 ოქტომბრისათვის. ეს იყო ბოლშევიკური მმართველობის დროს პირველი ეპისკოპოსის კურთხევა, რომელიც მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსისა და ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარისა და ეპისკოპოს პიროს ალავერდიელის თანამწირველობით.

იოანე მარგიშვილს გადაეცა ეპისკოპოსად კურთხევის სიგელი, რომლის ტექსტი ჯერ კიდევ კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II შემუშავდა: „უმაღლესი მთავარეპისკოპოსი მცხეთისაი და თბილისისაი და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი“.

დიდმან მღვდელთ-მოძღვარმან ჩვენმან, უფალმან და ღმერთმან სოფლისამან, რომელმან დაადგინა ეკლესიასა შინა თვისსა მოციქულნი, წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი, ცხოველმყოფელითა განგებულებითა თვისითა. აღაშენა სამწყსო ღვთითდაცულისა ცხუმ-აფხაზეთისაი, რომელსა შინა ერისა მიერ მორწმუნისა აღრჩეულო არქიმანდრიტო იოანე განწესებულ ხარ წესისამებრ წმიდისა სამოციქულოისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა ეპისკოპოსად და თანაშეწევართა ყოვლად წმიდისა და სულისა, ქრისტეს აქეთ 1921წ. 15 ოქტომბერსა, მცხეთას სვეტიცხოველისა კვართსა საუფლოსა, დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა ათთორმეტთა მოციქულთასა, ხელდასმულ ხარ ჩუენ მიერ... ჯერ არს შენდა ეპისკოპოზო იოანე, რათა ეკრძალო თავსა შენსა და ყოველთავე სამწყსოსა, რომელმან ეგე შენ სულმან წმიდამან დაგადგინა მწყემსად ეკლესიისა უფლისა და ღმრთისაისა... დაიცავ ეკლესიათა შინა და მონასტერთა წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ გარდამოცემულნი წესნი, იღუაწე კითხვასა. შინა საღმრთო წერილითა“¹¹. იოანე მარგიშვილი მოღვაწეობას შეუდგა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში 1921 წლის ნოემბრიდან. ამ დროს კიდევ უფრო გართულებული იყო, როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიუ-

რი ვითარება ეპარქიაში. ადგილობრივმა ანტიქართული ორიენტაციის ბოლშევიკებმა ე. ეშბას ბრძანებით დაანგრიეს კარის ეკლესია, ცეცხლს მისცეს ცხუმბედიელის კანცელარიის არქივი. ქართველებს ეცილებოდნენ რუსები სოხუმის საკათედრო ტაძარში, რომელიც მღვდელმთავრის ტაძარი უნდა ყოფილიყო. 1922 წლის 2 მარტს ეპისკოპოსმა იოანემ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „მე ვდგვარ თქვენ მიერ არჩეულ გზაზე, რის გამოც საყოველთაოდ მაქვს გამოცხადებული, რომ სოხუმის საკათედრო ტაძარში არ ვწირავ იმ დრომდის, ვიდრე მას არ ჩამაბარებენ სავსებით“.¹²

ეპარქიაში შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებაში ეპისკოპოსი იოანე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელი იყო აფხაზეთის თავისებურებათა გათვალისწინება და სიფრთხილით მოქმედება. მისი აზრით, აფხაზები განაწყენებული იყვნენ იმიტომ, რომ საკათალიკოზო საბჭომ გააუქმა აფხაზეთის მიტროპოლიტის ტიტული. აფხაზები ამას მათი ინტერესების აბუჩად აგდებას უწოდებდნენ. ეპისკოპოსი იოანეს აზრით, საჭირო იყო ბედიელი ეპისკოპოსის კურთხევა, რომელსაც რეზიდენცია ილორში ექნებოდა და პასუხს აგებდა სამურზაყანოს სულიერ მდგომარეობაზე. ეპისკოპოსი იოანე გრძნობდა რა რთული ვითარება იყო აფხაზეთში, „ვრწმუნდებით, რა ღრმად, რომ ჩვენს შავბნელ ვარსკვლავზე მკვდრეთით აღდგენილი და განახლებულ ავატოკეფალურ ეკლესიას დღიდან მისი აღდგენისა, შავი ყორანი დასჩხავის და მართლაც, სამწუხაროდ, მუშაობა, სამსახური, მასში დღითიდღე აუტანელი ხდება“.¹³ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოსა და კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის საბჭოთა ხელისუფლებისადმი შეურიგებელი პოზიცია კარგად გამოიყენეს აფხაზეთის ადგილობრივმა სეპარატისტულმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შესუსტებისა და რუსული „ცოცხალი ეკლესიის“ უფლებების გაძლიერებისათვის. აფხაზეთში მყოფი რუსი შავრაზმელი მღვდელი ვასილ პამფილოვი, რუსი ეპისკოპოსი ანდრია და სხვები აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობას ქართველების წინააღმდეგ აქეზებდნენ; როგორც სოხუმიდან ნიკოლოზ თავადირიძის მიერ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის ეპისკოპოს ქრისტეფორესადმი გამოგზავნილი წერილიდან სჩანს (1923 წლის 3 ნოემბერი): „სოხუმში ორი რუსი ეპისკოპოსია, რომელნიც ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მთავარი ეკლესია. ერთია აბრაამი ბერძენი, რომელიც „ცოცხალი ეკლესიის“ წარმომადგენელია, მეორე პავლე რუსეთის ტრადიციული ეკლესიის წარმომადგენელი, მაგრამ ორივენი ჩვენი მოწინააღმდეგე და აფხაზეთის რუსეთის

ეკლესიასთან მიერთების მსურველნი. ამნაირ პირობებში ჩვენი სამწყსოსა და სამრევლოს საქმე განსაცდელშია. ორივე ეპისკოპოსი ცდილობენ აქაური მთავრობის მიმხრობას¹⁴. როგორც ჩანს, აფხაზეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ანტირელიგიური მოძრაობის გაძლიერების საბაბით, სახელმწიფოს სასარგებლოდ სოხუმის საკათედრო ტაძარს 2 მილიონი მანეთი დააკისრებს გადასახადის სახით, რადგან ამ თანხის გადახდა ქართველობას გაუჭირდებოდა. რუსები გადაიხდიდნენ და სადაოდ გამხდარი საკათედრო ტაძარი მათი საკუთრება გახდებოდა. ასეთ ვითარებაში ნიკოლოზ თავადგირიძის აზრით, სასურველი იყო ადგილობრივი აფხაზი დიმიტრი მარლანია სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსად აერჩიათ და ამით შეეჩერებინათ რუსების მზარდი ექსპანსია. მისი აზრით, თუ ქართველობა წინდახედულებას არ გამოიჩინდა, შეიძლებოდა საერთოდ დაგვეკარგა სარწმუნოებრივი უფლებები ამ რეგიონში. საკათალიკოზო საბჭო სწორად მოიქცა, როცა თავი შეიკავა აფხაზი ეროვნების ეპისკოპოსად კურთხევაზე. ადვილი შესაძლებელი იყო ახლა მის გარშემო დაჯგუფებულიყო გარკვეული ძალები, რათა სოხუმის ეპარქია საერთოდ ჩამოეცილებინათ საქართველოს ეკლესიისათვის.

საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრებისა და კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის სასამართლო პროცესის შემდეგ, კიდევ უფრო გართულდა ვითარება ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, რასაც ადასტურებს 1924 წლის 3 მაისს იოანე მიტროპოლიტის მოხსენება საქართველოს საკათალიკოზო საბჭოსადმი. „ცოცხალი ეკლესიის“ წარმომადგენელს, რუს ეპისკოპოსს აბრაამ ივანოვს ადგილობრივ მთავრობაში დაუბეზლებია სოხუმის ქართველი სამღვდელთა, ეგენი აქედან საერთოდ უნდა გავეართოთ, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების მტერს კათალიკოზ ამბროსის წირვის დროს კვლავ მოიხსენებენო. რაც შეეხება მიტროპოლიტ იოანეს, იგი წავიდა და აღარ დაბრუნდებაო¹⁵. მიტროპოლიტმა იოანემ, როცა შეიტყო ამის შესახებ, სასწრაფოდ დაბრუნდა სოხუმში, შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. მისი აზრით, „საკათალიკოზო საბჭოს მართებდა დიდი წინდახედულება, რომ პოზიცია, რომელიც ქართველ იერარქებს უჭირავთ, ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელიდან არ გამოგვეცალოს. სოხუმის უეპისკოპოსოდ დატოვება ერთ დღესაც არ შეიძლება“¹⁶. მიტროპოლიტ იოანეს მოზომილი პოლიტიკის წყალობით გაგრაში, როცა გარდაიცვალა საქართველოს ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი რუსი მღვდელი მის ადგილზე დანიშნა რუსი-ზაიცევი, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ინტერესების დამცველი... ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი იმხანად მუშაობდა გუდაუთის და კოდორის ხეობის მოსახლეობასთან, განუმარტავდა მათ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში დარჩენის აუცილებლობას.

დაძაბულმა შრომამ სოხუმის ნოტიო ჰავამ უარყოფითად იმოქმედა მიტროპოლიტ იოანეს ჯანმრთელობაზე. იგი სთხოვდა საკათალიკოზო საბჭოს 1925 წლის 1 თებერვლიდან გაათავისუფლონ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან. 1926წ. დაინიშნა ურბნისის ეპარქიის მმართველად, ხოლო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი გახდა კათალიკოზ-პატრიარქის მოადგილე ქრისტეფორე ციციქიშვილი, მაგრამ იგი ფაქტიურად თბილისში იყო და ეპარქიის საქმეები კიდევ უფრო აირ-ღაირია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 1927 წლის 26 მარტს არქიმანდრიტი ეფრემი აკურთხეს ეპისკოპოსად, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში იგი დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად. ახლადნაკურთხ ეპისკოპოსს უპირებდნენ მიტროპოლიტის ხარისხში აყვანასაც, მაგრამ ყოველგვარად ეფრემს სხვანაირად ესმოდა თავისი მოწოდება 1927 წლის 2 ოქტომბერს საკათალიკოზო სინოდისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „სინოდის გადაწყვეტილება ჩემი ცხუმ-აფხაზეთის კათედრაზე დამტკიცების შესახებ და მიტროპოლიტობის მინიჭებაზე არასწორად მიმაჩნია. მიტროპოლიტობა ეძლევა არა კათედრას, არამედ პიროვნებას, ნიშნად მადლისა და პატივისცემისა, მისი განსაკუთრებულის ღვაწლისა და სამსახურის აღსანიშნავად. მე ახლა ვიწყებ საქმიანობას და პირდაპირ მმართველ მღვდელმთავრად დანიშვნა ისედაც რთულ ეპარქიაში, როგორც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაა, არასწორად მიმაჩნია“.¹⁷

საკათალიკოზო სინოდმა 1927 წლის 17 ოქტომბერს ეპისკოპოსი ეფრემი ალავერდის ეპარქიაში გადაიყვანა, ხოლო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ჩააბარა მელიქისედეს (ფხალაძე), რომელიც 1928 წელს ეპისკოპოსმა პავლემ (ჯაფარიძე) შეცვალა. ასეთ რთულ ეპარქიაში ქართველი მღვდელმთავრების ხშირი ცვლა მათი დავა საკათალიკოზო-სინოდთან რთულ ეპარქიაში ვერ ვიმუშავებთო, ანტიქართული ორიენტაციის რუსული სამღვდელოების ინტერესებს პასუხობდა. 30-იანი წლებიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია კიდევ უფრო დაშორდა საქართველოს ეკლესიას და თუ არა 1943 წლის საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ევქარისტული კავშირის აღდგენა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ყველაფერი იყო მომზადებული ამ ეპარქიის საქართველოს ეკლესიიდან ჩამოშორებისათვის რაც შეეხება სხვა ეპარქიებს.

ურბნისის ეპარქიის რეალურად ამოქმედების საკითხი არაერთხელ დასმულა, მაგრამ ეს ადვილი არ იყო. 1921 წლის 6 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ საკათალიკოზო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა „თავისუფალი თანხების უქონლობის გამო საკათალიკოზო საბჭომ დაადგინა, რომ ურბნისის ეპარქიის აღდგენის საკითხი გა-

დადებულ იქნას იმ დრომდის, სანამ ადგილობრივ არ იქნება გამონახული მღვდელმთავრისა და მისი კათედრის შესანახი წყაროები“.¹⁸ ასეთ ვითარებაში ქ. გორის მორწმუნე საზოგადოებამ ყველაფერი იღონა, რათა ნორმალური პირობები შეექმნა, ნივთიერად ხელი შეეწყო ურბნისის ეპარქიის აღორძინებისათვის. ამას ადასტურებს 1922 წლის 6 იანვარს მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის წინაშე გამოგზავნილი შუამდგომლობა. „განმეორებით გთხოვთ, რათა ანგარიში გაეწიოს ურბნისის ეპარქიის დაქვეითებულ საქმეებს და მოკლე ხანში ხელდასმულ იქნას ურბნისის ეპისკოპოსად საეპარქიო თათბირის მიერ არჩეული და დადასტურებული კანდიდატი დეკანოზი ქრისტეფორე ციციქიშვილი“.¹⁹ 1922 წლის 18 მარტს დეკანოზი ქრისტეფორე აკურთხეს ეპისკოპოსად, 12 ივნისს ეპისკოპოს ქრისტეფორეს ჩაბარდა ურბნისის ეპარქია. მაგრამ ეპისკოპოსი ქრისტეფორე თბილისში იყო და კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის დაპატიმრების შემდეგ ასრულებდა ეკლესიის მეთაურის მოვალეობას, ურბნისის ეპარქიაში ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა, ამ დროს ახალციხე-ახალქალაქი ურბნისის გამგებლობაში შედიოდა ბოლშევიკური ხელისუფლების შევიწროება ეკლესია-მონასტრების დარბევა, აიძულებდა სასულიერო პირთ მიმართონ თხოვნით თავიანთ მღვდელმთავარს დაიცვას ისინი ამ უკანონობისგან, ბევრი ველარ უძლებდა შექმნილ ვითარებას, საერთოდ ტოვებდა სასულიერო წოდებას.

ალავერდის ეპარქიას პიროს ალავერდელის გარდაცვალების შემდეგ (1922 წლის აპრილი) ორი წელი ადგილობრივი მმართველი მღვდელმთავარი არ ჰყოლია. მართალია, 1922 წლის 22 ნოემბერს, როგორც შინაგან საქმეთა კომისარიატის სახელზე ეპარქიიდან გაგზავნილი წერილი იტყობინებოდა, 6 დეკემბერს თელავში დანიშნული იყო საეპარქიო კრება ალავერდის ეპისკოპოსის ასარჩევად და სთხოვდა მათ ხელი არ შეეშალათ კრების მუშაობისათვის, მაგრამ იმხანად ეს ვერ მოხერხდა. 1924წ. ეპარქიას განაგებდა დავით კაჭახიძე, 1925-28წწ. მელქისედეკ ფხალაძე. ანტირელიგიური კამპანია ალავერდის ეპარქიასაც შეეხო. ეპარქიის სამღვდელოების დიდი ნაწილი გაძარცვეს, ზოგი ციხეებში შეყარეს. ვითარების სირთულეს ადასტურებდა სოფ. ახმეტის მიძინების ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ ლეონტი ღვინიაშვილის თხოვნა ალავერდელ ეპისკოპოს დავითისადმი, „ვინაიდან წამდაუწუმ მატუსალებენ უმიზეზოდ, უმორჩილესად გთხოვთ, გადამიყვანოთ ახმეტიდან“.²⁰ ხელისუფლების წარმომადგენლები აიძულებდნენ მღვდლებს ასეთი განცხადებით მიემართათ მღვდელმთავრისათვის. „მივიღე რა მხედველობაში დღევანდელი გარემოება, ვსცან უკეთესად, დავანებო თავი ჩემს სამსახურს, მღვდლობას. ამის გამო გთხოვთ მომცეთ შესაფერისი საბუთი, რომ განთავისუფლებული

ვარ მღვდლობის თანამდებობიდან“.²¹ განცხადებას ხელს აწერდა შილდის ეკლესიის მღვდელი სამსონ საბაშვილი.

საკმარისი იყო ხელისუფლებას დაეგმო ადმინისტრირების გზით ეკლესიების დაკეტვა და მოსახლეობისათვის უფლება მიეცა ეკლესიების ხელახალი გახსნისა. მორწმუნეებს ამით ესარგებლათ კვლავ გაიხსნა ეკლესიები საბუეში, ნაფარეულში. 1925 წელს ალავერდის ეპარქიაში შექმნილი ვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაციაა მთავარხუცესის ვასილ მაისურაძის მოხსენებაში ალავერდელი ეპისკოპოსისადმი. მთავარხუცესს შემოუვლია კახეთის სოფლები. სოფ. ენისელში თავის ადგილზე დახვედრია მღვდელი გიორგი ბალიაური და მედავითნე იოსებ ველიაშვილი, ეკლესია მოუწყობელი ყოფილა, მიუხედავად ამისა, ღვთისმსახურება მაინც სრულდებოდა კერძო სახლში. ისინი ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდნენ. სოფ. გრემში მღვდელი ადგილზე არ იყო. მრევლი უკიდურესად გაჭირვებულია და მღვდლის შენახვა არ შეუძლიათო. მთავარხუცესს უკეთესი მდგომარეობა დახვდა საბუეში, შილდაში, მაგრამ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ძველ და ახალ გავაზს, სადაც „ერთი ეკლესია გადაუკეთებიათ სახალხო სახლად, მეორე ისტორიული ღვთისმშობლის სახელობისა, გაუძარცვავთ, ხის კანკელი დაუმტკრევიათ, ხატებით სკოლის სკამები გაუკეთებიათ“.²²

პროვინციებში საეკლესიო ცხოვრების მძიმე ვითარება კარგად არის ნაჩვენები სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდისადმი ჰერეთის ოლქის მთავარხუცესი ილია კობაძის მოხსენებით ბარათში „წარმოგიდგინთ ყოფილი ჩემი სამთავარხუცესოს 1925, 1926, 1927, 1928 წლების საქმეებს. მოგახსენებთ, რომ ამ ოლქში არცერთი მღვდელი აღარ არის. ყველა მათგანს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სხვადასხვა ხრიკებით, აუტანელი ხარჯების წართმევა-შეწერით, მუქარით, სარჩო-საბადებლის ჩამორთმევითა და შეურაცხყოფით ღვთისმსახურებაზე ხელი ააღებინა“.²³

არანაკლებ რთული ვითარება იყო ქუთაისში ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს საბჭოთა ხელისუფლებამ წაუყენა ბრალდება საქართველოს ეკლესიის განძეულობის გადამალვის შესახებ. საქმე ის იყო, რომ 1921 წლის 19 თებერვალს საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისიდან ქუთაისში გადატანილ იქნა სიონისა და სვეტიცხოვლის მონასტრების სიწმინდენი, რომელნიც დამალეს ნაზარის სამიტროპოლიტო სახლის აივნისქვეშ. ამის მიზეზი იყო ბოლშევიკების ურწმუნოება და საეკლესიო ნივთების განადგურების საფრთხე. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მიტროპოლიტი ნაზარი დააპატიმრა, 1924 წლის აპრილში ამნისტიის საფუძველზე მიტროპოლიტი ნაზარი გაათავისუფლეს, მაგრამ მას

აღარც საეპარქიო სახლი დახვდა და საერთოდ ეპარქიაში ღვთისმსახურების ნორმალურად ჩატარების საშუალებაც წაართვეს. იგი თბილისში ჩამოვიდა და შეხვდა ს. ქავთარაძეს, რომელმაც ხელისუფლების სახელით დახმარება აღუთქვა, მაგრამ ქუთაისში დაბრუნებულს ახალი, უსიამოვნო ამბავი დაახვედრეს, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის გადაწყვეტილებით, უნდა დაენგრიათ ქალაქის ცენტრში არსებული საკათედრო ტაძარი. გაოგნებული მორწმუნენი შიშით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა კომკავშირლების მიერ დაწყებულ საზარელ საქმეს, იმ ტაძრის ნგრევას, სადაც მოღვაწეობდნენ მღვდელმთავრები გაბრიელ ქიქოძე, ლეონიდ ოქროპირიძე, ანტონ გიორგაძე და სხვები. ქუთაისშივე მოეწყო ათეისტების მიერ კომკავშირული „შობის“, „აღდგომის“ დღესასწაულები.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დღეებში მიტროპოლიტი ნაზარი, მღვდლები სიმონ მჭედლიძე, გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოს ნიკოლაძე და ბესარიონ კუხიანიძე სვირში გაემგზავრნენ ახლადამენებული ეკლესიის კურთხევაზე, სადაც ისინი ადგილობრივი მილიციის მიერ იქნენ დაპატიმრებულნი, რომელნიც გაუსამართლებლად საფიჩხის თუ სალორიის ტყეში იქნენ დახვრეტილნი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს უმრავლესობა ციხეებში იყვნენ გამოწყვდელნი, ვერავინ ოფიციალურად ვერ აღიმალლა ხმა ბოლშევიკური ხელისუფლების ამ ბარბაროსობის გამო. 1925 წ. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, ბოლშევიკების ბარბაროსული წამებით მოკლულნი მიტროპოლიტი ნაზარი და კრებულნი მისნი შერაცხულ იქნან წმინდანებად და მათი ხსენების დღედ დაწესდა 14(27) აგვისტო. ეს დღე არის არა მარტო წმიდა ნაზარისა და მოკლული სასულიერო პირების ხსოვნის დღე, არამედ 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების მონაწილე ქართველი მამულიშვილების ხსენების დღეც. გაპარტახებულ ქუთაისის ეპარქიას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსი დავითი იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, მან თავისი სასულიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა. იგი იყო შესანიშნავი მწიგნობარი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი პიროვნება. 1923 წლის 12 იანვარს, როდესაც დააპატიმრეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი და საკათალიკოზო საბჭოს წევრები, ეპისკოპოსმა დავითმა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველ ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორესთან ერთად დაიწყო დაპატიმრებული სასულიერო პირების კრიტიკა და გამოთქვა მზადყოფნა, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა. მათ ჯერ იმედი ჰქონდათ დიდხანს გაგრძლდებოდა საკათალიკოზო საბჭოს წევრების პატიმრობა, მაგრამ 1925 წელს, როცა უწმიდესი ამბროსი, საკათალიკოზო

საბჭოს წევრები განთავისუფლდნენ ციხიდან, ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსის „შეცვლის საშიშროებით“, 1926 წლის 26-27 ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო კრება, შეიმუშავეს ეპისტოლე „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ“. მათი აზრით, „საქართველოს ეკლესია კრიზისს განიცდის, მიზეზი მრავალია: გარეგანიც და შინაგანიც. უკანასკნელში იგულისხმება საკათალიკოზო საბჭოს „უგუნური ლა მოუფიქრებელი“ საქციელი, ე.ი. არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო კურსი, რამაც საბჭოთა მთავრობის რისხვა და შურისძიება განაპირობა. სოციალიზმი ქრისტიანებისათვის სანატრელი ფორმაციაა“.²⁴ როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ ქუთაისის კრება გამოაცხადა უკანონოდ. მის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს მეცნიერული სიზუსტით პასუხი გასცა ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ, მაგრამ ე.წ. რეფორმატორების ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა აშკარა იყო. ამან განაპირობა მიტროპოლიტ კალისტრატეს მიერ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის თანამოსაყდრეობაზე უარი. ამ ფრთას საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ხელში ჩასაგდებად აღარც საკათალიკოზო საბჭო სჭირდებოდა, რომელიც დაშალეს კიდევ. რაც უფრო ძლიერდებოდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი საქართველოს ეკლესიის ხსენებული იერარქები, მით უფრო შორდებოდნენ მორწმუნე ქართველობას.

1921-1927 წლებში უმძიმესი ვითარება მცხეთა-თბილისისა და წილკნის ეპარქიებშიც. ანგრევდნენ ეკლესიებს, დევნიან სამღვდელოებას. ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გრძელდება. მართალია, მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოების მოთხოვნით საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ 1925 წლის 3 ივლისს აღძრა შეამდგომლობა საქართველოს სსრ ცაკის წინაშე სამღვდელოების შევიწროება-შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ და პასუხად მიიღო, რომ კონკრეტული ფაქტების დასახელების შემთხვევაში დამნაშავენი დაისჯებიანო, მაგრამ ეკლესიამონასტრების დარცვა, სასულიერო პირების დევნა-შევიწროება ანტირელიგიური კამპანიის ჩარჩოებში ჯდებოდა და სანქცირებული იყო ხელისუფლებისაგან. 1929 წლის იანვარში ეპისკოპოსი პავლე წილკნელი „კათალიკოზ-პატრიარქისგან ითხოვდა „გაუქმდეს ფშავ-ხევსურეთის საეპარქიო ოლქი, რადგან ხელისუფლებისგან წაქეზებულმა ხალხმა არცერთი ეკლესია არ დატოვა დაურბეველი. მოკლეს საკუთარ სახლში ბარისახოს მღვდელი ბესარიონ წიკლაური“.²⁵ ეკლესიების მძიმე მდგომარეობა კარგად სჩანდა სოფ. ფასანაურის მღვდლის შიო კაიშაურის მოხსენებაში, „ჯერ ადგილობრივმა პარტიულებმა მოითხოვეს ვერცხლეულის სია, შემდეგ გადაწყვიტეს ეკლესიის ზარის ჩამოხსნა და სოფლის ცენტრში დაკიდება. არ

დავანებე, ძალიან ცუდი თვალთ მიცქერიან, არ ვიცი, რით დამთავრდება ყოველივე. საერო მთავრობამ დააპატიმრა გუდამაყრის მღვდელი იოანე კაიშაური, როგორ მოვიქცეთ...?«²⁶

ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ეპარქიებში შეენარჩუნებინათ საეკლესიო ცხოვრება. 1925 წლის 22 ოქტომბრის საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებით, ალავერდის ეპარქიას გამოეყო ბოღბის ეპარქია. ბოღბის ეპარქიის მმართველი გახდა სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი. იმავე წლის დეკემბერში მოწვეულმა ეპარქიის კრებამ დაამტკიცა სამრევლო საბჭოს ინსტრუქცია. ბოღბის ეპარქიამ გააძლიერა მისიონერული საქმიანობა საინგილოს ქართველობაში და ადგილობრივი ხელისუფლების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, საინგილოს ქართველობა დედასამშობლოსთან ბოღბელის მეშვეობით ინარჩუნებდა სულიერ კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდა, რაც შეიძლება მეტ სასულიერო პირს უარი ეთქვა ეკლესიაში სამსახურზე, საკათალიკოზო საბჭო, ეპარქიების ხელმძღვანელობა ცდილობდა შეენარჩუნებინათ წესრიგი და დისციპლინა. ამას ადასტურებს არაერთი ბრძანება, თუ განჩინება, რომელნიც დაცულია საქართველოს საპატრიარქო არქივში. „არის შემთხვევები, როცა მღვდლები და მედავითნენი მთელი კვირით სტოვებენ სამრევლოს. გამოეცხადოთ სასტიკი გულისწყრომა. დროა მოვიდნენ გონს და იგრძნონ „არავის არ ხელეწიფების ორთა უფალთა მონება“.²⁷

საკათალიკოზო საბჭომ სამღვდლო ხარისხი ჩამოართვა 1926 წლის 6 ნოემბერს ზესტაფონის ეკლესიის მოძღვარს იასონ აბესაძეს საეკლესიო წესების დარღვევისათვის. ეს მღვდელყოფილი შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიყენა ანტირელიგიური პროპაგანდისათვის, როცა მან გაზ. „კომუნისტში“ გამოაქვეყნა ცილისმწამებლური წერილი საქართველოს ეკლესიისა და სამღვდლოების წინააღმდეგ. ყოველივე ზემოთქმულით, შეიძლება დავასკვნათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის პირობებში სასულიერო წოდება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები მაინც ახერხებდნენ ეკლესიის როლისა და ფუნქციის შენარჩუნებას ქართველი მორწმუნე მრევლის ინტერესების დაცვას და საეკლესიო სიწმინდეთა შენარჩუნებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები განსაკუთრებით დაზარალებდნენ 30-იან წლებში. 1929 წელს გაუქმდა ალავერდის ეპარქია, დაიკეტა ალავერდის მონასტერი მართალია 1951 წელს სრულიად საქართველოს კათალი-

კოზ-პატრიარქმა უწმინდესმა კალისტინემ ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე) ალავერდელი აკურთხა, მაგრამ ეს უფრო სიმბოლური აქტი იყო ვიდრე რეალურად ალავერდის კათედრის აღდგენა.

1934 წელს გაუქმდა ბათუმ-შემოქმედის ეპარქია. 1930 წელს გაუქმდა ჭყონდიდის ეპარქია.

ნომინალური იყო ნინოწმინდისა და წილკნის ეპარქიები, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი მღვდელმთავრები, მაგრამ არა თავის ეპარქიებში, არამედ თბილისსა და მცხეთაში.

საქართველოს ეკლესიაში შექმნილ სავალალო მდგომარეობას კარგად ასახავს უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი რელიგიის საქმეთა რწმუნებულისადმი 1947 წელს შედგენილი: “ამჟამად საქართველოს საკათალიკოზოში მოქმედებს 29 ეკლესია, რომელშიც მოღვაწეობენ 5 მღვდელმთავარი, 41 მღვდელი, ორი პროტოდიაკონი, 3 წიგნის მკითხველი”.²⁸

ეპარქიებში სასულიერო საქმიანობა მოიშალა მმართველი მღვდელმთავრები თბილისის ეკლესიებში იყვნენ როგორც ეკლესიის წინამძღვარნი. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატეს ავტორიტეტი ინახავდა.

კარი III

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1932-1952 წლებში

თ ა ზ ი I

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1932-1952 წლებში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1932 წელს ახალი ცვლილებების წინაშე დადგა. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III ჯერ კიდევ 1931 წელს ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა, რომ იგი სერიოზულად იყო ავად, (ჰქონდა ავთვისებიანი სიმსივნე) მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიური მკურნალობის კურსს გადიოდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. 1932 წლის 10 იანვარს იგი გარდაიცვალა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაში ახალი პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III მომხრეებს ბუნებრივია, არ სურდათ მანგლელი მიტროპოლიტის კალისტრატეს გაპატრიარქება, მაგრამ იმდენად აშკარა იყო მიტროპოლიტ კალისტრატეს უპირატესობა საკათალიკოზო სინოდის დანარჩენ მღვდელმთავრებთან, რომ საბოლოოდ არჩევანი მაინც მასზე გაკეთდა. 11 იანვარს საგანგებოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო სინოდის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ არჩეულ ყოფილიყო მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე. საკათალიკოზო სინოდმა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აცნობა: “სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდის მიერ კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნულია მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე”⁴¹, რომელიც 1932 წლის 21 ივნისს საქართველოს მე-6 საეკლესიო კრების მიერ არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად. იმავე თვის 24 სვეტიცხოველში მოხდა მისი აღსაყდრება, საკათალიკოზო სინოდის 25 ივნისის განჩინებით მის განკარგულებაში დარჩა მანგლისის ეპარქია.

კალისტრატე ცინცაძემ ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა განვლო იგი დაიბადა 1866 წლის ქუთაისის მაზრის სოფ. ტობანიერში 1875-1882 წლებში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისში. 1888-1892 წ.წ. კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1893 წლიდან 1903 წლამდე იყო თბილისის დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი. პარალელურად იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილი-

სის ქართულ გიმნაზიაში, ლევანდოსკის კერძო გიმნაზიაში. 1903 წლიდან სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად არჩევამდე იგი მოღვაწეობდა ქაშუეთის წმ.გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1895 წლიდან იყო სასულიერო უწყების წარმომადგენელი თბილისის ქალაქის საბჭოში, ქართულ ენაზედ “დაბადების” შემსწორებელი კომისიის წევრი. კალისტრატე ცინცაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის წარმოებულ ბრძოლაში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიული და სამართლებრივ საკითხებს ეძღვნებოდა მისი მეცნიერული ნაშრომები, რომელნიც იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში. 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში გამოცხადებული საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ კ.ცინცაძე იყო საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის კომიტეტის წევრი. იგი მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძესთან და არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასთან ერთად მონაწილეობდა მოლაპარაკებათა რაუნდში პეტროგრადის დროებით მთავრობასთან, რომელიც საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებს ეხებოდა. 1917 წლის სექტემბრიდან დეკანოზი კალისტრატე იყო სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრი. 1921 წლის 25 თებერვლიდან 12 აპრილამდე (საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსიის პირველ თვეებში), როცა კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი ქუთაისში იმყოფებოდა კალისტრატე ცინცაძე თავმჯდომარეობდა საკათალიკოზო საბჭოს და თავის თავზე აიღო საოკუპაციო ხელისუფლების პირველი დარტყმები საქართველოს ეკლესიის მიმართ. კალისტრატე ცინცაძის მიერ იყო შედგენილი წერილები რუსეთის პატრიარქ ტიხონის, მსოფლიო საპატრიარქოს პატრიარქ ბასილ III-ის მიმართ, რომლებშიც იცავდა საქართველოს ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას. საქართველოს ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოში დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის სიტყვა ყოველთვის იყო ავტორიტეტული და წონიანი, საჭიროების შემთხვევაში შეუვალი. მაგ. 1926 წლის 25 დეკემბერს, როცა საქართველოს ეწვია ბაქოს მიტროპოლიტი პეტრე და გამართა მოლაპარაკება სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდეს ამბროსისთან საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობებზე, კალისტრატე ცინცაძემ ბაქოს მიტროპოლიტს დაუფარავად განუცხადა: - ასეთ შეხვედრებზე მეგობრობას გვთავაზობთ, ისე კი ჩვენ მორჩილებას მოითხოვთ და “რასკოლნიკებს“ გვიწოდებთ, ავრცელებთ ხმებს თითქოს ჩვენ ვავიწროებთ რუსებს ერთი ფაქტი მაინც დაასახელებთ“² პასუხად მიტროპოლიტმა პეტრემ განაცხადა, რომ იყო გაუგებრობანი, რომელნიც უნდა გამოსწორდესო.

1923 წლის იანვრიდან 1925 წლის მარტამდე კალისტრატე ცინცაძე საკათალიკოზო საბჭოს წევრებთან და კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისთან ერთად იყო დაპატიმრებული და იხდიდა სასჯელს მეტეხის ციხეში. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათი ვადაზე ადრე განთავისუფლების შემდეგ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსის ლოცვა-კურთხევით და საკათალიკოზო საბჭოს თანხმობით დეკანოზი კალისტრატე გამორჩეული იქნა როგორც საეპისკოპოზო კანდიდატად. მისი ნინოწმიდელ ეპისკოპოსად კურთხევა მოხდა 1925 წლის 1 ნოემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში. საყურადღებო წინასწარმეტყველური სიტყვით მიმართა მას უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ: “შენი მოღვაწეობა დაიწყო ჩვენი ეკლესიას მონობის დროს, მაშინ, როდესაც იმის ბედ-იღბალს განაგებდნენ სინოდი და მისგან დაყენებული ქართული ენის არმცოდნე ეგზარქოსები. შენ იმ მონობის ჟამს ემსახურებოდი ეკლესიური თავისუფლების იდეას... ბოლო ხანებში, როდესაც ჩემი ჯანმრთელობა შეირყა იმდენად, რომ ინტენსიური მუშაობა არ შემეძლო იძულებული შევიქნე მომეძებნა საიმედო თანამშემწე. ჩემი ყურადღება შენ მიიპყარ, როგორც ეკლესიის ერთგულმა და მისთვის თავდადებულმა მუშაკმა... დიდია დღეს შენგან მიღებული ღირსება და პატივი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის იწროება, შრომა, ვაება და წყენა, რომელიც შენ მოგელის. აქ საჭიროა მოთმინებით ატანა ყველა იმისა, რაც ეკლესიის კეთილდღეობისათვის შეგხვდება ცხოვრებაში“³.

ეპისკოპოს კალისტრატეს იმავე დღეს მიუბოძეს მიტროპოლიტობა. ყველასათვის ცხადი გახდა კალისტრატე ცინცაძეს უწმიდესი ამბროსი მემკვიდრედ ამზადებდა. კალისტრატე ცინცაძის გამღვდელმთავრება სიხარულით მიიღო ყველამ, ვისთვისაც ძვირფასი იყო საქართველოს ეკლესიის მომავალი. საზოგადოების სულისკვეთება კარგად გამოხატა ნესტორ შავდიამ, რომელმაც მიტროპოლიტ კალისტრატეს ამ სიტყვებით მიმართა: “ვისურვებ რომ ჩვენს ეკლესიას და სამშობლოს მრავლად მოვლენოდნენ თქვენისთანა ღვთივ-გამობრძმედილნი და მადლმოსილი მღვდელმთავარნი“⁴. ახალმა მღვდელმთავარმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამსახურს მიუძღვნა ეპისკოპოსად კურთხევის დღეს განაცხადა: “განა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩემს თავს ვთვლიდე სავსებით განმზადებულად მღვდელმთავრობისათვის: მე კიდევ ვსაჭიროებ თქვენს ბრძნულ რჩევასა და დარიგებას, ხელმძღვანელობასა და განსაკუთრებით ლოცვა-ვედრებას. ამისათვის კადნიერებით გთხოვთ აწ და მარადის ევედრებით მას, რომელი უძლურთა ჰკურნებს და ნაკლულოვანთა აღავსებს გარდმოავლინოს ჩემზედა მადლი სულისა წმიდისა და მომანიჭოს ძალი და სიმხნე წინამდება-

რისა მსახურებისათვის“⁵. მიტროპოლიტი კალისტრატე დაინიშნა მცხეთა-თბილისის ეპარქიიდან გამოყოფილი ნინოწმინდის ეპარქიის მმართველად. 1925 წლის 11 ნოემბრიდან მიტროპოლიტ კალისტრატე დაინიშნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი ამბროსის მუდმივ მოსაყდრედ, მასვე მიეცა ბარტყულაზე ჯვრის ტარების უფლება და მღვდელმთავართა შორის უპირატესად გამოცხადდა. კალისტრატე ცინცადის დამსახურებულად ასეთი აღზევება არ აწყობდათ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში იმ ჯგუფის წევრებს, რომელნიც ურბნელი მიტროპოლიტის ქრისტეფორე ციცქიშვილის გარშემო იყვნენ შემოკრებულნი. ე.წ. “განახლებისა და რეფორმების“ მიმდევარნი ასე ადვილად ვეღარ მოახერხებდნენ საკათალიკოზო საბჭოს დამარცხებას, ზემოქმედებას ვერ მოახდენდნენ კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსიზე. თბილისის ოლქის სამღვდელთა საგანგებო სხდომაზე ასეთი დადგენილება მიიღო: “თბილისის სამღვდელთა სიამოვნებით ეგებება ამ გადაწყვეტილებას და თავის მხრივ გამოსთქვამს კმაყოფილებას და ულოცავს თავის ღირსეულის თანამომქმს ამ თანამდებობის მიღებას. და გამოსთქვამს სურვილს მასთან თავდადებული თანამშრომლობისას“⁶. მიტროპოლიტი კალისტრატე ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას. მან წერილით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის განათლების კომისარიატს, რათა ეპარქიის საჭიროებისათვის დაებრუნებინათ “ყოფილი რეალურ და წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელთა ეკლესიების კონდაკები, ხატები, შანდლები, წიგნები, ღვთისმსახურების საგნები, რომელთაც არ აქვთ სამეცნიერო მნიშვნელობა“⁷. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსის მოსაყდრეობა იმ დროს, როცა პატრიარქის ჯანმრთელობა ფრიად შერყეული იყო მიტროპოლიტ კალისტრატეს პატრიარქის მოვალეობის შესრულებასაც ავალებდა, ერთის მხრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობა, მეორეს მხრივ ე.წ. „რეფორმატორთა“ ჯგუფთან დაპირისპირება მას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ქუთაისის საეკლესიო კრების შემდეგ, როცა მიტროპოლიტ ქრისტეფორე ციცქიშვილის ჯგუფმა ფაქტიურად ხელში ჩაიგდო საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა მიტროპოლიტი კალისტრატე იძულებული გახდა 1926 წლის 30 დეკემბრიდან განთავისუფლებულიყო მოსაყდრის მოვალეობიდან. ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცადისათვის იყო უმძიმესი ხანა, აღარც ეპარქია, აღარც საკათალიკოზო სინოდი, იგი რიგითი სასულიერო პირის რანგში დატოვეს ქაშუეთის ეკლესიაში, მაგრამ მიტროპოლიტი კალისტრატე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედ მღვდელმთავართა შორის მაინც ყველაზე გამორჩეულ პიროვნებად რჩებოდა. მისთვის შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია საქართველოს ეკლესიის

პრობლემებზე ფიქრი. მის პირად ფონდში არაერთი საგულისხმო ჩანაწერი ინახება. მას განსაკუთრებით აშინებდა 1923-24 წლებში ანტირელიგიური პროპაგანდის პირობებში სასულიერო პირობაზე უარისმთქმელთა კვლავ უკან ეკლესიაში მობრუნების პერსპექტივა. მიტროპოლიტ კალისტრატეს სავსებით სამართლიანად მიაჩნდა, რომ სასულიერო პირები, რომელთაც საჯაროდ განაცხადეს, რომ ქრისტიანული სარწმუნოება “ცრურწმენაა“ და დაიწყეს სამოქალაქო სამსახურები, თუ კვლავ ეკლესიებში შეიპარებიან დიდ ზიანს მოუტანენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასო. სამწუხაროდ, მისი შიში გამართლდა, საბჭოთა ხელისუფლებას სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში და ხელს უწყობდა მათ.

1932 წელს, როდესაც მიტროპოლიტი კალისტრატე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ასე გამოიყურებოდა – საქართველოში არსებული 15 ეპარქიიდან მოქმედი იყო 6-7 ეპარქია, ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით იყო დახურული. ემიგრაციაში მყოფმა ქართველობამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი საქართველოს ეკლესიის მიერ შემუშავებული ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის გამო გაწყვიტა ევქარისტული კავშირი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. სასულიერო პირთა შორის იყო დიდი დაპირისპირება, სხვადასხვა ჯურის ავაზაკები სარგებლობდნენ ხელისუფლების წაყრუებით და ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებს, სასულიერო პირების უმრავლესობა დემორალიზებული იყო. ქართველი საზოგადოების სიხარული, მომავლის იმედი, რომ უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოს კალისტრატე იქნებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამალორძინებელი კარგად გამოხატა მარიამ-ჯამბაკურ-ორბელიანმა თავის მოვალეობაში:

“თქვენო უწმიდესობავ! სიამოვნებით ვუერთდები და ვიზიარებ საქართველოს შვილთა საერთო სიხარულს. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ეკლესიამ თქვენებრი ღვაწლმავალი და ღირსეული საჭეთმპყრობელი მოიპოვა“⁸. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს შექმნილ რთულ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად სჭირდებოდა როგორც მრევლის, სასულიერო პირების, ასევე ინტელიგენციის თანადგომა. მის პიროვნულ ღირსებებს ერთხმად აღიარებდნენ ივ.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, აკ.შანიძე, გ.ჩუბინაშვილი, კ.გამსახურდია, გ.ლეონიძე, ი.გრიშაშვილი, პ.ინგოროყვა, საბჭოთა ხელისუფლების ათეისტი წარმომადგენლებიც კი. საოცარია, მაგრამ ფაქტია ქუთათელი მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე,

რომელიც თავის დროზე საკათალიკოზო საბჭოს, უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის საყვედურობდა დეკანოზ კალისტრატე ცინცადის “უეცრად“ გამიტროპოლიტებას, თავდაუზოგავად ებრძოდა მას, უკვე 1934 წელს სიონის საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესს კალისტრატეზე ბრძანებდა: “ვინ იყო ის, რომელიც წერდა საქართველოს უზენაეს საერო და სასულიერო მთავრობისადმი საბუთიან მოხსენებებს საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების ამა თუ იმ საჭიროებათა შესახებ;? ვინ არის ის, რომელსაც ავტორიტეტნი კათალიკოზნიც კი როგორებიც იყვნენ კირიონი და ლეონიდი ანგარიშს უწევდნენ, ვინ არის, ის რომელსაც საქართველოს ინტელიგენცია თავიდანვე არჩევდა და ღღესაც ძალა აყენებს ქართველ სამღვდელოებაში;? ეს არის კალისტრატე, ინტელექტუალი და მოქმედებითაც უპირატესი, შეიძლება ზოგიერთი ჩვენთაგანი ყველაფერს მისი მსოფლმხედველობისას არ იზიარებდეს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ იგი ჩვენს შორის პირველია თავისი ჭკუით, ცოდნით, განვითარებით, საქმიანობით, გამოცდილებით“⁹.

უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ პატრიარქობის პირველ წლებშივე თავისი საქმიანობა ოთხი მიმართულებით წარმართა: 1. ეკლესია-მონასტრების დახურვის, ნგრევის და დარცვა-რბევის პროცესის შეჩერება, 2. საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური კურსის შენარჩუნება, 3. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული საეკლესიო პირების სულისშეხუთველი საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერიზაციისათვის ბრძოლა, 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიათა მიერ აღიარების მიღწევა. ამ ამოცანების განხორციელება იმ დროს ძალიან რთული იყო. საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებისადმი მიმართვაში მ.ცხაკაია პირდაპირ მიუთითებდა “მთელი ძალღონით სისტემატურად და მეცნიერულად უნდა ვებრძოლოთ რელიგიას¹⁰. მებრძოლი უღმერთოთა კავშირის ცენტრალური, საოლქო და რაიონული უჯრედები კვლავ აგრძელებდნენ ფართო ხასიათის სააგიტაციო მუშაობას მოსახლეობაში რელიგიური შეგნების დასაძლევად. „მებრძოლ უღმერთოთა“ კავშირის ინიციატივით შექმნილი ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტში (შეიქმნა 1930 წ.) რაიონებიდან ჩამოჰყავდათ მსმენელები და გაძლიერებული სასწავლო პროგრამებით აიარალებდნენ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარე იყო ცნობილი რევოლუციონერი ერმილე ბედია, რომელიც სასულიერო პირებს - სოციალისტური მეურნეობის ძირის გამოთხრელებს უწოდებდა. საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტში ანტირელიგიური პროპაგანდის სა-

კითხვებზე სისტემატურად იმართებოდა თათბირები. თბილისში დაარსდა ანტირელიგიური მუზეუმი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წაახალისა ჟურნ. “ულმერთოს“, “მებრძოლი ულმერთოს“ და “მებრძოლი ათეისტის“ საქმიანობა, რომელიც მათი აზრით ენერგიულად იბრძოდა ხელისუფლების ინტერესებისათვის, ამხელდა რელიგიურ “ცრურწმენებს“. ასეთ ვითარებაში საზოგადოების ბნელი ძალების ერთგვარ წაქეზებად იქცა ხელისუფლების მოწოდება აელაგმათ სასულიერო პირების საქმიანობა. გახშირდა ეკლესია-მონასტრებზე თავდასხმა, ძარცვა-რბევა. 1932 წლის ოქტომბერში წილკნელი ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) უწმიდესსა და უნეტარესს კალისტრატეს ატყობინებდა შიომღვიმის მონასტერზე ბოროტმოქმედთა თავდასხმისა და ბერ ილარიონის მოკვლის შესახებ, დეკემბერში თავდასხმა კვლავ განმეორდა და მოკლეს ბერმონაზონი კვიპრიანე. კვლავ გრძელდებოდა უმიზეზოდ სასულიერო პირთა დაპატიმრებანი. 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე) ურბნისის ეპისკოპოსი ეფრემი (სიღამონიძე). ასეთ პირობებში პროვინციებში მყოფი სასულიერო პირებისათვის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ერთადერთ მფარველად მიიჩნეოდა და მას სთხოვდნენ დახმარებას. თავის მხრივ უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე რეაგირების გარეშე არ ტოვებდა პროვინციის სამღვდელოების გასაჭირს.

1936 წლის 17 ნოემბერს მან მკაცრი წერილით მიმართა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. წერილში აღნიშნული იყო სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგის ეკლესიის მძიმე მღვდმარეობის შესახებ “მიუხედავად იმისა, რომ შეწერილ გადასახადს ეკლესია უკლებლივ ისტუმრებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიან მლოცველებს: ასე მოხდა მიმდინარე წლის აღდგომის დღესასწაულზე, როცა მლოცველნი განდევნეს ეკლესიიდან. გთხოვთ მიიღოთ ზომები“⁴¹ ხელისუფლებამ ანტირელიგიურ მოძრაობაში ჩართო ექიმები, მასწავლებლები, ინტელიგენციის სხვა სფეროს წარმომადგენლები. 1937-1939 წლებში საქართველოს “მებრძოლ ულმერთოთა კავშირის” ორგანიზაციის მიერ ქალაქად და სოფლად ჩატარდა 25624 ანტირელიგიური ლექცია საუბარი. “მუკის” წევრები შედიოდნენ მოქმედ ეკლესიებში და ფარულ თვალთვალს აწარმოებდნენ ღვთისმსახურებაზე, ცდილობდნენ დაედგინათ ეკლესიის შემოსავალი და ოპერატიულად ეცნობებინათ ფინსახკომის წარმომადგენლებისათვის გადასახადის რა რაოდენობა უნდა გადაეხდებინათ მოქმედი ეკლესიისათვის. ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი იმართლეს და აღნიშნეს, რომ მორწმუნეთა დევნის შესახებ თითქოსდა არაფერი იცოდნენ. ხელისუფლება თვლი-

და, რომ “ამ დროს ანტირელიგიური მუშაობის ერთ-ერთი პირველი ამოცანა იყო ეჩვენებინა მშრომელთა ფართო მასებისათვის რელიგიისა და ეკლესიის რეაქციული ხასიათი. ეკლესიის მსახურთა “ანტისაზოგადოებრივი და ანტისაბჭოთა“ საქმიანობა“ მშრომელი მასების რელიგიის ტყვეობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა ბოლშევიკური პარტია, იყო ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოსათვის“¹¹ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ სიონის საპატრიარქო ტაძრის შევიწროებით. ჯერ იყო და 1932 წელს კამოს სახ. “ფაბზაოჩის“ დირექციას ნება დართეს სიონის ტაძრის ეზოში საერთო საცხოვრებლის აშენებისა, რასაც კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს მძაფრი პროტესტი მოჰყვა. სრულიად საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარის ფ.მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა: ნუთუ დასაშვებია სიონის საპატრიარქო ტაძრისათვის ძლივ-ძლივობით შექმნილი მცირე მოედანზე უსახური შენობის აგება, რომელიც “შეავიწროებს და უჩინარყოფს თბილისის საამაყო ძეგლს, მთლიანად მოაშორებს მას მზის სხივებს და გახდის სინესტის მსხვერპლად“¹². საბედნიეროდ იმხანად მოხერხდა ხელისუფლების ვერაგული განზრახვის ჩაშლა, მაგრამ ხელისუფლებას სიონის საპატრიარქო ტაძრის შევიწროების სხვა ბერკეტებიც ჰქონდა, საქართველოს სსრ ფინანსთა კომისარიატის გადაწყვეტილებით დიდი გადასახადით დაიბეგრა სიონის ეკლესია. დიდი გადასახადები დაედო იქ მოსამსახურე სასულიერო პირებსაც. ფინსახკომის მოხელეები იმუქრებოდნენ რომ გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში სიონის ეკლესიას დახურავდნენ, კიროვის რაიონის ინსპექტორი ულტიმატუმის ენით აცნობებდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს, “თუ დაწესებული გადასახადს არ გადაიხდით საკითხი გატანილი იქნება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ტაძრის ხელშეკრულების გაუქმებისა და დახურვის შესახებ“¹³. უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ 1940 წელს დეპუტა გაგზავნა მოსკოვში მ.კალინინის სახელზე და ითხოვა დახმარება. ამავე დროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახკომს კ.ციმაკურიძეს აცნობებდა: “პატივისცემით გთხოვთ ინებოთ განკარგულება, რათა პასუხის მოსვლამდე არ იქნას მიღებული არავითარი აგრესიული ხასიათის ზომები სიონის ტაძრის მიმართ“¹⁴. იმდროინდელი ლოკუმენტების მიხედვით აშკარაა, თუ როგორ აბუჩად იგდებდა ხელისუფლების უბრალო ჩინოვნიკები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მის საჭეთმპყრობელს, რომელთაც „კულტის მსახურთ“ უწოდებდნენ. მათი პასუხები იყო შეუვალი და უკომპრომისო “ფინსახკომს არ შეუძლია თქვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება, აქედან გამომდინარე გევალებათ მიიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა სასწრაფოდ იქ-

ნას დაფარული სიონის ტაძარზე რიცხული საურავი¹⁵. უწმიდესმა კალისტრატემ ითხოვა შეხვედრა უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველ მირიანაშვილთან. უწმიდეს კალისტრატეს უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერია “გამოვცხადდი 2 საათზე. პირადად არ მიმიღო დააბარა დავითაშვილს თქვენს განცხადებაზე თავმჯდომარემ - უარი ეთქვასო¹⁶. თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილ ვრცელ განმარტებაში 1940 წლის 2 ივლისს უწმიდესი კალისტრატე ნათელს ჰფენდა სიონის ტაძრის გარშემო შექმნილ ვითარებას. “1932 წლამდე როდესაც მე ამირჩიეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად სიონის ეკლესიას შენობისა და რენტის გადასახადი არ გადაუხდია (არც მოუთხოვიათ), თუმცა როგორც შემდეგში აღმოჩნდა, გადასახადი მათ შეწერილი ჰქონია. 1933 წელს მომივიდა უწყება, რომ დავალიანება იყო 10,325 მანეთი. ჩემს შუამდგომლობაზე ცაკის აღმასრულებელმა კომიტეტმა იმავე წლის 27 ნოემბრის დადგენილებით სიონს მოუხსნა საურავი და მოითხოვა ძირითადი გადასახადი. ეს ფული მხოლოდ 1938 წელს გადავიხადეთ უსახსრობის გამო. ახლა ვითხოვთ მ.კალინინის და ლ.ბერიას პასუხამდე შეაჩერეთ თქვენი მოთხოვნები¹⁷, მაგრამ როგორც ჩანს ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა სიონის საპატრიარქო ტაძრის დახურვა. 1940 წლის ბოლოსა და 1941 წლის იანვარში სიონის ტაძარში შეწყდა ღვთისმსახურება. ამის შესახებ გულისტკივილით წერდა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე საქ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ.ჩარკვიანს “ერთადერთ მოქმედ საკათედრო ტაძარში, ისიც სიონში შეწყდა მღვდელმთავრული ღვთისმსახურება იმის გამო, რომ კათედრა იგი ღარიბია გადაჭარბებული დაბეგვრის გამო თავი ვერ გაიტანა... თუ გადასახადები არ შემცირდა ღვთისმსახურნი დაანებებენ თავს სამსახურს და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს მოესპობა შესაძლებლობა მისი პატივის შესაფერისად შეასრულოს ღვთისმსახურება¹⁸. ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადასახადები გაუორმაგეს სიონში მოსამსახურე სასულიერო პირებს: ფურცელაძეს, მონასელიძეს, გარსიაშვილს, მახათაძეს, ღიასამიძეს. ფინსახკომის წარმომადგენელი ვ.კაჭარავა უწმიდესსა და უნეტარესს კალისტრატეს ცინიკური ტონით ატყობინებდა - არსებული კანონი ითვალისწინებს მიმდინარე გადასახადის ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუკი რომელიმე მოქალაქე შეწყვეტს თავის საქმიანობას. (ე.ი. დანებონ თავი მღვდლობასო ს.ვ.).

საშიშროების წინაშე დადგა ქაშუეთის წმ.გიორგის სახელობის ეკლესია ხელისუფლებას არ სურდა მთავრობის ადმინისტრაციული შენობების პირდაპირ ცენტრალურ პროსპექტზე მოქმედი ქართული ეკლესიის შენარჩუნება. 1934 წლის გაზაფხულზე ქალაქის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქაშუეთის ეკლესიის ეზოში

აბანოს აშენების შესახებ. ახალი “ჰიგიენის სახლი“ ისე უნდა აშენებულიყო, რომ რუსთაველის მხრიდან საერთოდ დაეფარა წმ.გიორგის ეკლესიის ფასადი. როგორც ჩანს მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ, რადგან ქაშუეთის წმ.გიორგის ეკლესია აშენდა 20-ე საუკუნის დასაწყისში ამიტომ მიიჩნიეს იგი არაისტორიული მნიშვნელობის ძეგლად და მისი დანგრევის გადაწყვეტილებაც მიიღეს. უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ 1938 წლის 31 აგვისტოს საგანგებო თხოვნით მიმართა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ.ბერიას, სადაც აღნიშნავდა, რომ ქაშუეთის წმ.გიორგის ეკლესია საქართველოს სიძველეთა კომიტეტის მიერ აყვანილია აღრიცხვაზე, კაღნიერად მივაქცევ რა თქვენ განათლებულ ყურადღებას ზემოაღნიშნულზედ, პატივისცემით გთხოვთ განკარგულებას, ქაშუეთის სამრევლოს სარგებლობაში დატოვებისათვის“.¹⁹ ლ.ბერიამ უარყო ინფორმაცია ქაშუეთის ეკლესიის დახურვისა და დანგრევის საშიშროების შესახებ.

სიძველეთა კომიტეტის, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მოწადინებით დანგრევას გადაურჩა მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა. საბჭოთა კავშირში 1937 წლიდან გამოცხადდა სოციალიზმის გამარჯვება, მიღებული იქნა ე.წ. სტალინური კონსტიტუცია. საბჭოთა სისტემისათვის სრულიად მიუღებელი იყო რელიგია, ეკლესია და სასულიერო პირები. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა 1921 წლიდან 1924 წლამდე იყო მძაფრი, შეურიგებელი 1924 წლიდან თითქოს მდგომარეობა შეიცვალა როდესაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტმა მიიღო 1924 წლის 21 ნოემბრის №124 დადგენილება “ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა ამდინისტრაციული წესით დევნა შეწყდა, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ფორმალური მხარე იყო. ვერც ლოიალობისა და თანამშრომლობისა ოფიციალური კურსის მიმდევრებმა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ქრისტეფორე III დროს მიაღწიეს ეკლესიასა და სახელმწიფოს ნორმალურ ურთიერთობას. დამკვიდრებული მოსაზრების თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზებული დევნის შეწყვეტა მოხდა 30-იან წლებში საწინააღმდეგოს მეტყველებს უამრავი ფაქტოლოგიური მასალა, რომელშიც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი კალისტრატე მიმართავდა ხელისუფლების წარმომადგენლებს და სთხოვდა მათ დახმარებას. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა მისი უწმიდესობის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს სსრ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ.ჩარკვიანის სახელზე 1940 წლის 19 მარტს. წერილში უწმიდესი კალისტრატე განმარტავდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

როლსა და მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში - “მიუხედავად იმისა და იმ გარემოებისა, რომ ეკლესიის არსებობა უზრუნველყოფილია კონსტიტუციით ჩვენს ეკლესიას კარს მისდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოულოდნელ მას ბოლო სულ მცირე ხანში (მხედველობაში მაქვს დაბეგვრის სისტემა)“²⁰. როგორც წერილიდან ჩანდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს იმდენად დიდი გადასახადები დაუწესეს, რომ იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ ღვთისმსახურებაზე. ასეთი ვითარება იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ქუთაისში მღვ. ს.შუბლაძე, რომელმაც ვერ გადაიხადა გადასახადი გამოცხადდა ურჩ გადამხდელად, სასამართლოს წესით დახურეს პეტრე-პავლეს და მთავარანგელოზის ეკლესიები ქუთაისში, თიანეთში დეკანოზ იროდიონ სისაურს ადგილობრივმა ინსპექტორმა დაავალა 500 მანეთის, 80 კგ. ხორცის, 310 კგ. კარტოფილის, 9 კგ. ერბოს, 7 კგ. მატყლის გადახდა. თავზარდაცემულმა მღვდელმა ადგილობრივ ყაჩაღებს 400 მანეთი მისცა დანარჩენი “აპატის“ იმ პირობით თუ მღვდლობას თავს დაანებებდა. დაჭერის შიშით დეკანოზმა ი.სისაურმა უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს განცხადებით მიმართა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

ანალოგიური ვითარება იყო შექმნილი ღუშეთის რაიონში, სადაც მღვდელი გრიგოლ ჩოხელი იძულებული გახდა სასულიერო სამსახურიდან გასულიყო. უკიდურესად შევიწროებულ იქნენ თელავის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, ჩხარის რაიონების სასულიერო პირები. 1939 წელს ეკლესია-მონასტრების და სასულიერო პირების დაბეგვრის არსებულ წესში შეტანილი იქნა ცვლილება, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებდა მოქმედი ეკლესიების მდგომარეობას. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე კ.ჩარკვიანისადმი გაგზავნილ წერილში პირდაპირ აცხადებდა: “ფინანსთა სახკომის ინსპექტორის ასეთი შეუზღუდავი თავისუფლება რამდენიმე დღეში მოუღებს ბოლოს ათასეკესასწლოვანს საქართველოს ეკლესიას, მღვდლები იძულებულნი იქნებიან თავი გაანებონ სამსახურს... სანამ საბჭოთა კონსტიტუციიდან არ არის ამოშლილი 124-ე მუხლი ნუ იქნება ხელოვნურად მიჩქმალული და ადმინისტრაციული წესით განადგურებული საქართველოს ეკლესია, მით აღგვილი პირისგან ქვეყნისა ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალი ნაშთი“.²¹ მართალია ისტორიამ არ შემოგვინახა კ.ჩარკვიანის პასუხი უწმიდესი კალისტრატეს წერილზე, მაგრამ ხელისუფლება, რომ არ ცვლიდა თავის დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ ამის დასტურია 1941 წლის 4 მაისს კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს განმეორებითი წერილი საქ. კპ(ბ) ცენტრალური, კომიტეტის პირველი მდივნის კ.ჩარკვიანისადმი გადასახადების გადაუხ-

დებლობის გამო დახურული ეკლესიათა შორის არის მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესია 1941 წლის 12 ივლისს გამოიძახეს სვეტიცხოვლის წინამძღვარი ეპისკოპოსი ტარასი და უბრძანეს 48 საათის განმავლობაში ტაძრის დაცლა. უწმიდესი კალისტრატე მოითხოვდა: “1. ჩაითვალოს სვეტიცხოვლის კრებულის შრომა და დვაწლი ტაძრის მოვლა-პატრონობისათვის მასზე შეწირული გადასახადის ანგარიშში; 2. დაუყოვნებლივ გახსნილ იქნას სვეტიცხოველი; 3. ჩამოეწეროს ტაძრის წინამძღვარს გადასახადები“.²²

საბჭოთა ხელისუფლების ასეთი სულისშემხუთავი გადასახადებისა და ანტირელიგიური მუშაობის შედეგად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობის გარანტი მხოლოდ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე და საკათალიკოზო სინოდის რამდენიმე მღვდელმთავარი დარჩნენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები თანდათან დაცარიელდა სასულიერო პირებისაგან, მოქმედი ეკლესიების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. პირდაპირ შეიძლება ითქვას საქართველოს ეკლესიებისადმი ხელისუფლების პოზიციის შეცვლის, გარკვეული დათმობებზე წასვლის მიზეზი საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშიზმის თავდასხმამ გამოიწვია. იმ დროს, როცა საბჭოთა სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მიიჩნიეს, აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის ფაშიზმის წინააღმდეგ დარაზმვა და ამ საქმეში საქართველოს, რუსეთის, სომხეთის ეკლესიების როლი დ მნიშვნელობაც საგრძნობლად იზრდებოდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე შესანიშნავად ჩაწვდა შექმნილ ვითარებას და ერთის მხრივ ოფიციალურ განცხადებაში ქართველი მორწმუნე ერისა და საქართველოს ეკლესიის სახელით საბჭოთა ხელისუფლებას სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა, მეორეს მხრივ შეეცადა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ჯერ კიდევ 1939 წლის დეკემბერში ი.სტალინს მიულოცა დაბადებიდან 60 წლისთავი. “თქვენ სიჭაბუკითგანვე არა ცანით ძილი თვალთა, რული ნამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მამვრალთა ცრემლითა მოსასპობად. ამისათვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით“.²³ ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებში უწმიდესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ტარდებოდა სამშობლოს დამცველთა გასამხნევე-

ბელი პარაკლისები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს სასულიერო პირები ეხმარებოდნენ, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად.

1941 წლის 24 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მორწმუნეთა სახელით იყო შედგენილი და ხელს აწერდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე, ნინოწმიდელი მიტროპოლიტი იორეთეოზ, წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი. ნათქვამი იყო: “გაორკეცებული ენერგიით განვაგრძობთ შრომას საყვარელი სამშობლოს წარმატებებისათვის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სამრეწველო და სამეურნეო სარბიელზე”.²⁴ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელმძღვანელობის სახელით ი.სტალინმა მადლობის დეპეშა გამოგზავნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კალისტრატე ცინცადის სახელზე “გთხოვთ გადასცეთ საქართველოს საკათალიკოზოს სამღვდელოებასა და მორწმუნეთ, რომელთაც ორი ათასი მანეთი შეაგროვეს საჩუქრად გმირ წითელ არმიელებისათვის. ჩემი საღამო და წითელი არმიის მადლობა”.²⁵ ი.სტალინის მადლობის წერილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიისათვის, ადგილობრივი ხელისუფლების საფინანსო ორგანოებისაგან შევიწროებული მოქმედი ეკლესიების დახურვის საკითხი დღის წესრიგიდან დროებით მოიხსნა. სასულიერო პირების დევნა-შევიწროებაც შეწყდა. უწმიდესის და უნეტარესის კალისტრატეს პოზიცია გერმანული ფაშიზმის შეფასებაში ემთხვეოდა მსოფლიოს პროგრესული საზოგადების წარმომადგენელთა შეფასებებს “რა მოჰყვა ამ ვერაგული შემოჭრას;? - კითხულობდა იგი - პირველ ყოვლისა ნორმალური ცხოვრების მიმდინარეობის შეფერხება აუარებელ მოქალაქეთა სიცოცხლის მოსპობა, თუ დაჭრა დასახინრება და წელთა განმავლობაში დაგროვილი ნივთიერი საშუალებათა განიავება. ყოველნი, რომელთა უბრალოთა და უდანაშაულოთა წინააღმდეგ აღიღონ მახვილი, მახვილთა წარწყმდებიან”.²⁶ უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სიონის საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას არაერთხელ შეხებია ომისა და მშვიდობის თემას. 1943 წლის პირველ იანვარს მიმართავდა რა მრევლს აღნიშნავდა “ახალ წელს აღვაკლენთ მხურვალე ლოცვას, რათა მოანიჭოს ღიადსა სამშობლოსა ჩვენსა გამარჯვება ვერაგ მტერზედ, დაგვიბრუნოს ჯანმრთელად დღეს ფრონტზედ მოღვაწენი ჩვენი შვილები, ძმები და მეუღლენი, აღივსოს ქვეყანა ჩვენი, სახლნი ჩვენნი და გუენი ჩვენნი სიყვარულითა სიხარულითა და კეთილმსახურებითა”,²⁷ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ გაზეთებში (“პრავდა“, “იზვესტია“ 1942 წ. №263, 266)

იბეჭდებოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კალისტრატეს მილოცვები ი.სტალინისადმი საბჭოთა ხელისუფლების იუბილეზე, წითელი არმიის ფრონტულ წარმატებებზე. საბჭოთა კავშირის, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა კმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფრონტისადმი დახმარების გამო. ფრონტის დასახმარებლად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდლოება იძენდა ობლიგაციებს, ლატარიის ბილეთებს, აგროვებდა პროდუქტს, თანხებს. 1944 წლის 16 მაისს ი.სტალინისადმი გაგზავნილ დეპეშაში უწმიდესი კალისტრატე ადასტურებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მორწმუნე მრევლის სახელით წითელი არმიისათვის 150 ათასი მანეთის შეგროვებისა და გადარიცხვის ფაქტს²⁸. საბჭოთა კავშირის საერო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარებას მოჰყვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიასთან ურთიერთობის მოწესრიგება. 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 1917 წლის 12 (25) მარტს გამოცხადებული ტერიტორიალური ავტოკეფალია, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. იმავე წელს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე ოფიციალური ვიზიტით ეწვია მოსკოვში რუსეთის საპატრიარქოს და დაესწრო პატრიარქ ალექსი I აღსაყდრებას.

ფოლკლორული ინფორმაციით უწმიდესი კალისტრატე თითქოს კრემლში მიიღო იოსებ სტალინმა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. შემონახულია უწმიდესი კალისტრატეს წერილი, რომელიც 1948 წლის 21 ივლისს გაუგზავნია ი.სტალინისათვის “კაცთა შორის რჩეულო! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალთ მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება, ალბათ ამისი ღირსი არა ვარ. მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელი ეკლესიის საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნეობრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა წარწერით: იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინაძღვარს, მადლობით გულსაგვსე საქართველოს მართლმადიდებელთა მწყემსის კალისტრატე კათალიკოზ-პატრიარქისაგან²⁹. უწმიდესმა კალისტრატემ ი.სტალინს გაუგზავნა - 1948 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარი.

ერთი შეხედვით ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თითქოსდა ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება წარსულს ჩაბარდა, ხელისუფლებამ შეზღუდა

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქმიანობა, დახურა ანტირელიგიური მუზეუმი, მათი გამოძცემლობა, თუმცა იგი მაინც არ ენდობოდა მას რაც ადასტურებს 1942 წელს მისი საიდუმლო აგენტის მოხსენებითი ბარათი – ეკლესიაში მოსული ხალხი ტაძარში არ ეტეოდა. აქ თავი მოეყარა, როგორც მორწმუნეებს, ისე მერყევ ელემენტებსაც, მათ შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ფრონტიდან დაბრუნებულებიც. ბევრი მათგანი სანთელს უნთებდა ხატს და ლოცულობდა, ერთი პიროვნება, რომელიც ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი მთავარდიაკონთან ფუსფუსებდა.

საბჭოთა კავშირში არსებულ კონფენსიების კონტროლისათვის 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით შეიქმნა ეკლესიის საქმეთა საბჭო, მაგრამ ეს საბჭო რუსულ ეკლესიასთან არსებულ საბჭოდ იწოდებოდა და ლახავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ომის პერიოდში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ანტირელიგიურმა პროპაგანდამ, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის წარმატებულმა საქმიანობამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ათეისტური მსოფლმხედველობის მიმდევრებად აქცია, ასეთ ვითარებაში სასულიერო საზოგადოების გულისმოგების მიზნით 1944 წლის 1 დეკემბერს კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება “მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ“. დადგენილების თანახმად აიკრძალა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართლმადიდებელი ეკლესიების დახურვა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულთა საბჭო უფლებამოსილი იყო მორწმუნის განცხადება-მოთხოვნის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება დახურული ეკლესიის ამოქმედების შესახებ. აიკრძალა საეკლესიო შენობების გადაკეთება სხვა მიზნებისათვის, განსაკუთრებულ შემთხვევაში მორწმუნეთა კრებულს უფლება ეძლეოდა საკუთარი სახსრებით აეშენებინა ეკლესია, სამლოცველო სახლები. ომის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც აგრძელებდნენ ანტირელიგიურ მუშაობას. ამის დასტური იყო 1944 წლის 27 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება “მეცნიერულ საგანმანათლებლო პროპაგანდის ორგანიზაციის შესახებ“, რომელშიც შექმნილი ვითარების გათვალისწინებით საუბარი იყო რელიგიური რწმუნის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების დახვეწის აუცილებელობაზე. ხელისუფლების ისეთი მაკონტროლებელი, საზედამხედველო ორგანოს შექმნაზე, რომელიც კონტროლს გაუწევდა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლი-

კაში სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კ.ქადაგიშვილი. იგი ემორჩილებოდა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულთა საბჭოს. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ არაერთი საპროტესტო წერილი გაგზავნა მოსკოვში, რომლებშიც მიუთითებდა, რომ აუცილებელი იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულთა საბჭოს სახელი შეცვლოდა ან რუსეთის და საქართველოს ეკლესიების რწმუნებულთა საბჭოს სახელით ან მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულთა საბჭოთი და მიაღწია კიდევ ამას. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 22 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს მინისტრთა საბჭოს №959 გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა.³⁰

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30.IX. №1079 დადგენილების შესაბამისად საქართველოს მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატს ევალებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს მთავრობას შორის კავშირ ურთიერთობის კოორდინაცია. რწმუნებული მინისტრთა საბჭოს წინაშე აყენებდა საკითხებს ახალი ეკლესიების გახსნის, სასულიერო პირთა აღრიცხვის, ეკლესიების რეგისტრაციების შესახებ. ამავე დროს რწმუნებულთა აპარატს თვალყური უნდა ედევნებინა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობათა შესრულებაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.^{30ა} რწმუნებულთა საბჭოს დაევალა აღენუსხა საქართველოში მოქმედ ეკლესიების რაოდენობა, სასულიერო პირთა ასაკი, განათლება, ეკლესიებისათვის შეწირული გადასახადის გადახდაზე კონტროლი. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა ანტირელიგიურ ისტერიას, ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვის მავნე პრაქტიკას ის შედეგები გამოუღია, რომ 1500 მოქმედი ეკლესია 1943 წლისათვის 15-მდე შემცირებულია, რომელნიც სულისშემხუთველი გადასახადებით იყვნენ დაბეგრულნი. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გადაწყვიტა ახალი საეკლესიო კანონმდებლობის შესაბამისად დაეწყო ბრძოლა გაუქმებული ეკლესია-მონასტრების აღდგენისათვის. გაუქმებული ეკლესიების ამოქმედებას მოითხოვდნენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ლაგოდეხის, გორის, გურჯაანის, თიანეთის, სიღნაღის, აწყურის მორწმუნეთა საზოგადოებანი “1945 წლის მარტში საქართველოს საკათალიკოსოში ამოქმედდა 29 ეკლესია, რომელშიც მოღვაწეობდა

5 მღვდელმთავარი, 41 შტატიანი მღვდელი, ორი პროტოდიაკონი, 3 მეღავითნე სულ საკათალიკოზოში ირიცხებოდა 135 ეკლესიის მსახური“.³¹ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1945 წლის მაისში ი.სტალინის მადლობის წერილს კალისტრატე ცინცადისადმი 1946 წლის 31 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ მიიღო საერო ხელისუფლებისაგან ჯილდო საქართველოს ეკლესიის დამსახურებისათვის, რომელიც მან გასწია 1941-1945 წლების ომის დროს, როგორც მორწმუნეთა გამხმევებით, ასევე საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისათვის ფულადი დახმარებით.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის მმართველი წრეებში წარმოიშვა აზრი თურქეთისათვის “ჭკუის სწავლების“ შესახებ. როგორც ცნობილია თურქეთი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოფიციალურად ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ ელოდა შესაფერის მომენტს, რათა ამიერკავკასიაში შემოჭრილიყო ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელმძღვანელობა ამიერკავკასიაში იძულებული იყო მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა ჯარები, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ძირითად ფრონტის ხაზზე განიცდიდა როგორც სამხედრო ტექნიკის, ასევე ცოცხალი ძალის ნაკლებობას. მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე 1945 წლის თებერვალში უ.ჩერჩილის დაჟინებული მოთხოვნით თურქეთი ჩაება გერმანიის წინააღმდეგ ომში, მაგრამ ი.სტალინისათვის ეს საკმარისი არ იყო. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად მარშალ კ.როკოსოვსკის დანიშვნაც ალბათ შემთხვევითი არ იყო. 1946-47 წლებში ქართულ და სომხურ პრესაში გაჩნდა ცნობები ტაო-კლარჯეთის და ანატოლიის სომხეთის ისტორიული კუთვნილების შესახებ. ასეთ ფონზე შემთხვევითი არ იყო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცადის წერილი “საქართველოს საკათალიკოზოს ზემო ქართლის ეპარქიებისათვის“. წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მისი მთლიანად მოხმობა. “დღეს დემოკრატიული მსოფლიოს საზოგადოებრივი აზროვნება მიმართულია ძველი თუ ახალ მოძალადეთა მიერ ამა თუ იმ ერის გათიშულ, ჩამოშორებულ, თუ დაქსაქსულ ნაწილების შეერთებისათვის, რათა სისხლითა და ხორციით შეკავშირებულმა ადამიანებმა მოიყარონ თავი მშობლიურ მიწა-წყალზე და შეერთებული ძალით ჩაებან მშვიდობიანობის და უშიშროების დამამყარებელ ერთა კრებულის ფერხულში.

ასეთი შეერთების მოლოდინშია ჩვენი სამშობლოს ის ნაწილი, რომელიც საქართველოს საკათალიკოზოს ეკლესიის ეპარქიებს შეადგენს: ვალაშკეტის, ანჩის, ბანას, დადაშეთის, ერუშეთის, იშხნის, ტბეთის, წურწყაბის, წყაროსთავის. ეს ის

მხარეა, სადაც დაირწა ქართული კულტურის აკვანი. სადაც ყველაზე ადრე შეიგნეს საჭიროება და აუცილებლობა პოლიტიკურად გაერთიანებისა. ცალ-ცალკე სამთავროებად დაყოფილი საქართველოსი.

ამჟამად ეს შესანიშნავი მხარე ჩვენი ქვეყნისა ჩამოშორებულია საქართველოს და თუ რაიმე მოგვაგონებს იმ ქართველობას, ეს დიდებულ ტაძართა ნანგრევებია...

ოსმალეთის პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ავრცელებენ ხმას, ვითომც მუსლიმან ქართველთა გაერთიანება საქართველოსთან გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლებისაგან სარწმუნოების დევნას და შევიწროებას, ხოლო საქართველოს ეკლესიის მხრივ გაქრისტიანების ცდასო. ჩვენ აღთქმას ვღებთ - აცხადებდა უწმიდესი კალისტრატე - გაბრიყვებით, მზაკვრობით და ცდუნებით არცერთი მუსლიმანი არ იქნება გაქრისტიანებული, რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას ის სარწმუნოების საკითხში არ ერევა, ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება“³² ქართული საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილისათვის გასაგები იყო თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ხელისუფლებისაგან ტაბუდადებული თემის წინ წამოწევას, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი გაურკვეველი დროით გადადო. 1947 წელს ა.შ.შ-ს პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დოქტრინა ითვალისწინებდა 400 მილიონიან დახმარებას თურქეთისათვის და საბერძნეთისათვის. დასავლეთის სახელმწიფოებმა ი.სტალინს აგრძნობინეს თურქეთთან ომის შემთხვევაში მოსალოდნელია დიდ გართულებები. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ზემოთმოყვანილი წერილი შექმნილი ისტორიული რეალობის ამსახველ დოკუმენტად დარჩა.

ომის პერიოდში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ხშირად ავადმყოფობდა 75 წელს გადაცილებული მწყემსთაგარი ბევრს ფიქრობდა საქართველოს ეკლესიის მომავალზე, დიმიტრი ლაზარიშვილის ეპისკოპოსად კურთხევისას. წარმოთქმულ სიტყვაში (1943 წ. 23 მაისს) გულახდილად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილი მეტად სავალალო მდგომარეობა. გადასახლებულ იყო ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით ეპისკოპოსი ეფრემი, გარდაიცვალა მიტროპოლიტი იეროთეოზი, “მარტოდ დარჩენილს მძიმე ავადმყოფობა მეწვია და ტფილისის ეკლესიები ხუთი თვის მანძილზე მღვდელმთავრის წირვა-ლოცვის გარეშე დატოვა. ეს კი დიდად აღონებდა მორწმუნეებს და სარეცელზე მდებარე ეკლესიის მეთაურსაც“³³ მართლაც და რა მძიმე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პატრიარქის ავადმყოფობის ჟამს ერთი

მღვდელმთავარიც კი არ მოიძებნებოდა, რომელიც წირვა-ლოცვას აღასრულებდა. უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს დიმიტრი ლაზარიშვილისა და მიხ.მახარაძისათვის დაუვალებია: “ჩემი გარდაცვალების შემდეგ, ჩემს შვილებთან ერთად მოიყვანეთ წესრიგში ჩემი საკუთარი წიგნები და გადაეცით ვისაც ვუანდერძებ. იროდიონ სონღულაშვილს გადაეცი რკონის ღვთისმშობელის ხატი, დიდუბის ღვთისმშობლის ხატის პირი, ზედაზნიდან ჩამოტანილი ღვთისმშობლის ხატი და ჩემი პორტრეტები“.³⁴ მეცნიერებათა აკადემიას საჩუქრად გადასცა თავისი ბიბლიოთეკა. ჩქარობდა, ეშინოდა სიკვდილს არ მოესწრო და მოუწესრიგებელი საქმეები არ დარჩენოდა.

მან უკვე 1943 წლის სექტემბერში კათალიკოს პატრიარქის მოსაყდრედ მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე) გამოარჩია. 27 სექტემბერს მისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: “გთხოვთ: ჩემს მიერ აღებულ გეხსა და მიმართულებას ნუ შეცვლით ეს არ ივარგებს. ეკლესიისა და პირადად თქვენთვისაც არ იქნება საზიანო. ჩემი დამარხვის შემდეგ დაუყოვნებლივ დაამტკიცეთ ქვაშვეთის წინამძღვრად ყოვლად სამღვდლო დიმიტრი, იქონიეთ მასთან ძმური კავშირი და ყური ათხოვეთ მის რჩევებს, ფრთხილი და ჭკვიანი კაცია. შემინდვეთ თხოვნისა და დავალებისათვის ვევედრები უფალს შეგეწიოს სამშობლოსა და ეკლესიის სამსახურში“.³⁴ გამოჯანმრთელებისთანავე მასში კვლავ გაიმარჯვა ოპტიმიზმმა, სიცოცხლის, მომავლის რწმენამ.

ხელისუფლების მხრიდან ლოილობის გამომჟღავნებისთანავე დაიწყო ბრძოლა რეპრესირებული სამღვდელოების უფლებების დასაცავად. საქართველოს საპატრიარქო უშიშროების განყოფილებიდან მიიღო სია იმ სასულიერო პირებზე, რომელთაც მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა: “1. ვაშაძე ბესარიონ, 2. ნანეიშვილი მიხეილ, 3. მირიანაშვილი იოსებ, 4. ოქროპირიძე ილარიონ, 5. ეპიტაშვილი გიორგი, 6. ჩიტაძე ივანე, 7. გოგოლიშვილი ერმილე, 8. ქააძე ივანე, 9. წიკლაური მალაქია, 10. მძინარიშვილი სამსონი, 11. ბობოხიძე იოანე, 15. ჩიგოგიძე პროკოფი, 16. დარჩია გიორგი, 17. ანჩაბაძე ელიზბარ, 18. წულაია გიორგი, 19. ფანცულაია იოანე, 20. აფხაიძე აპოლონი, 21. ბეშქანიძე ნიკოლოზი.

გადასახლებაში გარდაიცვალნენ: გიორგი მაჭავარიანი, ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, არსენ ჯანელიძე, ნესტორ ჯალაღონია, ალექსანდრე ცქიფურიშვილი, ექვთიმე ნანეიშვილი“.³⁵ უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს დაუღალავი მეცადინეობით გადასახლებიდან დაბრუნდნენ ეპისკოპოსი ეფრემი, რომელსაც მიტროპოლიტობა უბოძა და ჩააბარა ქუთათელ-გაენათელის კათედრა, პროტობრესვიტერი ივანე ლოხოვი, პროტოდიაკონი ამბროსი ახოხაძე და სხვანი. უწმიდესი კა-

ლისტრატეს მოწადინებით 1951-1952 წლებში ეპისკოპოსებად აკურთხეს გაბრიელი (ჩაჩანიძე) და ანტონი (გიგინეიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის შექმნის მიზანი იყო საქართველოს საერო ხელისუფლებას ეკლესიასთან ურთიერთობა რწმუნებულის მეშვეობით ჰქონოდა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე გრძნობდა რა რწმუნებულ კ.ქადაგიშვილის მცირე უფლებამოსილებას პირდაპირ მიმართავდა, როგორც საქართველოს სსრ ხელმძღვანელობას, ასევე მოსკოვში ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის წიგნი, რომელიც მოგვითხრობს 1946-1951 წლებში საქართველოს ეკლესიის მეთაურის მცდელობაზე ახალი ეკლესიების გახსნას, სასულიერო ჟურნალის, წიგნების, გამოცემის, სიონის, ალავერდის დაზიანებული სახურავის შეკეთების აუცილებლობათა შესახებ.

1946-1951 წლებში გაიხსნა ალავერდის, ხონის წმ.გიორგის, საგარეჯოს, აწყურის, სოხუმის რაიონის სოფ.კონსტანტინოვკის, ორბეთის, სუჯუნის წმ.გიორგის, გუდაუთის რაიონ სოფ. ბომბორას, ქარელის რაიონ სოფ. ატოცის ეკლესიები.³⁶ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხელისუფლების წინაშე დააყენა საკითხი ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი და მუზეუმებში დაცული საეკლესიო ნივთების კვლავ ეკლესიისათვის დაბრუნების შესახებ. (ბათუმში, თელავში, ქუთაისში). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საერო ხელისუფლების წინაშე სვამდა საკითხს მცირე შემოსავლიანი ეკლესიებისათვის მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ, რათა თავი შეინახოს ტაძრის კრებულმაც და ეკლესიებიც შესაბამისად იყვნენ დაცულნი. უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატე ცინცაძემ ხელისუფლებას 1947 წელს ოფიციალურად მოსთხოვა ქუთაისის მუზეუმში დაცული არგვეთის ერისმთავრების წმ. დავითის და წმ. კონსტანტინე მხეიძეთა წმიდა ნაწილების მოწამეთაში დაბრუნება მისი მოთხოვნები ხელისუფლებისადმი უფრო კატეგორიული გახდა. 1949 წლის 18.; 08. საქ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ.ჩარკვიანის სახელზე გაგზავნილი წერილებში აღნიშნავდა: “რამდენჯერმე მივმართე თხოვით რელიგიის საქმეთა რწმუნებულს ლოცვანის დასტამბვის შესახებ ნებართვისათვის. პასუხი არ მოუცია, გთხოვთ ბრძანებას საყოველთაო ლოცვანის დასტამბვისათვის“.³⁷

1949 წლის 18 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ საქართველოს საერო ხელისუფლების წინაშე კვლავ დააყენა საკითხი სიონის ეკლესიასთან ახლოს საპატრიარქო რეზიდენციის აშენების ნებართვის შესახებ და მიაღწია კიდევ დადებით პასუხს. 1950

წ. მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალში გამოქვეყნდა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს მისალოცი დეპეშა ი.სტალინისადმი. ის არც საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებას ტოვებდა უყურადღებოდ საბჭოთა ხელისუფლების, ოქტომბრის “რევოლუციის“ დღესასწაულებზე. უწმიდესი კალისტრატეს ასეთი ნაბიჯი შთამომავლობამ შეიძლება შეაფასოს როგორც კონიუნქტურა, ხელისუფლებასთან მისი თანამშრომლობის მაგალითი, მაგრამ სხვანაირად იმ დროს თითქმის შეუძლებელი იყო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს სხვა გზა არა ჰქონდა, 20-იანი წლების რეპრესიებმა, მორწმუნეთა დევნა-შევიწროების საშინელმა ხანამ აიძულა დიპლომატიისათვის მიემართა, მისმა დიპლომატიურმა მოქმედებებმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საშუალება მისცა 1941-48 წლებში დაბეჭდილიყო: “საქართველოს ეკლესიის კალენდარი, “საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“, “სიონის ტაძრის მცირე ცნობარი“, “ღვთისმსახურების დროს სავედრებელი თხოვნანი“. მიუხედავად იმისა, რომ ომის წლებში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხელისუფლებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ფრონტის საჭიროებისათვის ფულადი თანხა გადარიცხა ხელისუფლება ეკლესიას ბოლომდე არ ენდობოდა, მას ყველა მოქმედ ეკლესიებში თავისი აგენტები ჰყავდა, რომელმაც ხელისუფლების ორგანოებს ყოველკვირეულ ინფორმაციებს აწვდიდნენ ღვთისმსახურების დროს რა ხდებოდა, როგორი იყო მორწმუნეთა და სასულიერო პირთა დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი. ფარული დევნა მიმდინარეობდა იმ მორწმუნეებისა, რომელნიც ოფიციალურად ითხოვდნენ ეკლესიების გახსნას. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილებში არაერთხელ მიუთითებდა ამის შესახებ.

1948 წელს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე მონაწილეობდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 500 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. 1949 წელს იგი მოსკოვის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ აკადემიის საპატიო წევრად აირჩია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად ჩაერთო მსოფლიოს რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ მოწყობილ სამშვიდობო კონფერენციების საქმიანობაში. 1950 წლის 29 დეკემბერს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს სახელზე ინგლისიდან ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა “მე ხშირად წამიკითხავს და გამიგონია, თუ როგორ მოღვაწეობას ეწევი თქვენ მშვიდობისათვის. მე ძალზე დაინტერესებული ვარ თქვენი ღიადი ერის სოციალური პროგრესით და გთხოვთ დახმარება გამიწიოთ შრომაში ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განსამტკიცებლად“.³⁸ წერდა ულიამ კინგი. მშვიდობის დაცვის ფორუმ-

ში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ასევე მადლობის სიტყვებით მიმართა რუმინეთის პატრიარქმა უწმიდესმა იუსტინემ.

1952 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე). ბრწყინვალე მწყემსმთავრის გარდაცვალება იყო დიდი დანაკლისი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მიუხედავად იმისა რომ კომუნისტური რეჟიმი იყო ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა, რომელთაც უწმიდეს კალისტრატესთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ უკანასკნელ გზაზე გულისტკივილით გააცილეს გამოჩენილი მწყემსმთავარი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით შეიქმნა კალისტრატე ცინცაძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე), წევრები: ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე), არქიმანდრიტი ზინობი, დეკანოზი მიხეილ ხელიძე, დეკანოზი ხარიტონ ახვლედიანი. უწმიდესი კალისტრატეს დაკრძალვას ესწრებოდნენ: პოლონეთის მიტროპოლიტი მაქსიმე, ლენინგრადის მიტროპოლიტი გრიგოლი, უკრაინის ეგზარქოსი იოაკინე, ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ვასილი, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსი სააკი. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს დაკრძალვა მოხდა 10 თებერვალს სიონის საპატრიარქო ტაძარში. ქართველი სასულიერო და საერო საზოგადოების გულისნადები კარგად გამოხატა მიტროპოლიტმა ეფრემმა: “გული მაქვს ლოღვივით დამძიმებული სამარისებური ღრმა ღუძილით, მწუხარებაში შთაფლული, ფიქრთა სქელ ბურუსში გახვეული ჩვენი ეკლესიის ბედზე მოტირალნი... ჩვენ დაგვარგეთ საქართველოს ეკლესიის მიმრქმელი და უძლიერესი პატრონი, დიდი შეურყეველი დასაყრდენი ბურჯი“.⁴⁰ უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე იყო გამორჩეული სასულიერო მოღვაწე იმ დროს, როცა ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იდევნებოდა, როცა ანტირელიგიური კამპანიის, უღმერთოთა კავშირის, ფინსაკომის საგადასახადო პოლიტიკის წყალობით მოქმედი ეკლესიების, სასულიერო პირების ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, უწმიდესმა კალისტრატემ ხელისუფლებასთან გონივრული კომპრომისების პოლიტიკის წყალობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შეინარჩუნა. დღევანდელი გადასახედიდან ადვილია მსჯელობა, შეფასებანი, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით ეპოქას, თავისი რეალობებით, როცა იდგა დღის წესრიგში სვეტიცხოვლის, სიონის, ალავერდის საკათედრო ტაძრების ყოფნა-არყოფნის საკითხი, როცა უწმიდესი პა-

ტრიარქს ნება-სურვილის გარეშე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ გამოეტანათ გადაწყვეტილებანი მოქმედი ეკლესიების დახურვის შესახებ ძნელი იყო პატრიარქობა. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს დამსახურება იყო:

1. მისი წინამორბედის (კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III) დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო სინოდსა და მრევლს შორის წარმოშობილი დაპირისპირებების აღმოფხვრა. (დაპირისპირებანი გამოწვეული იყო ახალი სტილის, ეკლესიასა და ხელისუფლების ურთიერთობის და საკათალიკოზო საბჭოს საქმიანობის შეფასების საკითხებზე. ს.ვ.).

2. უწმიდესი კალისტრატეს დროს შენელდა ეკლესია-მონასტრების ძარცვარბევა, საეკლესიო ნივთების დატაცება. მან საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტთან თანამშრომლობით არა ერთი ეკლესია-მონასტერი გადაარჩინა უფრო მეტიც იქ მყოფი სასულიერო პირები გაათავისუფლა სულისშემხუთველი გადასახადებისაგან და “მატერიალური კულტურის ძეგლების“ მცველებათ გააფორმა და ეკონომიკური სიდუხჭირის ჟამს მათ საარსებო მინიმუმი შეუქმნა სახელმწიფოსგან ხელფასის სახით.

3. უწმიდესი კალისტრატეს დამსახურება განსაკუთრებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. მისი შედგენილი იყო უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდის პასუხი რუსეთის პატრიარქ ტიხონის ეპისტოლეზე, რომელშიც დასაბუთებული იყო ტიხონის მოთხოვნათა უსაფუძვლობა და საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალიის კანონიერება. კალისტრატე აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ მოლაპარაკებებისა, რომელნიც მიმდინარეობდა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის საკითხებზე, რაც 1943 წელს წარმატებით დაგვირგვინდა.

4. უწმიდესი კალისტრატეს დამსახურება იყო საქართველოში მცხოვრები არაქართველი მართლმადიდებლების (რუსები, ბერძნები, აფხაზების, ოსების ნაწილი) მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში შემოსვლა.

5. უწმიდესმა კალისტრატემ ხელისუფლებასთან კონსტუქციული ურთიერთობით მოახერხა სასულიერო წიგნების დაბეჭდვა. ომის დროს საქართველოს ეკლესიის ფაშიზმის წინააღმდეგ ხელისუფლებისადმი მხარდაჭერით და ფრონტის მეომრებისადმი მატერიალური დახმარებით ი.სტალინისგან მხარდაჭერა და თანაგრძნობა მოიპოვა, რამაც საშუალება მისცა განემტკიცებინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი და საერთაშორისო აღიარება. ვინც მას იცნობდა ყველანი აღიარებდნენ მის პიროვნული მომხიბვლელობას, სისპეტაკეს და დიდ ინ-

ტელექტულობას. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მომწიფდა აზრი მისი წმინდანად შერაცხვის შესახებ. 1979 წლის 30 ნოემბერს უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებით შეიქმნა უწმიდესი კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი კომისია, რომელმაც მრავალრიცხოვანი მასალები მოიძია და შეაგროვა.

უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე, მისი პატრიარქობის ხანა უკვე ისტორიის კუთვნილება, იმ ისტორიისა, რომელიც საქართველოს ეკლესიის, ჩვენი ერის განუყოფელი ნაწილია. რთული წინააღმდეგობრივი ისტორიის მოკაშკაშე ვარსკვლავი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობანი
1917-1952 წლებში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შედეგ, ქართველი უმაღლესი სასულიერო იერარქები აქტიურად შეუდგნენ მუშაობას, რათა ერთის მხრივ, მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებს და მეორეს მხრივ, არამართლმადიდებელ ქრისტიანულ კონფენსიებს ოფიციალურად ეცნოთ 1917 წლის 12(25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტმა, პირველ ყოვლისა, სცადა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის მოწესრიგება, რაც დაკავშირებული იყო საეკლესიო ქონების გაყოფასთან, ეკლესია-მონატრების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის პრობლემებთან.

რუსეთის დროებითი მთავრობა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა დათანხმებულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ რუსეთის ეკლესიის სინოდი, რელიგიის საქმეთა სამინისტრო, ობერპროკურორი 25 მარტის ერთობლივ სხდომაზე იღებენ გადაწყვეტილებას სცნონ საქართველოს ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალია, რაც ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში არსებული არაქართული მართლმადიდებელი ეკლესიები თავისი მრევლით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის მიღმა რჩებოდა. რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, 27 მარტიდან საქართველოს ეგზარქოსყოფილი პლატონი კაკასიისა და ტფილისის მიტროპოლიტად გამოცხადდა. ამის გამო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტმა 29 მარტის კრებაზე ოფიციალური პროტესტის ტექსტი შეიმუშავა დროებითი მთავრობის სახელზე.

რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობას ადგილი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვლადიმერ ბენეშევიჩის თბილისში ვიზიტისას 10 აპრილიდან 4 ივნისის ჩათვლით, მას მოლაპარაკება ჰქონდა დეკანოზ კ. კეკელიძესა და ნ. თალაკვაძესთან. ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობდნენ ეპისკოპოსი ანტ. გიორგაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე პეტერბურგში, როცა ისინი სპეციალური მისიით საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რუსეთის დროებით მთავრობასთან, რუსეთის წმინდა სინოდთან. 1917 წლის 1 აგვისტოს ეპისკოპოსმა ანტონმა სიტყვით მიმართა რუსეთის სინოდს: „ივერიის ავტოკეფალური მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია აუწყებს

ამას ქრისტეს მიერ საყვარელ თავის და სრულიად რუსეთის მართლმადიდებელ კათოლიკე ეკლესიას, თქვენი უწმიდესობის სახით, და უძღვნის მართლმადიდებლობის შინა მყოფ რუს მოძმე ხალხს ქრისტიანულ წრფელსა და მხურვალე ამბორს. ქრისტეს მიერ ამ სიყვარულის ცხოველ გრძნობით ჯვაროსანი ეკლესია ივერიისა ითვალისწინებს განვლილ ჟამთა შინა საუკუნოთა სტადიონზე ორივე ეკლესიათა მიერ მართლმადიდებელ სარწმუნოების წმიდა დოგმათა თანხმობლივ დაცვას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას იმაში, რომ ამიერიდან ორივე მონათესავე სარწმუნოებითაცა და სულიერ მისწრაფებით ეკლესიანი იცხოვრებენ კეთილ-თანხმობით, მჭიდრო კავშირისა და ურთიერთისადმი სიყვარულით, რათა ერთი გულითა, თუმცა არა ერთითა ენითა, აღიღებდნენ ყოვლად პატიოსანსა და დიდად შვენიერსა სახელსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ქრისტე არს ჩვენ შორის“.¹

სინოდის სხდომაზე მთავარეპისკოპოსმა სერგიმ გამოთქვა იმედი, რომ ის ზოგიერთი გაუგებრობა, თუ უთანხმოება, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ რუსეთის ეკლესიასთან წარმოიშვა მოლაპარაკების გზით გადაიჭრება მომავალი საეკლესიო კრებაზე.

1917 წლის 19 აგვისტოს გაიხსნა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება. ამ დროს, როგორც ჩანს, სინოდში გაიმარჯვა იმ აზრმა, რომელნიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უკანონოდ მიიჩნევდნენ, ამიტომ იქ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებთან ერთად არ მიიწვიეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. კრებამ სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია ტიხონ ბელაგინი, რომელმაც 1917 წლის 29 დეკემბერს მრისხანე წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ უწმიდესსა და უნეტარესს კირიონ II – წერილი გამოირჩეოდა ფაქტებისა და მოვლენების ტენდენციური შეფასებით. პატრიარქი ტიხონი თვლიდა, რომ საქართველოში ეკლესიური გამგებლობა ეკუთვნოდა რუსეთის წმინდა სინოდის, რომ თითქოს ეგზარქოსობის ხანაში ქართველობას არავითარი უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ რუსული მმართველობის მიმართ. პატრიარქი ტიხონი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას ულტიმატუმს უყენებდა, რომ წარმდგარიყვნენ რუსეთის საეკლესიო კრებაზე, როგორც დამნაშავენი და ეღიარებინათ თავიანთი შეცოდებანი. წერილი იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II საერთოდ არ უპასუხა მას.

1919 წლის 5 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა

ლეონიდა წერილობით უპასუხა რუსეთის პატრიარქ ტიხონს. წერილის დასაწყისშივე კარგად სჩანდა, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური უკან დახევას არ აპირებდა „მდაბალი ლეონიდი, წყალობითა ღვთისათა კათალიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოსა, საყვარელ მეუფესა და ქრისტეს მიერ უპატიოსნესსა ძმასა და თანამსახურსა, უწმიდეს ტიხონს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს“.² უწმიდესი ლეონიდი მისთვის ჩვეული ტაქტის, ისტორიული საბუთების მოშველიებით აბათილებდა ტიხონის ბრალდებას. იგი დაწვრილებით განიხილავდა ეგზარქოსობის ხანაში ქართველი სამღვდელოების, მორწმუნე მრევლის საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ბრძოლის ეტაპებს, რომელსაც რუსი ეგზარქოსები ქართველ ავტოკეფალისტ ინტელეგენტების ფანტასტიურ ბოდვას³ უწოდებდნენ. უწმიდესი ლეონიდი დასძენდა: „ჩვენს საქმეთა შინა ცდომებს არ აქვს ადგილი, ხოლო უკეთუ ასეთები შეგვენიშნა, მათი აღკვეთისათვის ყოველ ეკლესიას მოეპოვება საშუალება... პატრიარქი ლეონიდი გამოთქვამდა რწმენას, „რაკი აღვადგინეთ კანონიკური წყობილება ქართულსა და რუსულ ეკლესიაშიც, მტკიცედ უნდა ვუთვალყუროთ, რათა შემდგომში არავითარი ესეგვარი არ იქმნეს“.⁴ სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიამ ამ ეტაპზე არ ისურვა საქართველოს ეკლესიასთან ექვარისტული კავშირის აღდგენა, მისი, როგორც დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის აღიარება, უფრო მეტიც, რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდი თვლიდა, რომ სოხუმის ეპარქია და თბილისის რუსთა სამრევლო მათ გამგებლობაში უნდა დარჩენილიყო. ისინი ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ თბილისში სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ხოლო სოხუმის ოლქში ცხუმ-ბედიელი მიტროპოლიტი იჯდა.

1919 წელს აფხაზთა სახელით თავადმა ვ. შერვაშიძემ მიმართა წერილით სოხუმის რუს ეპისკოპოსს სერგის, წერილში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ სოხუმის ეპარქიის მმართველად საკათალიკოზო საბჭოს მიერ დანიშნულია მიტროპოლიტი ამბროსი და აქ თქვენი ადგილი აღარ არისო.⁵ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ 1926 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე განიხილა რუსეთის წმინდა სინოდის მცდელობა ჩარეულიყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში და მკაცრი პროტესტი გაუგზავნა რუსეთის მხარეს.⁶ მიტროპოლიტი ქრისტეფორე აღნიშნავდა, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდი ცდილობს საკავშირო კპ/ბ/ მსგავსად განავრცოს თავისი უფლებები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებზე, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელიაო. 1926 წლის დეკემბერში თბილისში ჩამოვიდა ბაქოსა და კავკასიის მიტროპოლიტი პეტრე სერგეევი, რომელსაც დავალებული ჰქონდა განეგო საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე არსებული რუსული ეკლესიების საქმეები. იგი შეხვდა საქართველოს ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს წევრებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს ეცნო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის უფლებათა იგნორირებას შეეცადნენ 1927 წლის თებერვალში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიათა კრებაზე, სადაც ლენინგრადის მიტროპოლიტმა ბენიამინმა, მოსკოვის მიტროპოლიტმა სერაფიმემ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებს ვასილ დიმოპულოს, პაველ კატაპოტისს საქმის ვითარება ისე დაუხატეს, თითქოს საქართველოს ეკლესია „სქიზმაზე“ (განხეთქილებაზე) მიდიოდა. ამ შეკრებაზე საქართველოს ეკლესიის დელეგაცია საერთოდ არ მიუწვევიათ. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამრევლოები კვლავ არ ემორჩილებოდნენ საქართველოს საპატრიარქოს.

1938 წლის 4 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ წერილით მიმართა საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს – წარმოგიდგინოთ ტფილისის რუსთა სამი სამრევლოს ღვთისმსახურთა სახელით დეკანოზ მეთოდე გირენკოს მიერ მორთმეულ მოხსენებას რუსთა სამრევლოების საქართველოში არსებობის დებულებას. პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საკათალიკოზო მმართველობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რუსთა და ქართველ მორწმუნეთა შორის არსებულიყო მშვიდობა და კეთილგანწყობილება, და არავის მისცემოდა საშუალება ჩამოვარდნილიყო უთანხმოება რუსთა და ქართველ ერს შორის, განურჩევლად რწმენისა. მე დღესაც ამ აზრისა ვარ, საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ შეურყეველად დარჩეს ძირითადი საეკლესიო კანონი, ერთ ტერიტორიაზე არ იყოს ორი ეპისკოპოსის მართვა-გამგეობა, რასაც არა მხოლოდ ეკლესიური მნიშვნელობა აქვს⁷. უწმიდესი კალისტრატე ამ საკითხს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა საქ. კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსადმი გაგზავნილ წერილში, სადაც დაწვრილებითაა გაანალიზებული, რა პირობებში წაართვეს ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიას და როგორ დაიბრუნა იგი, მაგრამ რუსეთის ეკლესიის მეოხებით როგორ მიიღო მან ნაციონალური ხასიათი, რითაც სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრებაში დამკვიდრდა შავბნელი და საზიანო ფილიტერიზმი, რომ ამ თვალსაზრისს იცავდნენ პატრიარქი ტიხონი და პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი სერგი. უწმიდესი კალისტრატე გამოთქვამდა რწმენას, რომ საქართველოს ხელისუფლება დაიცავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას. რუსეთის ეკლესიასთან ასეთი გაურკვეველი ვითარე-

ბა გაგრძელდა 1943 წლამდე.

1917 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა უწმიდესმა კირიონ II ოფიციალური წერილით მიმართა მსოფლიო პატრიარქს ბასილ III. წერილის დასაწყისში უწმიდესი კირიონ II მოკლედ მიმოიხილავდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, მიუთითებდა რუსეთის იმპერატორის 1811 წლის უკანონო გადაწყვეტილებაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ, „ამა პირსათვის ქალაქსა თბილისს შემოიკრიბა ღვთიგანბრძობილი კრებაი მორწმუნისა ერისა და სამღვდელთისა დასისა, რომელმან ათწვიდმეტსა სექტემბერსა მიმდინარესა წლისასა აღირჩია უღირსობაი ჩემი და სახელმედვა მე „მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი“ ვითარცა იყო წესი ჩვენი ეკლესიისაი... გულისხმა ვყავ ბრძანებასა მოციქულისასა თანახმად ერთობისა მას სულისასა საკვირველითა. მათ მშვიდობისათა და ვისწრაფვით სიყვარულით მოგიკითხო უნეტარესო მამაო და წრფელითა გულითა გითხრა: – ქრისტე არს ჩვენ შორის“. ღვაწლი ჩემდა იქმნების დაცვაი დოღმატთა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა გამცემელ ყოფილ არს ეკლესიაი ჩვენი, გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაი კეთილდგომისათვის წმიდათა ღმერთისა ეკლესიათა და კეთილ წარმატებისათვის ერისა ჩემისა ზღუდელ ჩემდა იქმნების კანონნი“.⁸ კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II გამოთქვამდა რწმენას, რომ მსოფლიო საპატრიარქო სცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. სამწუხაროდ, მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად არ დააფიქსირა თავისი პოზიცია საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როცა რუსეთში ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, მათ ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყეს თურქეთთან, რომელიც საბოლოოდ ქემალისტური თურქეთის მთავრობასთან რუსეთის შეთანხმებით დასრულდა. ასეთ პირობებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელიც ფრიად შევიწროებული იყო თურქეთში, მოერიდა ახალი პრობლემის შექმნას.

უწმიდესი კირიონ II და ლეონიდის მცდელობა განაგრძო უწმიდესმა ამბროსიმ, რომელმაც წერილით მიმართა უწმიდეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს ბასილ III, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III, იერუსალიმის პატრიარქს უწმიდეს დამიანეს, ალექსანდრიისა და სრულიად ეგვიპტის პატრიარქს ნიკოლოზს. წერილში უწმიდესი ამბროსი აღნიშნავდა: 1921 წლის 7 სექტემბერს სრულიად წმიდისა ღვთივ განგრძობილმან კრებამან მორწმუნე ერისა და სამღვდელთა დასისმან მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად აღირჩია უღირსება ჩემი. ვძრწვი და ვშიშობ, რა-

ჟამს გულისხმა ვკყოფ მძიმესა მის უღელსა, რომელი განგებაჲმან ღმერთისმან დამაკისრა მე, გარნა ვითვალისწინებთ რა ივერიის ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში მუდმივად ჰპოულობდა ნუგეშსა და დახმარებას ერთმორწმუნე აღმოსავლეთის ეკლესიებისაგან, ვსასოებ. ასეთ შველასა და დახმარებას ღლესაც არ იქნება მოკლებული იგი და გულშემატკივარი დედა აღმოსავლეთის ეკლესია. ზნეობრივად ახლაც გაუწვდის ხელს მას“.⁹ მისი უწმიდესობა ამბროსი ასეთივე წერილებით მიმართავდა რომის პაპს პიო X, კენტებერიის მთავარეპისკოპოსს და ინგლისის პრიმასს. რაოდენ დიდი იყო ქართველი იერარქების გაკვირება 1926წ. 17 აპრილს კენტებერიის მთავარეპისკოპოსმა რომ უპასუხა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს, შეიძლება ეს იყო გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმის ერთგვარი გამოძახილი. – მოწადინებული ვარ ყოველი ღონე ვიხმარო, დაგეხმაროთ თქვენცა და სხვებსაც, ვისაც გიპყრიათ საჭე თქვენი ეკლესიის სარწმუნოების წინაშე ესოდენ გაჭირვებისა და თვით საფრთხის პირობებშიც.

როგორც 1928 წლის 28 სექტემბრის სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სინოდის ოქმიდან ირკვევა, მსოფლიო პატრიარქ ბასილ III საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდისათვის მიუმართავს შეკითხვით, „თუ როგორ გადაწყდეს მომავალ 1929 წლისათვის პეტრე-პავლობის მარხვის საკითხი, რა სახით შეიძლება მოგვარდეს პასქალის საკითხი ახალი კალენდარის მიხედვით და შეიძლება თუ არა ამ საკითხების გადაწყვეტა მსოფლიო კრების მოუწვევლად“.¹⁰

როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო არაპირდაპირ აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია მსოფლიო საპატრიარქოს დაეგზავნა წერილები ავტოკეფალურ მართლმადიდებელი ეკლესიების საპატრიარქოებში, სადაც იგი უკანონოდ გამოაცხადებდა საქართველოს ეკლესიის 1917 წლის 12(25) მარტის გადაწყვეტილებას. თუმცა მსოფლიო საპატრიარქომ რუსეთის ეკლესიის რიდით 1926 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები არ მიიწვია კონსტანტინოპოლში მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრაზე. ამის გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ, უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ 1926 წლის 24 ივლისს საპროტესტო წერილით მიმართეს მსოფლიო პატრიარქს უწმიდეს ბასილ III. საქართველოს საკათალიკოზო საბჭო შეახსენებდა მსოფლიო პატრიარქს იმ დროს, როცა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოდიოდნენ, როგორც კონსტანტინოპოლიდან, ასევე ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები, რომ რუსეთის საერო ხელისუფლების მიერ

1811 წელს უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ხშირია მუქარა, შანტაჟი რუსეთის მხრიდან, „არ გვსურს ვიფიქროთ, რომ თქვენი ეს მდუმარება და უყურადღებობა გამოწვეულია იმით, რომ პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობას და კეთილგანწყობილებას“.¹¹ საქართველოს საკათალიკოზო საბჭო გამოთქვამდა იმედს, რომ მსოფლიო საპატრიარქო ყველაფერს იღონებდა, რათა საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიასთან აღდგენილიყო ვეჭარისტული კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში – საქართველოს ეკლესია იძულებული იქნება თავის წიაღში, დაიცვას ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და კანონიკური ნორმები იმ წესით და იმ საშუალებით, რომელსაც თვით დაინახავს საჭიროდ და მიზანშეწონილად, მაგრამ ამაზე ზნეობრივი პასუხისმგებელი აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიები იქნებიან – წერილს ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი, საკათალიკოზო საბჭოს წევრები ნინოწმინდელი მიტროპოლიტი კალისტრატე, ურბნელი მიტროპოლიტი იოანე, დეკანოზები იოსებ მირიანაშვილი, გიორგი გამრეკელი, საკათალიკოზო საბჭოს წევრები მოქ. ივანე რატიშვილი, გერასიმე იმნაიშვილი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საკათალიკოზო საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სომხურ გრიგორიანული ეკლესიასთან ურთიერთობას. მართალია, დოგმატიურ საკითხებზე უთანხმოება, რომელიც ჩვენს ეკლესიებს შორის VII საუკუნიდან არსებობდა, განხილვის საგანი აღარ იყო, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ 1917 წელს საქართველოში მოქმედი იყო 200-მდე სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, თბილისში იყო სომხური ეპარქიის საეპისკოპოსო, რომლის რეზიდენცია იყო ვანქის ეკლესია. იმხანად ეჩმიაძინის კათალიკოზი იყო თბილისელი სომეხი გეგორქ V, მეტსახელად ტფილელი. საქართველოს ახლად აღდგენილ ავტოკეფალურ ეკლესიას ნორმალური ურთიერთობა უნდა დაემყარებინა ეჩმიაძინთან.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II წერილი ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათალიკოს გეგორქ V არის ერთის მხრივ მაღალი დიპლომატიისა და მეორეს მხრივ მართლმადიდებელი პატრიარქის განსხვავებული კონფესიისადმი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუში: „მიმოვიხილავ გარემოსა ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისა შევაყენებ ღვთივმოშიშსა ერსა ზედა ჰაიკანისასა ძმური ნათესაობით ქართლოსიან -ჰაოსიანთა... მოგიკითხავ უწმიდესო მეუფევ, რათა წრფითა და ღვაწლითა ჩუენთა აღდგენილ იქნას ერთობა, ჩუენდამი რწმუნებულთა ერთა. ერთობას ვიტყვი არა სარწმუნოებრივ-დოგმატიურსა, არამედ მოქალაქეობრივ განმა-

ნათლებლობისა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაი და ურიერთს გულისხმავ-
ყოთ და რაითა სამშობლოსა შინა ჩუენისა დაამკვიდროს სასუფეველი ღმრთი-
საი“.12 თავის მხრივ, არც სომხური ეკლესია დარჩენილა გულგრილი საქართვე-
ლოს ეკლესიაში მომხდარი ცვლილებებისა. მიუხედავად იმისა, რომ სომხური ეკ-
ლესია რუსეთის ხელისუფლებასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა, რუსი ეგზარქო-
სების გულთბილი და სასურველი მასპინძელი იყო /მაგ. XIX საუკუნეში ეგზარქო-
სი პავლეს ჩანაწერებში მითითებულია, როგორი სიყვარულითა და გულთბილად
მიიღო იგი სომეხთა კათალიკოსმა და ძვირფასი საჩუქრებიც მიართვა ს.ვ./. 1917
წლის 1 ოქტომბერს თბილისში მოვიდა ასეთი შინაარსის დეპეშა: „სრულიად სა-
ქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ II. პირადად ჩემი და უძველესი სომ-
ხური სამოციქულო ეკლესიის სახელით გილოცავთ პატრიარქად არჩევას. უფლე-
ბამოსილნი არიან ეპისკოპოსები მხითარი და ხორენი დაესწრონ თქვენს საზეიმო
ინტრონიზაციას. გეგორქ V ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათალიკო-
სი“.13

1922 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-
კათალიკოსი გეგორქ V /სურენიანი/, რომელმაც სიონის საპატრიარქო ტაძარში
პატივი მიაგო უწმიდესი კათალიკოსების კირიონ II და ლეონიდის ხსოვნას. მიე-
სალმა ქართველ საზოგადოებას. როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, იგი ბრწყინ-
ვალედ საუბრობდა ქართულად (მას თავის დროზე უსწავლია თბილისის ნერსესის
სემინარიაში) და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი საპა-
სუხო ვიზიტით მიიწვია სომხეთში.¹⁴ საქართველოსა და სომხურ ეკლესიათა შო-
რის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საკათალიკოზო საბჭო იმ
დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველოში შექმნილი სპეციფიკური ვითარების გა-
მო აუცილებელი იყო კონტაქტები რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურთან.
უწმიდესი კირიონ II რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „განგება-
მან ღმრთისამან არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი ჰრომისათვის დიდისა. პეტრე და
ანდრია პირველწოდებულთა მათ მოწაფეთა ქრისტეისათა, რომელთა თესლი უბი-
წოდ განაბნიეს მართალსა სარწმუნეობისაი ორნატთა ჰრომთა ქართველთა გული-
სათა, ძმობითა თვისითა წინასწარ მოასწავეს სიყვარული და თვისობაი ორთა
ამათ ეკლესიისათაი“...¹⁵ უწმიდესი კირიონი II მოაგონებდა რომის პაპს, რომ სა-
ქართველოში მრავლად იყვნენ კათოლიკე მისიონერები, მცირედნი ქართველი კა-
თოლიკენი, რომელნიც არსოდეს შევიწროებული არ იქნებიან. ამავე დროს, წე-
რილში საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ერთგვარად ესარჩლებოდა ქართველ

კათოლიკებს, რომელთაც რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სასტიკად დევნიდნენ და აიძულებდნენ გასომხებულიყვნენ იმ მიზეზით, რომ თითქოს ბუნებაში ქართველი კათოლიკენი არც არასოდეს ყოფილან, თუ ეს პროცესი გაგრძელდებოდა /ამის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ პეტრე ხარისჭირაშვილი, იოანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი/ მესხეთის ქართველობის ერთი ნაწილის გადაგვარებას არაფერი წინ აღარ უდგა. ამიტომ იყო, რომ უწმიდესი კირიონ II რომის პაპს მიმართავდა: „ვისასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელყოფს ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ ხასიათს.¹⁶

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა აქტიურობა შესუსტდა საბჭოური რეჟიმის პირობებში. როცა სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხურავდნენ ეკლესია-მონასტრებს, როცა მოუწოდებდნენ ყველას: „მეტი კლასიური გამჭრიახობა გამოიჩინეთ მტრებთან ბრძოლაში, ნიღაბი ახადეთ ეკლესიის მსახურთ, რომელნიც სოციალისტურ მეურნეობას ძირს უთხრიან და დაუყოვნებლივ გადაეცით ისინი ხელისუფლების ორგანოებს.¹⁷ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ევქრისტული კავშირის საკითხები კი არა, ქალაქში მოძრაობა ეკრძალებოდათ სასულიერო პირებს, მათ “ჩეკას” წევრები უთვალთვალდებდნენ „სასულიერო პირს დღეს თავისუფლად მოგზაურობა არ შეუძლიათ საქართველოში“.¹⁸ აღნიშნულია საკათალიკოზო საბჭოს მოხსენებაში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში შეიცვალა ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება. ამან საქართველოს ეკლესიას საშუალება მისცა გაეაქტიურებინა ერთის მხრივ ხელისუფლებისათვის სულიერი და მატერიალური მხარდაჭერა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მეორეს მხრივ ეზრუნა რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

1943 წლის 14 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ ოფიციალური წერილით მიულოცა რუსეთის პატრიარქ სერგის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა რწმენა ამ ორ ეკლესიათა შორის ურთიერთობის აღდგენისა. საპასუხო წერილში რუსეთის პატრიარქი სერგი გამოთქვამდა მზადყოფნას მოლაპარაკების გზით მოგვარებულიყო ჩვენი ორი მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა. 1943 წლის 28 ოქტომბრიდან მოლაპარაკების მიზნით საქართველოში ჩამოვიდა სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. მოლაპარაკებათა შედეგად, რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. 31 ოქტომბერს სიონის საკათედრო ტაძარში მისი უწმიდესობის კალისტრატეს თანამწირველი იყო მთავარეპისკოპოსი ანტონი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ ორ ეკლესიას შორის ევქარისტული

კავშირი აღსდგა. „პატივი და დიდება თქვენ, რადგან პირველი იყავით სიყვარული-სა და მშვიდობის ინიციატორ ორ ეკლესიას შორის, რომ პირველმა მოისურვეთ და შეიცანით ორი წმინდა ღვთიურ ეკლესიებს შორის ლოცვით და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა“.¹⁹ მიმართა უწმიდეს კალისტრატეს მთავარეპისკოპოსმა ანტონმა. რუსეთის პატრიარქმა წერილებით მიმართა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს და აცნობა, რომ ამიერიდან რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას.

პატრიარქმა სერგიმ ასევე მიმართა საქართველოში მცხოვრებ რუსებს: “1943 წლის 31 ოქტომბერს დამთავრდა განხეთქილება ეკლესიური მშვიდობა და ეჭვი წარსულს ჩაბარდა. რუს მრევლს მცხოვრებთ საქართველოში უფლება ეძლეოდა ელოცა ქართულ ტაძრებში, მიეღოთ წმიდა საიდუმლოებანი. ვადიდოთ საქართველოს ღვთისათნოსმყოფელთა ნათელი კრებული: საქართველოს განმანათლებელი მოციქულთასწორი ნინო და ქართველი მოღვაწენი, რომელნიც რუსეთის წმიდა ნათლობამდე მრავალი წლის ადრე უკვე ანათებდნენ მსოფლიოში ქრისტეს მადლს. გვჯერა რომ ზეცაში განდიდებული საქართველოს ლოცვით, ყოვლაწმიდა ღვთისმშობელის შუამდგომლობის”.¹⁵

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებამ ქართველ სასულიერო იერარქებს გზა გაუხსნა მსოფლიოს სხვადასხვა მართლმადიდებელი ავტოკეფალიებისაკენ. თუმცა ამ აღიარებამ გარკვეული ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია საქართველოში მცხოვრებ რუსთა შორის. ამის გამო უკმაყოფილებას ვერ ფარავდნენ როგორც ე. წ. “ცოცხალი ეკლესიის” ასევე რუსული ემიგრანტული ეკლესიის წარმომადგენლები, რომელთაც სურდათ გარკვეული არეულობანი მოეწყოთ საქართველოში, მაგრამ უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს გონივრულმა, მოქნილმა პოლიტიკამ რუსული სამრევლოები უმტკივნეულოდ დაუქვემდებარა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე ესწრებოდა რუსეთის პატრიარქ ალექსი I აღსაყდრებას მოსკოვში. როგორც უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე აღნიშნავდა “მნიშვნელოვანი იყო 1945 წლის იანვარ-თებერვალში ჩვენი ეკლესიის მეთაურის “ფრიად საპატიო სტუმრად” მიწვევა მოსკოვსა და სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევნებზე დასასწრებად. კრებაზე შეპატიჟებულნი იყვნენ ყველა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურნი, რომელთაგან ალექსანდრიისა და კონსტანტინეპოლიის, იერუსალიმისა, სერბეთისა და რუმინეთის წარმომადგენელთა სახით. კათალიკოზ-პატრიარქი ამალით, საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის კ. ქადაგიშვილის მეშვეო-

ბით, ხელშეწყობით გაემგზავრა თბილისიდან. ალექსი პატრიარქის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს არსებული საბჭოს თავმჯდომარის, გ. კარპოვის გულთბილმა და თავაზიანმა დახვედრამ და ყველა მართლმადიდებელი ეკლესიათა მეთაურთა პირადმა ურთიერთ შეხვედრამ, რასაც ადგილი არ ჰქონია 1787 წლის შემდეგ, განაცხოველა და განამტკიცა მათ შორის ძმური სიყვარული და კავშირი”.²¹

პატრიარქი ალექსი I 1946 წელს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. ორი ერთმორწმუნე ეკლესია კვლავ ურთიერთთანხმობაში მოვიდნენ. თუმცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულ ავტოკეფალიას საფრთხე შეუქმნა 1943 წლის 8 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებამ სახკომსაბჭოსთან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს შექმნის შესახებ, რომელსაც დაექვემდებარებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც. უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ პროტესტის წერილით მიმართა საბჭოთა მთავრობას და მოსთხოვა დაშვებული უზუსტობის გასწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში რუსული სამრევლოების მოთხოვნები ეკლესიის გახსნის შესახებ რუსეთის რწმუნებულის საქმე ხდებოდა, რაც რუსეთის საერო ჩინოვნიკებს საშუალებას აძლევდა ჩარეულიყვნენ საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში. უწმიდესი კალისტრატეს აზრით: “მთელი საუკუნის მანძილზე რუსეთის სინოდისგან მედგარი ბრძოლით მოპოვებული საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური მთლიანობა ირღვეოდა. პატრიარქი ითხოვდა რუსული სამრევლოების გახსნის შუამდგომლობის განხილვა საქართველოში მისი კომპენტენცია უნდა ყოფილიყო. ეს მას საშუალებას მისცემდა დროულად დაეკმაყოფილებინა პირველ ეტაპზე აფხაზეთის მრევლის მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეს კუთხე ეკლესიურად რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში მოექცეოდა, რაც საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევას მოასწავებდა. აღნიშნული კი ეწინააღმდეგებოდა, როგორც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობას ისე საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა შეთანხმების აქტს”.²²

უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ მოახერხა საერო ხელისუფლების დარწმუნება თავისი არგუმენტების სისწორეში და 1947 წლიდან უკვე შეიქმნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან რელიგიის საქმეთა რწმუნებულთა საბჭო, რომელსაც კ. ქადაგიშვილი ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, როცა ხელისუფლება ცდილობდა ეკლესია გარკვეულ ჩარჩოებში მოექცია საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გააქ-

ტიურა საერთაშორისო კონტაქტები, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონფერენციებში, რომელნიც ეძღვნებოდა მშვიდობის დაცვის პრობლემებს. 1949 წლის 25 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა მშვიდობის დაცვის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია ურბნელი მიტროპოლიტის მელქისედეკის ხელმძღვანელობით.

1950 წლის 8 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს ვ. ბუჯიაშვილს მიმართა თხოვნით დახმარებოდა პრესაში გამოქვეყნებულიყო საქართველოს და რუსეთის ეკლესიების ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც სრული მხარდაჭერა იყო გამოთქმული სტოკჰოლმის მშვიდობის საერთაშორისო სესიის გადაწყვეტილებისადმი.

1950 წლის 12 ოქტომბერს ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) მონაწილეობა მიიღო მეორე საკავშირო კონფერენციაში მშვიდობის დაცვის საკითხებზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური მონაწილეობა ასეთ ღონისძიებებში ამაღლებდა მის საერთაშორისო ავტორიტეტს, არღვევდა მრავალწლიან ჩაკეტილობის და სათანადო ადგილს უმკვიდრებდა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის.

საქართველოს ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქნი და ქართული კულტურა 1917-1952 წლებში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქნი უწმიდესი და უნეტარესნი: კირიონი, ლეონიდი, ამბროსი, ქრისტეფორე და კალისტრატე არა მარტო სასულიერო მოღვაწენი, არამედ ქართული კულტურის, მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელნი იყვნენ. მათი სასულიერო და საერო ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიურ ხანას. პოლიტიკურ პარტიათა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო საქართველოს მომავლის საკითხში. სამაგიეროდ სასულიერო მოღვაწეთა ერთსულოვანი მოთხოვნა იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამ მოთხოვნის კანონიერების დასასაბუთებლად გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწეებმა კირიონმა, ლეონიდმა, ამბროსიმ, ქრისტეფორემ და კალისტრატემ ქართული და რუსულ ენებზე არაერთი საინტერესო წერილი, მონოგრაფია გამოაქვეყნეს საქართველოს ისტორიაზე, ეკლესიის ისტორიაზე, წყაროთმცოდნეობის საკითხებზე. საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ქართველი სასულიერო იერარქები ცნობილია, როგორც საეკლესიო სფეროში ფრიად გათვითცნობიერებული ადამიანები, მაგრამ საარქივო მასალების, მათი ნაშრომების, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე ისინი წარმოჩინდებიან, როგორც მრავალმხრივ განვითარებული ადამიანები, სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები, ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი).

კირიონის როგორც ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის პირველი ნათლობა მოხდა გაზ. “ივერიის“ და “ღროების“ ფურცლებზე, სადაც იგი “ნიქოზელის, ივერიელის, საძაგელოვის“ ფსევდონიმებით ბეჭდავდა წერილებს საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, ნუმიზმტიკა-არქეოლოგიაზე, ქართული სიტყვიერების ისტორიაზე, ეთნოლოგიაზე. იგი თანამშრომლობდა მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებასთან და მათი თხოვნით დაწერა ნაშრომი ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლების შესახებ. კირიონის ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებულია. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომები: “წმიდა მოციქულთა სწორი ნინო ქართველთა განმანათლებელის შესახებ“. ნაშრომში XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის დონის გათვალისწინებით ქართული და უცხოური წყაროების საფუძლიანი შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია. წმ. ნინოს

ცხოვრების გზა, მისი მისიონერული საქმიანობა საქართველოში. პირველ ქრისტიან მეფე მირიანს ეძღვნება მისი ნაშრომი,² რომელშიც მოცემულია მირიანის როგორც პირველი ქრისტიანი მეფის მოღვაწეობის მთელი ისტორია, ავტორი ცდილობს დადგინოს მისი მეფობის ქრონოლოგია. კირიონის ნაშრომები: “მეფე დავით აღმაშენებელი”³ ქართულ და რუსულ ენებზე, “წმ. თამარ დიდი და მისი სახელწოდება”, “ვახტანგ გორგასალი” და სხვა. ეხება რა საქართველოს ისტორიის საკითხებს “ქრისტეს ჯვრის მტერთგან გაწეწილი და წამებული ქვეყანას კარგად გრძნობს ქართველი ერის დაკნინების მთავარ მიზეზს, ფაქტებზე დაყრდნობით აანალიზებს მოვლენათა ავსა და კარგს. მისი აზრით როცა ქვეყანა დაპყრობილ მდგომარეობაშია ასეთ პირობებში მას მუდმივ თანამგზავრად სდევს გადაგვარებული ადამიანთა მხრიდან მკრეხელობა, შური, მექრთამეობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი უკანონობა, ბიწიერება, საბოლოო ანგარიშით კი ქვეყნის დაცემა და დაკნინება”⁴ ამიტომ იყო, რომ კირიონის მონოგრაფიებსა და საჟურნალო სტატიებში წარმოჩენილი იყო საქართველოს დიდი მეფენი, რომელთა საქმიანობა მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო დამონებულ მდგომარეობაში მყოფი ერისთვის.

კირიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საისტორიო წყაროებს, საარქივო მასალას “არქივი - წერდა იგი - არის მართალი მათიანე მოღვაწეებზედ და მათ მოქმედებაზედ მისი პირით ღალადებს თვით ჭეშმარიტება... არქივის თვალთ გვიცქერიან ჩვენ ჩვენნი წინაპარნი და მისი შემწეობით შეგვიძლიან თვალი გადავაავლოთ ჩვენ მათ მოქმედებას და ღვაწლს.”⁵ კირიონი კარგად იცნობდა მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის კიევის, ხერსონის, ორიოლის, კოვნოს არქივებს და იქ დაცულ დოკუმენტებს. მან დიდი წვლილი შეიტანა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” სიძველეთა მუზეუმის ისტორიული საბუთებით გამდიდრების საქმეში. იგი მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ნესტიანი სენაკებიდან, საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ მასალებს ყოველწლიურად უანგაროდ სწირავდა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას”. “მარტო 1891 წელს საზოგადოებას გადასცა: მარხვანი, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსისა, მსოფლიო ისტორია, ხუცური ასოებით ნაწერი სადღესასწაულო ღვთისმშვენიერი თხრობით სულისა ფრიად სასარგებლო, რომელსაც ეწოდების “გვირგვინი“, ძველი საეკლესიო წიგნი ხუცურ ეტრატზე. ნაწერი, აპოკრიფი ყოვლად წმიდისა მარიამის სახარებისა და იოსებზე, XVIII საუკუნის ხელნაწერი ლიტურგია ოქროპირისა, რუსული ასამაღლებელი ქართული ასოებით, სხვა და სხვა ხელნაწერი წიგნების ფურ-

ცლები.“⁶ კირიონი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოს საეკლესიო მუ-
ზეუმისა, რომელსაც 68 ხელნაწერი გადასცა. გარდა ამისა იგი საკუთარი სახსრე-
ბით იძენდა ძველ ხელნაწერებს, მან ასეთი საქმიანობით დაღუპვას გადაარჩინა არა
ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო და ლიტერატურული ძეგლი. გასათვალისწინებე-
ლია ისიც რომ იმხანად საქართველოში არაერთი რუსი თუ უცხოელი კოლექციო-
ნერი დაეხეტებოდა. ისინი ჩალის ფასად ყიდულობდნენ ქართულ ხელნაწერებს,
ნუმიზმატიკურ კოლექციებს რაც სამუდამოდ დაკარგული იყო საქართველოსათვის.
კირიონმა ექვთიმე თაყაიშვილთან, თედო ჟორდანიასთან, მოსე ჯანაშვილთან და
ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართულ სიძველეთა გა-
დარჩენის საქმეში. სასულიერო საქმიანობასთან ერთად კირიონი სადაც არ უნდა
ყოფილიყო თავდაუზოგავად მუშაობდა წიგნსაცავებში, არქივებში. იგი რუსეთის
სინოდისაგან ითხოვდა წმ. ათონის მონასტერში გაშვებაზე ნებართვას, რათა დაწვ-
რილებით შეესწავლა იქ არსებული ქართული ხელნაწერები.

კირიონმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოებას, იგი ატყობინებდა საზოგადოების თავმჯდომარეს ე.თაყაიშვილს,
რომ მზად იყო საზოგადოებას დახმარებოდა როგორც ფინანსურად, ასევე მორა-
ლურად. ე.თაყაიშვილი იგონებდა: “ეპისკოპოსმა კირიონმა ჯერ კიდევ ექსორიაში
ყოფნის დროს შემოსწირა საზოგადოების თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწე-
რებისა და ნაბეჭდი წიგნებისა, მრავალი საარქეოლოგო ნივთი, ალბომები, სურათე-
ბი და დიდი ნუმიზმატიკური კოლექცია. წელიწადი არ გავიდოდა ისე, რომ რაიმე
ნივთი, ხელნაწერი თუ ფული არ გამოეგზავნა ახალი საზოგადოებისათვის“.⁷ საის-
ტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით ე.თაყაიშვილის რედაქციით დაი-
ბეჭდა სამი წიგნი “ძველი საქართველო“ ერთ-ერთში წარმოდგენილი იყო ქართუ-
ლი სალექსიკონო მასალა, რომელიც კირიონის შედგენილი იყო. მანვე ქართული
ლექსიკონის გამოსაცემად განყოფილებას გადასცა ასი მანეთი “1913 წლის 2 ივ-
ლისის წლიური კრების №74 ოქმი გვაუწყებს - საბჭოს წინადადების თანახმად
კრებამ ერთხმად აირჩია ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი საისტორიო სა-
ზოგადოების საპატიო წევრად. მან საისტორიო საზოგადოებას შესწირა ვეფხისტ-
ყაოსნის უცნობი ხელნაწერი, კორიდეთის ოთხთავი, პავლენის ერთი ძველი რე-
დაქცია და სხვა საინტერესო საბუთები“.⁸

ეპისკოპოს კირიონის ღვაწლით არაერთი ეკლესია-მონასტერის რესტავრაცია
ჩატარდა. ამ მხრივ გამორჩეული იყო ალავერდის, შუამთის, ქვათახევის, რუისის,
სვეტიცხოვლის ეკლესიების შეკეთება “ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის
მშობლიურ სიძველეებს და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავის წინაპრების

კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა ღირსეული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია, მშობლიური სიძველის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიდი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის“.⁹

კირიონი აგროვებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს. ფშავ-ხევსურული პოეზიის საკითხებზე კონსულტაციებისათვის მიმართავდა ვაჟა-ფშაველას, ტარასი კანდელაკისადმი გაგზავნილ წერილში იტყობინება: ვაჟა-ფშაველასგან დაწერილი კოპალაზე მაშინ მივიღე, როდესაც კორექტურა გაგზავნილი მქონდაო.

საინტერესოა კირიონის აზრი ლაშარის ჯვრის ეტიმოლოგიის შესახებ. “სახელწოდება ლაშარის ჯვარი რომ მართლაც იყოს წარმომდგარი ლაშასგან, მაშინ ჩვენი ენის კანონით ლაშას ჯვარი იქნებოდა და არა ლაშარის ჯვარი. ლაშარის ჯვარი წარმოებს სიტყვიდან “ლაშქარი“ აქედან ლაშარის ანუ ლაშქარის ჯვარი, რომელიც ომიანობის დროს ლაშქარის წინ მიჰქონდათ და მშვიდობიანობის დროს კი იმ სალოცავში ესვენა, რომელსაც ხალხი უწოდებს ლაშარის ჯვარს“.¹⁰ საინტერესო იყო კირიონის მიერ შედგენილი “ბრძნული აზრები“, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხებოდა “ქართული პოეზია, - წერდა იგი. მაღალია ვით კავკასიონი და ანკარა, როგორც მთის წყარო, “ვეფხისტყაოსანი“ იალბუზია სხვა დაბალ ქედებთან და მწვერვალებთან შედარებით“.¹¹

კირიონი ერთხანს მუშაობდა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. რუსეთის ხელისუფლებას სურდა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების სასწავლო პროგრამები ისე შეედგინა, რომ დაცული ყოფილიყო იმპერიის ინტერესები. ეს სკოლები უნდა დაეპირისპირებინათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ეგიდით დაარსებული სკოლებისათვის, მაგრამ კირიონისთანა მამულიშვილების დამსახურება იყო კახის, ქვემო ნიქოზის, ვანათის, აწევის ხევის და სხვა სკოლებისათვის ნორმალური სასწავლო პირობების შექმნა, სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის მატერიალური დახმარება. იგი განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენის სრულყოფილ ცოდნას “დედა-ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღმენებული უწმიდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი, დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი...“

მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნესა და ჩვევას“.¹²

ცალკე აღნიშვნის ღირსია კირიონის ღვაწლი შიდა ქართლში მცხოვრები ოსების კულტურის, ხალხური სიტყვიერების, ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. მან შეკრიბა და ჟურნალ “მწყემსში“ გამოაქვეყნა ოსური ლეგენდები. მანვე დასვა საკითხი ოსურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების აუცილებლობის შესახებ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური რეაქციის გამძაფრების ხანაში კირიონმა გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად შეადგინა “ქართული სიტყვიერების თეორია“ “ჩვენი მუშაობა - წერდა კირიონი - დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დარი დაუდგება საზოგადოდ ქართულ ენას ჩვენს საშუალო სკოლაში და კერძოდ ამ სახელმძღვანელოს. საჭიროა სკოლამ მტკიცე ეროვნული ხასიათი მიიღოს და სწავლა საგნებისა ქართულად წარმოებდეს. ხოლო ეს მაშინ მოხდება, როდესაც მთლიანად საქართველოს ცხოვრება ეროვნულ საფუძველზე მოეწყობა და ქართული ენა უაღრესად საჭირო შეიქმნება ყოველ დაწესებულებაში. ამას კი ვინ იცის როდის მოვესწრებით! და მოვესწრებით კი როდესმე;?...“¹³

მოგვიანებით უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II ტრაგიკულად აღსრულების შემდეგ გრიგოლ ყიფშიძე წერდა - მოვესწართ ჩვენი ნატვრის აღსრულებას, მაგრამ ვაი, რომ ვერ მოვესწრო ის, ვინც პირველმა ითავა ამ სახელმძღვანელოს შედგენა.

ქართული სიტყვიერების თეორიის გამოქვეყნება კმაყოფილებით აღიქვა იმდროინდელმა ინტელიგენციამ. 1899 წელს აკაკი წერეთელი წერდა: “ეს სახელმძღვანელო წიგნი შესანიშნავი მოვლენაა და ქართულ ოჯახებში აუცილებლად განიად შესატანი. ამის შემდგენლებს არ ჰკლებიათ არც ცოდნა, არც ბეჯითობა, არც სხვა რამ, რაც კი საჭიროა ამგვარი სახელმძღვანელოს შესატანად“.¹⁴

კირიონმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული ნუმიზმატიკის საქმეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური კოლექციის დიდი ნაწილი კირიონის მიერაა შეგროვილი. კირიონმა ყურადღება მიაქცია XIX საუკუნის საქართველოში გავრცელებულ ერთ სამწუნარო ტენდენციას. 1811 წლის შემდეგ, როცა რუსეთის მთავრობამ საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და რუსული წირვა-ლოცვა დააწესა ხალხი პროტესტის ნიშნად ეკლესიებს ტოვებდა. ამით სარგებლობდნენ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მესვეურნი და უკანონოდ იკავებდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს. მათ ხელში ჩაიგდეს ქართული ეკლესიები თბილისში, გორში, თელავში, დუშეთში. ეპისკოპოსმა კირიონმა ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს და მოითხოვა სომხებისგან უკანონოდ მიტაცებული ქართული ეკლესიე-

ბის კანონიერი პატრონისათვის დაბრუნება. იგი აქტიურად ჩაება სომხებთან პოლემიკაში ი.ჭავჭავაძესთან და დ.ბაქრაძესთან ერთად. სომხურმა გაზეთმა “ნორდარმა” გამოაქვეყნა წერილები, რომელშიც ქართველები უსაქმურ, მკვებარა ხალხად მიიჩნია, რომელიც მათი აზრით მხოლოდ სომეხთა მოსამსახურებად გამოდგებიანო. და საბუთად ქართული წყაროები მოიშველია. კირიონმა სომხურ წყაროებზე დაყრდნობით სომხების ასეთი სურათი დაგვიხატა: “ერი ზავავი, გაუგონარი, უსამართლონი, ტრაბახანი, ზარმაცნი, მძარცველნი, მატყუარანი, ცრუმედიდურნი და კომენტარში აღნიშნა, რომ საისტორიო წყაროებისათვის თვითგვემა ჩვეულებრივი მოვლენაა და მას ადამიანური თვალთ უნდა შევხედოთ და არა ერის დასამცირებლად გამოვიყენოთო.¹⁴

1910 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა ეპისკოპოს კირიონის პოლემიკური წიგნი “ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში” შეიძლება მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონიდან გამომდინარე კირიონის მიერ წამოყენებული ზოგიერთი დებულებები მოძველებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ დროს თვით რუს სწავლულებსაც უკვირდათ სად მიაკვლია კირიონმა ამდენ დოკუმენტებს, საარქივო მასალებსო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კირიონის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში. მისი პოლემიკური წერილები ეძღვნებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიას, მისი ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობას. საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიას. ამის გამო მან ოფიციალური ხელისუფლებისგან არაერთი დევნა-შევიწროება განიცადა, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო მისი გულისყური, მაინც საქართველოსკენ იყო მიმართული. მან კოვნოში გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. ძალიან განიცადა ახალგაზრდა ქართველი პუბლიცისტის არჩ.ჯორჯაძის გარდაცვალება “გუმინ - წერდა იგი - დავესწარი პანაშვიდს არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად ყაზანის ტაძარში. ქართველი სტუდენტობა ბლომად იყო, მაგრამ ჩვენი აქაური დიდკაცობა არ ჩანდა“.¹⁵

კირიონი იყო ქართველი სტუდენტების მფარველ-მეცენატი. რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ხელმოკლე, ნიჭიერ სტუდენტებს იგი სისტემატურად უგზავნიდა ფულად დახმარებას. მისი მხარდაჭერით 300-მდე სტუდენტმა მიიღო უმაღლესი განათლება. აკადემიკოსი კ.კეკელიძე მადლიერებით აღნიშნავდა თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ როგორ გაგზავნა რეკომენდაციითა და მატერიალური დახმარებით ეპისკოპოსმა კირიონმა კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად “ძველად ებრაელებს - წერდა

კაკელიძე კირიონს 1905 წელს - ჩვეულებად ჰქონდათ, ყოველნაირ ახალს ანუ პირველ ნაყოფს მადლობის ნიშნად სწირავდნენ ხოლმე ამ ნაყოფის მომცემელ ღმერთს. ამისდა მიხედვით, ნება მიბოძეთ, მეც უმორჩილესად გიძღვნათ პირველი ნიბუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მივყავი თქვენი შთაგონებითა და რჩევით.“¹⁶ დიდ მოღვაწეს სჯეროდა რომ საქართველოს მომავალ განათლებულ სამშობლოს პატრიოტ ახალგაზრდებზე იყო დამოკიდებული. ჩემი კალო გავლენე ახლა ახალგაზრდობაზედ არის საქმე. ბევრ სანუგუმოს ვხედავ ახალგაზრდობაში - აღნიშნავდა იგი.

კირიონი თერგდალეულთა ტრადიციებზე აღზრდილი თაობის ღირსეული წარმომადგენელი იყო. მასთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლომოური. მისი მეცნიერულ საქმიანობას დიდად აფასებდნენ: აკად. ნ.მარი, ალ.შახმატოვი, ლ.დიმიტრიევი, ივ.სოკოლოვი, გ.ბერგმანი, ივ.ჯავახიშვილი, ე.თაყაიშვილი, მ.ჯანაშვილი, მ.თამარაშვილი.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად არჩევის შემდეგ მან დიდი შრომა გასწია ყოფილი საეგზარქოსოს სკოლების ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნისათვის. 1918 წლის 26 იანვარს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს თბილისის უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალი დაიწყო უნივერსიტეტში არსებულ ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II საზეიმო წირვით. მან გულთბილი სიტყვით მიმართა ქართველ ხალხს, მიულოცა უნივერსიტეტის გახსნა და ისურვა დასავლეთ ევროპის დიდი უნივერსიტეტების მსგავსად თეოლოგიის ფაკულტეტის შექმნაც, რომელიც დიდ როლს შეასრულებდა ახლად აღორძინებული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ქართული კულტურის დიდი ქომაგი და პატრონი 1918 წლის 27 ივნისს ტრაგიკულად აღესრულა მარტყოფის მონასტერში, მაგრამ მისი საქმენი, მისი ღვაწლი სამშობლო ქვეყნის ისტორიაში დაუვიწყარია დღეს ის კიდევ უფრო გაბრწყინდა და მადლიერი შთამომავლობა პატივისცემას და სიყვარულს მიაგებს მგზნებარე მამულიშვილსა და საეკლესიო მოღვაწეს, რომელიც იყო ქართული ინტელექტუალური სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენელი.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი (ოქროპირიძე) აღიზარდა დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწის ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ოჯახში. ეპისკოპოსი ალექსანდრე XIX საუკუნის იმ გამოჩენილ მოღვაწეთა წარმომადგენელია, რომელთაც თავისი საქმიანობის

მთავარ მიზნად სამშობლო ქვეყნის სამსახური დაისახეს. ეპისკოპოს ალექსანდრესთან იკრიბებოდა XIX საუკუნის ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ზაქარია ჭიჭინაძე, ვალერიან გუნია და სხვები. ასეთ გარემოცვაში აღიზარდა ლეონიდი, რომელიც ბიძის, ეპისკოპოს ალექსანდრეს რჩევით სწავლის გასაღრმავებლად გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში. ილია ჭავჭავაძემ იმთავითვე იგრძნო, როგორი სამაგალითო მოღვაწე გაიზრდებოდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ახალგაზრდა ძმიშვილი, როცა აღნიშნა: “ალექსანდრე ეპისკოპოზის უპირველესი ღვაწლი იმაშიც გამოიხატება, რომ მან აღზარდა განძი, რომელსაც ჩვენ შევხარით სასოებითა და იმედით“. (იხ. “საქართველო“ 1919 წ. №42) აკადემიის დამთავრების შემდეგ (1888 წ.) იგი დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო “კავკასიის ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და მისიონერად“. ლეონიდის ინიციატივით გაიხსნა სკოლები ჯავახეთში, მთიულეთში, საინგილოში. “ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ - აღნიშნავდა იგი - განვლო ქართული ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე განუწყვეტლივ დავდივარ საქართველოს მთასა და ბარში სახარების სიტყვის, ჰუმანიტარული სწავლა-განათლების და ეროვნული შეგნების ხელგამლით სათესად.... ვცხოვრობ მხოლოდ იმისათვის, რომ შევძინო და რამე შევმატო სათაყვანო სამშობლოს. ეს იყო და არის ჩემი სუნთქვა, ჩემი განუმორებელი ზრახვა, ჩემი ერთად ერთი ღზინი და უაღრესი ბედნიერება“.¹⁷

დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა საინგილოში ლეონიდის საქმიანობას. 1890 წელს მისი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენას. იგი აღნიშნავდა: ინგილოები საკმაოდ დაიტანჯნენ მაჰმადიანთა სასულიერო წოდების სივერაგის გამო. ჩვენს დროში ისინი ღვანან უეჭველის დაღუპვის უფსკრულის პირასა და ამის გამო ჩვენი ზნეობითი ვალია, ჭეშმარიტების სამსჯავროს, საკუთრის სინდისისა და ბოლოს ამავე ერისვე წმ. მოწამე წინაპართა წინაშე ვუშველოთ მას, დავიფაროთ იგი, ხელი შევეუშალოთ მაჰმადიანობას იმის განადგურების საქმეში, დავკეტოთ მეჩეთებთან არსებული სკოლები, ვითარცა მთესველნი მაჰმადიანობისა და შემოვიღოთ სავალდებულო სწავლება მთავრობის მიერ დაწესებულს სკოლებში“¹⁸ ლეონიდის დამსახურება იყო საინგილოში ქრისტიანობის განმტკიცება და მოსახლეობის ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე მტკიცედ დგომა. მისი ღვაწლით განახლებულ იქნა საინგილოში თასმალოს ეკლესია. ქართლში - თიღვის, მცხეთის, საფარის, სამების, ჯვრის ეკლესიები. ლეონიდი იყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

მისი მცდელობით ტაძრის განახლებისათვის შეიკრიბა 70 000 მანეთი. ლეონიძმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს საეგზარქოსოს სკოლებში ქართული ენის შესწავლის საქმეს. ლეონიძი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემებს და მკაცრად ილაშქრებდა ეროვნული ნიჰილიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. “სიყვარული პირველად ქვეყნიერებისა და სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარემესი და არა შინაურისა ემსგავსება წალმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი და გადაბრუნებული ტანისამოსით პამპულობას, ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამ გვარის მანკიერ შვილთგან და სამგზის კურთხეულ იყოს მშობელი ერისა და მამულისათვის თავდადებით მოსიყვარულე ქართველი“.¹⁹ იგი მეგობრობდა ქართველ ხალხოსან მწერლებთან: ნ.ლომოურთან, ს.მაგლობლიშვილთან, მწერალ დ.კლდიაშვილთან. ნ.ლომოურისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: “თქვენი პიროვნება მუდამ გაციკროვნებული იყო ჩემს წარმოდგენაში მაღლიანი და საყვარელი ადამიანის შარავანდელით, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ამ უკანასკნელ დღეებში ერთმა გარემოებამ დიდად გამიცხოველა ესეთი ჩემი წარმოდგენა. დ.კლდიაშვილმა მიაძხო, რომ ქართული ენა შემაყვარა და ხელში კალამი ამაღებინა ნ.ლომოურმა. ისეთი თანაგრძნობით იხსენებდა თქვენს სახელს, რომ მეტი სიამოვნებისგან გული ამიჩუყდა“.²⁰

სოფ. მაგლობლიშვილის აზრით - ყოვლადსამღვდელო ლეონიძმა 25 წელიწადი ეკლიანი გზით იარა. მისი პირდაპირობა, სიმართლისმოყვარეობა, ტრფიალი სამშობლო ეკლესიისა არავის ეპრიანებოდა და ამიტომ მის სავალ გზას ეკლით უფენდნენ, მაგრამ იგი უღრეკად მოსდევს თავის ვარსკვლავს. ეპისკოპოსი ლეონიძი იყო ბრწყინვალე მქადაგებელი. თავის ქადაგებებში, რომელნიც ქართველ წმინდანთა ცხოვრებას ეხებოდა ლეონიძი ამჟღავნებდა საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნას. მისი აზრით სარწმუნოების ერთგულებამ იხსნა საქართველოს მრავალრიცხოვან მტერთაგან. “ისტორიაში - წერდა იგი - იშვიათი იმისთანა მაგალითები, როცა კაცობრიობის რომელიმე ნაწილს თავს დასტეხოდეს სარწმუნოების გულისათვის იმდენი ძარცვა-რბევა, იმდენი დევნა-ჟლეტა, რამდენიც დაითმინა საქართველომ და იგი კუთხე არ გამხდარიყოს უდაბნოდ და გასულ მხეცთა საცხოვრებელ ალაგად, იგი არ გამქრალიყოს სრულიად საქართველო კი, როგორც ვხედავთ, დღესაც მოჭედილია ცის მსგავსი საოცნებო სვეტიცხოვლით, ალავერდით, გელათით.“²¹

ლეონიძი გულისტკივილით შენიშნავდა XX საუკუნის დასაწყისში ქართული პრესისი ფურცლებზე სოციალ-დემოკრატების მავნე პროპაგანდის მომავალ მძიმე შედეგებზე “ურწმუნობა, უღვთოება, ათეისტობა ყოველთვის და ყოველგან გამხრწ-

ნელი, დამცემი და დამღუპველი ყოფილა საზოგადოებისა“²² - აღნიშნავდა იგი. მისთვის სრულიად მიუღებელი იყო საზოგადოების ერთ ნაწილში დამკვიდრებული აზრი წარსულის ჩხრეკა მომავალს არაფერს შესძენსო. იგი ცდილობდა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის, წმ. მეფე თამარის ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით განემტკიცებინა ქართველობაში ქრისტიანობის რწმენა და სამშობლოს სიყვარული “თუ თქვენთვის ღირებულებას მოკლებული არ არის თქვენი სამშობლოს აღდგენა-გაძლიერება, თქვენი მშობელი ერის განათლება და ბედნიერება, მოსვენებას არ უნდა გაძლევდეთ თამარ დედოფლის აჩრდილი. ასე მიმართავდა იგი თანამემამულეებს და განაგრძობდა – თქვენი ღმობიერი საქციელით უნდა სპობდეთ ცხოვრებაში ფესვადგმულ ერთი მეორის მტრობას და სიძულვილს, მედგრად უნდა ებრძოდეთ ყველაფერს, რაც ხალხს აკავებს სიბნელეში და უშეცრებაში, ერთი წამითაც არ უნდა ურიგდებოდეთ თქვენი სამშობლოს ვისგანმე ჩაგვრას“²³ ლეონიდი ფრიად შეწუხებული იყო XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში დამკვიდრებული სამწუხარო ტენდენციით, რაც კუთხურობისაკენ სწრაფვაში გამოიხატებოდა, როცა ხალხს არ ემჩნეოდა - სულიერი მთლიანობა, ზნეობრივი ერთობა და გონებრივი განუყოფელობა “ნალველი მისივლება და გული შუაზე მეპობა, როდესაც ვუკვირდები დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და მოქმედებას“ აღნიშნავდა ლეონიდი. სწორედ “იმ დღევანდლობას“ მსხვერპლი გახდა ქართველი ხალხის სასიქადულო შვილი ილია ჭავჭავაძე, რომლის დაკრძალვაზე ეპისკოპოსმა ლეონიდმა ამ სიტყვებით მიმართა თანამემამულეებს: “გლოვით შეპყრობილნო, საყვარელნო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგან უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანაულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებითი თუ უნებლიეთი დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მოძღვრებას“.²⁴

ეპისკოპოსი ლეონიდი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღმდგენისათვის მებრძოლი პიროვნება, მან ეპისკოპოს კირიონთან ერთად დიდი როლი შეასრულა 1906 წლის პეტერბურგის სინოდის ცნობილ სხდომაზე, სადაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი იხილებოდა. ლეონიდის გამოსვლა იყო ფაქტებისა და მოვლენების ბრწყინვალე ანალიზზე დაფუძნებული, რამაც ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე რუს მღვდელმთავრებზეც კი იმოქმედა. მან დიდი როლი შეასრულა 1917 წლის 12 (25) მარტს შემდეგ საქართველოს სამოციქულო

ეკლესიის ავტოკეფალიის განმტკიცების საქმეში. იგი იყო პირველი ქართველი მღვდელმთავარი, რომელმაც 14 მარტს საქართველოს ეგზარქოს, პლატონს წაუკითხა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის განჩინება მისი ეგზარქოსობიდან გადაყენების შესახებ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებთან, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად დიდი ბრძოლა გადაიტანა ეგზარქოსის ყოფილი სასახლის საქართველოს საკათალიკოზო რეზიდენციად გადაქცევისათვის. რუსი ჯარისკაცებით სავსე ქალაქში, სადაც თვით ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად დაიკავა ეგზარქოსის ყოფილი რეზიდენცია. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების აღდგენა მისთვის იყო დიდი ოცნების აღსრულება. მან საქართველოსათვის საამაყო და ამავე დროს უმძიმეს დროს სვეტიცხოველში ამ სიტყვებით მიმართა ქართველობას: “ჩვენი ეროვნული შარავანდელის და სიამაყის სათაყვანებელი ერეკლეს კუბოს წინ ფიცი დავდოთ, რადგანაც ჩვენ საყვარელ სამშობლოს გარეშე მტრები მოსდგომიან კარზე და აკლება დამონებით ემუქრებიან ლუკმას პირიდან გამოვიცლით უკანასკნელ პერანგს გავყიდით... ყველაფერს სამშობლოს სამსხვერპლოზე დავდებთ”.²⁵ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად ყოფნის პერიოდში (1918-1921 წლებში) უწმიდესი ლეონიდი განცვიფრებული იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის საქართველოს ეკლესიისადმი დამოკიდებულებით. იგი გულისტკივილით წერდა: “ეკლესიას წაართვეს მოქალაქეობრივი უფლება და შეძლება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ნუგეში ეცა მორწმუნეთათვის ყველა იმ დღესასწაულებში, რომელიც შეადგენს წმიდათწმიდას და ისტორიულ ატრიბუტს მათი ქრისტიანული რწმენისას და იძულებულს ხდიან მათ თავისი დღესასწაულები და ტიპიკონი ამქვეყნიურ და ისიც სოციალისტურ ანგარიშებს შეუფარდოს... საქართველოს ეკლესიამ ძველად შექმნა ის ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ორგანიზმი, რომელსაც საქართველოს სახელით ვიცნობთ”.²⁶ და რომელიც არაფრად მიაჩნდათ სოციალ-დემოკრატებს.

საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის ჯარების შემოჭრა, ქვეყნის ანექსია უწმიდესმა ლეონიდმა ძლიერ განიცადა. იგი 1921 წლის 25 თებერვლიდან 12 აპრილამდე განერიდა დედაქალაქს და ქუთაისში იყო, როცა უკან დაბრუნდა ახალი ხელისუფლების დეკრეტი დახვდა, რომელთაც ეკლესია, როგორც იურიდიული ორგანიზაცია აღარ იქნებოდა, ე.ი. კანონგარეშე ცხადდებოდა. ლეონიდი ვერაფრით ვერ შეეგუა ახალ სინამდვილეს. იგი სულ მალე გარდაიცვალა (11 ივლისს 1921 წ.).

უწმიდესი ლეონიდე თავისი მოღვაწეობის მანძილზე ქართული ინტელიგენციის, მეცნიერების, სასულიერო წარმომადგენლების შუაგულში იდგა. მეგობრობდა ე.თაყაიშვილთან, ნ.მართან, მ.ჯანაშვილთან, კ.კეკელიძესთან, პ.ინგოროყვასთან, ზ.ავალიშვილთან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში თანამშრომლობდა ეპისკოპოს კირიონთან, მაგრამ სრულიად საქართველოს პირველი საეკლესიო კრების შემდეგ, როცა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონი მათი გზები გაიყარა, რითაც კარგად ისარგებლეს უსინდისო მედროვეებმა და მათ შორის დაპირისპირება აშკარა კონფროტაციაში გადაზარდეს. უწმიდეს ლეონიდეს ხმა უნდა აემაღლებინა იმ დანაშაულებრივი ჭორის წინააღმდეგ, რომ თითქოს მარტყოფის მონასტერში უცნობი მტარვალის მიერ ტყვიით განგმირული კირიონ კათალიკოზმა თვითმკვლელობით დაასრულა თავისი სიცოცხლე. ისტორიაში მათი ურთიერთდაპირისპირება ფრიად სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შთამომავლობამ სათანადო პატივი არ მიაგოს მის ღვაწლს საქართველოს ეკლესიისა და ქართული კულტურის წინაშე.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია) ჯერ კიდევ ყაზანის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1897-1901 წ.წ.) აქტიურად ჩაება საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლაში. როგორც მისი თანაკურსელი იპ.ვართგავა იგონებდა - უნივერსიტეტში სტუდენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის (ს.გორგაძე, ბ.ხელაია) იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ საქართველოს მომავალზე.²⁷ საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1892-1899 წლებში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა აფხაზეთში, სადაც რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფლების რეაქციული პოლიტიკის წყალობით მზადებოდა ნიადაგი სოხუმის ეპარქიის საქართველოდან ჩამოშორებისათვის. ამბროსი ქართული და რუსულ პრესაში ამხელდა რუსეთის ხელისუფლების ვერაგული ჩანაფიქრის არსს. 1902 წლიდან 1904 წლამდე რაჭაში ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად ყოფნის დროს მან აღმოაჩინა “ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტი, რომელიც გამოკვლევითურთ შევიდა “ძველი საქართველოს“ პირველ ტომში, ხოლო ცალკე გამოიცა 1911 წელს. ამ აღმოჩენით მნიშვნელოვნად გამდიდრდა ქართული წყაროთმცოდნეობა არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1907 წლის 28 დეკემბერს წაიკითხა სპეციალური გამოკვლევა “ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტის შესახებ. მისი აზრით “ხელნაწერის პირველინაწილი უნდა ეკუთვნოდეს XIII-XIV საუკუნეს. ჩვენ შესაძლებლად ვთვლით განაგრძობდა იგი. ამ ხელნაწერის დედნის გადაწერა დავსდოთ არა უგვიანეს XI საუკუნისა და თუ ეს უკანასკნელი აზრი მივიღეთ, მა-

შინ უთუოდ იმაშიც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ვარიანტი ქართლის მოქცევისა უბველესი დედნიდან უცვლელად არის გადაწერილი“²⁶ არქიმანდრიტი ამბროსი კარგად ერკვეოდა წმ. ნინოს ცხოვრების სხვადასხვა ხელნაწერ ვარიანტებში იგი ერთმანეთს უდარებდა ახლად აღმოჩენილ ტექსტსა და ცნობილ ვარიანტებს და აზუსტებდა მათ შორის განსხვავებებს. ახლად აღმოჩენილ ტექსტზე მუშაობისას კარგად სჩანდა ავტორის ღრმა განსწავლულობა, საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში, მართალია იგი ქრისტიანული თავმდაბლობით შენიშნავდა “ჩვენ როგორც არა სპეციალისტს ისტორიულ კითხვებში, არ შეგვეძლო უფრო საბუთიანად შეგვედგინა ეს ჩვენი მოხსენება და ამისათვის შეიძლება ვერ დავაკმაყოფილეთ საზოგადოების ცნობისმოყვარეობა“²⁹ მაგრამ მის ამ გამოკვლევას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ივ.ჯავახიშვილი, ე.თაყაიშვილი, პ.ინგოროყვა და სხვები. არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1902-1903 წლებში დაწვრილებით აღწერა რაჭა-ლეჩხუმის სიძველენი და ამით დიდი სამსახური გაუწია ქართული საისტორიო მეცნიერებას.

თავისი მსოფლმხედველობით ამბროსი იყო თერგდალეულთა დიდი თაობის სულისკვეთების გამგრძელებელი. იგი საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროპაგანდისტი იყო. ამიტომაც სასტიკად იდევნებოდა. 1909 წლიდან იგი ფაქტიურად გადასახლებაში იყო, მაგრამ 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციაში ეპისკოპოს ანტონ გიორგაძესთან და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესთან ერთად პეტერბურგში რუსეთის დროებითი მთავრობისა და სინოდის წევრებთან მოლაპარაკებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შესახებ.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდის გარდაცვალების შემდეგ მიტროპოლიტი ამბროსი კათალიკოზ-პატრიარქად ისე აირჩიეს რომ მისი თანხმობაც კი არ ჰქონდათ, მაგრამ საქართველოს ეკლესიის მესვეურთ სწამდათ, რომ შექმნილ ურთულეს ვითარებაში უწმიდეს ამბროსის ქართველ იერარქთაგან ყველაზე უკეთ შეეძლო საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში ეკლესიისა და ქართველი ერის ინტერესების დაცვა. უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ სრულად იტვირთა ეს მისია არა მარტო გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმით, არამედ სასამართლო პროცესზე ბოლშევიკების ანტიხალხური და ანტიეროვნული პოლიტიკის მხილებით. მოსამართლე პროკოფი ოკუჯავას კითხვაზე რაში გამოიხატა საქართველოს დამონება რუსეთის მხრივ? უწმიდესმა ამბროსიმ უპასუხა - ასოცი წლის თავისუფლების და დამოუ-

კიდებლობის მაძებარ ხალხს თავისუფლების ინტერვენციით წართმევაში, ენის დევნაში, ტერიტორიის სხვის ხელში გადაცემაში და იმაში, როდესაც ხელისუფლება ქართველთა ხელში არ არის“.³⁰

უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსის ბოლშევიკების მიერ მოწყობილ სასამართლო პროცესზე პიროვნული ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა, როცა საბჭოთა “მოსამართლეებს“ მოახსენა, რომ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის ავტორი იყო თვითონ და საკათალიკოზო საბჭოს წევრები უდანაშაულონი იყვნენ ამ საქმეში. ამით მას სურდა საკუთარი თავგანწირვის ფასად რეპრესიებისგან ეხსნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია “ვხედავდი ქართველი ხალხის ეროვნული მოსპობის საშიშროებას - აღნიშნავდა უწმიდესი ამბროსი - სასამართლოზე - მოვალე ვიყავი, ხმა ამომეღო, ხოლო ახლა ამ მოვალეობის ასრულებისათვის ვსდგევარ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინაშე, რომელიც მასამართლებს, როგორც “დამნაშავეს“.³¹ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ვერ გატეხა სასამართლომ და ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა. უწმიდესმა ამბროსიმ მთელი თავისი წიგნადი ფონდი საჩუქრად გადასცა თბილისის უნივერსიტეტს. მისი თავგანწირვა ღირსეულად შეაფასა შთამომავლობამ იგი წმინდანის შარავანდედით შეიმოსა.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მატარებელი პიროვნება იყო. თბილისის სასულიერო სემინარიის გარდა მას უსწავლია თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იგი ისმენდა ივ.ჯავახიშვილის, კ.კეკელიძის, აკ.შანიძის გ.ჩუბინაშვილის ლექციებს. ქრისტეფორე ციციშვილი დიდი ხნის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქართულ გიმნაზიაში, როგორც ქართული ენის მასწავლებელი. ბუნებრივია ქართული ენის მასწავლებელი სამშობლოს პატრიოტი უნდა ყოფილიყო და ქრისტეფორეც სიტყვით და საქმით ცდილობდა ქართველი ახალგაზრდობის სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდას. მისთვის სიტყვით სამშობლოსადმი მსახურება არაფერს ნიშნავდა ზოგიერთი ქართველი პატრიოტი, რომელნიც რუსეთში ყოფნის დროს სამშობლოზე წუწუნებდნენ, როცა ბრუნდებოდნენ საქართველოს ინტერესებს არად აგდებდნენ. ქრისტეფორე ამხელდა თბილისის სემინარიაში მოღვაწე ანტიქართული ორიენტაციის მღვდელ ისიდორეს, რომელიც ქართველებს „ურწმუნო ველურებს“ უწოდებდა. როცა იგი გარდაიცვალა მის დაკრძალვას 50-ზე მეტი კაცი არ დაესწრო.³² აღნიშნავდა იგი.

ქრისტეფორე ციციშვილმა მკაცრად გაილაშქრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე ქართული ლოცვისა და გალობის მოწინააღმდეგეთა მი-

მართ. იგი დამფასებელი იყო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა თვითონაც წერდა ლექსებს, სანიმუშოდ მოვიტანთ მისი ერთი ლექსიდან ნაწყვეტს:

ნეტავი იმას, ვისაც არასდროს
ფიქრი და ნატვრა არა სჩვევია,
ვის გულსაც, მუდამ გალალეულსა
ტანჯვა არსადროს არა სწვევია
ნეტავი იმას, ვის ტრფობას ალი
გულის სიღრმეში არა ნთებია
ვისაც ღამენი მოუსვენარი
გამმაგებულსა არ უთენებია³³

ქრისტეფორე ციციშვილის აზრით პატრიოტიზმი ჯანსაღი გრძნობაა, რომელიც ამშვენებს და ხელს უწყობს ობიექტური წარმოდგენების შექმნას მასში. იგი განსხვავდება ფსევდო-პატრიოტიზმისგან, პატრიოტიზმი ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან ყალიბდება და ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მის აღზრდას - გარემოს რომელიც სათავეს იღებს მშობლების, ნათესავების, მეგობრების, კუთხის, სოფლის, ქალაქის სიყვარულიდან და შემდეგ მასში ნივთება სამშობლოს სიყვარული. მაგრამ იმისათვის რომ ადამიანი ნამდვილი პატრიოტად ჩამოყალიბდეს საჭიროა ბავშვობიდანვე მიერვიოს კარგისა და ცუდის გარჩევა, რადგან თავდაპირველად ყველაფერი დადებითად ეჩვენება. პატრიოტულ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ერების პატივისცემის ჩანერგვას ეს კი მათი ისტორიის, კულტურის გაცნობით ხდება.³⁴

ქრისტეფორე ციციშვილს საინტერესო დაკვირვებები ჰქონდა საქართველოს ცალკეულ კუთხეებზე, ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილები “ხუნევის საზოგადოება (შორაპნის მაზრა) “ღლეობანი და ხატობანი ხეფნისხევში“, ქრისტეფორე ციციშვილს ჩაუწერია ხალხური გადმოცემა თამარ მეფის მიერ ტბეთს ეკლესიის აშენების შესახებ. გადმოცემით მშენებლობის პროცესში ეკლესია რამდენჯერმე დანგრეულა სიზმარი უნახავთ, რომ საძირკვლის ქვები ურმებზე უნდა გადაეტანათ და იმდენ ხანს ეტარებინათ სანამ მიწაზე არ დაეცემოდნენ და ბოლოს ასე შეურჩევიათ ეს ადგილი, სადაც აუგიათ კიდევ ეკლესია.³⁵

საინტერესოა ქრისტეფორე ციციშვილის მიმოხილვა სურამის ახლოს მდებარე ხეფნისხევის ხეობის შესახებ. იგი აღწერს ხეობის სოფლებს მათ საოჯახო და სამეურნეო საქმიანობას, მოსახლეობის ჩაცმულობას, მეტყველების კილოს თავისებურებებს. ქრისტეფორეს დაკვირვებით “ოქონობის“, “ხალარჯობის“, “ვარდობის“

დღესასწაულები წინაქრისტიანული ხანისაა რადგან ამ დღესასწაულზე უქმე დღედ ორშაბათი ცხადდებოდა. ქრისტეფორე ციცქიშვილი მკაცრად აკრიტიკებდა საქართველოს საეკლესიო სკოლებში ქართული ენის დევნა-შევიწროების რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ პოლიტიკას. საქართველოს ეგზარქოსების მთავარ მიზანს შეადგენდა ისეთი სასულიერო სკოლების შექმნა, სადაც არა ღვთისმეტყველებისა და სასულიერო განათლებას დაეუფლებოდნენ ქართველი მოსწავლეები, არამედ მოხდებოდა მათი გარუსება. მისი აზრით ხელისუფლების გადაწყვეტილება თითქოს იმ მიზეზით განიდევნა საეკლესიო სკოლებიდან ქართული ენა “თითქოს ქართული ენა აღარ წარმოადგენდა ქართველი მოსახლეობისათვის საერთოს, სხვადასხვა კუთხის ქართველები სხვადასხვა ენაზე (ქართლებად, კახურად, იმერულად, მეგრულად) საუბრობდნენ და მათ ერთმანეთის არაფერი ესმოდათ. არის სახიფათო, კერძო არგუმენტები, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების დაშლას, ეროვნული შეგნების დანაწევრებას, კუთხურობის ზრდას ემსახურებოდა“. ქრისტეფორე ციცქიშვილის ასეთი პირდაპირობა მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის, მაგრამ იგი რიგითი სასულიერო პირი იყო და მისი დასჯა დიდ რეზონანს ვერ გამოიწვევდა, სამაგიეროდ ღვაწლმოსილი ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე 1903 წელს გადააყენეს გურია-ოდის მმართველის თანამდებობიდან და იქ მის ნაცვლად რუსეთის იმპერიის ინტერესების ერთგული დამცველი ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) გადაიყვანეს. ქრისტეფორე ციცქიშვილმა არაერთხელ ამხილა ის რუსი ეგზარქოსები, რომელიც ჟურნალ “დუნოვნი ვესტნიკში“ ბეჭდავდნენ ანტიქართული სულისკვეთების წერილებს. მისი აზრით ასეთი ვითარება გაგრძელდებოდა მანამ, სანამ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიას არ აღიდგენდა.

ქრისტეფორე ციცქიშვილი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად ყოფნის დროს პირისპირ დადგა იმ სამწუხარო, მაგრამ რეალური ტენდენციის წინაშე, რაც აფხაზურ მოსახლეობაში მკვიდრად იკიდებდა ფეხს. ეს იყო დაუფარავი ანტიქართული განწყობილება, რომელიც ანტირელიგიური პროპაგანდის დროშით ინიღბებოდა. ჩანაწერში “აფხაზეთის სიძველენი“ აღნიშნავდა “აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ეს კარგად ჩანს აქ შემორჩენილი კულტურის ძეგლებშიც. ქართული ეკლესია-მონასტერთა სიმრავლეში, უძვობესი და აუცილებელია ქართველმა ისტორიკოსებმა არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა საზოგადოებებმა მეტი ყურადღება დაუთმონ აფხაზეთის სიძველეთა შესწავლისა რათა ბოლო ჟამს მომძლავრებული ჩვენთვის არასასურველი პოზიციების არგუმენტირებული უარყოფა მოხერხდეს“.³⁷

ქრისტეფორე ციცქიშვილი შეეხო ცნობილი რუსი რეაქციონერი სასულიერო პირის ი.ვოსტორგოვის საქმიანობას საქართველოში. მისი აზრით ვოსტორგოვის ანტიქართული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში დიდი იყო მისი მასწავლებლის ვ.ველიჩკოს როლი. ველიჩკო ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ჩვენი ერის მეგობრად იყო მიჩნეული, მაგრამ რა მეგობრობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი როცა იგი წინააღმდეგი იყო საქართველოში საერობო და სასამართლო რეფორმის ჩატარებისა, ქადაგებდა ქართველი ერის უპერსპექტივობას. მისი გზა განაგრძო ვოსტორგოვმა თუმცა “თავდაპირველად იგი სიფრთხილეს იჩენდა მაგ. 1901 წელს თვლიდა, რომ მშობლიური ლიტერატურის სწავლების ექვსი კვირეული საათი უნდა დათმობოდა. 1904 წელს კი შეტევაზე გადავიდა და აკრძალა ქართული ენის სწავლა იმ მოტივით რომ თითქოს ქართული ენა არ იძლეოდა საშუალებას დვთისმეტყველების შესწავლისათვის.”³⁸ ქრისტეფორე ციცქიშვილმა მკაცრად გაილაშქრა ვოსტორგოვის მიერ შედგენილი და საეგზარქოსოს დამტკიცებული სასწავლო გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილების არაქართველებად ჩათვლა და მათთვის ქართულ ენაზე სწავლების აღკვეთა. ეს იყო XIX საუკუნის 80-იანი წლების რუსული იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც ნათლად ჩამოაყალიბა იმდროინდელმა განათლების მზრუნველმა კ.იანოვსკიმ. ქრისტეფორე ციცქიშვილის სამართლიანი შენიშვნით ვოსტორგოვის მოღვაწეობა იყო უკიდურესად რეაქციული და მიმართული იყო ქართველი ერის გადაგვარებისკენ, რასაც ზურგს უმაგრებდა და აქეზებდა სასულიერო ხელისუფლება და თვითმპყრობელობა.”³⁹

ქრისტეფორე ციცქიშვილის, როგორც მოაზროვნის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მისი რეფერატი “სოციალიზმი საქართველოში“, რომელიც აღნიშნავს, რომ სოციალიზმის იდეა იმ ქვეყნისათვის იყო განკუთვნილი, სადაც მრეწველობა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი საზოგადოებრივ-სოციალური ინფრასტრუქტურაა ჩამოყალიბებული, ასეთ ქვეყნებად მას მიაჩნია ევროპის განვითარებული სახელმწიფოები, რაც შეეხებოდა საქართველოს მისი აზრით ნაკლები საფუძველი არსებობდა სოციალიზმის გავრცელებისათვის. ქრისტეფორე ციცქიშვილი საკმაოდ კრიტიკულად უყურებდა თერგდალეულთა თაობის წარმომადგენელს გიორგი წერეთელს, მის ლიტერატურულ შემოქმედებას, მისი აზრით “გ.წერეთელს პიროვნული ამბიცია ამოძრავებდა, როდესაც უპირისპირდებოდა ი.ჭავჭავაძეს, ცდილობდა გაუცნობიერებლად ახალი მოძრაობის (სოციალისტურის) სათავეში მოქცეოდა და მისი საჭიროების მიუხედავად პოპულარიზაციას უწევდა სოციალისტურ იდეებს.”⁴⁰

ქრისტეფორე ციციშვილის ამ მოსაზრების გ.წერეთელზე ნაწილობრივ უნდა დავეთანხმეთ. მისი აზრით სოციალიზმი შესაძლოა მართლაც წარმოადგენდეს ღიდ მოძღვრებას, მაგრამ მისი საქართველოში გავრცელებისათვის არავითარი პირობები არ არსებობდა. სამწუხაროდ ქრისტეფორე ციციშვილი ბოლომდე ვერ დარჩა თავისი პრიციპების ერთგული და საბჭოთა ხელისუფლების მიერ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და ქვეყანაში “სოციალიზმის მშენებლობის“ პირობებში აქტიურად დაუჭირა მხარი ბოლშევიკებს და ქართველი სამღვდელოების ის ნაწილი ვინც ბოლშევიკური ბოღვითი იღებები არ გაიზიარა ისტორიიდან გარიყულად გამოაცხადა.

ქრისტეფორე ციციშვილი საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობდა თავის უბის წიგნაკებში, აკრიტიკებდა იმ მოღვაწეებს, რომელნიც ქართველი ერის ღირსების ნიშნად მის ნაციონალიზმისაგან თავისუფლებას თვლიდა, რაც არასწორად მიაჩნდა. ნაციონალიზმი ის გრძნობაა, რომელმაც უნდა გადაარჩინოს ერი გადაგვარებისაგან.

ქრისტეფორე ციციშვილი, როგორც მოაზროვნე და სასულიერო პირი წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო. როგორც მოაზროვნე თანამიმდევრული იყო მოვლენების და ფაქტების ობიექტური შეფასებაში, მაგრამ როგორც სასულიერო პირი ზოგჯერ ობიექტურობას კარგავდა. მისი ტენდენციური დამოკიდებულება არაერთხელ გამომჟღავნდა სასულიერო პირების მიმართ ჟურნალ “ახალი სიტყვის ფურცლებზე“ რამ დააწერინა ასეთი სიტყვები უწმიდესა და უნეტარეს კირიონ II “როგორი ყალბიც იყო მოწამებრივი შარავანდელი კირიონ II, ისეთივეა მისი მეცნიერული შარავანდელი. საზოგადოებაში გავრცელებულია ყალბი აზრი, როგორც მისი მოწამებრიობისა, ასე მეცნიერობისა“⁴⁰ მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა, ისიც ხომ ფაქტია იგი იყო განათლებული პიროვნება, რომელიც თავისი გაგებით ემსახურებოდა ქართულ კულტურას, ეროვნულ იდეალებს და საქართველოს ეკლესიას.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე იყო მრავალმხრივი განათლების, მეცნიერული ტალანტის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელიც თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ კულტურასთან ინტელიგენციასთან. მისი როგორც მეცნიერის მოღვაწეობა საფუძლიანად შეისწავლა მკვლევარმა ნუგზარ პაპუაშვილმა⁴¹ თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც საუკეთესო სტუდენტი 1888 წელს სახელმწიფო ხარჯით კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც დაიწყო კალისტრატე ცინცადის როგორც მომავალი ღვთისმეტყველისა და მეცნიერის ჩამოყალიბება. აკადემიაში სწავლის პერიოდში

არქეოლოგიის პროფესორის ნ.პეტროვის დაგალებით შეისწავლა ტოლოჩანოვის და იევლევის ელჩობა იმერეთში 1650-52 წლებში. გამოკვლევა დაიბეჭდა გაზ. “ნოვოე ობაზრენიეში“ (კიევი 1890, 21.10). ეს იყო ახალგაზრდა კალისტრატეს პირველი სერიოზული ნაშრომი საქართველოს ისტორიაში. 1970 წელს ამ საკითხზე გამოიცა პროფ. იასე ცინცადის ნაშრომი (ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლებრივი აღწერილობა 1650-52 წწ.), რომელშიც ავტორი დაწვრილებით არჩევს წინამორბედი ისტორიკოსების მ.პოლიევქტოვის, გრ.კოტოშიხინის, ს.ბელოუკოვის ნაშრომებს, მსჯელობს მათ ავკარგიანობაზე, სამწუხაროდ იგი საერთოდ არ ეხება კალისტრატე ცინცადის ზემოთასახლებულ გამოკვლევას.

1892 წლის 1 მაისს კიევის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წინაშე ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კალისტრატე ცინცადემ წარმოადგინა ნაშრომი “იბერიის ეკლესია სასანიანთა პერიოდში (265-570 წლებში).⁴² შესავალში ავტორი აღნიშნავდა მისი მიზანი იყო “შეემოწმებინა და შეეფასებინა ქართული მატრიარქების ცნობები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ცხოვრებისა ამა თუ იმ მოვლენას... ამ გზით მას სურს დაეხმაროს მათ, ვინც დააპირებს ქართველი მემატინეთა უდავოდ მდიდარსა და ამავე დონის ნაკლებად შესწავლილი მასალების გაცნობას“.⁴³ ამ ნაშრომში წარმოჩინდა ახალგაზრდა მეცნიერის კვლევის ინტერესთა სფერო ქართლის გაქრისტიანების შესახებ არსებულ წყაროთა და სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მან საინტერესო მოსაზრებანი წამოაყენა. კითხულობ ნაშრომს და გაოცება გიპყრობს როგორ მოახერხა 26 წლის ჭაბუკმა ამდენი წერილობითი წყაროს კრიტიკული შესწავლა. წყაროთა ანალიზის საფუძველზე აღადგინა ქართველთა გაქრისტიანების მთელ ისტორია, საეკლესიო მმართველობასა და იერარქია ქართლში. ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიისა და სხვა ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ნაშრომში კარგად სჩანს ქართლის ეკლესიის ბრძოლა ევტიქისა და ნესტორის მწვალებლობასთან, ქალკედონიანობის პრინციპების დაცვა. საინტერესო მოსაზრებები აქვს ავტორს სამონასტრო მშენებლობის, ქართული ხუროთმოძღვრების, ბერმონაზვნური ცხოვრების წესის ქართლში დამკვიდრების საკითხებისადმი. ნაშრომის რეცენზენტის პროფ. ი.მაღიშევსკის დასკვნით “ავტორს გულწრფელად უყვარდა თავისი სამშობლო და გატაცებულია სურვილით შეისწავლოს მისი ისტორია, იმისათვის ძვირფასია მისი გარდამოცებანი, მისი სიძველენი, მისი მართლმადიდებელობა... ავტორი ვრცლად გაცნობილია ქართულ ისტორიულ პირველწყაროებს, შესწავლილი აქვს რუსეთის ან უცხო ქვეყნელთა ისტორიული მწერლობა... ავტორის შრომა ქების ღირსია.⁴⁴

კალისტრატე ცინცაძე ამ ნაშრომით გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე “იგი თერგდალეულთა მემკვიდრე იყო. ამ თაობის ნაწილის მიერ წამოყენებული აზრი საქართველოს ხსნისა და გადარჩენის შესახებ ახალი როდი იყო XVII-XIX საუკუნეებში ეროვნული განსაცდელის ჟამს, ქართული კულტურის მოღვაწენი ეროვნულ-ეკლესიურ მოტივებზე ამახვილებდნენ ყურადღებას“.⁴⁵ კალისტრატე ცინცაძე როგორც საქართველოს უკეთესი მომავალით დაინტერესებული დიდმნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-განათლების პრობლემებს. იგი ეპისკოპოს კირიონთან ერთად მონაწილეობდა თბილისში ქართული გიმნაზიის საძირკველის ჩაყრის ცერემონიაში, ხოლო 1918 წლის 26 იანვარს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II ერთად აღასრულებდა საზეიმო წირვას ქართულ უნივერსიტეტში. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მას მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა აკავშირებდა თბილისის უნივერსიტეტთან, მის პროფესურასთან, მის მეცნიერულ ნაშრომებს ანგარიშს უწევდნენ: ივ.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, ს.კაკაბაძე, აკ.შანიძე, გ.ჩუბინაშვილი, შ.ნუცუბიძე, მ.გოგობერიძე და სხვები.

კალისტრატე ცინცაძე როგორც მეცნიერი და წყაროთმცოდნე კარგად წარმოჩინდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის პირობებში, როცა მან ჯერ ჟურნალ “პასტორში“ (1894 წ. К.Цинцадзе Автокефалия церкви Грузинской (исторический очерк 1905 вв) თბ. 1905) გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც მეცნიერულად დაასაბუთა სიმართლე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, როგორც ნ.პაპუაშვილი შენიშნავს ამ გამოკვლევებმა სპეციალისტთა სამართლიანი ყურადღება დაიმსახურა.⁴⁶ კალისტრატე ცინცაძის ეს ნაშრომები დიდად წაადგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის საქმეს XX საუკუნის დასაწყისში. საქართველოს ეკლესიის ისტორიის ღრმა ცოდნა ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა და აღდგენის შემდეგ მისი დაცვა იყო კ.ცინცაძის, როგორც მთავარი მოქმედი სასულიერო პირის საქმიანობა 1917-43 წლებში საქართველოს ეკლესიის ისტორიული უფლების დაცვის დროს იგი იყო შეუვალი, ფაქტებისა და მოვლენების ზედმიწევნით მცოდნე, რასაც თვით მისი მოწინააღმდეგენიც აღიარებდნენ “კ.ცინცაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა დაასაბუთა, რომ პიროვნება, ვინც აზიარა ქართული ანბანი იოანე ჰუტენბერგის გამოგონებას იყო იერუსალიმის ქართული მონასტერის წინამძღვარი ნიკიფორე, რომელიც შემდგომ ეპისკოპოსის ხარისხით შეიმოსა“.⁴⁷

კალისტრატე ცინცაძის ნაშრომებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია მისი ნაშრომი “ქვაშეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“,⁴⁸ რომელიც 1930 წლის მარტში დაასრულა. ამ ეკლესიასთან იგი დაკავშირებული იყო XX საუკუნის დასაწყისიდან ახალი ტაძრის მშენებლობა კ.ცინცაძის ქვაშეთში წინამძღვრობის დროს დაიწყო და დასრულდა. ავტორი შესავალში არსებულ წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე აზუსტებს ეკლესიის სახელწოდებას, მის პირვანდელ მდგომარეობას, პირველი და მეორე ტაძრის შესახებ კ.ცინცაძის ცნობები უნიკალურია ნაშრომში მოხმობილ წყაროთა და საბუთთა უძრავლესობა დღეს დაკარგულია.

კ. ცინცაძის ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ქვაშეთის ეკლესიის სიწმინდენი, ქონება-მამულები, ეკლესიის ეზოში დაკრძალული წინამძღვრების, სასულიერო თუ საერო პირთა ბიოგრაფიები. ნაშრომს ახლავს XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა შესახებ უნიკალური ცნობები. წიგნის ავტორი თვალსაჩინოს ხდის არაერთ ისეთ ფაქტს, რომელნიც XIX საუკუნეში მოხდა აჩვენებს საქართველოს ეგზარქოსების სახეს. დაწვრილებით აღწერას XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოს პავლეს სკანდალური განცხადების გამო საზოგადოებაში წარმოშობილ ვნებათაღელვას. გავრცელებული ინფორმაციის საწინააღმდეგოდ თითქოს პავლე ეგზარქოსმა ქართველი ერი სიონის ტაძარში დაწყებულა კ.ცინცაძე აღნიშნავდა, რომ მან “ჩუდეცკის დასაფლავებაზე ალექსანდრე ნეველის სახ. ეკლესიაში წარმოთქვა სიტყვა“.⁴⁹ კ.ცინცაძის როგორც წყაროთმცოდნის, ტექსტოლოგისა და საქართველოს საისტორიო-საეკლესიო საბუთების ღრმა მცოდნის დასტურად წიგნზე დართული მისი კომენტარები გამოდგება. ასევე “საინტერესოა მისი შენიშვნები კაბენის ეკლესია-მონასტერზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, დიდუბის ეკლესიასა და სამრევლოზე“.⁵⁰

კალისტრატე ცინცაძემ კ.კეკელიძესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა “სამღვდელმთავრო კონდაკის“, “კურთხევანის“ გამოცემის საქმეში. მასვე ეკუთვნის გამოკვლევა “ქართული ოდიკისათვის“⁵¹ ფრიად საინტერესოა კ.ეკაშვილის ფსევდონიმით კ.ცინცაძის წერილი “ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის“⁵² მკვლევარ ნ.პაპუაშვილის აზრით “საკითხის დასმის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს მიგნებად უნდა ჩაითვალოს კ.ცინცაძის “შემთხვევითი დაკვირვებების“ ერთ-ერთი დანართი, ბ): “მე რუსთველი ხელობითა ვიქმნ საქმესა, ალამდარი“ (მედროშე, მეზაირაღე) მისი აზრით მერვე სტროფის დამწერს მეტი საბუთი

ჰქონდა ჩათვალა ვეფხისტყაოსნის ავტორი რუსთველ ეპისკოპოს ალამდარად. სასურველია ამ მიმართულებით კვლევა-ძიება“.⁵³

კალისტრატე ცინცაძე თავისი მოღვაწეობით ქართული კულტურის ცენტრში იღვა. არ არსებობდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც იგი არ გამოხმაურებია. მან ერთ-ერთმა პირველმა ზუსტად შეაფასა ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე “ილია ჭავჭავაძე - აღნიშნავდა იგი - მიგვაჩნდა არა მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მოსწავლედ, განა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ და უმთავრესად, გზის მაჩვენებლად, ჭკუის მასწავლებლად, ანუ სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, - წინამძღვრად, ჭეშმარიტად, ჭმუნვასა და სიხარულში. იგი იყო ჩვენი ნუგეშის შთამაგონებელი და შვების მოძეცი, ხოლო ფიქრის, საქმის, შრომის დროსა ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა: მისი რჩევა და დარიგება უსასოდქმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში და ბედისგან განლაღებულს განსაცდელსა და საფრთხისგან დაიხსნიდა“.^{53ა} საინტერესო წერილები მიუძღვნა გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ქართველიშვილს, ზაქარია ფალიაშვილს. მეცნიერული პაექრობა ჰქონდა ლეონ მელიქსეთ-ბეგთან, ს.კაკაბაძესთან, ივ.ჯავახიშვილთან, ს.ჯანაშიასთან. დიდი ქართველი მხატვარი ლ.გუდიაშვილი, რომელსაც 1947 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მონაგვრის წინადადება შესთავაზა და უამრავი ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად მხატვარს მუშაობის საშუალება შეუქმნა. ასე ახასიათებდა უწმიდეს კალისტრატეს: “იგი დიდებული ადამიანი იყო. პატრიოტი, განთლებული, ისტორიის, საეკლესიო მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე... უაღრესად კაცთმოყვარე... მე იგი ისე მომწონდა, რომ მისი სახე ფრესკაში ერთ-ერთ მოციქულად ჩავხატე... მას ეს ძალიან ესიამოვნა“.⁵⁴

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე იყო დიდი გაბრიელ ეპისკოპოსის მადლით გაბრწყინებული, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა როგორც უმაღლესმა სასულიერო იერარქმა, ასევე გამოჩენილმა მეცნიერმა და პედაგოგმა. საბჭოური სულისშემხუთველი რეჟიმის პირობებშიც კი მოახერხა თავისი მეცნიერული იდეების პროპაგანდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის შენარჩუნება. იმ დროს, როცა ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა ჯერ უღმერთოთა კავშირის, ხოლო შემდეგ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის მეშვეობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იზოლაციას უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატესთან იკრიბებოდნენ ქართული კულტურისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები კონსტანტინე გამ-

სახურდია, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ნიკო კეცხოველი, ლადო გუდიაშვილი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე საოცარ ზეგავლენას ახდენდა როგორც მორწმუნეებზე ისე ათეისტებზეც, ბიბლიური სახის მოხუცი ღრმად განსწავლული თეოლოგიასა და საქართველოს ისტორიაში ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ვერასოდეს დაივიწყებს მის ნათელ სახეს იგი ქართული ეკლესიის მშვენება იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ავლიწინოთ განსახილველი პერიოდის (1917-1952 წ.წ.) სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქნი იყვნენ არა მარტო გამოჩენილი სასულიერო მოღვაწენი, არამედ ქართული კულტურის, მეცნიერების მსახურნი და შემოქმედნი. ეპოქა, რომელშიც მათ მოუხდათ ცხოვრება იყო რთული და წინააღმდეგობრივი ყველამ გამოსცადა საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით მონიჭებული სიხარული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებაც (კირიონ II გარდა ს.ვ.), მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებისგან დევნა-შევიწროების, სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვის მიუხედავად მოახერხეს საქართველოს მსახურება. ისინი საქართველოს ისტორიაში დარჩნენ არა მარტო იმიტომ, რომ იყვნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქნი, არამედ დიდებული მამულიშვილნი და ქართული კულტურის ქომაგნი და პროპაგანდისტები.

თ ა ზ ი I V

XX საუკუნის 20-30-იან წლებში მოღვაწე ზოგიერთ სასულიერო პირთა პორტრეტი

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლ სასულიერო მოღვაწეთა შორის დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს გამორჩეული ადგილი უჭირავს. სამწუხაროდ, დღევანდელმა ქართველობამ ცოტამ რამ იცის ნიკიტა თალაკვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ნიკიტა თალაკვაძე დაიბადა 1873 წელს. გურიის სოფ. ასკანაში პირველდაწყებითი სასულიერო განათლების მიღების შემდეგ სწავლის გასაღრმავებლად გაემუშრა კიევში, სადაც 1895 წელს ჩაირიცხა სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1899 წელს. კიევის სასულიერო აკადემიაში სხვადასხვა დროს უსწავლიათ იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ლომოურს, ილია ფერაძეს, მელიტონ კელენჯერიძეს. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებს კირიონ II (საძაგლიშვილი), ლეონიდს ოქროპირიძეს, კალისტრატე ცინცაძეს. მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს: დიმიტრი აბაშიძეს, ნაზარ ლეჟავას, გიორგი ალადაშვილს, პიროს ოქროპირიძეს. ამ აკადემიაში სწავლა მაღალ დონეზე მიმდინარეობდა და რუსეთის ცარიზმის რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიუხედავად, ცალკეული საღვთისმეტყველო საგნის პედაგოგები მაინც ახერხებდნენ სტუდენტებში შეენარჩუნებინათ ეროვნული სულისკვეთება. ამის დასტურია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მოგონებებიდან ერთი საინტერესო ამბავი: – „იმ დროს სასულიერო აკადემიაში ინსპექტორად მუშაობდა პლატონ როჟდესტვენსკი, რომელსაც თავისუფლად ვესაუბრებოდი სტუდენტები. მე როგორც წინასწარმეტყველმა ვუთხარი, რომ ის აუცილებლად გახდებოდა მღვდელმთავარი“.¹

სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1899 წელს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1902 წლის დეკემბრამდე.² 1902 წლის დეკემბრიდან 1903 წლის ნოემბრის ბოლომდე მუშაობდა ფოთის კათედრის დეკანოზად, მაგრამ უთანხმოება მოუვიდა ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძესთან, რომელმაც სთხოვა ეგზარქოს ალექსი ოპოცკის გადმოეყვანა მისი ეპარქიიდან. ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე იყო ცნობილი რენეგატი, რომელმაც 1906 წელს რუსეთის ეკლესიის სინოდის სპეციალურ სხდომაზე, სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი იხილებოდა, განაცხადა – დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდი და ქართული

ეკლესიის დამოუკიდებლობაზე საუბარიც შეწყდებაო. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე დიმიტრი აბაშიძის შესახებ წერდა: „იყო იგი დიდი მოყვარული რუსებისა, მას ქართული და ქართველობა არა სწამდა, თვითონ გარუსებული იყო, არც კი ეხერხებოდა ლაპარაკი ქართულად. იგი იყო რუსეთის ბატონობის ჭეშმარიტი იდეოლოგი“.³ ასეთ ადამიანთან ილია ჭავჭავაძის იდეებზე აღზრდილ ნიკიტა თალაკვაძეს მუშაობა გაუჭირდებოდა.

1903-1912 წ.წ. ნიკიტა თალაკვაძე დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი იყო. ამ დროს საქართველოში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და რუსი ეგზარქოსები ცდილობდნენ ქართველი მორწმუნე მრევლის მეხსიერებიდან ამოეშალათ ქართველ წმინდანთა მოხსენიების დღეები. ნიკიტა თალაკვაძემ მიტროფანე ლალიძის, სოსიკო მერკვილაძის და სხვათა დახმარებით აღადგინა წმ. მეფე თამარის ხსოვნის დღე და თამარობის დღესასწაული. იგი როგორც ეპისკოპოს კირიონის თანამოაზრე აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის მაისში ქართველი სამღვდელოების კრების მუშაობაში, რომელმაც დევნა-შევიწროებისა და შერცხვენის მიუხედავად მაინც კატეგორიულად მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რამაც „აიძულა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე 1906 წლის 11 აგვისტოს სინოდის ობერპროკურორის მოხსენიების საფუძველზე გაეცა განკარგულება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა გადაეცა რუსეთის უახლოესი საეკლესიო კრებისათვის“,⁴ მაგრამ ამავე დროს დაიწყო სასტიკი დევნა შევიწროება და ცილისწამება ავტოკეფალიის მომხრეთა მიმართ. გადაასახლეს და ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქციეს ეპისკოპოსები კირიონი, ლეონიდი, არქიმანდრიტი ამბროსი. ნიკიტა თალაკვაძეს დიდუბეში არა ერთხელ მიაკითხა ჟანდარმერიამ, როგორც იგი გადმოგვცემს, პოლკოვნიკი პასტრიულინი ეუბნებოდა „შენ ავტოკეფალისტი ხარ, დიდუბეში საყდარში რუსები დადიან და რა საჭიროა იქ ქართული წირვა-ლოცვა“.⁵

საქართველოში რეაქციის განსაკუთრებული მძინვარების ხანაში ადგილობრივი ნიჰილისტებიც მონაწილეობდნენ ანტიქართულ კამპანიაში. პატრიოტული ძალებისათვის დიდი დანაკლისი იყო 1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე 1907 წლის 7 სექტემბერს დიდუბის ეკლესიის მრევლთან ერთად შეეგება წიწამურიდან თბილისში მომავალ სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც მოასვენებდა ილია ჭავჭავაძის ნეშტს და მიმართა სიტყვით მას. „დიდებულო მგოსანო, ქართველი ხალხის თავისუფლების წინამორბედი... ქართველი სამღვდელოება მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე, შენს ზეგარდმო – მაღლით ცხებულ შუბლს მარად და მუდამ აღბეჭდილი

ექნება სამშობლოს ტკივილები... ჩვენი ვალაა შევითვისოთ შენი მისწრაფებანი, შენი ანდერძი აღსავრულოთ და მით წამებულმა სულმან შენმან გაიხაროს“.⁶

1912-1924 წ.წ. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე მოღვაწეობდა ანჩისხატის ეკლესიაში. 1916 წელს პატირიმის ნაცვლად დანიშნულმა საქართველოს ეგზარქოსმა პლატონ როჟდესტვენსკიმ ეგზარქოსის სახლში შეხვედრა მოუწყო კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულ ქართველ სასულიერო პირებს. ამ შეხვედრის მიზანი იყო გარკვევა საქართველოში მიმდინარე პროცესებში ეგზარქოსის და იმაშიც – ქართველ სასულიერო პირთა შორის თუ ვინმე იყო დარჩენილი, ვინც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ითხოვდა. შეხვედრა ურთიერთმოკითხვითა და ქათინაურებით ჩაივლიდა, რომ არა დეკანოზ ნ. თალაკვაძის გაბედული გამოსვლა. მან სიტყვით მიმართა ეგზარქოს პლატონს და მოაგონა კიევის სასულიერო აკადემიაში ნათქვამი, რომელიც წინასწარმეტყველურად ახდა და ახალგაზრდა ინსპექტორი პლატონი მღვდელმთავარი გახდა „ახლა იქნება ესეც ახდეს და შენს ღროს ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვოს და შენ უკანასკნელი ეგზარქოსი იყო საქართველოსი“.⁷ ეგზარქოსი პლატონი ფრიად ნაწყენი დარჩა ნიკიტა თალაკვაძის სიტყვით, მართალია ხმამაღლა არაფერი უთქვამს, მაგრამ იმავე წლის 12 აგვისტოს თბილისის ჟანდარმერიის საგამომძიებლო განყოფილებაში გამოიძახეს და მკაცრად გააფრთხილეს, თუ კვლავაც გააგრძელებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლას, ისიც კირიონისა და მისი თანამებრძოლების ბედს გაიზიარებდა. თუმცა ამ დაკითხვას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. დეკანოზი ნ. თალაკვაძე, რომელიც პარალელურად თბილისის ალექსანდრეს საოსტატო სემინარიაშიც მუშაობდა პედაგოგად სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც „გამოუსწორებელი ნაციონალისტი“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის მებრძოლთ უკეთესი ვითარება შეექმნათ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ და მათაც მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი ამბროსი და სხვები რუსეთში გადასახლებიდან ჯერაც არ დაბრუნებულყვნენ სამშობლოში, დაიწყეს ფართო მუშაობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. დეკანოზ ნ. თალაკვაძის საინტერესო მოგონება შემოუნახავს ამ საკითხებთან დაკავშირებით „1917 წლის 8 მარტს ნ. თალაკვაძის ბინაზე შედგა საიდუმლო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ნ. ჟორდანიას, ალ. ლომთათიძე, სოსიკო მერკვილაძე, ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე. კრებაზე რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი გააკეთა ნ. ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სურვილი იყო დაეჩქარებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

შეთანხმდნენ, რომ 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოველში გადაეხადათ მშვიდობის პარაკლისი, ხოლო შემდეგ წაეკითხათ ავტოკეფალიის აღდგენის აქტი“.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოწინააღმდეგეთა შორის რუს რეაქციონერებთან ერთად იყვნენ ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი. ფრთხილობდნენ და შიშობდნენ ეპისკოპოსი ლეონიდი, პიროსი, მაგრამ ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძის შეუდრეკელობამ და ვაჟკაცობამ თავისი გაიტანა. 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტი, რომლის მუშაობაშიც აქტიურად მონაწილეობდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.

დეკანოზი ნ. თალაკვაძე იყო ერთ-ერთი ინიციატორი სამშობლოში სასწრაფოდ დაებრუნებინათ რუსეთის სხვადასხვა ეპარქიებში იძულებით გადასახლებული ქართველი სასულიერო მოღვაწენი, რომელნიც დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ. მან შეუწყო ხელი ქრისტეფორე კაპანაძეს, რომელიც რუსეთში შეხვდა ეპისკოპოს კირიონს და ქართველ მორწმუნეთა სახელით სამშობლოში დაბრუნება შესთავაზა. უზომოდ განარებული და კმაყოფილი ეპისკოპოსი კირიონი საქართველოში დაბრუნდა. საინტერესო წერილია დაცული ნ. თალაკვაძის პირად ფონდში: „დიდად პატივცემულო ნიკიტა მალაქიას ძე, დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის. მე ისე არ მიჭრის ენა და მოსაზრება როგორც შენ, რომ ღირსეულად გამოვთქვა მადლობა, ამიტომ გთხოვ მიიღო ეს უბრალოდ გამოთქმული მადლობა. მე დიდად მადლობელი ვარ იმათი, ვინც ასე დაჟინებით მეძახის სამშობლოში დაბრუნებას. მღვ. მიხეილ ფხალაძე 1917 წლის 31 ივნისი“.⁸ ამ წერილის ავტორი შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ მესამე იყო.

დეკანოზი ნ. თალაკვაძე იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების დროს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და პირველმა გამოაცხადა ახლად ავტოკეფალიააღდგენილი ქართული ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე. იგი, როგორც სამშობლოს თავდადებული მსახური, გულისტკივილით აღიქვამდა იმ ინტრიგებს, რომელიც გააჩაღეს დიდი საეკლესიო მოღვაწის, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ მეორის მიმართ. დეკანოზ ნ. თალაკვაძის მოგონებებში გახსნილია ყველა ფსევდონიმი, რომელსაც ამოფარებული იყვნენ ცილისმწამებელნი გაზეთ „ახალი სიტყვიდან“. იგი აღნიშნავდა, რომ ცილისმწამებელთა უმრავლესობა პირადი წყენით იყვნენ შურისმაძიებელნი. მაგალითად, „ახალ სიტყვაში“ დაბეჭდილი „კათალიკოს კირიონის წირვა...“ ავტორი ჯაჭვადის

ფსევდონიმით იყო პეტრე-პავლეს ეკლესიის წინამძღვარი ილია შუბლაძე, რომელიც იმაზე იყო ნაწყენი, რომ ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან გადაიყვანეს პეტრე-პავლეს ეკლესიაში... დეკანოზ ნ. თალაკვაძის ინიციატივით, მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოიცა სათანადო რეზოლუცია „ახალი სიტყვის“ პუბლიკაციებთან დაკავშირებით: „თბილისის სამღვდელოების კრება ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ განახლებული ეკლესიის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ისეთ გამოცემას, როგორც იყო „ახალი სიტყვა“. იგი გმობს მის მიმართულებას და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ „სამღვდელოებაში ამჟამად არ მოიპოვება ისეთი გონიერი სასულიერო პირი, რომელიც მხარს უჭერდეს მის მიმართულებას“.⁹

დეკანოზმა ნ. თალაკვაძემ ძალიან განიცადა 1918 წლის 26 ივნისს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში მტარვალის ხელით დაღუპული კათალიკოზ-პატრიარქის – კირიონ II ბედი და გამოთქვა საინტერესო ვერსიები შესაძლო მკვლევების შესახებ. კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II სამუშაოდ ავიდა მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში, მასთან ერთად უნდა წასულიყო ჩიტო კაპანაძე და არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი, მაგრამ კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II რამდენიმე საჭირო წიგნის წაღება დავიწყებოდა, ამიტომ ჩიტო კაპანაძე უკან დაბრუნდა წიგნების წასაღებად. მარტყოფში საპატრიარქო რეზიდენციის ერთ ოთახში კირიონ მეორე ისვენებდა, მეორეში არქიმანდრიტი ტარასი. დილით კირიონ II თავის ოთახში მკვდარი, ტყვიით შუბლგანგმირული ნახეს... ხმა დაუყარეს თავი მოიკლაო... ეს იყო აშკარა სიცრუე და ცილისწამება ტანჯული მამამთავრის ხსოვნის წინაშე... კირიონის უკმაყოფილო იყო ეგზარქოსის ყოფილი მდივანი დავით დავიდოვი – დავითაშვილი, რომელსაც კირიონ II არ მისცა საკათალიკოზო საბჭოს მდივნობა. ეს დავიდოვი-დავითაშვილი რევოლუციით შეუვარდა კირიონ II რეზიდენციაში და თუ არა გერმოგენის ბერის საზრიანობა და მოხერხებულობა შეიძლება ტრაგედია დატრიალებულიყო...

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II თავისი ეროვნული მიმართულების გამო მიუღებელი იყო რუსეთის საიდუმლო სამსახურებისთვისაც... მოხდა გარეშე მტრებისა და შინა რენეგატების ინტერესთა თანხვედრა, რაც მარტყოფში კირიონ II მკვლელობით დასრულდა. გამოძიებაც არასწორად წარიმართა, ნ. თალაკვაძის აზრით ყურადღება არავინ არ მიაქცია იმას, რომ კირიონ II კუთვნილი რევოლუციური დაკეტილი იყო – როგორ, თავი მოიკლა და რევოლუციური დაკეტა? – ირონიულად შენიშნავდა იგი.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი კირიონ II პანაშვიდები გადაუხადეს ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო შემდეგ სიონში ნ. თალაკვაძემ ბრწყინვალე

სიტყვით მიმართა განსვენებულს, დაახასიათა იგი, როგორც ღირსეული პიროვნება და ბრწყინვალე მეცნიერ-მწყემსმთავარი. მისი აზრით, კირიონ II ზნეობრივი მკვლევლები იყვნენ ისინი, ვინც სასტიკად მტრობდნენ მას და მის მომხრეებს. სულ მალე კირიონ II ხვედრი გაიზიარა ზოგიერთმა მისმა მომხრემაც. 1918 წლის 18 სექტემბერს უეცრად გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე, ერთი თვით ადრე მასთან სტუმრად იმყოფებოდა ნ. თალაკვაძე, რომელსაც მეუფე ანტონმა უთხრა, „რომ მის სიძეს გვარად რედიგერს უცნობებმა 10000 მანეთი ოქროთი შეაძლიეს თუ ანტონს მოწამლავდა. როცა მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე გარდაიცვალა, სიძე სადღაც გადაიკარგა, ხოლო გვამის პათანატომიურმა ანალიზმა, რომელიც თბილისში პროფ. ლომოურმა ჩაუტარა მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძის ნაწლავებს, დაადასტურა, რომ გარდაცვალების მიზეზი იყო ვერცხლისწყლით მოწამვლა“.¹⁰

1920 წლის ივლისში საკუთარი სახლის წინ მოკლეს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II არჩევნების წინ სააგიტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი პროვინციებში მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე... გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა მირიან ბერიც... დავით დავიდოვ-დავითაშვილი საკათალიკოსო საბჭოს მდივანი და კანცელარიის გამგე შეიქმნა... იოსებ იმედაშვილის ცნობით, საბჭოური რეპრესიების დროს ისიც დაიჭირეს და გადაასახლეს ციმბირში, სადაც ხელი მოჰკვეთეს, ვინ და რატომ არ ვიცით, მაგრამ ძველი ცოდვების გამო მოეკითხაო, ამბობდნენ მისი თანამედროვენი...

1922 წლის 20 იანვრის ბრძანებით, კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ დეკანოზი ნ. თალაკვაძე დანიშნა სამოდღვრო კურსების პედაგოგად და მქადაგებლად. ამის პარალელურად იგი ასწავლიდა ქალთა მესამე გიმნაზიაში საქართველოს ისტორიას.

1922 წლის 16 აპრილს აღდგომას ქადაგებისას ანჩისხატის ეკლესიაში ამხილა ბოლშევიკები და მათ მიერ საქართველოს ოკუპაცია. ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ 1 მაისს ხალხი მათ ზეიმზე არ მივიდოდა, ამიტომ ასეთ ხერხს მიმართეს, შეადგინეს სიები და ერთი კვირის პურის ტალონებს „ზეიმზე“ მონაწილე ხალხს დაურიგებდნენ.

ნ. თალაკვაძემ მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო საღამოზე. მან ზ. ჭიჭინაძის შრომა შეადარა იმ მუშა ფუტკრის საქმიანობას, რომელიც „ყვავილოვან საქართველოს თვალწარმტაც კუთხეებში ეზიდებოდა სურნელოვან თაფლს შეგნებისა და კულტურისას“.¹¹

გულისტკივილით აღწერდა ნ. თალაკვაძე 1922 წლის 24-28 მაისის ამბებს თბილისში. ხალხი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს სულით საზრდობდა. 24 მაისს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ეროვნული დროშები ააფრიალეს. მთავრობამ სტუდენტებს რუსის ჯარი მიუსია, რომელმაც უნივერსიტეტს ალყა შემოარტყა. ამ დროს უნივერსიტეტის ეზოში რექტორი ივანე ჯავახიშვილი შემოვიდა, რომელმაც იკითხა: „რა ხდებაო“, „რუსულად ილაპარაკე“, იყო რუსი ჯარისკაცების პასუხი... ივანე ჯავახიშვილი და ანდრია რაზმაძე დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს.

1922 წლის აპრილში გენუის კონფერენციაზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მიერ გაგზავნილმა მემორანდუმმა ბოლშევიკური ხელისუფლების განრისხება გამოიწვია. როგორც ნ. თალაკვაძე იგონებს 13 ივნისს კათალიკოზ-პატრიარქს რეზიდენციაში ეწვივნენ უშიშროების თანამშრომლები და წაიყვანეს დაკითხვაზე კოტე ცინცაძესთან. მთელი დღე ელოდნენ სასულიერო პირები თავიანთ მამამთავარს. ბოლოს სადილი გაუგზავნეს. კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი მეორე დღეს დააბრუნეს და უთხრეს, თქვენს მიერ წამოწყებულ ბრალდებებზე დოკუმენტური მასალა წარმოადგინეთო.

1922 წლის 17 ოქტომბერს დეკანოზი ნ. თალაკვაძე ქალთა სასწავლებლის დირექტორმა ევგ. ჭოლოშვილმა დაითხოვა მასწავლებლობიდან. 1922 წლის 18 ნოემბერს, შაბათს 13 საათზე კომკავშირლები, ძირითადად არაქართველები შეიჭრნენ ამბროსის რეზიდენციაში და მოითხოვეს სახლის დაცლა. 1923 წლის 13 იანვარს კათალიკოზი კვლავ ჩეკაში წაიყვანეს დაკითხვაზე. მართალია მალევე დააბრუნეს, მაგრამ შინპატიმრობა მიუსაჯეს. „19 იანვარს კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის არ მისცეს წყალკურთხევის წირვის ჩატარების უფლება. სიონიდან სამღვდელოებას წაუძღვა ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე. წყალკურთხევა სრულდებოდა ვერის ხიდის ზემოთ“.¹²

არც წმ. ნინოს დღესასწაულზე მისცეს ამბროსის წირვის ჩატარების უფლება. საქართველოს ეკლესიას უმძიმესი წლები დაუდგა... ნ. თალაკვაძის მახვილ გონებას არ გამოპარვია ბოლშევიკების ნამდვილი ზრახვანი „ყველაფრიდან ჩანს, რომ კომუნიზმმა რუსეთში ჩაიცვა იმპერიალისტური ქურქი, მას სურს სოციალიზმ-კომუნიზმის მანტიის ქვეშ ძველი რუსეთის საზღვრები აღადგინოს. ასეთი სიცრუის და სიყალბის ხანა არა მგონია, რომ კაცობრიობას ახსოვდეს. დაიწყო დიდი ზნეობრივი გათახსირება“.¹³

1924 წელს დეკანოზი ნ. თალაკვაძე აიძულეს დაეტოვებინა ეკლესია. იგი ჯერ საქართველოს ფინსახკომის საბიუჯეტო განყოფილების უფროსად მუშაობდა, შემ-

დღე კულტურის სამინისტროში. გარდაიცვალა 1933 წელს და დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელნი არიან დეკანოზ ნ. თალაკვაძისნაირი საეკლესიო მოღვაწენი. ჩვენი საზოგადოების გულგრილობისა თუ თავისგამამართლებელი მოუცლევლობის საბაბით ასეთ პიროვნებათა საქმენი სათანადოდ წარმოჩენილი არ იყო.

ეპისკოპოსი ტარასი კანდელაკი

ეპისკოპოსი ტარასი (ერისკაცობაში იაკობ გიორგის ძე კანდელაკი) იმ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა პლეადაშია, რომელთაც საქმიანობა დაიწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონობის ხანაში. 1871 წელს გორის მაზრის სოფ. კოხტისხევში დაბადებული ახალგაზრდა მშობლებმა თბილისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში მიაბარეს სწავლის გასაღრმავებლად. 1890 წელს დაასრულა. ქვათახევის მონასტრის სკოლა. 1891 წლის 4 აგვისტოდან იყო ამავე მონასტრის მეღავითნე. ახალგაზრდა იაკობის დაუდგომელი ხასიათი ერთ ადგილს დიდხანს ვერ ეგუებოდა. იგი თავისი თხოვნით 1899 წლის 6 აპრილიდან გადაყვანილ იქნა ზაქათალას ოლქის სამრევლოში სოფ. ქოთუჭალის ეკლესიის მეღავითნედ, სადაც დიდი როლი შეასრულა ინგილოთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომის საქმეში.

1900 წლის თებერვლიდან იგი გადაყვანილ იქნა ალავერდის მონასტერში, სადაც ყოვლადუსამღვდელოესი ალავერდელი ეპისკოპოსის კირიონის მიერ იმავე წლის 4 მაისს აღკვეცილ იქნა ბერად და ეწოდა სახელად ტარასი. 1900 წლის 16 მაისს შუამთის მონასტერში ეპისკოპოსმა კირიონმა აკურთხა იეროდიაკვნად. ერთი დღის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსის ფლაბიანეს რეზოლუციის თანახმად ყოვლადუსამღვდელოესი კირიონის მიერ ნაკურთხი იქნა მღვდლად და დაინიშნა იმავე მონასტრის ხაზინადარად. 1902 წელს დაჯილდოებულ იქნა საგვერდულით.

1900 წლის 22 ივლისიდან არქიმანდრიტი ტარასი დაინიშნა ალავერდისა და თეთრი გიორგის ხაზინადარად. ამ თანამდებობაზე მსახურობდა ეპისკოპოს ღიმიტრი ალავერდელთან და გორის ეპისკოპოს ბენიამინთან. 1902 წლის 25 ოქტომბერს იგი გადაყვანილ იქნა ხირსის მონასტერში. 1903 წლის 4 სექტემბრიდან არქიმანდრიტი ტარასი გადაყვანილ იქნა ხერსონისა და ოდესის ეპარქიაში, სადაც ასრულებდა ხერსონის სავიკარო სასახლის ხაზინადარის მოვალეობას.

1904 წლის 10 ივნისიდან იგი მოღვაწეობს ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილთან ჯერ ორიოლის ეპარქიის ხაზინადარად, ხოლო 24 ივლისიდან ამავე ეპარქიის ეკონომოსად.

1904 წლის 30 ივლისიდან იგი შეთავსებით მუშაობდა საეკლესიო არქეოლოგიური მუზეუმის გამგედ.

არქიმანდრიტი ტარასი ეპისკოპოს კირიონთან ერთად მოღვაწეობდა სოხუმის ეპარქიაში. დიდ დახმარებას უწევდა უპოვარ და ქვრივ-ობლებს. მასვე ებარა სოხ-

უმის ეპარქიის საკურთხეველი ქართველ მღვდელთა, დიაკონთა და მედავითნეთა გამომცდელის თანამდებობა.

1908 წლის 10 ივლისს საქართველოს ეგზარქოს ინოკეტის მიერ დანიშნულ იქნა თბილისის ფერიცვალების ეკლესიაში. როდესაც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო რეპრესიები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთავეთა მიმართ, ეპისკოპოს კირიონს ყოველგვარი სასულიერო ხარისხი ჩამოართვეს და ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გადაასახლეს სანაქსარის უღაბნოში. მას თან გაჰყვა არქიმანდრიტი ტარასი, რომელიც ცდილობდა კირიონისათვის შეემსუბუქებინა გაჭირვება, როცა კირიონის მდგომარეობა გაუმჯობესდა. არქიმანდრიტი ტარასი თავისი სურვილით წავიდა რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზზე სამხედრო საავადმყოფოს მოძღვრად, სადაც ერთგული სამსახურისათვის ნიკოლოზ II ბრძანებით დაჯილდოვდა ანნას III ხარისხის ორდენით.

არქიმანდრიტი ტარასი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის I კრების მუშაობაში 1917 წლის 9-17 სექტემბერს. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II მიერ აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და გაიგზავნა იოანე ნათლისმცემლის უღაბნოს წინამძღვრად. 1918 წლის 26 ივნისს დილის 5 საათზე უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკთან და ვასილი კბილაშვილთან ერთად გაემგზავრა მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში. ისინი 11 საათზე უკვე მარტყოფში იყვნენ. 26-27 ივნისს გასაყარზე დატრიალდა მარტყოფის მონასტერში ბურუსით მოცული ტრაგედია. უწმიდესი კათალიკოზი მტარვალის ხელით მოკლული იქნა.

არქიმანდრიტი ტარასი დაუყოვნებლივ გამოემგზავრა თბილისში და ყოველივე შეატყობინა საკათალიკოზო საბჭოს, რომელიც სასწრაფოდ შეიკრიბა მიტროპოლიტ ლეონიდის, ურბნელი ეპისკოპოს დავითის, დეკ. კ. ცინცაძის, ნ. თალაკვაძის, პ. ბარათაშვილის, რ. ივანიცკის შემადგენლობით, სადაც მოისმინეს არქ. ტარასის ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II გარდაცვალების შესახებ და განაჩინა: ეცნობოს ეს სამწუხარო ამბავი შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს სათანადო განკარგულებისათვის და აგრეთვე ყოვლადსამღვდელი მღვდელმთავრებს“.¹⁴ უწმიდესი კათალიკოზის კირიონ II მკვლელობის მრავალი ვერსიათა შორის ტარასი არქიმანდრიტზეც იყო ჭორები, მაგრამ ძირითადად დაუსაბუთებელი... არქიმანდრიტმა ტარასიმ უპატრონა კათალიკოზ კირიონ II უმდიდრეს არქივს და მოწესრიგებული გადასცა მუხეუმის ხელნაწერთა განყოფილებას.

1925 წლის 25 ოქტომბერს იგი დაინიშნა იოანე ბოდბელის მიერ სოფ. საქობიოს წმ. სტეფანეს ეკლესიის წინამძღვრად და 2-ე ოლქის მთავარხუცესად, მაგრამ ბოდბის ეპარქიის დამოუკიდებელ ეპარქიად აღდგენისა და სტეფანე (კარბელაშვილის) ბოდბელ ეპისკოპოსად გამწესების შემდეგ ურთიერთობა არქიმანდრიტ ტარასისა და ეპისკოპოს სტეფანეს შორის გართულდა. არქიმანდრიტმა ტარასიმ საკითხის განხილვა მოითხოვა საკათალიკოზო საბჭოს წინაშე 1926 წელს. თავის მხრივ სტეფანე ბოდბელი 1927 წლის 14 თებერვალს საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის კომიტეტის თავმჯდომარის მიტროპოლიტ ქრისტეფორესადმი გაგზავნილ მოხსენებაში მოითხოვდა არქიმანდრიტ ტარასის დასჯას, მის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილება გამოიტანეს საეპარქიო სასამართლოზეც. მაგრამ კათალიკოზ-პატრიარქმა ქრისტეფორე III ჯერ კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა, ხოლო 1931 წლის 29 ნოემბერს იგი დაინიშნა ვლადიკავკაზის წმ. ნინოს ეკლესიის წინამძღვრად. ვლადიკავკაზის ქართველობას იქ თავისი სკოლა და ეკლესია ჰქონდათ, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში იყო.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართველი მრევლისა და ქართული ეკლესიის შევიწროება დაიწყო ვლადიკავკაზში. ჯერ კიდევ 1930 წელს კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორესადმი გამოგზავნილ წერილში იქაური ქართველი მოძღვარი გიორგი ნათაძე წერდა: „რუსი მღვდლები უკეთეს მდგომარეობაში არიან ჩვენ კი ყოველთვიურად გადასახადებს გვიმატებენო. იქნებ ვინმე ყოჩაღი ბერი ნახო და აქ გამოგზავნო თუ არა ოჯახიანი მღვდელი თავს ვერ შეინახავსო“.¹⁵ ტარასი არქიმანდრიტი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას, მაგრამ წინააღმდეგობები კიდევ უფრო გაძლიერდა. 1933 წელს არქიმანდრიტმა ტარასიმ წერილით მიმართა კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს – გვავიწროებენ, უნდათ ქალაქის განაპირა ადგილზე გაგვეყარონო. თავის მხრივ უწმიდესმა კალისტრატემ არაერთხელ მიმართა წერილით რუსეთის პატრიარქის მოსაყდრეს სერგის, მაგრამ იმხანად საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ევქარისტული კავშირის არარსებობის გამო საქართველოს ეკლესიის პირველიერარქის თხოვნა რჩებოდა ხმად უდაბნოსა შინა მღალადებლად. ვლადიკავკაზის ქართველობამ 1933 წლის 25 ივლისს წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს უწმიდეს კალისტრატეს. წერილის ავტორები აღწერდნენ იმ ურთულეს ვითარებას, რომელშიც ქართველი მორწმუნე მრევლს და მოძღვარს უხდებოდათ ცხოვრება. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებს სურდათ ქართველების შენობიდან გაყრა. „დაგვანებონ თავი, თუ არა დავიფანტებით აქაური ქართველობა უცხო მხარეში და მთლად

რჯულზედ აგვალეზინებენ ხელს ისედაც გულშეწუნებული და გადარჯულებულთ. თვით ჩვენი მღვდელი არქიმანდრიტ ტარასიც აღარ დადგება აქ და სხვა მღვდელს ვერ მოვითხოვთ და რომ მოვითხოვთ კიდევ სად წავიყვანოთ, თუკი ეკლესია აღარ გვექნება.¹⁶ ვლადიკავკაზის ქართულ ეკლესიაში მიიყვანეს მოსანათლად გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილის პატარა ვაჟი ირაკლი, რომელიც მონათლა არქიმანდრიტმა ტარასიმ. სხვა ღვაწლი რომ არაფერი დაედო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში არქიმანდრიტი ტარასი ამით მაინც დარჩებოდა ცნობილი. მაშინ ალბათ ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ პატარა ირაკლი, მომავალში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II გახდებოდა.

1938 წლის 24 თებერვალს გააუქმეს ვლადიკავკაზის წმ. ნინოს ქართული ეკლესია. არქიმანდრიტი ტარასი საქართველოში გამოემგზავრა. თუმცა დაღვინებული ცხოვრება არც აქ იყო. მისი ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ თბილისის ფინგანის გამგე (გადასახადების გამწერი ს.ვ.) კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატესადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვდა თუ არქიმანდრიტი ტარასი მღვდელმსახურებას ეწევა საჭიროა მისი რეგისტრაციაში გატარება და დაბეგვრაო.

1938 წლის 27 მარტს არქიმანდრიტი ტარასი უწმიდესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით დაინიშნა სვეტიცხოვლის მონასტრის წინამძღვრის მოადგილედ, 1939 წლის 19 მარტს აყვანილ იქნა წილკნელი ეპისკოპოსის ხარისხში. იგი წირავდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. 40-იანი წლებიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. იგი ხშირად ავადმყოფობდა. ერთხანს წყალტუბოშიც მკურნალობდა. გარდაიცვალა 1951 წელს 80 წლის ასაკში და დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანში. ტარასი კანდელაკი იყო ფოლკლორისა და ისტორიული ჟანრის თქმულებათა შემკრები. მას ჰქონდა უიშვიათესი ხელწერა. მის მიერ შესრულებული ანბანი გამორჩეულია. ტარასი კანდელაკის გარდაცვალებით საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი ცოცხალი ისტორია და მათიანე მოაკლდა.

მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძეს. სამწუხაროა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად უცნობია მიტროპოლიტ ანტონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი საინტერესო დეტალი.

იგი დაიბადა 1866 წლის 17 მარტს ქუთაისში ხელმოკლე ოჯახში. მისი მშობლები: დედა, ნატალია, დიასახლისი იყო. მამა, ლუკა, ქუთაისის ერთ-ერთი ეკლესიის მეღავითნე იყო. ოჯახი მართლმადიდებლური ცხოვრების წესით ცხოვრობდა. ახალგაზრდა ანტონის აღზრდა-განათლებლაზე ზრუნავდნენ მშობლები, რომელთაც შვილის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეყვანა მოახერხეს. ეს სასწავლებელი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მიერ იყო დაარსებული, როგორც დეკანოზი ილია ჭეიშვილი იგონებდა: „გაბრიელ ეპისკოპოსი ყმაწვილებს ხელს უწყობდა, გაჭირვებულებს სწავლის ქირას უხდიდა, თავის სახლშივე ინახავდა. იგი ისე სიყვარულითა და უბრალოებით ექცეოდა ამ ყმაწვილებს, რომ მათთან სადილობდა და ბაასობდა იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა ყოველივე კეთილშობილური აზრი, დაენერგა მათ ნორჩ გულებში სიყვარული სიმადაბლისადმი, სამშობლოსადმი“.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ანტონ გიორგაძე სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში 1885 წელს, რომელიც 1888 წელს დაამთავრა. ანტონ გიორგაძის თბილისში სწავლის პერიოდი დაემთხვა ველიკოდერჟაველი რეაქციის გაგრძელებების ხანას. ამ დროს რუსეთის იმპერიულ ინტერესებს კავკასიაში წარმართავდნენ მეფის ნაცვალის დონდუკოვ-კოსაკოვი, კავკასიის განათლების მზრუნველი იანოვსკი და საქართველოს ეგზარქოსი პავლე. სემინარიის რექტორი იყო თავისი ანტირქართული ორიენტაციით ცნობილი ჩუდეცკი. ქართველი ხალხის ღირსეული წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, დ. ყიფიანი ამხელდნენ „ტრიუმვირატის“ ანტიქართულ პოლიტიკას. ძველვარება იყო თბილისის სასულიერო სემინარიაშიც...

1887 წელს სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა ხანჯლით განგმირა რექტორი ჩუდეცკი. ხელისუფლებამ ამ რეაქციონერის დასაფლავება ანტიქართული ისტერიის გასაღრმავებლად გამოიყენა, როცა ეგზარქოსმა პავლემ ჩუდეცკის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე საჯაროდ დაწყევლა ქართველი ერი. აღშფოთებულმა ეგზარქოსმა იმპერატორის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ – თუ გვინდა თბილისის სასულიერო სემინარიაში შფოთსა და არეულო-

ბას ბოლო მოეღოს ყველა ქართველი იქიდან დაუყოვნებლივ უნდა დავითხოვოთო. ბუნებრივია ასეთი დაპირისპირება რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლობასა და რეაქციონერ მასწავლებლებს შორის თავის გავლენას ახდენდა ახალგაზრდა ანტონ გიორგაძეზე, რომელიც სემინარიის დამთავრებისთანავე ეპისკოპოს გაბრიელის მიერ ხელდასმულ იქნა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლად.

1888 წელს ანტონ გიორგაძე დაოჯახდა, 1889 წელს გაემგზავრა კიევში. კიევის სასულიერო აკადემია ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდობისათვის, რომელთაც სასულიერო ცოდნის გაღრმავების სურვილი ჰქონდათ მართლაც გამორჩეული იყო რუსეთის იმპერიაში. ამ აკადემიაში მიიღეს სასულიერო განათლება უწმინდესმა კირიონ II, ლეონიდიმ ყოვლადუსამღვდელოესმა პიროსმა, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ, პროტოპრესვიტერმა კორნელი კეკელიძემ, ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ.

ანტონ გიორგაძე კიევის სასულიერო აკადემიიდან გადავიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. პარალელურად სწავლობდა არქეოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1907 წელს.

მეუღლის გარდაცვალებამ მძიმედ იმოქმედა ანტონ გიორგაძეზე. დარჩა 3 შვილი იგი აღიკვეცა ბერად, ხოლო 1908 წელს საქართველოს ეგზარქოსის მიერ აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა გორის ეპარქიის მმართველად. ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე გამოირჩეოდა როგორც დამოუკიდებელი პიროვნება. იყო შემთხვევები, როცა იგი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ეგზარქოსს პლატონ როჟდესტვენსკის. ამ ნიადაგზე მათ შორის არაერთხელ მომხდარა დაპირისპირება, როგორც იმდროინდელი პრესა იტყობინებოდა კონფლიქტი იმდენად გამწვავებულა, რომ ეპისკოპოსს ანტონს მთავრობის სახელზე თხოვნაც დაუწერია გადადგომის შესახებ...

როგორც მისი თანამედროვე წერდა: „ყოვლად სამღვდელო ანტონი როგორც ქართველი მღვდელმთავარი უმეტესად რჩება ქართველი და სადაც რიგია, იგი იქ ქართულად ასრულებს წირვა-ლოცვას, ამის გარდა მხურვალე თანამიმდევარია ქართველი ერის ცხოვრების, მისმა მეუფებამ იცის მრევლის დახმარება. იგი არის ქართული მწიგნობრობისა და საქართველოს ისტორიის მცოდნე და ქართულ მწერლობასაც გულმხურვალედ ადევნებს თვალყურს“.^{17ა}

ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის თავდადებული მებრძოლი. მისი უშუალო ინიციატივით 1917 წლის 8 მარტს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ბინაზე მოეწყო კონფიდენციალური შეხვე-

დრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, სოსიკო მერკვილაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ნიკიტა თალაკვაძე.

ამ შეხვედრაზე გადაწყდა 12 მარტს სვეტიცხოველში გამოეცხადებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ეპისკოპოსმა ანტონ გიორგაძემ დიდი როლი შეასრულა ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების შემუშავებაში. მისი დაჟინებული თხოვნით დაბრუნდა რუსეთიდან ეპისკოპოსი კირიონი და მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებში, სადაც გაიმარჯვა კიდევ.

ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე სრულიად საქართველოს პირველმა საეკლესიო კრებამ 1917 წლის 17 სექტემბერს ქუთათელ მიტროპოლიტად განაჩინა. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი, რომელიც ავტოკეფალისტებს ნაკლებად თანაუგრძნობდა.

ქუთათელ-გაენათელად ყოფნის მცირე პერიოდშიც კი მან მოახერხა თავისი კვალი დაემჩნია ეპარქიისათვის. საქართველოს ეკლესიის წინსვლა ჩვენი ერისა და ეკლესიის მტრებს მოსვენებას უკარგავდა. ჯერ იყო და 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში მოკლეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.

1918 წლის 18 სექტემბერს უეცრად გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე, როგორც განსვენებულის პათანატომიურმა ანალიზმა აჩვენა (ექ. ლომოურის დასკვნით) მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე მოწამლული იქნა საჭმელში ვერცხლისწყლის შერევით. ეს საქმე ჩაიდინა მისმა სიძემ (რედიგერმა), რომელმაც ბნელი ძალების დაკვეთით სიცოცხლეს გამოასალმა დიდებული მამულიშვილი და საეკლესიო მოღვაწე.

მიტროპოლიტი ანტონის დაკრძალვას ქუთაისის საკათედრო ტაძარში დიდძალი საზოგადოება დაესწრო. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელმა ლეონიდმა, დეკანოზებმა კ. ცინცაძემ, ანტ. თოთიბაძემ, ნ. თალაკვაძემ.

გავიდა წლები საბჭოთა სისტემის სუსხი ქუთაისის საკათედრო ტაძარმაც იწვნია... იგი დაანგრეს და შთამომავლობისათვის საძუდამოდ დაიკარგა მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძის საფლავიც.

ეპისკოპოსი პავლე ჯაფარიძე

XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქია შორის ეპისკოპოსი პავლე ჯაფარიძე ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება იყო. იგი იმერეთის სოფ. ხრეთში (დღევანდელი ჭიათურის ზონა) დაიბადა 1888 წლის 1 მაისს. ახალგაზრდობიდანვე ეზიარა სასულიერო ცხოვრების მადლს და მსახურობდა საქართველოს სხვადასხვა მონასტრებში მორჩილად, წიგნის მკითხველად. 1907 წელს ბერად აღიკვეცა ათონის მონასტერში. მის გზას ზეციური სასუფევლიდან ლოცავდნენ იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელეები. 1910 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის მიერ იგი შიომღვიმის მონასტერში ხელსახმურ იქნა მღვდელმონაზონად. ახალგაზრდა მღვდელმონაზონმა სიხარულით მიაშურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც 1919-20 წლებში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ისმენდა ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, გრ. წერეთლის, შ. ნუცუბიძის. აკ. შანიძის, გ. ჩუბინაშვილის ლექციებს. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ ძლიერ იმოქმედა პავლე ჯაფარიძეზე, თითქოს მოძავლის ყოველგვარი იმედი გაქრა, მან მიატოვა უნივერსიტეტი და თავისივე თავში ჩაიკეტა, მაგრამ იგი როგორც სვეტიცხოვლის ეკლესიის წინამძღვარი, ამხნევებდა მრევლს, ამავე დროს გრძნობდა რა სვეტიცხოვლის სიწმინდეებს, თუ რა საფრთხე ექმნებოდა ურწმუნო ბოლშევიკებისგან უყოყმანოდ დათანხმდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის წინადადებას აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან დროებით დასავლეთ საქართველოში გაჰყოლოდა ეკლესია-მონასტრების სიწმინდეებს. ქუთაისში მან ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის საეპარქიო სახლში სპეციალურად გათხრილ მიწაში უსაფრთხოდ შეინახა ისინი. ამის შესახებ იცოდნენ მხოლოდ მან, ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე), მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა). საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიამ ამის შესახებ შეიტყო პლატონ ცქიტიშვილის საშუალებით 1923 წელს და დიდის ამბით ამოიღეს საეკლესიო განძი, რომელთა დიდი ნაწილი გადადნობილი იქნა დამშუქლ-თათვის პურის შესაძენად. არქიმანდრიტი პავლე ამის გამო საკათალიკოზო საბჭოს დაპატიმრებულ წევრებთან ერთად 1924 წლის მარტში გასამართლებული იქნა. საბჭოთა ხელისუფლების სახელით პროკურორი არქიმანდრიტ პავლეს ადანაშაულებდა რატომ ხელისუფლების ორგანოებს არ აცნობე განძეულის ადგილსამყოფელის შესახებო. მიუხედავად იმისა, რომ იგი საეკლესიო განძის გადამალვის ერთ-ერთ ორგანიზატორად მიიჩნეოდა სასამართლოს განაჩენით მას პირობითი სასჯელი შეუფარდეს. „1924 წლის 18 აპრილს ჩვენ ქვემოთ ამისა ძალისა მომწერ-

ნი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი შევიკრიბეთ ერთად და ვიქონიეთ მსჯელობა სამღვდელმთავრო კანდიდატების შესახებ და ვსცანიით მღვდელმთავრის ხარისხის მიღების ღირსად არქიმანდრიტი პავლე, რომელიც იყო ათონზე და სხვა მოანსტრებშიც არის გამორჩეული სასულიერო პირი¹⁷ დადგენილებას ხელს აწერდნენ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოადგილე ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე, ეპისკოპოსი დავითი, მიტროპოლიტი ნაზარი. წერილობით თანხმობა განაცხადეს ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ნესტორმა, ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა სიმეონმა.

ეპისკოპოსი პავლე წილკნის ეპარქიის მმართველად განაწესეს. იგი მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეფორე ურბნელისა და დავით კაჭახიძის რეკომენდაციით იქნა აყვანილი ეპისკოპოსის ხარისხში, მაინც ერთგული რჩებოდა კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოზო საბჭოს დაპატიმრებული წევრების პოზიციისა. ხელისუფლებისადმი ლოიალობის კურსის მიმდევართა გასანეიტრალებლად კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის გათავისუფლებამდე მისი მომხრეები ეპისკოპოს პავლეს ასახელებდნენ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის მოვალეობის შემსრულებლად, მაგრამ პავლე ჯაფარიძის ხშირი ავადმყოფობის გამო ეს ვერ მოხერხდა. 1926 წლის 11 ივლისს ეპისკოპოსი პავლე ნინოწმინდელ მიტროპოლიტ კალისტრატეს მიმართავდა: „უმორჩილესად გთხოვთ საავადმყოფოდან განთავისუფლებამდე უპატრონოთ წილკნის ეპარქიას“¹⁸. მართალია, იგი საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ კვლავ ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა საქმიანობას, მაგრამ ავადმყოფობამ კვლავ იმძლავრა და 1927 წლის ივნისში საკათალიკოზო სინოდს კვლავ სთხოვა სამი თვით შვებულება, რასაც დაეთანხმა კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III.

1928 წლის 26 მარტს საკათალიკოზო სინოდის გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსი პავლე გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველად, ხოლო 24 აგვისტოდან იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველია. როგორც ჩანს, იქაურმა ჰავამ უარყოფითად იმოქმედა მის შერყეულ ჯანმრთელობაზე. ჯერ საკათალიკოზო სინოდს სთხოვა ორთვიანი შვებულება, შემდეგ გააგრძელა კიდევ ორი თვით, ხოლო 1928 წლის 24 სექტემბერს იგი განცხადებით მიმართავს კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს, „რადგან იქაური ჰაერი ჩემს სხეულში დაბუდებულ მალარიას თანდათანობით პროგრესიულ ხასიათს აძლევს, ასეთ მდგომარეობაში ნათელია, რომ მე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ენერგიულ შრომას მოკლებული ვიქნები. ამას ვერ შეურიგდება აღნიშნული ეპარქიის აწინდელი ფრიად რთული მდგომარეობა. უმორჩილესად გთხოვთ წილკნელად დაბრუნებას თუ ამაზე თანახმა

იქნება სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, ეპისკოპოსი ეფრემი.⁴⁹ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო სინოდი წავიდა ღათ-მობაზე და ყველაფერი გააკეთა ეპისკოპოს პავლეს თხოვნის შესასრულებლად. ყველა გრძნობდა, რომ მას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ეპისკოპოსი პავლე ახერხებდა მრევლისათვის გაეწია სულიერი შემწეობა. ამას ადასტურებს ცხუმ-აფხაზეთში მის გადაყვანასთან დაკავშირებით სვეტიცხოვლის მრევლის 1928 წლის 8 სექტემბერს მიმართა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საკათალიკოზო სინოდისადმი „ყოვლადსამღვდელო პავლე ტაძრის მნახველთა დარბაისელი მიმღებია და სიძველეთა საუცხოო ამხსნელი, რითაც ძვირფასი შთაბეჭდილებებით ბრუნდება ხალხი. იგი სამრევლო-სათვის ჭეშმარიტი მოძღვარია. მეუფე პავლე თავისი წმიდა ცხოვრებითა და მამაშვილური მოქცევით ყველასათვის თანასწორად ნუგეშის მომცემია... ჩვენთვის წარმოუდგენელია სვეტიცხოვლის ტაძარი იმის გარეშე. უმორჩილესად გთხოვთ, იგი უკან დააბრუნოთ, რადგან ეს ღიღობაა სვეტიცხოვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უკანასკნელად ვეტყვით მეუფე პავლეს, რომ იგი უკანვე დაუბრუნდეს მისგან დაობლებულ მცხეთას და იქ დაამთავროს ღღენი თვისი ცხოვრებისა. თუ ამაზე უარს იტყვის, ჩვენ ყველანი სასოწარკვეთილებას ვეძლევით“.²⁰ კითხულობ ამ წერილს და ფიქრობ, რა დიდი ძალა აქვს ღვთის სამსახურში პირნათელ ცხოვრებას, რომლის მაღლი დამამშვიდებლად განეფინებოდა მრევლს, იმ მრევლს, რომელიც უკვე მსხვერპლი იყო საბჭოური ექსპერიმენტებისა. ამ მრევლისათვის სვეტიცხოველი, ეპისკოპოსი პავლე იყო იმედისა და სიმშვიდის მომნიჭებელი.

მართალია, ეპისკოპოსი პავლე დაბრუნდა სვეტიცხოველში, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1929 წლის თებერვალში საკათალიკოზო სინოდისაგან კიდევ ერთხელ მოითხოვა შვებულება და სამკურნალოდ ალექსანდრეს საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც 1929 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია მორწმუნე მრევლში. 4 ნოემბერს შეიკრიბა საკათალიკოზო სინოდი, რომელმაც მოისმინა მისი უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ქრისტეფორე III ცნობა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს პავლე წილკნელის გარდაცვალების შესახებ და განაჩინა: „1. ეცნობოს ეპარქიებს ეპისკოპოს პავლე წილკნელის გარდაცვალების შესახებ, 2. ეთხოვოს მის უნეტარესობას დამკრძალავი კომისიის შედგენა, 3. აღიძრას შუამდგომლობა ხელისუფლების წინაშე განსვენებულის ანდერძის თანახმად, სვეტიცხოველში დაკრძალვის შესახებ, 4. წილკნის ეპარქიის მართვა დროებით შეითავსოს მიტროპოლიტმა კალისტრატემ“. 1929 წლის 10

ნოემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში კათალიკოზ-პატრიარქმა ქრისტეფორემ საკათალიკოზო სინოდის წევრების თანდასწრებით წესი აუგო განსვენებულ წილკნელ ეპისკოპოსს პავლეს, რომელიც დაკრძალეს სვეტიცხოვლის ეზოში. მისი საფლავის ქვა გააკეთებინა და წესრიგში მოიყვანა წილკნელმა ეპისკოპოსმა ალექსიმ (გერსამია). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ასეთი ღირსეული მღვდელმთავრის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო. პავლე ეპისკოპოსის საფლავი დიდხანს ყვაილების თაიგულებით იყო შემკობილი, როცა მისი მრევლის წევრებიც მარადისობაში გადავიდნენ ღირსეული მღვდელმთავარი მიეცა დავიწყებასა შინა.

მიტროპოლიტი იოანე მარგიშვილი

მიტროპოლიტი იოანე (ნიკოლოზ) მარგიშვილი დაიბადა 1874 წელს ქ. გორში. პირველდაწყებითი განათლება გორის სასულიერო სასწავლებელში 1893-1899 წლებში მუშაობდა გორისა და კიზლარის ტაძრების სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლებში.

1900 წლის 28 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად, 1901 წლის 28 იანვარს ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად. 1904 წელს გადაიყვანეს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო იქედან თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1905 წელს. მიტროპოლიტი იოანე ახალგაზრდობიდან დაკავშირებული იყო ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძესთან, რომელსაც დიდი აგვლეგა მოუხდენია ახალგაზრდა იოანეზე. სამწუხაროდ, დიმიტრი აბაშიძეს არაფერი ქართული არ სწამდა, ქართული ენაც არ იცოდა გამართულად. იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ქართული ინტელიგენციისა და სასულიერო წრის იმ ნაწილისა, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. მან ჯერ კიდევ 1905 წელს პეტერბურგში გაგზავნილ საიდუმლო წერილში უმაღლეს ხელისუფლებას „ურჩია“ სკოლებიდან ქართული ენის საერთოდ განდევნა, ქართველი ავტოკეფალისტების იზოლირება. მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლიდან ეპისკოპოსი დიმიტრი რუსეთში იმყოფებოდა, იოანეს არასოდეს კავშირი არ გაუწყვეტია მასთან და რუსეთში ხშირად ნახულობდა კიდევც. 1910-1914 წლებში სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ მცირე ხნით მუშაობდა ქუთაისში, ხოლო 1915 წლის 10 აგვისტოდან გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. იმავე წლის 29 აგვისტოდან იგი არქიმანდრიტია. 1917 წლის 21 სექტემბრიდან კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ლოცვა-კურთხევით დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად, 1920 წლის 1 სექტემბრიდან ჯერ გურჯაანის სასწავლებლის ინსპექტორია, ხოლო 1921 წლის 15 ოქტომბერს არქიმანდრიტი იოანე აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად.

მას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მუშაობის დაწყება მოუხდა უაღრესად რთულ პერიოდში, როცა ეპარქიის რუსი ეროვნების მოსახლეობა და სამღვდელოება არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უზენაესობას. ეპისკოპოსმა იოანემ საკათალიკოზო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. მისი აზრით, აუცილებელი იყო ბედიელის

საეპისკოპოსო ალდგენაც და აფხაზეთში ფრთხილი პოლიტიკის გატარება, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იგი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა საკათალიკოზო საბჭოსათვის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან გადაყვანათ სხვა ეპარქიაში.

საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს 1925 წლის 7 აპრილის ბრძანებით იგი განთავისუფლდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან და დაინიშნა ალავერდის ეპარქიის დროებით მმართველად, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო უჭირდა ეპარქიის მართვა, მას სჭირდებოდა სერიოზული მკურნალობა. 1925 წლის 15 ოქტომბერს მიტროპოლიტმა იოანემ განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს ამბროსის „ვინაიდან რუსეთში ჩემი გამგზავრება პირად გარემოებათა გამო ჩემთვის ამჟამად წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, გთხოვთ ერთი თვით შვებულებას“.²¹ საკათალიკოზო საბჭომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ უკვე ურბნისის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, ამ დროს მძაფრი ანტირელიგიური კამპანიისა და ხელისუფლების მიერ ეკლესია-მონასტრების მასობრივი დახურვის მიუხედავად, ურბნისის ეპარქიაში მოქმედი იყო გორის ოქონის, ბორჯომის იოანე ნათლისმცემლის, ერთის წმიდა გიორგის, მოხისის წმიდა გიორგის, ქარელის, ალის წმ. თომა მოციქულის, ხოვლეს იოანე ნათლისმცემლის, არბოს წმ. გიორგის, ატოცის, საკირის, ქვიშხეთის, სადგენის, ბაკურიანის, სასირეთის, ხაშურის, ურბნისის, იტრიის, სურამის, ვარძიის, ყვობირის, ჭობისხევის, დვირის ეკლესიები. მართალია, ადგილობრივი საფინანსო ორგანოები დიდ გადასახადებს უწესებდნენ სამღვდლოებას, მაგრამ მოქმედი ეკლესიები იმხანად ახერხებდნენ ღვთისმსახურების შესრულებას, თუმცა მიტროპოლიტ იოანეს ჯანმრთელობა ხელს უშლიდა ეპარქიაში ეცხოვრა და წარემართა სასულიერო ცხოვრება, მან სთხოვა საკათალიკოზო საბჭოს 1926 წლის 6 თებერვალს თბილისში დატოვება და აქედან ეპარქიის მართვის უფლება, რასაც დაეთანხმნენ.

1926 წლის 14 იანვარს მიტროპოლიტმა იოანემ სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წარუდგინა განსახილველად თავისი სამაგისტრო დისერტაცია. კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდეს ამბროსისადმი წარდგენილ მოხსენებით ბართში იგი წერდა: „წარმოვადგენ რა ამასთანავე თქვენ უწმიდესობის წინაშე ჩემ სამაგისტრო დისერტაციას, ყოფილი კიევის სასულიერო აკადემიის 19 პროფესორის მიერ ხელმოწერილ საბუთებს, რომლითაც მე ცნობილი ვარ ღირსად მაგისტრის ხარისხის მიღებისა, უმდაბლესად გთხოვთ თქვენ უწმიდესობას, რათა ეს საბუთები განხილულ იქნას საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე და მომენიჭოს

ღვთისმეტყველების ხარისხი“.²² მიტროპოლიტ იოანეს რუსულად დაწერილი თემა: „ბიზანტიის იმპერატორების დამოკიდებულება მსოფლიო საეკლესიო კრებებისადმი“ სარეცენზიოდ გადაეცა საკათალიკოზო საბჭოს წევრებს დეკ. გ. გამრეკელსა და ი. რატიშვილს, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს. საკათალიკოზო საბჭომ მოისმინა დეკ. გ. გამრეკელის დასკვნა და „განაჩინა: მიტროპოლიტ იოანეს უარი ეთქვას ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხის მიცემაზე“.²³ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამ მიტროპოლიტი იოანე ფრიად გაანაწყენა, რაც გამოიხატა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ უწმიდეს ამბროსისადმი გაგზავნილ წერილში, მისი აზრით, მაშინ, როცა „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 9 სასულიერო პირია უმაღლესი განათლებით მათგან ვინმეს უნდა წაეკითხა დაკვირვებით თხზულება და თუ მშობლიური ეკლესიის წინააღმდეგ რაიმე ცდომილება არ იქნებოდა, მიღებული ხარისხი უნდა მოეცათ“.²⁴ ასეთ ვითარებაში მიტროპოლიტმა იოანემ მოითხოვა წარდგენილი ნაშრომის უკან დაბრუნება, ორთვიანი შვებულება, ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა სასულიერო სამსახურიდან მთლიანად გათავისუფლება. ამას დაერთო ეპარქიაში მისი გორის ოქონის ეკლესიის მზრუნველ ივანე მეკრავიშვილთან და დეკანოზ გიორგი ნასყიდაშვილთან დაპირისპირება, 1926 წლის 1 ივნისს მან თხოვნით მიმართა საკათალიკოზო საბჭოს ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე. 20 ოქტომბერს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, მაგრამ 3 ნოემბერს დანიშნეს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად. მიტროპოლიტ იოანეს ფრიად მტრულად შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერო ხელისუფლება, უფრო მეტიც, მას მოსთხოვეს ბათუმის დატოვება. 18 დეკემბერს საკათალიკოზო საბჭოს ავადყოფობის მიზეზით მოსთხოვა სამსახურიდან განთავისუფლება, მაგრამ საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ უარი განაცხადა, თხოვნის შესრულებაზე, თუმცა 1927 წლის 20 თებერვალს დროებითმა მმართველობამ გამოიტანა შემდეგი განჩინება: „ეთხოვოს მიტროპოლიტ იოანეს დარჩეს თავის ეპარქიაში და დაესწროს აგრეთვე დროებითი მმართველობის მიერ დანიშნულ სხდომებს“.²⁵ მაგრამ ამ პირობების შეუსრულებლობის გამო იგი 1927 წლის 3 მარტს გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამის შემდეგ მიტროპოლიტი იოანე ორი თვით რუსეთში გაემგზავრა, მაგრამ როცა დაბრუნდა საქართველოში, უკიდურეს სიღატაკეში აღმოჩნდა. 1927 წლის 2 აგვისტოს თხოვნით მიმართა საკათალიკოზო სინოდს „უკანასკნელი დროის ჩვენი საეკლესიო ცხოვრება მქუხარე ზღვას დაემსგავსა. ბედმა მომაქცია ორ მებრძოლ ბანაკს შორის, ხან ერთი მირტყამდა თავში, ხან მეორე, განვიცდი ნივთიერ გაჭირვებას, ლამისაა დამიტა ბაზარზე გავიტანო გასას-

ყიდად“.²⁶ საკათალიკოზო სინოდმა 1927 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა უკიდურესი გაჭირვების გამო დახმარებაზე უარი ეთქვას მიტროპოლიტ იოანეს. მას მისცეს წინადადება წასულიყო რომელიმე მონასტერში. ამის პასუხად მიტროპოლიტმა იოანემ 27 ოქტომბერს საკათალიკოზო სინოდისისადმი მიმართვაში გამოთქვა სურვილი აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე ეპარქიის მღვდელმთავრობისა. საკათალიკოზო სინოდის 1928 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მიტროპოლიტი იოანე დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად. ამ დროს ეპარქიაში მოქმედი იყო 42 ეკლესია, მაგრამ დიდი გადასახადების გამო ზოგიერთი ეკლესიის მოძღვარი იძულებული იყო საერთოდ გაენებებინა თავი მღვდელმსახურებისათვის, თვითონ ეპარქიის მმართველიც უჩიოდა უბინობას, ამას დაერთო მძიმე ავადმყოფობა. 1929 წლის 13 ნოემბერს მიტროპოლიტი იოანე გარდაიცვალა. 14 ნოემბერს სასწრაფოდ შეიკრიბა საკათალიკოზო სინოდის სხდომა, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია ბოდბელი მიტროპოლიტის იოანეს გარდაცვალების შესახებ. სინოდმა განაჩინა: ა) ეცნობოს ეპარქიის მღვდელმთავრებს მიტროპოლიტ იოანეს გარდაცვალების შესახებ, ბ) მისი ნეშტი გადმოსვენებულ იქნას სიონში. 16 ნოემბერს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მიმართეს თხოვნით, ნება დაერთოთ განსვენებული მიტროპოლიტის ნეშტი დაეკრძალათ სიონში. დამკრძალავ კომისიას ხელმძღვანელობდა დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი. 17 ნოემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში განსვენებულ მიტროპოლიტს პანაშვიდი გადაუხადეს, რომელსაც დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი ქრისტეფორე III, მიტროპოლიტი კალისტრატე, ეპისკოპოსები იეროთეოზი, მელქისდეკი, ეფრემი. მისი ნეშტი დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

მიტროპოლიტი ევრემ სიღამონიძე

მიტროპოლიტი ევრემი (ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიღამონიძე) დაიბადა 1896 წელს გორის მაზრის სოფ. დოესში სოფლის მედავითნის ოჯახში. ყმაწვილი მამამ სასწავლებლად წაიყვანა გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც ბეჯითმა მოსწავლემ, ამიტომ სასწავლებლის დირექციამ სპეციალური რეკომენდაციით გაგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიაში 1912 წელს.

სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1919 წელს, გრიგოლ სიღამონიძემ სწავლის გასაღრმავებლად მიაშურა ახალგაზსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს, სადაც ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთელის, კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, აკაკი შანიძის ლექციებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამ ახალგაზრდა გრიგოლის დიდი სულიერი განცდები გამოიწვია. უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა 1921 წლის 21 დეკემბერს თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ამბროსის: “თქვენო უწმიდესობავ ბავშვობიდანვე მაქვს მისწრაფება და მიდრეკილება ბერული ცხოვრებისა. ჩემი განზრახვა მრავალჯერ გამიზიარებია სასულიერო პირებისთვის. იგინი სიხარულით შემომგებებიან და სათნოდ მამობრივი სწავლა დარიგებით, რომ ჩემთვის ჯერ საჭიროა მოთმინება და ლოცვა კურთხევით დაუუჯილდოვებივარ. აწ მომწიფებულ ასაკში მიღწეული, სრული ჭკუა გონებით და საღი შეგნებით აღჭურვილი კანდიერებით გთხოვთ აღმკვეცოთ ბერად და ღირსმყოფელ მღვდელმონაზვნის ხარისხზე ასაყვანად. მე მწამს, მიუხედავად ამ შავ-უკუღმართი დროისა და საეჭვო წუთისოფლისა თქვენი უწმიდესობა ნდობის თვალით და გულით შეხვდება ამ ჩემს მისწრაფებას და მომცემს საშუალებას სამღვდელმონაზვნო ხარისხში მყოფს შემეძლოს წინაშე წმ. ტრაპეზისა აღვავლინო ლოცვა-ვედრება ღმრთისადმი, სამშობლოსადმი და ჩვენი მრავალტანჯული ეკლესიის ბედნიერებისათვის”.²⁶

ახალგაზრდა გრიგოლის მისწრაფებისათვის ხელისშეშლა სცადა სოფ. დოესის მღვდელმა მიხეილ ლუკაშვილმა, რომელმაც საკათალიკოზო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლ სიღამონიძე “შეამბოხე და ეკლესიის მტრად” გამოაცხადა. სოფლის მოძღვრის ასეთმა ტენდენციურმა მოქმედებამ ძლიერ დააღონა ბერმონაზვნური ცხოვრების მოწადინე ახალგაზრდა, რომელმაც განცხადებით მიმართა ურბნისის ეპარქიის ახალქალაქის მთავარხუცესს დაედასტურებინა ან უარეყო დოესიის მღვდლის მ. ლუკაშვილის განცხადების შინაარსი. 1921 წელს 23 დე-

კემბერს შეიკრიბა ოლქის სამღვდელთა. რომელთაც “დაადასტურეს: სიყრმიდამ აქამომდე კრება იცნობს გრიგოლ სიღამონიძეს, როგორც საუკეთესო ყმაწვილკაცს, ერთგულ შვილს საქართველოს ეკლესიისას, ხოლო მღვდელ ლუკაშვილის დასმენას, მიიჩნევს როგორც უსაფუძვლოს და პირადი ინტერესებით გამოწვეულს”.²⁷

როგორც სვეტიცხოვლის წინამძღვრის არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის, უწმინდეს და უნეტარეს კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსისადმი გაგზავნილი მოხსენებიდან ირკვევა 1922 წლის 17 იანვარს ღამისთევის ლოცვაზე იგი – გრიგოლ სიღამონიძე აღიკვეცა მონაზვნად და სახელად ეწოდა ეფრემი. 26 იანვარს დეკანოზმა მათე მონასელიძემ მიაღებინა “ფიცი კურთხევისათვის”: “შე, გრიგოლ სიღამონიძე აწ წოდებული სამღვდლო მსახურებისათვის, აღვთქვამ და ვფიცავ ყოველად შემძლებელისა ღმრთისა წინაშე წმიდისა მამისა სახარებისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა, რომ მსურს და ვეცდები განვლო ესე მსახურება თანახმად ღვთისა სიტყვისა, საეკლესიო კანონთა და მთავრობის ბრძანებათა: ღვთისმსახურებანი და საიდუმლონი შევასრულო კრძალვითა და მიხედვით ეკლესიის განჩინებისა, ჩემისა ნებით არაფერი არ შევცვალო: აღსარება სარწმუნოებისა ვიპყრო და სხვას გარდავცე მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმიდათა მამათა ხელმძღვანელობით”.²⁸

როგორც უწმინდესი ამბროსის რეზოლუციიდან ჩანს, 14 იანვარს ბერმონაზობი ეფრემი ხელთ დასხმულ იქნა იეროდიაკვნად. “ჩვენება კურთხევისაში” ბერმონაზონმა ეფრემმა ვალდებულება აიღო რათა განამტკიცოს ქრისტიანობა, სარწმუნოება, ღვთისმსახურება შეასრულოს პატიოსნად და უღირსი ყოფაქცევით არასოდეს დააბრკოლოს მორწმუნენი.

1923 წლის 4 ივლისს მღვდელმონაზონი ეფრემი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქის ამბროსის მოადგილედ შიომღვიმის მონასტერში და დაჯილდოვებული იქნა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. ამ დროს ხელისუფლებამ ანტირელიგიური ისტერია გააძლიერა, რამაც წააქეზა სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები, რომელნიც გაძარცვის მიზნით თავს ესხმოდნენ ეკლესია მონასტრებს, ხოცავდნენ სასულიერო პირებს. ასეთი თავდასხმები ხშირი იყო შიომღვიმის მონასტერზეც, მაგრამ მღვდელ-მონაზონი ეფრემი ერთგულად ემსახურებოდა მონასტერს, მას არც უფიქრია იქაურობის დატოვება.

მღვდელმონაზონი ეფრემი, როგორც მოწმე, გამოდახებული იყო 1924 წლის მარტში საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრების სასამართლოზე საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკას) მიერ. 1925 ელის 22 ოქტომბერს მღვდელმონაზონი ეფრემი აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა დიდი გომა-

რეთის მრევლის მღვდლად და ბორჩალოს მაზრის მთავარხუცესად. როგორც საკათალიკოზო საბჭოსადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა “1925 წლის 26 ოქტომბრიდან შევუდექი მოვალეობის შესრულებას სოფ. დიდ გომარეთში”.²⁹ ახალგაზრდა მოძღვარმა იქაურ მოსახლეობას თავი შეაყვარა როგორც უნგარო, კეთილსინდისიერმა ღვთისმსახურმა. იგი ერთნაირად ყურადღებიანი იყო როგორც ქართველების, ასევე ბორჩალოს მაზრის სამთავარხუცესოში მცხოვრები ბერძნების მიმართ, რასაც ადასტურებს არქიმანდრიტ ეფრემის თხოვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პარტიარქ უწმინდეს და უნეტარეს ამბროსისადმი (1926 წლის 27 მარტი) “ჩემდამი რწმუნებულ სოფ. დიდი გომარეთის სამრევლოს ამ უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში არ ჰყოლია მღვდელი. მისი მოვლა პატრონობა თავს უდევით მეზობელი ბერძნის მღვდლებს ალექსი პარასკევოვს და მიხეილ მიხეილოვს. გთხოვთ გაწეული სამსახურისთვის გამოუცხადოთ მადლობა”.³⁰ უწმიდესმა ამბროსიმ დააკმაყოფილა არქიმანდრიტ ეფრემის თხოვნა, რითაც ეფრემმა სამთავარხუცესოში ბერძენი მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1927 წლის 25 მარტს არქიმანდრიტი ეფრემი გამწვესებულ იქნა მცხეთათბილისის ეპარქიის ქორეპისკოპოსად. 26 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მიერ აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში მანგლელად. კურთხევას ესწრებოდნენ მარგველი ეპისკოპოსი ვარლამი, ბოღბელი ეპისკოპოსი სტეფანე. კურთხევისას სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა ეფრემმა: “ყოვლად უსამღვდელოესნო მეუფეო, ყოვლადპატიოსანნო მამანო და ძმანო! მესმის ხმა უფლისა, მომწოდებელი ჩემისა უღირსებისა მშობლიური ეკლესიის სადარაჯოზედ გუშმაგად დადგინებისა. მესმის და ვძრწვი, წარმოუდგება რა ცხადად თვალთა გონებისა ჩემისათა მთელი სიდიდე მღვდელმთავრობისა, სიძნელე და დაბრკოლებანი, რაიცა მარად სდევს მას და უფრო ვძრწვი, ვითვალისწინებ რა უძღურებასა ჩემსა.

მეშინის, ოდეს მოვიხსენებ მღვდელმთავრობასა ჩემსა. ჰოი სულო ჩემო, ამიერიდან სხვათა მიმცემელი მადლისა, მრავალთა უმაღლეს ეკლესირი ნდობა. დავალებათა დაჯილდოებულს ძალგიძს დაიცვა თავი შენი, რათა არა შთავარდე პატივსა და მთავარობისმოყვარეობასა.

ამ საპასუხისმგებლო დროს მადლობით მოვიხსენიებ ჩემს კეთილის მყოფელთ მასწავლებელთ, რომელთაც განმიმტკიცეს სიყრმიდან ჩანერგილი სიყვარული ეკლესიისა და საზოგადო საქმისა. მადლობით ვიხსენებ ჩვენს ახლადანთებულ ლამპარს თბილისის უნივერსიტეტის აღმაშენებელთ, რომელთა ხელმძღვანელობით მე ვივსებდი ცოდნას ოთხი წლის განმავლობაში. მადლობით ვიხსენებ სრულიად სა-

ქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის, რომელმაც მხურვალე სიყვარული და მამობრივი მზრუნველობა გამოიწია, მაგრამ ამ ჩემთვის საშინელსა და სანეტარო ჟამს, სიმდაბლით შემვივრდებით და გულმოდგინეთ გევედრებით: ოდეს დამსდებთ მაღლის მიმნიჭებელთა წმიდათა ხელთა თქვენთა, თავსა მისსა უღირსებისასა, მხურვალედ აღვაველეთ ლოცვასა წინაშე მაცხოვრისა, რათა მომანიჭებდეს ნიჭსა ჩემსა ცოდვათა განცდისასა და შემარტყადეს ძალსა სულსა სიწმიდისა, სიმდაბლისა და მოთმინებისა.

დაე, მღვდელმთავრობა ჩემი მასწავებდეს ჩემსა უღირსებაზე, უძლურებაზე... დაე, მღვდელმთავრობა ჩემი მარად მოჰკრიდეს თვალთა ჩემთა სინანულსა ცრემლთა დენასა!

დღევანდელი ჩვენი ეკლესიის მწვავე მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს მტკიცე და მაღალღირსებით მოსილ მღვდელმთავარსა, რათა მისი ხმა არ დარჩეს ვითარცა ხმა მღალაღებლისა უდაბნოსა შინა, რომ შეძლოს დამშვიდება აღშფოთებულითა, დაანთოს მათ გულში ცეცხლი სიყვარულისა, შექმნას საამისო მდგომარეობა ხელსაწყოდ ნაყოფიერი მუშაობისა. ჰმართებს მღვდელმთავარს, რათა ზეიღგეს ამო პატივმოყვარეობასა ზედა, ხოლო ცხოვრების დასაყრდნობათა მოიხმარებდეს მაცხოვრის ღიად მოძღვრებას წმ. სახარებასა და ეგვე აქვნდეს ცხოვრების ეგზომ შესაფასებლად. ეპისკოპოსის მოვალეობაზე იქადაგოს ჭეშმარიტება, იყოს გონებით ბრძენი და ცხოვრებით უბრალო, იყოს მტკიცე, ბრწყინავდეს საქმენი მისნი, დაე, აღსრულდეს განგება ღვთისა. მორჩილ ვარ, მაღლობით მივილო და არა რას მცირესა წინააღმდეგობასა ვიტყვი”.³¹

1927 წლის 2 ოქტომბერს საკათალიკოზო სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოზ ეფრემის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად დანიშვნისა და მისთვის მიტროპოლიტობის მინიჭების შესახებ. საკათალიკოზო სინოდისადმი გაგზავნილ წერილში ეპისკოპოსი ეფრემი წერდა: “მიტროპოლიტობა ეძლევა არა კატედრას, არამედ პიროვნებას ნიშნად მაღლობისა და პატივისცემისა, მისი განსაკუთრებული ღვაწლისა და სამსახურის აღსანიშნავად. მე ახლა ვიწყებ საქმიანობას და პირდაპირ მმართველ მღვდელმთავრად დანიშვნა ისედაც ისეთ რთულ ეპარქიაში, როგორც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაა, არასწორად მიმაჩნია”.³²

მანამ ორი თვე ეპისკოპოსი ეფრემი იყო ჯერ მანგლელი, შემდეგ ნინოწმინდელი, ხოლო 1927 წლის 17 ოქტომბრიდან იგი დაინიშნა ალავერდის ეპარქიის მმართველად. 1928 წლის 26 მარტს ეპისკოპოსი ეფრემი განთავისუფლდა ალავერდის ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან. იგი 1929 წლის 5 იანვარს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე მესამეს სთხოვს

თბილისში გადმოყვანას, ვინაიდან ეპარქიაში ადგილობრივი პარტიული ხელისუფლების პოლიტიკის წყალობით გაუსაძლისი პირობები შეიქმნა, როგორც უწმიდესი ქრისტეფორე III საკათალიკოზო სინოდისადმი 1929 წლის 23 იანვრის მოხსენებიდან ირკვევა მიმდინარე (1929) წლის 20 იანვარს “თბილისის წმ. ბარბარეს ეკლესიის რელიგიურ საზოგადოების კრებას თავის მოძღვრად აურჩევია ეპისკოპოსი ეფრემი. სინოდის დაუკითხავად მე ეპისკოპოსს მრევლის მღვდლად ვერ დავამწესებ და ამისათვის ვთხოვ სინოდს გადაწყვიტოს საკითხი, შეიძლება თუ არა ეპისკოპოს ეფრემს მიეცეს მრევლი, იყოს მხოლოდ მრევლის მღვდლად და მოძღვრად?”³³

საკათალიკოზო სინოდმა შესაძლებლად მიიჩნია ეპისკოპოს ეფრემის მიმართ დაეშვათ ასეთი გამონაკლისი, ამიტომ უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე მესამის გადაწყვეტილებით მას თანაშემწედ დაუნიშნეს ერთი მღვდელი. იმავე წლის 26 დეკემბრიდან მას შეუთავსეს ბოდბის ეპარქიის დროებითი მმართველობაც.

1930 წლის 24 ოქტომბერს ეპისკოპოსი ეფრემი დაინიშნა ურბნისის ეპარქიის დროებით მმართველად. თუმცა, იგი ფაქტიურად თბილისში იყო ჯერ მთაწმინდის ეკლესიის წინამძღვარი (20 ნოემბრიდან), ხოლო 1931 წლის დასაწყისიდან 4 აგვისტომდე ნავთლულის ეკლესიის დროებითი წინამძღვარი.

1932 წლის 13 ოქტომბერს ეპისკოპოსმა ეფრემმა განცხადებით მიმართა საქართველოს საკათალიკოზო პლენუმს ურბნის-აწყურის ეპარქიის დროებითი მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. “დღესდღეობით ვერ ვახერხებ განვაგრძო ეს ჩემზე დაკისრებული მოვალეობა და ვფიქრობ, არც ეპარქიისათვის არის სასარგებლო დროებითი პატრონი”.³⁴ ამის პასუხად მიიღო: “სინოდის პლენუმის 13 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებულ იქნას ყოველდღესამღვდელი ეფრემი ურბნისის ეპარქიის მღვდელმთავრად და გორის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად მისადმი რწმუნებულ ეპარქიაში დაბინავებით არა უგვიანეს ერთი თვისა”. ასეთმა გადაწყვეტილებამ ეპისკოპოსი ეფრემი ძალიან გაანაწყენა “მადლობა სინოდს, – წერდა იგი – მაგრამ ჩემთვისაც ხომ უნდა ეკითხათ, შემიძლო თუ არა დღევანდელ პირობებში ამ ტვირთის აწევა. უმორჩილესად გთხოვთ ორი წლით შეაჩეროთ სინოდის დადგენილება. ვმუშაობ მუხუხუმში და წიგნსაცაკეებში”.³⁵

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე თვლიდა, რომ ეპარქიები უმღვდელმთავროდ ასეთ რთულ დროში არ უნდა დარჩენილიყო, ამიტომ მან დაბეჯითებით მოსთხოვა ეპისკოპოს ეფრემს ეპარქიაში წასვლა.

1933 წლის 9 ნოემბერს ეპისკოპოსმა ეფრემმა წერილობითი განცხადებით მიმართა უწმიდეს კალისტრატეს და ავადმყოფობის გამო მოითხოვა ეპარქიალურ დავალებისაგან სრული განთავისუფლება. “სინოდმა ისეთ გარემოებაში ჩამაყენა – წერდა ეპისკოპოსი ეფრემი – რომ ჩემთვის შეუძლებელი ხდება მღვდელმთავრის მოვალეობის ტვირთვა და იძულებული ვხდები სამსახურზე ხელი ავიღო”.³⁶

უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ, დეკანოზებს ი. მირიანაშვილსა და ი. ცქიტიშვილს დაავალა ეფრემის მონახულება და მისი უკმაყოფილების მიზეზის გარკვევა. როგორც ისინი თავიანთ მოხსენებით ბარათში წერდნენ “ვინახულეთ ეპისკოპოსი ეფრემი და მოვახსენეთ, რომ იგი ვალდებულია ემორჩილებოდეს თავის უზენაეს ხელისუფლებას და მით საერთო დისციპლინას იცავდეს და სხვას აძლევდეს მაგალითს, როგორც სარკე ეკლესიისა. მან გვიპასუხა, რომ იგი ემორჩილება საკათალიკოზო სინოდის გადაწყვეტილებას, მაგრამ ასეთ პირობებში არანაირი სამსახური არ მინდაო”.³⁷

საკათალიკოზო სინოდმა უკან დაიხია და მისცა მას შესაძლებლობა თბილისიდან ემართა ეპარქია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეპისკოპოსმა ეფრემმა გადაწყვიტა ეპარქიის მღვდელმთავრობიდან განთავისუფლება და განმეორებით მიმართა საკათალიკოზო სინოდს, რომელმაც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს 1933 წლის 8 მარტის რეზოლუციით დააკმაყოფილა ყოვლად უსამღვდელოესი ეფრემის თხოვნა, მაგრამ მას მისცა (შაბათ-კვირის გარდა) სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის ჩატარების უფლება.

1934 წლის 25 იანვარს ეპისკოპოსმა ეფრემმა თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს კალისტრატეს: “მსურდ დავათვალიერო ეჩმიაძინის სიძველენი და აგრეთვე პირადად გავეცნო ერევნის სახელმწიფო მუშეუმში დაცულ ქართულს ხელნაწერს, ცნობილ საიათნოვას დაეთარს”.³⁸

მისმა უწმიდესობამ მისცა სათანადო სიგელი ეჩმიაძინში წარსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოს ეფრემს ეპარქიის მღვდელმთავრობა აღარ ჰქონდა, საკათალიკოზო სინოდი უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე ანგარიშს უწევდა მის ნიჭიერებას, ეკლესიისადმი თავდადებულ სამსახურს და მრევლთან ურთიერთობის ცოდნის ხელოვნებას. ამიტომ იყო, რომ 1936 წელს, როცა ქუთაის-გაენათის ეპარქიაში ვითარება კვლავ დაიძაბა სინოდის რეზოლუციით (№31 0.1936. 21. 03). იგი გაიგზავნა ქუთაისში, რათა მოეწესრიგებინა ეპარქიის საქმეები.

საბჭოთა უშიშროების სამსახურებისათვის ეპისკოპოსი ეფრემი არ მოიაზრებოდა არსებული რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ სასულიერო პირად, ამიტომ 1937 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში. გადასახლებაში გაატარა 8 წელი. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე ცდილობდა როგორმე დაეხსნა ეპისკოპოსი ეფრემი საბჭოთა “მართლმასაჯულებისაგან”, მაგრამ ვერაფერს გახდა. პატრიარქი შესაძლებლობისამებრ დახმარების სახით უგზავნიდა გარკვეულ თანხას. 1944 წლის 2 ივლისს უწმიდესმა კალისტრატემ მიიღო ეფრემის წერილი ტაშკენტიდან. “თქვენო უწმინდესობავ! სიყვარულით მოგესალმებით და გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს.

ლაგერიდან მე განმათავისუფლეს 21 ივნისს. უკანასკნელი ადგილი ჩემი ციმბირი იყო. საქართველოში დაბრუნების უფლება ლაგერმა არ მომცა. მითხრეს საქართველოდან თუ გექნება გაწვევა, მაშინ წახვალ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული ჩემი სამშობლოში დაბრუნება... სად მოვეწყობი არ ვიცი, არც ტაშკენტში მაძლევენ ცხოვრების უფლებას, უსახსროდ ვარ”.³⁹

კათალიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ავქსენტი რაფავას: “გთხოვთ ნებას გამოვიწვიო თბილისში მშობელი ეკლესიისათვის საჭირო ეფრემ ეპისკოპოსი”.⁴⁰

ეპისკოპოსი ეფრემი 8 წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ბრძანებით დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად, მწვანე ყვავილას ეკლესიის წინამძღვრად.

1945 წლის 12 ივლისს დაიწერა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ბრძანება: “ვიღებ რა მხედველობაში თქვენს თვრამეტი წლის მოღვაწეობას მღვდელმთავრის ხარისხში, მოგიბოძებთ მიტროპოლიტობას”.⁴¹

ქუთაისის ეპარქიაში ეფრემმა 1953 წლამდე იღვაწა. გავიდა წლები... შემდეგ იგი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი გახდა.

ასეთი გამორჩეული სასულიერო პირები იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელთაც მრავალი დაბრკოლებების მიუხედავად შეძლეს ეკლესიისა და ერის წინაშე სამსახური.

ძირითადი დასკვნები

1917 წლის 12(25) მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე გამოსვლისას გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოუცხადა.

პირველი საეკლესიო კრების მოწვევამდე, რომელიც დაამტკიცებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დებულებას და აირჩევდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს, შეიქმნა საქართველოს ეკლესიის მმართველობის დროებითი კომიტეტი ეპისკოპოს ლეონიდის თავმჯდომარეობით.

ეკლესიის მმართველობის დროებით კომიტეტში სასულიერო პირებთან ერთად საერო პირების მიწვევა იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა აქტუალური იყო სრულიად საქართველოსათვის. 116 წლობანი სასულიერო მონობისაგან თავის დახსნა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების წინაპირობა იყო. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება შეეცადა ხელი შეეშალა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტს ცხოვრებაში გატარებისათვის. 13 მარტს, როდესაც ეპისკოპოსები ლეონიდი და ანტონი ესტუმრნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (“ოზაკომს”) და მოახსენეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, “ოზაკომის” წევრებმა ბ. ხატისოვმა ქართველ იერარქებს გულახდილად განუცხადა – ეს ძირს უთხრის ერთიანი, განუყოფელი რუსეთის სტაბილურობას კავკასიაში-ო

საქართველოს ეგზარქოსყოფილმა პლატონმა რუსეთის სინოდისაგან გამხნევებულმა უარი თქვა საქართველოს ეკლესიის საქმეების დროებითი მმართველობისათვის გადაბარებაზე. იგი დროის გაყვანის და პეტერბურგიდან ახალი ინსტრუქციის მიღებამდე აცხადებდა, რომ თბილისის რუსობა, რუსის ჯარი მას მხარს უჭერდა და არსად წასვლას არ აპირებდა.

პეტროგრადის დროებითმა მთავრობამ სარწმუნეობის მინისტრის მოადგილის კოტლიარსკის პირით საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტის წევრებისადმი გამოგზავნილ დეპეშაში დაადასტურა რუსეთის ხელისუფლების მზადყოფნა ეცნო საქართველოს ეკლესიის ეროვნულ-ტერიტორიული ავტოკეფალია, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში მოქმედი არამართლმადიდებლური სამრევლოები და ეკლესიები ახლადშექმნილ ამიერკავკასიის საეგზარქოსოს უნდა დამორჩილებოდნენ. ყოველივე ეს გამოიწვევდა დაპირისპირებას და ანარქიას საქართველოში. იმნებოდა ამიერკავკასიის საეგზარქოსო, რომელიც ცხადდებოდა

საქართველოს საეგზარქოსოს ქონებრივ მემკვიდრედ, ამიერკავკაზიის ეგზარქოსის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო თბილისში, ხოლო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქისა რეზიდენცია მცხეთაში.

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ზემოთაღნიშნულ სულისკვეთებას გამოხატავდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი, რომელმაც ხელისუფლების დავალებით მოლაპარაკება გამართა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტის წევრებთან, დეკანოზებთან: კ. კეკელიძესა და ნ. თალაკვაძესთან, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამიტომ საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პეტროგრადს გაემგზავრა ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე), არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია), დეკანოზ კალისტრატეს (ცინცაძე) შემადგენლობით. დელეგაციას დაძაბული მოლაპარაკებები ჰქონდა. საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიის ცნობის საკითხებზე მთავრობის თავმჯდომარესთან კერენსკისთან, სარწმუნოების მინისტრთან ლვოვთან, მაგრამ რუსეთის საერო მთავრობა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტოკეფალიის ცნობაზე იყო თანახმა, ხოლო რუსეთის სინოდი თვლიდა, რომ არანაირ ავტოკეფალიაზე საუბარი არ შეიძლებოდა, საქართველო თითქოს და საერთოდ ქრისტიანობას განუდგა და მოითხოვდა ქართველებთან ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტას.

თბილისში მყოფი ეგზარქოსოფილი პლატონი არ თმობდა ეგზარქოსის სასახლეს, აქეზებდა რუსებს საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის წევრების წინააღმდეგ. რუსეთის სინოდის განჩინებით იგი თბილისის მიტროპოლიტად დაინიშნა. ამის საპასუხოდ ქართველმა ავტოკეფალისტებმა 13 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება თბილელის კათედრის აღდგენის შესახებ და თბილელ მიტროპოლიტად ლეონიდი აირჩიეს.

როდესაც ეგზარქოსოფილი პლატონი მოსკოვს გაემგზავრა რუსეთის საეკლესიო კრებამ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტი თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდის ხელმძღვანელობით ყოფილი ეგზარქოსის სასახლეში გადავიდა.

საქართველოში გადასახლებიდან დაბრუნდა ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც აქტიურად ჩაება პირველი საეკლესიო კრების მოსამზადებელ სამუშაოებში. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტის წევრებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პართენ გოთუა, სპირიდონ კედია, პავლე ინგოროყვა, იპოლიტე ვართგავა, სერგი გორგაძე, სოფრომ მაგლობლიშვილი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველმა საეკლესიო კრებამ, რომელიც 1917 წლის 9-17 სექტემბერს მიმდინარეობდა დაამტკიცა ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, განსაზღვრა ეპარქიატა რაოდენობა, დაადგინა ეპარქიათა მღვდელმთავრები, აირჩია სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი. პირველი პატრიარქობის პატივი წილად ხვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ცნობილ მეცნიერსა და სასულიერო მოღვაწეს კირიონ II.

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია შეუდგა თავის მძიმე, მაგრამ საპატიო მისიის აღსრულებას, ეს იყო ზრუნვა ქართველი ერის სულიერ ამაღლებაზე, პოლიტიკურ პარტიებად გათითოკაცებულ ქვეყანაში ეროვნული და რელიგიური გრძნობების გაძლიერებაზე. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II ქადაგებებსა და წერილებში თავის სამწყროს შეახსენებდა იმ დიდი საშიშროების შესახებ, რაც მოსალოდნელი იყო ბოლშევიკური რუსეთისაგან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას “არღარ ვართ მონა, არამედ აზნაურ” – აღნიშნავდა უწმიდესი კირიონ II მაგრამ თავისუფლებით გამოწვეული სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II სათვის, რომელის 1918 წლის 27 ივნისს ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II საქმე განაგრძო ახლადარჩეულმა კათალიკოზ-პატრიარქმა ლეონიდმა, რომელმაც მეორე საეკლესიო კრებაზე (1920 წ.) ცვლილებები შეიტანა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში, გააერთიანა მცხეთა-თბილისის ეპარქია, სცადა საერთო ენის გამონახვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, რომელიც თავისი სულისკვეთებით ათეისტური იყო და ცდილობდა ისეთი საკანონმდებლო აქტების შემუშავებას, რომელიც არ გაითვალისწინებდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს ეკლესიის როლს და მნიშვნელობას. დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მესვეურთათვის სასურველი იყო საქართველოს სამოციქული ეკლესია ქვეყანაში მოქმედი სხვა კონფესიების თანაბარ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. მალე სკოლა ეკლესიიდან გამოყვეს, გააუქმეს საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლება, მოახდინეს საეკლესიო ქონების ნაციონალიზაცია. ყოველივე ეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, საკათალიკოზო საბჭოსა და კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, როგორც ირკვევა უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

პრობლემებზე სასაუბროდ შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, მიიღო კიდევ რაღაც დაპირებანი, მაგრამ რეალურად დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრთა დიდ ნაწილს არ ესმოდა საქართველოს ეკლესიის როლი და მნიშვნელობა და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერი არ გაუკეტებიათ. მიუხედავად ამისა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნი აქტიურ მინაწილეობას იღებდნენ მთავრობის მიერ მოწყობილ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულებში და იმედოვნებდნენ, რომ ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს შეცვლიდა საქართველოს ეკლესიის მიმართ თავის დამოკიდებულებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უძძიმესი იყო 1921 წლის 19-25 თებერვლის დღეები, როცა თბილისს ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარები უახლოვდებოდნენ. საკათალიკოზო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საეკლესიო სიწმინდეების ქუთაისში ევაკუაციის შესახებ, 24 თებერვალს უწმიდესი ლეონიდიც ქუთაისში გაემგზავრა. საქართველოს საკათალიკოზო საბჭო, უწმიდესი ლეონიდი არ იყვნენ იმის მომხრენი, რომ საეკლესიო სიწმიდენი უცხოეთში გაეტანათ – მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას რა ბედი ეწია 1922-1924 წლებში საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიწმიდეებს ოქროსა და ვერცხლის ხატებს. მაშინ იქნებ გამართლებულიც იყო ნოე ჟორდანიას მთავრობის არაპოპულარული გადაწყვეტილება საეკლესიო განძის საფრანგეთში გატანის შესახებ.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი ამაყი, თავისუფალი, ბრძოლის ჟინით შეპყრობილი თბილისიდან წავიდა და 1921 წლის აპრილში საოკუპაციო ჯარებთ, გახარებული უცხოტომელების და გაუბედურებული ქართველებით სავსე ქალაქში დაბრუნდა.

ბოლშევიკურ ხელისუფლებას საქართველოს ეკლესია საერთოდ არ უნდოდათ. მათ 1921 წლის 15 აპრილს მიიღეს დადგენილება: “სახელმწიფოსგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ”. ამ დადგენილებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ერთმეოდა იურიდიული პირის სტატუსი.

ანტირევოლუციურ ბოლშევიკ-მარიონეტებს საქართველოს ეკლესია ხელს უშლიდა თავიანთი კოსმოპოლიტური სულისკვეთების ხალხში დანერგვაში, ამიტომ დაიწყო მისი გეგმაზომიერი შევიწროება. ცენტრისაგან წაქეზებული პროვინციელი ბოლშევიკები და კომკავშირელები ადმინისტრაციული წესით ხურავდნენ ეკლესია-მონასტრებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ სასულიერო პირებს, ხოლო ურჩებს საპყრობილეში ათავსებდნენ.

საქართველოს თავს დატრიალებული უბედურებანი, მამა-პაპური ტრადიციების აბუჩად აგდება, ქართველი პატრიოტების წამება, სინდისის თავისუფლების ლო-

ზუნგით ქრისტიანული რელიგიის დევნის გამო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს მიმართა და მოუწიდა ევროპის ქვეყნებს დახმარებოდნენ საქართველოს.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ განიზრახა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის სასტიკად დასჯა. იმდროინდელ პრესაში იბეჭდებოდა უამრავი ცილისწამებანი, პამფლეტები, კარიკატურები სასულიერო პირებზე, რომელნიც თითქოს ქართველი ხალხის მოღალატენი იყვნენ.

1924 წლის მარტში თბილისში ნაძალადევის კულტურის სახლში ჩატარდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის, საკათალიკოზო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესი. ბედის ირონია იყო ქართველი ხალხის ინტერესების ღალატში მათ ბრალს სდებდნენ ვინმა ოქოევი, ვარლამოვი და სხვები. ხელისუფლებას სურდა განსასჯელების სახით მტრის ხატის შექმნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსაჯულებმა სასულიერო პირებმა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მეთაურობით სასამართლო პროცესზე ამხილეს ბოლშევიკური ხელისუფლების ანტიეროვნული ანტინალსური ხასიათი და ზნეობრივი გმირობის მაგალითი უჩვენეს.

ხელისუფლება მიხვდა, რომ მარტოოდენ რეპრესიებით ვერ მოსპობდა ხალხში ქრისტიანულ რწმენას და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიყვარულს. საჭირო იყო სასულიერო წოდებაში თავისი დასაყრდენის მოპოვება. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ე. წ. “რეფორმებისა და განახლების” ჯგუფის მხარდაჭერა. ე. წ. “ცოცხალი ეკლესიის” მონათესავენი იყვნენ. ამ ჯგუფის წევრები თვლიდნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ხმა არ უნდა აღემაღლებინა ბოლშევიკური მმართველების წინააღმდეგ, მცდარი იყო გენუის კონფერენციაზე კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის მიერ მემორანდუმის გაგზავნა. მათი აზრით ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირება მოისპობოდა თუ კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი უარს იტყოდა მემორანდუმის შინაარსზე, გადადგებოდა თანამდებობიდან. ე. წ. “რეფორმატორები” თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო ეპარქიათა შემცირება, კათალიკოზ-პატრიარქის თანამდებობის გაუქმება, საეკლესიო დოგმატიკის და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შეცვლა, ახალ სტილზე გადასვლა. მათ ისარგებლეს ხელისუფლების კეთილგანწყობით და 1926 წელს ქუთაისში უკანონოდ მოიწვიეს საეკლესიო კრება, დათხოვნილად გამოაცხადეს საკათალიკოზო საბჭო, შექმნეს ღრობითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს თავმჯდომარეობით. ე. წ. “რეფორმატორებმა”

უწმიდეს ამბროსის ჩამოაშორეს ერთგული სასულიერო პირები, ჩამოართვეს საქმის წარმოება და დააჩქარეს მისი სიკვდილი.

1927 წლის მე-4 საეკლესიო კრებაზე, სადაც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი ქრისტეფორე შეიშუშავეს ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ ღონისძიებებით შეარბილებდნენ ხელისუფლების ანტიეკლესიურ პოლიტიკას, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. ერთის მხრივ ხელისუფლებამ მოიპოვა მორჩილი სამღვდელთაობა, მეორეს მხრივ გააძლიერა ანტირელიგიური ისტერია, გააგრძელა ეკლესია მონასტრების დახურვა, სასულიერო პირთა დიდი გადასახადებით დაბევრის პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს მიმართვები მთავრობისადმი, რომელშიც იგი მოაგონებდა ხელისუფლებას პატივი ეცა მათ მიერვე მიღებულ სინდისის თავისუფლების კანონისათვის ხელისუფლების მხრივ რეაგირების გარეშე რჩებოდა.

საქართველოს ეკლესიის მესვეურები ხელისუფლების ყურადრებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში არსად ეკლესია ესეთ შევიწროებულ მდგომარეობაში არ არის როგორც საქართველოში. საქართველოში მოქმედი ეკლესიები, სასულიერო პირები ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაეხადათ ყოველთვიური გადასახადი. ეს გადასახადები იმდენად დიდი იყო, რომ ბევრმა სასულიერო პირმა თავი დაანება საქმიანობას, გადასახადების გადაუხდელობის გამო დაიხურა სვეტიცხოვლის ეკლესია, იგივე საფრთხე დაემუქრა სიონს. ადვილი წარმოსადგენია რა ვითარება იქნებოდა საქართველოს სხვადასხვა პროვინციებშიც. ამას დაერთო იმხანად გახშირებული თავდასხმები ეკლესია-მონასტრებზე, სასულიერო პირთა მკვლელობანი. ყოველივე ამის შესახებ აღნიშნავდა უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე. ხელისუფლების მხრიდან ეკლესიისადმი ასეთი სულსშემხუთველი პოლიტიკის მიუხედავად ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე საქართველოს ეკლესიამ საბჭოთა მთავრობას მხარდაჭერა გამოუცხადა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამაც შეცვალა ეკლესიისადმი თავისი დამოკიდებულება, შეზღუდა “მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” საქმიანობა, შეამსუბუქა ეკლესიისადმი შეწერილი გადასახადები. თავის მხრივ საქართველოს ეკლესიამ ფრონტის საჭიროებისათვის დაიწყო ფინანსების შეგროვება. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეკლესიამ მოახერხა როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საქართველოს ხელისუფლებასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, მოიპოვა იურიდიული პირის სტატუსი.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ ი. სტალინი-საგან არაერთი მადლობის წერილი მიიღო. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეკლესიამ მოახერხა რეპრესირებული სამღვდელოების გადარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია და ეკლესიის სამსახურში ჩაყენება. საქართველოს მორწმუნე მრევლში პატივისცემისა და თანადგომის გრძნობის გაძლიერება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ერთსაუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან ექვარისტული კავშირის აღდგენა. ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II წერილით მიმართა მსოფლიო პატრიარქ ბასილ III და მოუწოდა აღედგინა ისტორიული კავშირ ურთიერთობა ივერიის უძველეს ეკლესიასთან, მაგრამ რუსეთის ეკლესიის რიდით მსოფლიო საპატრიარქომ ისტორიულ სამართლიანობას იმხანად მხარი ვერ დაუჭირა, თუმცა არც უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიმართ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთ არაერთხელ დაუფიქსირებიათ თავიანთი მზადყოფნა რუსეთის ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შესახებ, მაგრამ რუსეთის ეკლესიის სინოდი XX საუკუნის 20-30-ან წლებში კვლავ რჩებოდა ერთგული საქართველოს ეკლესიის არცნობის პოლიტიკისა.

მდგომარეობა შეიცვალა XX საუკუნის 40-იან წლებში. 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად სცნო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია და ამის შესახებ ოფიციალურად ამცნო აღმოსავლეთის პატრიარქებს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გზა გაეხსნა საერთაშორისო აღიარებისაკენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არსოდეს ჩაკეტილა საკუთარ ნაჭუჭში ამის დასტური იყო ურთიერთობის ნორმალიზაცია რომაულ-კათოლიკურ და ხომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებთან. ეს ურთიერთობანი ეფუძნებოდა იმ რეალობას, რაც XX საუკუნის 20-5-იან წლების საქართველოში იყო რელიგიურ-კონფენსიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის მართვა-გამგეობასა და ეპარქიების საკითხებს. 1917 წელს პირველ საეკლესიო კრებაზე მიღებული მართვა-გამგეობის დებულებით საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ორგანო იყო საეკლესიო კრება, კრებებს შორის პერიოდში საქართველოს ეკლესიის

საკათალიკოზო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 11 კაცი და თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ან მოსაყდრენი.

საკათალიკოზო საბჭოს სხდომებზე, რომელნიც კვირაში ერთხელ იმართებოდა იხილებოდა საქართველოს ეკლესიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. საკათალიკოზო საბჭოსთან არსებობდა საკათალიკოზო სასამართლო.

ეპარქიაში იყო საეპარქიო საბჭოები, რომელიც აკონტროლებდა ეპარქიის მღვდელმთავრის საქმიანობას, საეპარქიო სასამართლოები, სადაც იხილებოდა ეპარქიაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი საქმეები. მმართველობის ეს სისტემა იყო უაღრესად დემოკრატიული და გამორიცხავდა პიროვნულ-სუბიექტურ გადაწყვეტილებათა მიღებას საქართველოს ეკლესიაში, თუმცა მე-2, საეკლესიო კრებაზე (1920 წ.) თანდათან შეიზღუდა საკათალიკოზო საბჭოს, როგორც კოლექტიური მართვის ორგანოს ფუნქციები, გაუქმდა საკათალიკოზო სასამართლო, გაიზარდა ეპარქიათა მღვდელმთავრების უფლებები, გაუქმდა საეპარქიო საბჭოები, ხოლო მე-4 საეკლესიო კრებაზე საკათალიკოზო საბჭოს ნაცვლად დაარსდა კათალიკოზის “.. სინოდი”, რომელიც კათალიკოზ-პატრიარქის ნების აღმსრულებელი ორგანოდ იქცა და საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დემოკრატიული გზა წარსულს ჩაბარდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დებულების თანახმად 13 ეპარქიად დაიყო, რომელთაც სათავეში ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები ჩაუდგნენ. სამიტროპოლიტო კათედრები იყო: ქუთაისის ცხუმ-აფხაზეთის, ჭყონდიდის.

ეპარქიებიდან ყველაზე მძიმე ვითარება იყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, სადაც ერთმანეთს ეჯახებდნენ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიის ინტერესები. ადგილობრივი აფხაზი ბოლშევიკები ანტირელიგიური ბრძოლის საბაბით ავიწროებდნენ ქართველ მღვდელმთავრებს, ანტირელიგიური ისტერიის მსახვრალი ხელი ყველაზე მეტად ეპარქიებს დაეუფოთ, სადაც ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დაიხურა. ეპარქიათა მღვდელმთავრებს სახელწოდებანი, სინამდვილეში ისინი თბილისის მოქმედი ეკლესიების წინამძღვრები იყვნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნი დიდ ყურადღებას უთმობდნენ სასულიერო ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. 1917 წელს გამოვიდა საქართველოს საკათალიკოზოს ჟურნალი “სვეტიცხოველი” პავლე ინგოროყვას რედაქციით. ჟურნალი დაწვრილებით აშუქებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე არსებულ პრობლემებს. მის ფურცლებზე დაიბეჭდა” პირველი საეკლესიო კრების, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II წერილები მართლმადიდებლური და არამართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიების მათაურებისადმი.

1918 წელს თბილისში გამოდიოდა სასულიერო გაზეთი “ახალი სიტყვა”, რომლის გამომცემელი და კორექსორები ოპოზიციურად იყვნენ განმსჭვალულნი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პარტიარქ კირიონ II სადმი. გაზეთი “ახალი სიტყვა” მისი კორექსორები ნათლად გვიჩვენებს იმ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ატმოსფეროს, რომელშიც ცხოვრობდა 1917-1918 წლებში საქართველოს ეკლესია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი უწმიდესი და უნეტარესი” კირიონი, ლეონიდი, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე არა მარტო ცნობილი სასულიერო პირები იყვნენ არამედ ქართული კულტურის, მეცნიერების მსახურნი და მოამაგენი.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1917-1952 წლებში რთული, წინააღმდეგობრივი ცხოვრების გზა განვლო. მიუხედავად დიდი წნეხისა შეინარჩუნა თავისი სახე და ერის სულიერი წინამძღოლის ფუნქცია.

შესავალი

1. ევსევი ნიკოლაძე “საქართველოს ეკლესიის ისტორია”. ქუთაისი 1918 წ
2. ელისო აბრამიშვილი “კირიონის პირადი საარქივო ფონდი”. “მრავალთავი” თბ. 1971 წ. ტ. XIII. გვ. 357-380
3. ვახტანგ გურგენიძე “კირიონ II ცხოვრება და მოღვაწეობა”. საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი საღვთისმეტყველო კრებული თბ. 1985. №5 გვ.81-138
4. გოჩა საითიძე “საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1917 წელს” ჟურნალი “რელიგია” თბ. 1991 წ. №11. გვ. 3-21
5. სერგო ვარდოსანიძე “საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა” ჟურნალი “ისტორია და გეოგრაფია სკოლაში” თბ. 1989 წ. №3. გვ. 42-50
6. სერგო ვარდოსანიძე “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზეიმი” საპატრიარქოს ჟურნალი “საყდარი” 1999 წ. №2-3. გვ. 4-9
7. ქეთევან პავლიაშვილი “საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში თბ. 1995 წ.
8. ქეთევან პავლიაშვილი “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში”. თბ. 2000 წ. გამომცემლობა “გიორგი აფრიდონიძე”
9. აკაკი ვარაზაშვილი “საქართველოს ეკლესიის ისტორიის და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხები” თბ. 2000 წ.
10. ელდარ ბუბულაშვილი “ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება”. კრებ. “ქრისტიანობა საქართველოში”. თბ. 2000 წ. გამომც. “მემატიანე” გვ. 50-63
11. თინათინ კობალაძე “კირიონ II” საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი “ჯვარი ვაზისა”. 1988 წ. №1. გვ. 15-25
12. დავით მალრაძე “რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთგვამ” ჟურნალი “მნათობი” 1990 წ. №6. გვ. 150-179
13. ხათუნა ქოქრაშვილი “საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ II ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხები”. ჟურნალი “რელიგია” 1995 წ. №1. გვ. 15-20
14. ვაჟა კიენაძე “სამარადისო შარავანდედი. კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II მოღვაწეობა” კრებული “ქრისტიანობა საქართველოში” თბ. 2000 წ. გამომცემლობა “მემატიანე”. გვ. 63-74
15. სოლომონ ლეკიშვილი, მირიან ხუციშვილი “კვლავ ამბროსი ხელაიას საქმის გამო”. ჟურნალი “მნათობი” 1989 წ. №9. გვ. 120-129

16. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე “კაენ სად არის ძმა შენი?” თბ. 1998 წ. გამომცემლობა “მერანი”
17. ნუგზარ პაპუაშვილი “საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის” თბ. 1996 წ.
18. გივი როგავა “როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში” თბ. 1994 წ.
19. სერგო ვარდოსანიძე “1917 წლის საეკლესიო კრება” სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი კრებული თბ. 1995 წ. გვ. 158-169
20. სერგო ვარდოსანიძე “დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე”. ჟურნალი “საქართველოს საპატრიარქო” თბ. 1999 წ. №1. გვ. 47-53
21. სერგო ვარდოსანიძე “სრულად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი” თბ. 2000 წ. გამომცემლობა “ქრონოგრაფი” გვ. 47
22. სერგო ვარდოსანიძე “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში” თბ. 2000 წ. გამომცემლობა “ქრონოგრაფი” გვ. 151
23. სერგო ვარდოსანიძე “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1952 წლებში” თბ. 2001 წ. გამომცემლობა "ქრონოგრაფი" გვ. 212

k a r i I

თ ა ვ ი I

საქართველოს მართლმადიდებური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და 1917 წლის საეკლესიო კრება

1. გაზეთი “საქართველო” 1917 წ. №59
2. გაზეთი “საქართველო” 1917 წ. №61
3. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გორგაძის ფონდი №6945
4. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გორგაძის ფონდი №27-830
5. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გორგაძის ფონდი №27-831
6. გაზეთი “საქართველო” 1917 წ. №71
7. გაზეთი “სახალხო ფურცელი” 1917 წ. №851
8. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465. გვ 2.
9. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465. გვ 2.
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465. გვ 7
11. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465. გვ 8
12. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465. გვ 11

13. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465. გვ 12
14. ჟურნალი “სვეტიცხოველი” 1917 წ. №1 გვ 3
15. ს. ვარდოსანიძე “სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი”. თბ. 2000 წ. გვ 13-14
16. გ. შარაძე “უცხოეთის ცის ქვეშ”. ტ. I. 1993 წ. თბ. “მერანი” გვ.65
17. გაზეთი “სახალხო საქმე” 1917 წ. №27
18. ჟურნალი “სვეტიცხოველი” 1917 წ. №1
19. ს. ვარდოსანიძე “სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II” გამომც. ორთოდოქს-კიპრელი (საბერძნეთი) 1994 წ. გვ 14
20. ჟურნალი “სვეტიცხოველი” 1917 წ. №1
21. ჟურნალი “სვეტიცხოველი” 1917 წ. №1
22. გაზეთი “სახალხო საქმე” 1917 წ. №51
23. გაზეთი “სამშობლო” 1916 წ. №22
24. გაზეთი “სახალხო საქმე” 1918 წ. №53
25. ჟურნალი “სვეტიცხოველი” 1917 წ. №3
26. გაზეთი “ჩვენი ქვეყანა” 1917 წ. №130
27. გაზეთი “საქართველო” 1917 წ. №205
28. ვაჟა კიკნაძე “სამარადისო შარავანდელი კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II ცხოვრება და მოღვაწეობა” იხ. კრებული ქრისტიანობა საქართველოში თბ. 2000 წ. გვ. 69
29. გაზეთი “საქართველო” 1917 წ. №205
30. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №207838
31. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №207838
32. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი №215

თ ა ვ ი II

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელ საქართველოში /1918-1921 წლებში/

1. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465
2. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465
3. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465
4. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №207838
5. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6475
6. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6475

7. ალექსანდრე ბენდიანაშვილი “საქართველოს ისტორია” გამომც. “განათლება” თბილისი 1999 გვ. 278-279
8. გაზეთი “საქართველო” 1920 წ. 17 იანვარი
9. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გორგაძის ფონდი №6945
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6485
11. სერგო ვარდოსანიძე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II. 1994 წ. გვ 26
12. სერგო ვარდოსანიძე “ვერსიები კირიონ II მკვლელობის შესახებ” ჟურნალი “რანი ვართ ქართველები?” 1997 წ. თბ. №4 გვ 17-18
13. ჟურნალი “ახალი სიტყვა” 1918 წ. №6
14. ჟურნალი “ახალი სიტყვა” 1918 წ. №7
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიძის ფონდი. საქმე №6468
16. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიძის ფონდი. საქმე №6468
17. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიძის ფონდი. საქმე №6468
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიძის ფონდი. საქმე №6468
19. გაზეთი “საქართველო” 1919 წ. 25 თებერვალი
20. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული თბ. 1990 ე. გვ 110
21. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიძის ფონდი, საქმე №6443
22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიძის ფონდი, საქმე №6443
23. ჟურნალ “მებრძოლი ათეისტი” 1941 წ. №2-3 გვ 18
24. ქ. პავლიაშვილი “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში” თბ. 2000 წ. გამომც. “გიორგი აფრიდონიძე” გვ 178
25. ქეთევან პავლიაშვილი “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში” თბ. 2000 წ. გამომცემლობა “გიორგი აფრიდონიძე” გვ 178
26. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ლეონიძის ფონდი, საქმე №1304
27. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ლეონიძის ფონდი, საქმე №1304

28. სერგო ვარდოსანიძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. იხ. საისტორიო აღმანახი "კლიო" №8. 2000 წ. თბ. გვ. 135

თ ა ვ ი III

სასულიერო პერიოდიკა: ჟურნალ "სვეტიცხოველის" და "ახალი სიტყვის" პროფილი

1. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №1. გვ 1
2. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №1. გვ. 2
3. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №1. გვ. 6
4. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №1. გვ. 7
5. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №1. გვ. 8
6. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №2. გვ 4-7
7. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №2. გვ. 4-9
8. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №3 გვ. 2
9. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №4. გვ. 16
10. ჟურნალ "სვეტიცხოველი" 1917 წ. №4. გვ. 16
11. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №1. გვ. 1
12. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №1. გვ. 4
13. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №1. გვ. 7
14. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №3. გვ. 7
15. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №6. გვ. 8
16. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №7. გვ. 6-8
17. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №2. გვ. 2
18. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №3. გვ. 3
19. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №5. გვ. 7
20. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №7. გვ. 6
21. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №7. გვ. 6-7
22. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №7. გვ. 7-8
23. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №2. გვ. 8
24. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №1. გვ. 7
25. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №8. გვ. 1
26. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №4. გვ. 2
27. ჟურნალი "ახალი სიტყვა" 1918 წ. №6. გვ. 4

28. ჟურნალი “ახალი სიტყვა” 1918 წ. №7. გვ. 4

k a r i I I

თ ა ზ ი I

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში (1921-1927 წ.წ.)

1. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური კრებული. 1921-1940 წ.წ. თბ. 1959. გვ 10-13
2. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდის ფონდი, საქმე №6443
3. გ. ლეონიდის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ლეონიდის ფონდი №256
4. გ. ლეონიდის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ზაქარია ჭიჭინაძის ფონდი, №03748
5. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, №65
6. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, №65
7. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, №65
8. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, №65
9. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, №65
10. არქიმანდრიტ ამბროსი “ჭელიძის ვარიანტი ქართლის მოქცევისა” თბ. 1911 წ.
11. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი №6184
12. გ. ლეონიდის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №25995 გვ. 40
13. ჟურნალი “რელიგიის წინააღმდეგ” №4. 1931. გვ 5
14. გ. ლეონიდის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №02599 გვ. 41
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ფონდი, საქმე №6184

16. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ფონდი, საქმე №6184
17. ლევან თოიძე “საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1921-1923 წლებში” თბ. 1999. გვ 40
18. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიც-სა) ფ. 516 ან 2 საქმე 1
19. სუიცსა. ფ. 516 ან 2 საქმე 1
20. გიორგი ცხოვრებაძე “ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1924 წლებში” თბ. 1996. გვ 71
21. სერგო ვარდოსანიძე “დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე” ჟურნალი "საქართველოს საპატრიარქო" №1, 1999 წ. გვ 52
22. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995 გვ 93-95
23. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995 გვ. 93
24. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995 გვ. 94-95
25. გაზეთი “კომუნისტი” 1922 წ. 23 მაისი
26. გაზეთი “ტრიბუნა” 1922 წ. 22 ივნისი
27. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე № 539
28. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე № 539
29. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე № 539
30. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე № 166
31. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილება, ქრონოლოგიური კრებული. 1921-1940 წ.წ. თბ. 1951 წ. გვ. 41
32. გაზეთი. “მუშა” 1924 წელი. 15 მარტი.
33. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე № 166

34. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე №1519
35. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე №166
36. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №6508
37. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №112
38. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №112
39. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №112
40. საქართველოს საპატრიარქო არქივი რუის-ურბნისის ეპარქიის ფონდი, საქმე №1508
41. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №1726
42. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №4002
43. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ. 1928 წ. გვ. 32-33
44. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე №1516
45. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე №1516
46. გაზეთი “კომუნისტი” 1925 წ. 6 იანვარი
47. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს ფონდი, საქმე №6480
48. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის ფონდი, საქმე №166
49. ი. კვესელავა “ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში 1921-25 წლებში” იხ. ჟურნალი “მაცნე” ისტორიის სერია 1979 წ. №1. გვ 72
50. საქართველოს საპატრიარქო არქივი, რუის-ურბნისის ეპარქიის ფონდი, საქმე №1508
51. გიორგი ბოჭორიძე “იმერეთი”. თბ. “მეცნიერება” 1995 წ. გვ 21

52. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, საქმე №112
53. სერგო ვარდოსანიძე “დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე”. ჟურნალი “საქართველოს საპატრიარქო” №1, 1999 წ. გვ. 53
54. გაზეთი “მუშა” 1924 წ. 20 მარტი
55. გაზეთი “მუშა” 1924 წ. 15 მარტი
56. გაზეთი “მუშა” 1924 წ. 15 მარტი
57. გაზეთი “მუშა” 1924 წ. 22 მარტი
58. ამბროსი ხელაია “მე შევასრულე ჩემი მოვალეობა”. ჟურნალი “მნათობი” №10 1988 გვ 149
59. ამბროსი ხელაია “მე შევასრულე ჩემი მოვალეობა”. ჟურნალი “მნათობი” №10 1988 გვ158
60. ამბროსი ხელაია “მე შევასრულე ჩემი მოვალეობა”. ჟურნალი “მნათობი” №10 1988 გვ. 161
61. ფარნაოზ ლომაშვილი “საქართველოს ისტორია” თბ. “განათლება”. 1999 გვ. 89
62. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №539 გვ. 3
63. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №539 გვ. 2

თ ა ვ ი II

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობა 1921-1932 წლებში

1. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი (სსცსა). ფონდი №1459 ან 1 საქმე 41. ფურც. 2-4
2. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ. 1928 წ. გვ. 43
3. სუიცსა ფონდი 284 ან 9 საქმე 2. ფურც. 31
4. ი. კვესელავა ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში. ჟურნალი “მაცნე” 1979. №1. გვ 76
5. სუიცსა ფონდი 516 ან 2 საქმე 1. ფურც. 83
6. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 709. ფურც. 5
7. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი, დეკანოზ ნ. თალაკვაძის საქმე №1527 გვ. 9
8. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი, დეკანოზ ნ. თალაკვაძის საქმე №1527 გვ. 11

9. სუიცსა ფონდი 516 ან 2 საქმე 2. ფურც. 35
10. სუიცსა ფონდი 516 ან 2 საქმე 1. ფურც. 498
11. სსრ განათლების არქივი, ფონდი 300 ან 3 საქმე 44 ფურც. 2
12. საქართველოს ეკლესიის კალენდარი თბ. 1928 წ. გვ. 45-46
13. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 268. ფურც. 23-24ა
14. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 268. ფურც. 24
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №640 გვ. 48
16. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №539 გვ. 1
17. სუიცსა ფონდი 284 ან 3 საქმე 37. ფურც. 3
18. სუიცსა ფონდი 2100 ან 1 საქმე 11. ფურც. 1-3
19. გიორგი ბოჭორიძე “იმერეთი” თბ. “მეცნიერება” 1995. გვ. 6
20. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 300. ფურც. 2
21. სუიცსა ფონდი 284 ან 3 საქმე 700. ფურც. 2
22. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 290. ფურც. 3, 4
23. სუიცსა ფონდი 284 ან საქმე 290. ფურც. 6-7
24. სუიცსა ფონდი 284 ან საქმე 290. ფურც. 10-12
25. სუიცსა ფონდი 2100 ან 1 საქმე 31
26. მ. ბენდელიანი საქართველოს ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკანდიდატო დისერტაცია ხელნაწერის უფლებით გვ. 47 (დისერტაცია ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში)
27. გაზეთი “კომუნისტი” 1929 წ. 22 იანვარი №17
28. საქართველოს ეკლესიის კალენდარი თბ. 1928 წ. გვ. 37

თ ა ზ ი III

“განახლების და რეფორმების” მცდელობანი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1922-1932 წლებში

1. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 3
2. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 4
3. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 7

4. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 9
5. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 17
6. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 20
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 34
8. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 34
9. სუიცსა ფონდი 600 ან 2 საქმე 2. ფურც. 50
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 35
11. გაზეთი “ზარია ვოსტოკა” 1923 წ. 18 ნომბერი
12. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №20
13. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 37
14. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 39
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 40
16. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 42
17. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 43
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 67
19. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 103
20. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 103
21. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 116

22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 116
- 22°. სცსსა ფონდი 2100 ან 1 საქმე 103, ფურც. 2
23. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102 გვ. 330
24. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №22 გვ. 1
25. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102 გვ. 22-23
26. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102 გვ. 24
27. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №42 გვ. 1
28. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №42 გვ. 1
29. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №42 გვ. 1
30. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1651 გვ. 8
31. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102 გვ. 340
32. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოს დავით კაჭახიძე, საქმე №1866 გვ. 2
33. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოს დავით კაჭახიძე, საქმე №1866 გვ. 2
34. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №43 გვ. 1
35. სუიცსა ფონდი №284 ან 1, საქმე 300 გვ. 88-89
36. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №539 გვ. 8
37. სუიცსა ფონდი №284 ან 1, საქმე 300 გვ. 41
38. სუიცსა ფონდი №284 ან 1, საქმე 300 გვ. 41
39. სუიცსა ფონდი №284 ან 1, საქმე 300 გვ. 45

40. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102 გვ. 445
41. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №49 გვ. 1
42. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №50 გვ. 1
43. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №52 გვ. 1
44. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №52 გვ. 1
45. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №55 გვ. 1
46. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №66 გვ. 8
47. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. თბ. 1927 წ. გვ 7
48. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. თბ. 1927 წ. გვ 14
- 48^ა. საქართველოს პრეზიდენტის არქივი ფონდი 14, საქმე 354 ან 3 საქალაქე №37. ფურც. 732-133
49. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №272 გვ. 27
50. საქართველოს ეკლესიის კალენდარი თბ. 1928 წ. გვ. 40
51. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მანგლისის ეპარქიის, საქმე №1752 გვ. 8
52. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მანგლისის ეპარქიის, საქმე №1752 გვ. 11
53. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 283. ფურც. 2-12
54. სუიცსა ფონდი 284 ან 1 საქმე 283. ფურც. გვ. 9
55. ჟურნალი “რელიგიის წინააღმდეგ” 1931 №8. გვ. 5
56. ჟურნალი “რელიგიის წინააღმდეგ” 1931 №8. გვ. 3
57. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი დეკ. ნიკიტა თალაკვაძე მოგონებები, საქმე №025995 სვ. 1. გვ. 6
58. სუიცსა ფონდი 284 ან 2 საქმე 291
59. ჟურნალ “მებრძოლი ათეისტი” 1939. №7. გვ.1
60. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე №272 გვ. 17

61. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 200
62. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1523 გვ. 5
63. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №66 გვ. 5
64. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1866 გვ. 8
65. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1866 გვ. 13
66. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, საქმე №1866 გვ. 7
67. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №3811

თ ა ზ ი IV

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობა და ეპარქიების საკითხი 1917-1952 წლებში

1. “საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება” თბ. საკათალიკოზო გამოცემა 1917 წ. გვ. 7
2. “საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება” თბ. 1920 წ. გვ. 20
3. მ. ლორთქიფანიძე “საეკლესიო რეფორმა აფხაზთა სამეფოში” იხ. ჟურნალი "ჯვარი ვაზისა" 1995 №1 გვ. 53
4. ქართული სამართლის ძეგლები ტ III. ი. დოლიძის რედაქციით. თბ. 1970 გვ. 222
5. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6465 გვ. 7
6. Тарнава М. Православная Абхазия. Сухуми. 1917 г.
7. ალექსანდრე ბენდიანიშვილი “ეროვნული საკითხი საქართველოში 1800-1921 წლებში” თბ. “მეცნიერება” 1980 წ. გვ. 244
8. გაზეთი "საქართველო" 1919 წ. 20 ოქტომბერი
9. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №1053 გვ. 1
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ. 2

11. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ.1
12. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ. 5
13. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ. 6
14. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ. 7
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ. 8
16. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, საქმე №308 გვ. 10
17. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ეფრემის არქივი, საქმე №1124 გვ. 8
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ამბროსი ხელაიას ფონდი, საქმე №1295
- 19.
20. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ალავერდის ეპარქიის ფონდი, საქმე №1649
21. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ალავერდის ეპარქიის ფონდი, საქმე №1649
22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ალავერდის ეპარქიის ფონდი, საქმე №1649
23. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ალავერდის ეპარქიის ფონდი, საქმე №1649
24. ნუგზარ პაპუაშვილი “საქართველოს ეკლესია ორ მსიფლიო ომს შორის” თბ. 1996 გვ 25
25. საქართველოს საპატრიარქო არქივი, წილკნის ეპარქიის ფონდი, საქმე №1646
26. საქართველოს საპატრიარქო არქივი, წილკნის ეპარქიის ფონდი, საქმე №1646
27. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ბოდბის ეპარქიის ფონდი, საქმე №1654
28. სუიცსა ფონდი 1879 აღწ. 1. ს. 3. ფურც. 2

k a r i I I I

თ ა ვ ი I

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1932-1952 წლებში

1. სუიცსა ფონდი 284, ან 1. საქმე 2199 ფურც. 1
2. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102 გვ. 129
3. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №102
4. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №26
5. საღვთისმეტყველო კრებული საქართველოს საპატრიარქო ჟურნალი 1987 №3 გვ. 168
6. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №23
7. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №35
8. საღვთისმეტყველო კრებული საქართველოს საპატრიარქო ჟურნალი 1987 №3 გვ. 16
9. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი. ეპისკოპოს დავით კაჭახიძე, საქმე №1866 გვ. 43
10. ჟურნალი რელიგიის წინააღმდეგ 1932 წ. №8. გვ. 3
11. მ. ხუციშვილი საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია; XIX-XX ს.ს. თბ. 1984 გვ. 202
12. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70
13. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 31
14. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ.3
15. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 27

16. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 31
17. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 2
18. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 34-41
19. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 91
20. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ.130-133
21. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 130-133
22. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №70 გვ. 134
23. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №3998
24. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №73
25. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №3998
26. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №3998
27. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №3998 გვ. 8
28. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №3998 გვ. 10
29. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №3998
30. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სსცსა) ფონდი №1879 ან 1. საქმე 11. ფურც. 1
30. სსცსა ფონდი №1879 ან 1. საქმე 12. ფურც. 1-2
31. მ. ბენდელიანი საქართველოს ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1941-1945 წ.წ.) საკ. დისერტაცია. ხელნაწერი გვ. 87
32. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №125
33. ჟურნალი “საღვთისმეტყველო კრებული” №3. 1987 გვ. 189
34. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №155
35. სსცსა ფონდი №1879 ან 1. საქმე 5
36. სსცსა ფონდი №1879 ან 1. საქმე 8

37. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №82
38. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №164
39. საქართველოს საპატრიარქო არქივი ფონდი №2613
40. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, “სხვადასხვა” №324

თ ა ვ ი II

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობა

1. ჟურნალი “ჯვარი ვაზისა” 1990 წ. №3. გვ. 73
2. ჟურნალი “ჯვარი ვაზისა” 1990 წ. №3. გვ. 74
3. ჟურნალი “ჯვარი ვაზისა” 1990 წ. №3. გვ. 70
4. ჟურნალი “ჯვარი ვაზისა” 1990 წ. №3. გვ. 73-74
5. საქართველოს საპატრიარქო არქივი საქმე №1053
6. საქართველოს საპატრიარქო არქივი საქმე №3811
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი საქმე №6465
8. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფონდი №2766330
9. საქართველოს საპატრიარქო არქივი საქმე №539
10. საქართველოს ეკლესიის კალენდარი თბ. 1928 წ. გვ. 33
11. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №6581
12. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფონდი №2783013
13. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფონდი №2783
14. ნ. თალაკვაძე მემუარები იხ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფონდი №025995. რვ. III
15. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფონდი №026908
16. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფონდი №026908
17. ჟურნალი “მებრძოლი უღმერთო” თბ. 1932 წ. №8-9. გვ 1
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №539
19. ჟურნალი “მოსკოვსკი პატრიარხი” 1944. №3. გვ. 15-17
20. მ. ბენდელიანი საქართველოს ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. საკანდიდატო დისერტაცია. 1999 თბ. გვ. 146 (ინახება ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში)
21. სუიცსა. ფ. 1879 წ. აღწ. 1. ს. 3. ფურც. 2

თ ა ვ ი III

საქართველოს ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქი და ქართული კულტურა 1917-1952 წლებში

1. ჟურნალი “პასტორი” 1888 წ. №16, 18, 1889 №1, 4, 5, 6
2. ჟურნალი “პასტორი” 1889 წ. №23, 24, 1890 №1, 2
3. ეპისკოპოსი კირიონი “წმ. დავით III აღმაშენებელი” თბ. 1899 წ.
4. ვ. გურგენიძე კირიონ II იხ. ჟურნალი “საღვთისმეტყველო კრებული” 1981 წ. №5. გვ. 88
5. სსცსა არქივი, ფონდი 1458, საქმე 19. გვ 1
6. გაზეთი “ივერია” 1891 წ. №1987
7. ი. მეგრელიძე ექვთიმე თაყაიშვილი თბ. “მეცნიერება” 1989 წ. გვ. 89
8. რ. მეტრეველი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ. 1982 გვ. 94
9. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი 1535, საქმე №47
10. ს. ვარდოსანიძე “ღვაწლი კეთილი” გაზეთი ლიტ. საქართველო 1988 წ. №7. გვ. 13
11. ვ. გურგენიძე “კირიონ II” ჟურნალი “საღვთისმეტყველო კრებული” 1981 №5 გვ. 97
12. გაზეთი “ივერია” 1904 №35
13. ს. ვარდოსანიძე “ღვაწლი კეთილი” გაზეთი ლიტ. საქართველო 1988 წ. №7. გვ. 13
14. ს. ვარდოსანიძე “ღვაწლი კეთილი” გაზეთი ლიტ. საქართველო 1988 წ. №7. გვ. 13
15. ს. ვარდოსანიძე “ღვაწლი კეთილი” გაზეთი ლიტ. საქართველო 1988 წ. №7. გვ. 13
16. ს. ვარდოსანიძე კირიონ II სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი 1994 წ. გვ 16
17. სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი №6443
18. ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თბ. 1911 წ. გვ. 10
19. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №256..
20. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №332..
21. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1990 წ. გვ. 139

22. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1990 წ. გვ. 158
23. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1990 წ. გვ. 193
24. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება თბ. 1907 წ. გვ 172
25. გაზეთი “საქართველო” 1918 წ. 28 მარტი
26. სსცსა ფონდი №1451 ან 1, საქმე 41
27. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №2677
28. არქიმანდრიტი ამბროსი “ჭელიძის ვარიანტი ქართლის მოქცევისა” თბ. 1911 გვ. 3
29. არქიმანდრიტი ამბროსი “ჭელიძის ვარიანტი ქართლის მოქცევისა” თბ. 1911 გვ. 29
30. სუიცსა ფონდი №516 ან 2, საქმე 1. ფურც. 20
31. ვ. თორაძე, ნ. თორაძე “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში” თბ. 1945 წ. გვ. 159
32. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 14
33. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 35
34. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 35
35. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 59
36. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 61
37. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 62
38. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 71
39. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 71
40. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 65
- 40^ა. სსცსა ფონდი №2100 ან 1, საქმე 70
41. ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” იხ. მრავალთავი XIII 1987 წ. გვ. 96-112
42. ჟურნალი “საღვთისმეტყველო კრებული” თბ. 1987 წ. №3. გვ. 63-131
43. ჟურნალი “საღვთისმეტყველო კრებული” თბ. 1987 წ. №3. გვ. 68
44. ჟურნალი “მწყემსი” №3. 1892 წ
45. ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” “მრავალთავი” №XIII 1987 წ. გვ. 99
46. ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” “მრავალთავი” №XIII 1987 წ. გვ. 98
47. ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” “მრავალთავი” №XIII 1987 წ. გვ. 107

48. კ. ცინცაძე “ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში” “კანდელი” თბ. 1994 წ.
49. კალისტრატე ცინცაძე “ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში” “კანდელი” თბ. 1994 წ. გვ. 207
50. ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” “მრავალთავი” XIII 1987 წ. გვ. 108
51. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი №119
52. შოთა რუსთაველი “ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი” თბ. 1966 წ. გვ. 227-274
53. ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” “მრავალთავი” № XIII 1987 წ. გვ. 112
53. . ნ. პაპუაშვილი “კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა” “მრავალთავი” № XIII 1987 წ. გვ. 173-174
54. ლადო გუდიაშვილი მოგონებები “ნაკადული” თბ. 1979 წ. გვ. 87

თ ა ვ ი I V

XX საუკუნის 20-30-იან წლებში მოღვაწე ზოგიერთი სასულიერო პირ- თა პორტრეტი

1. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
2. კალისტრატე ცინცაძე, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია თბილისში, თბ. 1993წ. გამომც. “კანდელი” გვ.243
3. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
4. ქეთევან პავლიაშვილი “საქართველოს საგზარქოსო” 1900-1917 წ.წ. თბ. 1995 წ. გვ. 12
5. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
6. “ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება” თბ. 1907 წ. გვ 163
7. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995

8. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
9. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
10. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
11. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
12. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
13. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი №025995
14. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი №6491
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი №1954ა
16. გაზეთი “თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია” 2000 წ. 15 ივნისი
17. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №1549
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №1549
19. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №1549
20. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №1549
21. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №308
22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №308
23. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №308
24. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №308
25. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი, საქმე №308
26. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1379
27. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1379
28. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1379
29. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
30. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1379

31. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №617
32. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
33. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
34. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
35. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
36. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
37. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664
38. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის ფონდი, საქმე №1664

შინაარსი

შესავალი.....	1
kari I	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში.....	8
თავი I	
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და 1917 წლის საეკლესიო კრება.....	8
თავი II	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელ საქართველოში /1918-1921წლებში/.....	23
თავი III	
სასულიერო პერიოდიკა: ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ და „ახალი სიტყვის“ პროფილი.....	38
kari II	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1932 წლებში.....	49
თავი I	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში /1921-27წ.წ./.....	49
თავი II	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობა 1921-1932 წლებში.....	83
თავი III	
„განახლების და რეფორმების“ მცდელობანი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1922-1932 წლებში.....	97
თავი IV	
საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა და ეპარქიების საკითხი 1917-52 წლებში.....	133
kari III	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1932-1952 წლებში.....	149
თავი I	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1932-1952 წლებში.....	149
თავი II	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობანი 1917-1952 წლებში.....	173
თავი III	
საქართველოს ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქნი და ქართული კულტურა 1917-1952 წლებში.....	185
თავი IV	
XX საუკუნის 20-30-იან წლებში მოღვაწე ზოგიერთ სასულიერო პირთა პორტრეტი.....	208
ძირითადი დასკვნები.....	238
დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა:.....	247